ელგუჯა
თავბერიძე

აირევი ივერია

ანუ

ჯენტლმენ
სოლომონ აშორდიას
ცხოვრება და
შეხედულებანი



საგამომცემლო ცენტრი
ქუთაისი
2006

ერთი საუკუნის წინათ სამეგრელოსა და იმერეთში ორი ათასამდე კაცი სოლომონ აშორდიას შემწეობით გათავადდა ან გააზნაურდა. ტერმინიც დამკვიდრდა – „აშორდიას აზნაური“.

ამ წიგნში ვცადეთ, საუკუნის წინანდელი ეპოქა გაგვეცოცხლებინა, დოკუმენტების, მემუარების, სასამართლო საქმეების მეშვეობით მხატვრულად მოგვეთხრო სოლომონ აშორდიაზე, კაცზე, რომლის სახელსაც ყოველი მეორე ქართველი გაიძახოდა იმდროინდელ საქართველოში.

ჰოდა, ვისაც ამ უდავოდ ნიჭიერი თაღლითის თავგადასავალი, ან, სულაც, საკუთარი გვარის ისტორია აინტერესებს, ეს წიგნიც უნდა შეიძინოს და, რა თქმა უნდა, წაიკითხოს კიდეც.

რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
მხატვარი	კარლო ფაჩულია

ISBN 99940-917-4-3

რედაქტორისაგან

იყო დრო, როდესაც სოლომონ აშორდიას სახელი ყველას პირზე ეკერა — თაღლითი, ავანტურისტი, ღმერთსმოკლებული რეალობის „მეფე", ვისაც შეეძლო თავადობა და აზნაურობა დაერიგებინა ყველასათვის, ვინც გასამრჯელოს არ დაიშურებდა.

მისი მღელვარე, ათასგვარად ჩახლართული ამბებითა და ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება მწერლებსაც დააინტერესებდა, თუმც სხვადასხვა თვალთახედვით გაზომავდნენ და გაიაზრებდნენ სოლომონ აშორდიას პიროვნებასა და ბედისწერას: მიხეილ ჯავახიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე — ირონიულად, ცისფერყანწელთა საძმო — რომანტიკულად და აღტაცებით...

მერე თანდათან ბურუსში გაეხვეოდა ეს სახელიც და მისი საქმენიც.

არადა, არ არის სოლომონ აშორდია ლიტერატურისათვის დასაკარგი ადამიანი, მითუმეტეს, თუ არსებობს სასამართლო ოქმები არაერთ ტომად, და დოკუმენტურ წყაროებთან ერთად არც გადმოცემათა სიმცირე იგრძნობა.

ხელში თვითონვე გივარდება მხატვრულ-დოკუმენტური რომანი, თვითონვე გიწვევს, ისღა დაგრჩენია, გულდასმით მოიძიო, გააანალიზო და შეაჯერო დოკუმენტური ცნობები, გადმოცემები, ლიტერატურული გააზრებანი და გაშალო მიმზიდველ სიუჟეტურ ქარგაში, რათა ცოცხლად საკითხავ წიგნადაც აქციო ბედუკულმართი ცხოვრება.

ქართულ სინამდვილეშიც ჰყავდა თავისი წინამორბედი სოლომონ აშორდიას.

იასე ფალავანდიშვილსაც საკმაოდ ემარჯვებოდა ყალბი დოკუმენტების შექმნა, 1832 წლის შეთქმულების გამცემს. და ტრაბახითაც აეკლო თანამზრახველნი: თუ ხელნაწერს მოვკარი თვალი, მაშინვე მივამსგავსებ და ალექსანდრე ბატონიშვილთან

გასაგზავნ წერილებზე ყველა თავადის მაგივრად შემიძლია ხელი მოვაწეროო. სიამაყით გაიხსენებდა, დადიანის სახელით მივწერე წერილი იმერეთის ბატონიშვილს, ვიწვევდი, იმერეთში ჩამოდი, დაგეხმარები, იმერეთი აჯანყდება და შენ გამეფდებიო. ამით ისე ავუწეწე დადიანს საქმე, რომ კინაღამ გადაასახლეს რუსებმაო.

სხვათაშორის, ორი ძმა ფალავანდიშვილი წარმოშობით გლეხები ყოფილან და უფროს ძმას ნიკოლოზს ეშმაკობითა და გაიძვერობით ჯერ აზნაურობა უშოვნია და მერე თავადობაც და ყორჩიშვილები ფალავანდიშვილებად გადაქცეულან.

ასე რომ, ორივე ძმა აშორდიამდელი აშორდიას აზნაურები არიან.

თუმც სოლომონის ბედი ძალიან განსხვავდება თავის წინამორბედისაგან, მის კისერს არ აწევს იმხელა ცოდვა, რაც იასეს საუკეთესო ახალგაზრდების გაწირვით.

ელგუჯა თავბერიძეს, თვალსაჩინო კრიტიკოსსა და ლიტერატურის მკვლევარს, არც ბელეტრისტული მადლი აკლია, რისი დასტურიცაა მისი პორტრეტების ციკლი და ბიოგრაფიული ნარკვევი გიორგი შარვაშიძეზე. ამჯერად კი სულაც რომანისტად გვევლინება და ნამდვილი ხელოვნებით გამოჰკვეთს სოლომონ აშორდიას მრავალმხრივ დამაფიქრებელ სახებასაც და ქაოტურ ეპოქასაც, თავისი მრავალფერადი წახნაგებით.

ამიტომაცაა მისი წიგნი პიკარესკული — თაღლითური — რომანის ჩინებული ნიმუში.

ქართულ ენაზეც მოგვეპოვება პიკარესკული რომანის კლასიკური ნიმუში — მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე". პიკარესკული პიესისაც, სხვათა შორის — პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი" . აგრეთვე შესაფერისი ორეული თომას მანის დაუმთავრებელი ქმნილებისა „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება" (დალი ფანჯიკიძის მეოხებით).

ეს ის ტრადიციაა, ჩვენი სამწერლო ცხოვრების ის ნაკადი, რომელსაც აუცილებლად ესაჭიროებოდა გაგრძელება და „აირევი ივერია" სწორედ გაწყვეტილი ძაფის გამრთელება-აღდგენას ლამობს, რათა ამ ჟანრს დაუბრუნოს სიცოცხლისუნარიანობა.

პროლოგის მაგიერ

გალაკტიონის პალინდრომია:

„აი რა მზის სიზმარია
აირევი ივერია
აი დროშა აშორდია
აერების სიბერეა“.

იქნებ ვინმეს ეს სიტყვები პალინდრომისათვის საგანგებოდ მოძიებულად მოეჩვენოს — წაღმა-უკუღმა ერთნაირად იკითხება და ამიტომაც მოიხმო პოეტმაო, — გაიფიქროს, მაგრამ არა გვგონია, ასე იყოს. თუ თითოეულ სიტყვას ღრმად ჩავუკვირდებით, მასში გამჟღავნებულ აზრს მოვიძიებთ, იმდროინდელ ამბებს გავიხსენებთ, ნათელი გახდება, ეს სიტყვები სულაც არაა შემთხვევით მოხმობილი, მათში რაღაც აზრია გაცხადებული. აზრი კი ისაა, რომ ივერია მართლაც აირია, აითქვიფა, აიდღვიბა, აშორდიასა და მისი მეგობრების მეშვეობით თავადობა, აზნაურობა ადვილად მისაღწევი გახდა. ასეთად შეეძლო ქცეულიყო ყველას, ვისაც ფული ჰქონდა და სურვილი გააჩნდა, სენაკში, ზუგდიდში ან ქუთაისში ჩასვლაც არ დაჭირდებოდა, ადგილზე მიუტანდნენ.

თავადაზნაურობა, ხატოვნად რომ ვთქვათ, ერის ხერხემალი, ქვეყნისთვის ჰაერი, დაბერდა, ასაკი დაეტყო, ხმას ველარ იმაღლებდა, ქვეყანას ველარ უვლიდა, აშორდიას აზნაურები ყელყელაობდნენ, რაც სურდათ, იმას აკეთებდნენ, საითაც ეწადათ, იქით აბრუნებდნენ საჭეს, ნებისაებრ უშვებდნენ ღუზას. ერთი სიტყვით, დაბერებული ჰაერი — ასაკდატყობილი თავადაზნაურობა ველარ პატრონობდა სამშობლოს.

არადა, ეს მართლაც სიზმარი გახლდათ, წარმოუდგენელი, ცხადში გაუაზრებელი, უჩვეულო და უცნაური, ვინც ადამჟამიდან ქვეყანას ჭირისუფლობდა, ახლა ხმალი ჩაეგო, ბედს დანებებოდა, ზავი დაედო ჟამთან. ძველებს ჩასძინებოდათ, ახლები, თანაც ყალბნი, ინდომებდნენ მათი საქმის გაგრძელებას. მოკლედ: გალაკტიონის ეს პალინდრომი გამოძახილია აშორდიასა და მისთა მსგავსთა საქმიანობისა, იმ თაღლითური, ავანტურისტული ზრახვებისა, მათ რომ წამოიწყეს და აღასრულეს კიდეც.

ამიტომ ვამბობთ, გალაკტიონს ეს ლექსი სულაც არ შეუთხზავს შემთხვევით, სიტყვების წაღმა-უკუღმა წაკითხვის სურვილით, პირიქით, რაღაც ღრმა აზრი ჩადო მათში, ზემოთნახსენებ მოვლენათა გათვალისწინებით ადვილად გასაგები.

და კიდევ:

1927 წელს შეთხზულ ოხსტრიქონედში პოეტმა აშორდია იმის გამო გაიხსენა, აირევი ივერიას იმიტომ დაუკავშირა, რომ ბოლშევიკთა ბატონობის შემდეგ ქვეყანა არნახულად აირია. თავადაზნაურობის, როგორც ქვეყნის პატრონი კლასის, ფიზიკური განადგურება დაიწყო, საუკეთესო ნაწილი გაჟლიტეს კიდეც. ბუნებრივია, აშკარად ამის თქმა შეუძლებელი იყო, აშორდია-ივერიას დაკავშირებით კი, მართალია შენიღბულად, მაგრამ მაინც იმხილებოდა სათქმელი. ერთი სიტყვით, იმდროინდელ ბოლშევიკთა მძვინვარების ჟამი გალაკტიონს რაღაცნაირად აშორდიასდროინდელ სიტუაციას აგონებდა.

ივერია პირუკუ აირევი რომ იყო, მიხეილ ჯავახიშვილსაც აფიქრებდა. გალაკტიონის პალინდრომს არ ახსენებს, მაგრამ ამ ლექსის დაწერიდან რვა წლის შემდეგ უბის წიგნაკში ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია:

„აირევი ივერია (პირუკუღმა წაიკითხეთ), რაღაც საშინელი მისტიური აზრია ამ სიტყვებში“.

ივერია — წაღმა წაკითხვით სანეტარო, უკუღმა წაიკი-

თხავ და — შემაშფოთებელი, მართლაც ხშირად არეული, ალეწილი ქვეყნის ბედისწერაა გამხელილი ამ სიტყვის „მისტიურ აზრსა“ და იდუმალ საფიქრალში.

„ქართველ ხალხს მბრძანებელი აღარ ჰყავს. თავადაზნაურობა მოკვდა, მისი ნაცვალი კი ჯერ არ გაჩენილა“ — დაიჩივლებს მიხეილ ჯავახიშვილი იმავე 1935 წლის ჩანაწერში.

მბრძანებელი და პატრონი ადრეც შემოლეოდა, ვიგინდარებს მოესურვათ გამხდარიყვნენ თავადნი ან აზნაურნი, სახელი დაერქმიათ მხოლოდ, საქვეყნო ვალზე არ ეფიქრათ, მერე კიდევ საერთოდ აღეგავათ სახსენებელი თავადაზნაურთა.

რაღაცით ჰგავდა, რაღაცით არ ჰგავდა ეს ორი დროება ერთმანეთს.

იქნებ სხვა სხვაგვარად ფიქრობს, მაგრამ გენიალური პოეტის ამ ლექსის ამგვარი წაკითხვა რომ შეიძლება, აშკარაა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართული სიტყვის ჯადოქარს წაღმა-უკუღმა ერთნაირად წასაკითხი სიტყვების მოძიება არ გაუჭირდებოდა, ბუნებრივია, მრავლად გაიხსენებდა, უცდია კიდეც. პოეტის მიერვე გადახაზულ-დაწუნებულ B ვარიანტში ამ ლექსს კიდევ ერთი სტროფი აქვს დამატებული:

„ალის დავა ავად სილა,
აი რა დრო ორდარია,
ოდნავ ისე ისე ვანდო,
აი რა მზის სიზმარია“.

აქ განსაკუთრებით ერთი სტრიქონია საინტერესო — აი რა დრო ორდარია (აი რა დრო უნდა იყოს და არა აი რად დრო, როგორც გალაკტიონის თხზულებათა თორმეტტომეულის მეორე ტომშია მითითებული). მართლაც, აშორდიასდროინდელი და მერმინდელი ცის კამარაზე ორი დარი ჭიატობდა — ნამდვილი და მაცდური, ფრთები ეკვეცებოდა ძველს, ჭეშმარიტ თავადაზნაურთა დროებას, დგებოდა აშორ-

დიას აზნაურთა, მერე კიდევ ეროვნებდაშრეტილ ბოლშევიკთა ჟამი. სხვა სტრიქონები (მესამე საერთოდ არაა პალინდრომი) აღარ გამოხატავს პოეტის იმ აზრს, რისთვისაც შეთხზა ეს ლექსი. ამიტომ გადახაზა, დატოვა მხოლოდ ისინი, რომლებიც კონკრეტული შეხედულების, პოზიციის გამჟღავნებისათვის ჭირდებოდა — პოზიცია კი, როგორც ვთქვი, ის გახლდათ, რომ აშორდიასა და მის დამქაშთა წყალობით თავადის ან აზნაურის ტიტული ფაეტონსა და სახლზე ადვილად შესაძენი გახდა — წაღმართი ივერია უკუღმა დატრიალდა, აქედან ივერია იქიდან აირევი-დ იქცა, აი დროშა — აშორდიად, მერე ეს დროც სანატრელად იქცა და ა.შ.

ადრე თავადობის, თუნდაც აზნაურობის მოპოვებას დამსახურება ჭირდებოდა, ან ბრძოლაში უნდა გამოეჩინა თავი, ან კიდევ მეფის, თუნდაც მთავრის ერთგული სამსახურით გამორჩეულიყო სხვათაგან, ახლა არა, გქონდა ფული, გსურდა თავადობა ან აზნაურობა, გადაიხდიდი, გახდებოდი. ეს პროცესიც, ძველის ახალთან შეფარდებით, პალინდრომივით შებრუნებულ-შეტრიალებულიყო ჩვენდა სავალალოდ.

გავა რამდენიმე წელი და კიდევ უფრო სავალალოდ შეტრიალდება, ნეტარი ივერია უკუღმა წაკითხვის ეპითეტს შეისისხლხორცებს ისევ ჩვენდა საუბედუროდ.

თითქოს აირევის შინაარსი ივერიის თანამდევია.

მართლაც...

აიდროშაც აშორდიაა და უცხო და ყალბი დროშის ხანიერი ფრიალიც მოჰყვებოდა ხოლმე ჟამიანობას.

გალაკტიონმა თავისი სათქმელის გასამხელად გაიხსენა სოლომონ აშორდია, მაგრამ ვინ იყო იგი? რა გამორჩეული ნიჭი და უნარი ჰქონდა, როგორ წარიმართა მისი და მისდართა საბრალდებო საქმე, რატომ აზიდა ფარზე ცისფერყანწელთა ერთმა ნაწილმა აშორდია?! თაღლითი იყო თუ რაინდი?!

ვინ იყო მაინც?!.

ᲗᲐᲕᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

„ᲐᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲐᲨᲝᲠᲓᲘᲐ“

ᲡᲐᲚᲓᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲡᲐᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲘ

1900 წელია. 21 იანვარი. თეთრადაა გადაპენტილი ქუთაისი. ხან თოვს, ხან ცრის, წამოუშენს, მოყინული თოვლს ააბორბოლებს, დაატრიალებს, ჩაწყნარდება, მერე ისევ აათოვლნარებს. ბულვარში უმეტესი ხე მარადმწვანეა, შუა ზამთრის ოდნავ ჩამუქებული მწვანე ფერი ქიატობს თოვლში.

ზამთარია, ძვალ-რბილში გამტანი წუნკალი სიცივე, ყინვა, თოში და ამიტომ აღარ ბულვარობს ბულვარი — გაგარინის მოფიქრებულ-დაარსებული, ქუთაისელთა საფიხვნო, გართობის, საქმის გარჩევის, აყალმაყალის, დასვენების ადგილი. არადა, აქ ხდება ყველაფერი, სხვაგან მომხდარიც აქ ითქმება, იჩხრიკება, იწონება. ეს ადგილი ქალაქის სახეა — ბულვარში გავარჩიოთ, ბულვარში შევხვდეთ, ბულვარში დავისვენოთ, ჩვეულებრივი თქმაა. სხვაგან არა, სხვაგან შეუძლებელია... ბულვარში... აქ სხვა ხიბლი აქვს ყველაფერს, სხვა შნო, სხვა ლაზათი.

ეს იმ დროს, როცა ბულვარი ბულვარობს. ამინდია. ახლა გარეთ ვინ გამოყოფს ცხვირს, ცრის, თოვს, აბორბოლებს.

ვინმე სალდაძე, მცველ-ყარაული ბულვარისა, ყველაფერს აკვირდება, ზომავს, წონის. სისხამი დილაა, სიცივემომეტებული, გამყინავი, ცოტა ხალისიანი, უფრო გამთოშავი. ბულვარი დუმს, ზამთრის სიწყნარით ჩაჩუმებულა, გაზაფხულისპირს აურიამულდება, გაცოცხლდება.

დადის, მიდის, მოდის სალდაძე. წინწასული უკან ბრუნდება, უკან დაბრუნებული წინ მიდის და პირიქით, დადის, ტკეპნის ბევრჯერ გატკეპნილს. ალიანდაგებს თოვლს, ერთხელ გავლილს აკვირდება, ნაფეხური ჩანს, არც ჩანს, მიდის, მოდის, სერავს, კვალავს. ბუჩქებს, ხეების გვერდზე გაზიდულ ტოტებს ათვალიერებს. ერთხელ ნანახს ნახულობს მრავალჯერ. იქნებ ტოტი მოდრიკა თოვლმა, უნდა ნახოს, დაბერტყოს, ძირს დაწვენილი წამოაყენოს. სისხამი დილაა, ჯერ კიდევ არ გამოჩენილა მისი შემცვლელი. ამიტომ ურჩევნია, გადაბარებამდე გაჩხრიკოს, მიათვალ-მოათვალიეროს ყოველივე. დადის, ეძებს მოტეხილ ტოტს, თოვლის სიმძიმით გადაწვენილ ბუჩქს.

და უცებ დაინახა მოტეხილი ტოტი, მოსარგალებული თოვლი, ქაღალდში შეფუთული რაღაც გრაგნილები. ეძებდა ერთს, ჰა და ჰა, ორს, იპოვა სამი. შეკრთა, შეშინდა. წინ და უკან მოსიარულემ უკან-უკან იწყო სვლა. ლენინის ნათქვამზე უარესად, ბიჯს რომ წადგამდა წინ, ოთხს საწინააღმდეგო მიმართულებით აკეთებდა. უნდოდა, წინ წასულიყო, გრაგნილს მიახლოებოდა, უკან მიდიოდა. აინტერესებდა, რა იყო ეს უჩვეულო გრაგნილი, რაც უფრო აინტერესებდა, მით უფრო იპყრობდა შიში და შორდებოდა იმ საინტერესოს.

მიდიოდა წინ, სინამდვილეში უკან და, რაც უფრო მიდიოდა, უფრო სწორად, დადიოდა, შორდებოდა მოტეხილ ტოტს, გადატკეპნილ თოვლს, ბუნებრივია, გრაგნილს, თუმცა ეს ნივთი ბუნებრივს არა ჰგავდა, ჩვეულებრივი არ იყო, ბუნებრივად შორდებოდა არაბუნებრივს.

ვერ გაიგო, ვერ წარმოიდგინა, ვინ მოიტანა, საიდან გაჩნდა... არც ის იცოდა, რა ხდებოდა ქალაქში, აშორდიასა და მის ჯგუფზე, ღამით რომ მოათრიეს და ბაღში დააგდეს სამეგრელოს მთავრის წყალობის სიგელებით, სხვა ყალბი დო-

კუმენტებით გაძეძგილი ეს შეფუთული გრაგნილი, წარმოდგენა არ გააჩნდა.

უნდოდა, ენახა, რა ეყარა შიგ, სურდა, მისულიყო — შორდებოდა... და ასე წრიალში მიაღწია თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულომდე. იქ გაამხილა გასამხელი. ისინიც აფორიაქდნენ, დაინტერესდნენ და აღმოჩნდა, რომ გრაგნილში იყო სიგელები, გუჯრები, ძველი, ნამდვილად ძველი, ერთი შეხედვით, ორითაც, მეტჯერ აღარ შეუხედავთ, პირდაპირ საოლქო სასამართლოსკენ გააქანეს.

სალდაძის პირველი საფიქრალ-სადარდელი: რატომ ეყარა ბაღში სიგელ-გუჯრები, ვინ შემოაპარა, ვინ მტრობდა, ვის სურდა მისი ადგილი.

მეორე — უფრო სადარდო და სავაგლახო — არავის დაუკითხავს, არავინ არაფერს შეკითხვია, ყველას ჩხრეკდნენ, ყველას ეძებდნენ, ყველაზე ეჭვიანობდნენ, ზოგს აშორდიას აზნაურად ასახელებდნენ, ზოგს კიდევ მის მხარდამჭერად, ყველა ყველას ეჭვით უყურებდა, ძველი თავადი აშორდიას თავადს და პირიქით, ერთნი ქირქილებდნენ, მეორენი დუმდნენ, მესამე ნაწილს ცხვირ-პირი ჩამოტიროდა, ეძებდნენ, ჩხრეკდნენ სალდაძის მსგავსი ან უფრო მეტი გულმოდგინებით. სალდაძე არ დაუკითხავთ, ეჭვი არ შეუტანიათ მის გულწრფელობაში, ბულვარში შეფუთული გრაგნილები ნახა, შეჩქვიფდა, მიახლოება ვერ გაბედა და წინ და უკან (უფრო უკან) სიარულში თავადაზნაურთა საკრებულოში ამოყო თავი.

თქმა ზედმეტია, ესეც არ იყო ნაკლებ საეჭვო და საორჭოფო.

და მაინც, ვინ იყო სალდაძე, უბრალო დარაჯი ბულვარისა თუ აშორდიას თაღლითობაში გარეული, როგორც სასამართლო საქმეებში წერია — აგენტი, ხელისდამცლელი, კლიენტის მშოვნელი — თავადობის ან აზნაურობის მაძიებლის მპოვნელი და გარკვეული გასამრჯელოს მიღების

შემდეგ აშორდიას ჯგუფთან საქმის გამკვარახჭინებელი. თუ ასეთი იყო, ხომ უნდა დაეკითხათ, როგორც უმრავლესს მოექცნენ, ჩვენება ჩამოერთმიათ?! ოდნავ საეჭვოებსაც სახლები გაუჩხრიკეს, უთვალთვალეს, სალდაძისთვის უბატონოდ ხმა არავის გაუცია, არ გახსენებიათ, სავარაუდოა, იგი მართლაც უდანაშაულო იყო, უბრალო მნახველი ბულვარში შემოყრილი შეფუთული გრაგნილებისა, წარმოდგენაც არ ჰქონდა რა იყო შიგ. ერთი სიტყვით, უნებლიე მოწმე გახდა აშორდიას საქმეების გახსნისა — ბულვარში შემოვლის დროს გრაგნილების ფუთა აღმოაჩინა, შეჩქვიფდა, შეშინდა და თქვა არსათქმელი, რას ამჟღავნებდა, არ იცოდა, რას ამბობდა, ვერ გაეგო, თქვა სხვა, აღმოჩნდა სხვა. ნათქვამი და მერე აღმოჩენილი ერთმანეთს არ ედრებოდა, თუმცა აშორდიასა და მისი ჯგუფის საქმეებზე გამოძიების დაწყების კიდევ ერთ სამხილად იქცა.

მანამ სხვა სამხილებიც მოძებნეს:

1893-1900 წლებში საოცრად იმატა თავადთა და აზნაურთა რიცხვმა. აზნაურდებოდა ყველა, მოჰქონდა საბუთი, რომელშიც მისი წინაპარი თავადად ან აზნაურად იყო მოხსენებული და ეს საკმარისი გახლდათ მისი წოდებრივი მდგომარეობის დასამტკიცებლად. უფრო კონკრეტულად, წარადგენდნენ სიგელს, ვთქვათ, სამეგრელოს მთავრისას, სადაც მავანი და მავანი, თუნდაც რაღაც დავაზე, თავადად ან აზნაურად იყო მოხსენებული და ეს ყოფნიდა შთამომავალს. თუ სადმე საბუთში შენი წინაპარი აზნაურად იყო ნახსენები, მორჩა, გააზნაურდებოდი, თავადად — გათავადდებოდი. თავადდებოდა, აზნაურდებოდა უფრო მეტი, ყველა, უფრო სწორად,თითქმის ყველა.

1866 წლის 17 აპრილს სამეგრელოს მცხოვრებთა წოდებრივი უფლებების გასარკვევად ზუგდიდში დროებითი კომისია შეიქმნა. მომდევნო წელს მხარე ქუთაისის გუბერ-

ნიას დაუქვემდებარეს და კომისიაც იქ გადავიდა. გავიდა კიდევ ერთი წელი და კომისიის საქმეების შესამოწმებლად ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა საგანგებო კომისია შექმნა. შეიქმნა კომისია, კომისიის კომისია, ქვემდგომის ზემდგომი და პირიქით, იმის გასარკვევად, ვინ თავადად ეცნოთ, ვინ აზნაურად. კიდევ ექვსი წელი მიილია და გამოიცა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს საბჭოს დადგენილება, რომლის მიხედვითაც, პიროვნების ამა თუ იმ წოდებისათვის მიკუთვნების საქმის გარკვევა დროებით კომისიას დაევალა.

ისევ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მამალმა იყივლა, დაღამდა, გათენდა, პირუკუ და ამ ამბების დაწყებიდან ზუსტად 24 წლის შემდეგ, 1890 წელს, კვლავ 17 აპრილს გამოიცა ბრძანება, რომლითაც წოდებათა საქმის განხილვა ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს პრერეგატივა გახდა. პიროვნებას ხუთი წლის განმავლობაში უნდა წარედგინა რაიმე დოკუმენტი, სიგელი, ბრძანება და ა.შ. რომელშიც მისი წინაპარი თავადად ან აზნაურად იქნებოდა მოხსენიებული. შემდეგ ეს ხუთი წელიც გააგრძელეს, მეორე ხუთეული დაუსართეს.

1866 წლის 17 აპრილს დაიწყო და კანცელარიის ენაზე რომ ვთქვათ, ზუსტად 24 წლის შემდეგ გამოიცა ინსტრუქცია, ვისაც რაიმე წოდებაზე პრეტენზია აქვს, წარმოადგინოს დოკუმენტი, მამა, პაპა, უფრო შორეული წინაპარიც თუ იყო ამ წოდების მატარებელი და მორჩა.

1866 წლის 17 აპრილიდან 1890 წლის 17 აპრილამდე ზუსტად 24 წელი გასრულდა. 24 წლის იყო სოლომონ აშორდია, მისი ნაყალბევი რომ გამჟღავნდა და დაიწყო გამოძიება. ეს მოხდა 1900 წლის იანვარში. მერეც ბევრი ოცდაოთხი გაკრთება გვაჩი აშორდიას ვაჟის — საცოლშვილო, სპეციალური განათლების უქონელი სოლომონის ცხოვრებაში. მათზე

ქვემოთ ვიტყვით. ამჯერად ერთი ოცდაოთხი დაემთხვა მეორე ოცდაოთხს, ერთი 17 აპრილი მეორე 17 აპრილს. ამ ამბების გაჭიანურება, გაწელვა რუსეთს ხელს რომ აძლევდა, ნათელია. თავიდან იქნებ ფიქრობდნენ, ძველ სიგელ-გუჯრებს ბევრი ვერ იპოვის და თავადაზნაურთა რაოდენობა შემცირდებაო, მერე საპირისპიროდ გაიაზრეს, შემცირებას გაზრდა ამჯობინეს — ბრწყინვალე წოდებას ვიგინდარები შეერეოდნენ, აითქვიფებოდა, აირევ-აიდღვიბებოდა ყველაფერი, რაც დამპყრობლის სურვილია, ინტერესია.

„ივერიაში“ 1901 წელს გამოქვეყნებული ერთი ფელეტონის ნაწყვეტი:

„გუბერნატორებიც კი ერიდებიან სამეგრელოს თავადაზნაურთა გარჩევის საქმეში აქტიურის მონაწილეობის მიღებას. წინამძღოლისაგან (საუბარია სიმონ წერეთელზე), რაც შეიძლებოდა, ყოველი ღონე მიღებული იყო. საკრებულოში საექსპერტო კომისია იყო დაწესებული დოკუმენტების გასარჩევად და გეროლდიას საკითხს საკითხზე უგზავნიდნენ, რა ვუყოთ ამა და ამ გლეხის გვარს, რომელმაც ამა და ამნაირი საბუთები წარმოადგინაო. მაგრამ ექსპერტიზამ სიყალბის აღმომჩენი იარაღი ვერ იშოვა და გეროლდია ინსტრუქციაზე უთითებდა: ვინც საბუთი მოიტანოს, ის იცანით აზნაურადო“.

ასე რომ, ზემოდანაც უნდა ყოფილიყო ნებადართული ეს ამბები, გუბერნატორებიც, ვიცე-გუბერნატორ მიკლაშევსკის გამოკლებით, ამის გამო არ აქტიურობდნენ, გეროლდიაც, — ინსტანცია, სადაც საბოლოოდ ხდებოდა წოდების კუთვნილების დამტკიცება, ამიტომ იძლეოდა ასეთ სახელმძღვანელო მითითებებს. ბუნებრივია, „ივერია“ იმ დროს ამ აზრს აშკარად ვერ გაამჟღავნებდა.

თუ რატომ ხდებოდა, რა ინტერესები ამოძრავებდა დამპყრობელს, უკვე ვთქვით.

წარდგენილი სიგელ-გუჯარი სამეგრელოს მთავრის ე.წ. გასავლის წიგნებში უნდა აღმოჩენილიყო, მერე კიდევ მათ სანდოობას სამეგრელოს მმართველობის საბჭოც ამოწმებდა საიდუმლოდ. მერე თავადაზნაურთა საკრებულო, ბოლოს სენატი, ერთი სიტყვით, მექანიზმი ისეთი იყო, მართლა თავადური წარმომავლობის კაცსაც გაუჭირდებოდა რაიმეს დასაბუთება.

მაშ, პანტა-პუნტით რატომ იმტკიცებდნენ თავადობასა და აზნაურობას, მათ შორის ისეთნიც, არასდროს რომ არ ყოფილან?! რატომ და აშორდიასა და მის დამქაშთა წყალობით ყველაფერი ადვილად მისაღწევი შეიქნა. ვითარება ამგვარი გახლდათ — მსურველი სურვილს იკლავდა, საქმის მკეთებელი ფულს იღებდა, ორიათასამდე პიროვნება გააზნაურდა ან გათავადდა აშორდიასა და მისი მეგობრების შეწეობით — წერია სასამართლო საქმეებში და იქვე ჩამოთვლილია ის პიროვნებებიც.

ყველა მსურველი რომ აზნაური ხდებოდა, ან კიდევ თავადი, ეს ბევრმა იცოდა. კიდევ ვიმეორებთ, რაღაც დოზით მთავრობისგანაც ნებადართული უნდა ყოფილიყო ეს. ასე უფრო იბატონებდა, ქვეყნის პატრონ თავადაზნაურობაში სხვები შეერეოდნენ, უიდეალო ხალხით გაივსებოდა ეს წოდება და უჯობდა, რა თქმა უნდა.

თუ ასე იყო, მაშ, რატომ გაამჟღავნეს, სააშკარაოზე გამოიტანეს აშორდიას საქმე?! ესეც ფანდი გახლდათ, ამ ამბების მერე ნამდვილი თავადაზნაურობა შეურაცხყოფილი, ჩირქმოცხებული, მის რიგებში ვიგინდარებშერეული რჩებოდა, რაც, აგრეთვე, მიზანი და ოცნება გახლდათ დამპყრობლისა.

სალდაძემ ეს არ იცოდა, წარმოდგენაც არ გააჩნდა ამ ამბებზე. წინ და უკან დადიოდა, შეძლებისდაგვარად ალი-

ანდაგებდა მოთოშილ-მოყინულ თოვლს და წააწყდა დოკუმენტებით სავსე ფუთას.

მანამდე რამდენიმე საეჭვო პირი გაჩხრიკეს და იქაც აღმოჩნდა საეჭვო დოკუმენტები. საეჭვო საბუთები საეჭვო პირებთან...

აქაც უცნაური რამ მოხდა.

ყველაზე ცოტა, სულ 14 სიგელ-გუჯარი აშორდიას სახლში იპოვნეს, ყველაზე მეტი — 250 — თევდორე გეგენავას ადგილსამყოფელში. აშორდიამ იცოდა, რასაც იქმოდა, სხვებმა — ნაკლებად. სიგელს ადგენდა, უზუსტესად ამგვანებდა ძველს, ფაქტობრივად, ქმნიდა ნამდვილის ძნელად გასარჩევ ასლს და ხელს იცლიდა, იშორებდა, აგენტებს აძლევდა, თავადობის მაძიებელთა პოვნა და თანხის სანაცვლოდ ამ დოკუმენტების გაცემა რომ ევალებოდათ. მოკლედ, არსებობდა ორგანიზებული ჯგუფი, ერთნი დოკუმენტებს ადგენდნენ, მეორენი — სპეციალურ ქაღალდს შოულობდნენ, მესამენი ასაღებდნენ და ა.შ. იყო შემთხვევები, სამივე ოპერაციას ერთი კაცი ახორციელებდა, მაგრამ ნაკლებპროფესიულად, მის დოკუმენტებში სიყალბის კვალი აშკარად ჩანდა. სოლომონ აშორდიას ხელიდან გამოსული სულ სხვა იყო, თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს თანამშრომელს გამოცდილება არ აკლდა, ნიჭიც მომეტებულად ჰქონდა, ნაცნობები სხვადასხვა უწყებებში ხომ ჰყავდა და ჰყავდა.

გაირკვა, ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში 600-მდე საქმე ყალბი დოკუმენტებით იყო შედგენილი. ვარაუდობდნენ, ასეთი ორი ათასამდეც უნდა ყოფილიყო. ყოველივე კი სოლომონ აშორდიასა და მისი ჯგუფის ნახელავი გახლდათ. ერთი სიტყვით, ამ საქმეში ყველაზე აქტიურად მონაწილეობდნენ: თვით სოლომონ აშორ-

დია, თავადი ბესარიონ დადიანი, სიმონ ბარკალაია, გრიგოლ ბოკუჩავა, სიმონ შელია, მიხეილ აშორდია, ფილიპე ქავთარაძე, ანდრონიკე სალაყაია და სხვები.

ბარემ აქვე ვიტყვით, ყველაზე ადვილად იმ დოკუმენტების შექმნა უადვილდებოდათ, რომელთა გვარში თუნდაც ერთი ერია თავადური ან აზნაურული წარმომავლობისა, აიღებდნენ ნამდვილს, ჩაწერდნენ, რაც ეწადათ. თუმცა ესეც არ გახლდათ აუცილებლად აუცილებელი. ყველა მსურველს, გლეხსა თუ ბოგანოს, ადვილად უგვარებდნენ საქმეს.

ბაღში გრაგნილები იპოვეს, საეჭვო პირები გაჩხრიკეს და ასეთივე საბუთები იქაც ბლომად დახვდათ, ამას დაემატა ისიც, რომ ფილიპე (იგივე გოჯასპირ) ლეჟავას თხოვნით ვინმე გოგნაძისათვის (ზოგან ქოგნაძეა, ზოგან კიდევ ღონღაძე) ყალბი სიგელის დამზადება სოლომონ აშორდიას არ გაჭირვებია, უცებ მოუგვარა, გოგნაძე აზნაურობის კანდიდატად იქცა. ლეჟავამ კიდევ, დაფქვა ყველაფერი. იგი აშორდიას მიუგზავნეს, ზუსტად რომ გაეგოთ, რას შვრებოდა და როგორ. უთვალთვალებდა გოჯასპირი, იგივე ფილიპე სოლომონს, აკვირდებოდა, კარგა ხანს ვერაფერი გაიგო ქალაქის ცენტრალური ნაწილის პოლიციელმა. მერე თხოვა, დავალება მისცა გოგნაძეს აზნაურობაზე და აშორდიამ ბრწყინვალედ შეასრულა ნათხოვნ-დავალებული. არადა, გოგნაძის გვარი ჟანდარმერიის პოლკოვნიკ სტოპჩანსკის ბრძანებით კავკასიის კალენდრიდან ამოიღეს, სადაც მისი წოდებაც იყო დასახელებული, სხვა რამეც, იქნებ ამ დროს ეს ვიღაც გოგნაძე სულაც არ იყო ცოცხალი, მაგრამ პოლიციას „კავკაზსკი კალენდრის“ მეშვეობით ჰქონდა ყველანაირი ინფორმაცია მასზე. ასე გამჟღავნდა აშორდია, ლეჟავამ თქვა სათქმელი და აიკინძა, აგორდა, გამჟღავნდა, გამოაშკარავდა ბევრი რამ. სათავე დაედო აშორდიას საქმეს. ზოგიერთები მას მეგრელთა საქმესაც ეძახიან, რადგან ამ ამბავში

ძირითადად სამეგრელოს მოსახლეობა იყო ჩართული თუ ჩაირეული.

დაიწყო ძიება...

დადიოდა ხმები, ნამდვილი თუ ჭორი, ძნელი სათქმელია — გაზეთმა „ჩერნომორსკი ვესტნიკმაც" მიაქცია ამას ყურადღება — აშორდიელები თითქოს თავადაზნაურთა საკრებულოს შენობის დაწვას აპირებენ, არქივიც დაიბუგება, დანაშაულის კვალიც სამუდამოდ გაქრებაო. ამიტომ განსაკუთრებული ზომები მიიღეს — შენობას კარგა ხანს პოლიციელთა რაზმი იცავდა, ცეცხლის ჩამქრობი ხალხიც საგანგებოდ იყვნენ გაფრთხილებულნი. იყვნენ, იცავდნენ, შემსვლელსა და გამომსვლელს საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ. საეჭვო ვერაფერი იპოვნეს, მობეზრდათ, თავი მიანებეს.

ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში 1893 წელს წარდგენილ დოკუმენტთაგან ორად-ორი მიიჩნიეს ყალბად. ერთი ნოსირელი ლევან კიზირიასი, ლევან დადიანის 1832 წლის 11 მაისის ვითომ სიგელი რომ წარადგინა მისი თავადური წარმომავლობის დასამტკიცებლად, და მეორე — ჩხენიშელი გიორგი და ევსტათი ბრელიძეებისა, ძმები არ არიან, მამის სახელი სხვადასხვა აქვთ, ბიძაშვილები იქნებოდნენ უფრო. მათაც ლევან დადიანის 1828 წლის 11 იანვრის სიგელით „გაინაღდეს" თავადობა. აქაც ორი თერთმეტი ედრებ-ემთხვევა ერთმანეთს, მერეც ხშირად გვხვდება ეს რიცხვი...

1894 წლიდან კი დაიწყო თოვა ყალბმა დოკუმენტებმა და 1900 წლამდე არ გადაუკარებია, ყოველწლიურად იმატებდა და იმატებდა. თუ 1893 წელს ორი გვარი წაეპოტინა მისთვის სანუკვარსა და საოცნებოს, მომდევნო წელს ცხრამ გამოთქვა სურვილი და წინ ვინ ან რა აღუდგებოდა — ფულარიას, მანჯგალაძის, ადონაიას, ადამიას, ჩაჩიბაიას, კარტოზიას, შელიას, გაბუნიასა და ანთელავას გვარის 16 წარ-

მომადგენელი გახდა თავადი ან აზნაური. ზემოთ ვთქვით, 1895 წელს ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ამ საქმეების განხილვა უნდა დაესრულებინა, საბოლოოდ გაერკვია, ვინ როგორი წარმომავლობისა იყო. ამიტომ ამ წელს, წინასთან შეფარდებით, 3-ჯერ მეტი მიიჩნიეს აშორდიასა და მისთა ძმათა საბუთების წყალობით წარჩინებული წარმომავლობისად.

გერსამიას, ნორაკიძის, კოზმავას, მიქაძის, გეგეჭკორის, ჯინორიძის, ჟვანიას, ხორავას, როდონაიას, ქარცხიას, ესაკიას, ბოკუჩავას, მდივნის, ქუთელიას, თვალთვაძის, გუგუშვილის, გვაჯავას, წირქვავას, ქავთარაძის, ადამიას, გვათუას, ჭანტურიას, ცაგურიას, ელიავას, სალაყაიას, სანიკიძის, შამუგიას გვარის 60-ზე მეტი წარმომადგენელი გათავადდა ან გააზნაურდა.

1896 წელს კი შედარებით შემცირდა მსურველთა რიცხვი. მიზეზი ნათელია, სიგელ-გუჯრების წარდგენის ვადამ კიდევ 5 წლით გადაინია. ამ წელს მხოლოდ ორი გვარის — ნარსიასა და გეგელიების — ოთხმა წარმომადგენელმა აიხდინა ოცნება.

გვარებს მერეც გავიხსენებთ, უინტერესო რომ არ გახდეს თხრობა, აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ 1897 წელს 12 გვარის 28 წარმომადგენელი დაუკავშირდა აშორდიას ჯგუფს და გაინაღდა გასანაღდებელი, 1898 წელს — 31, 1899 წელს — 90, 1900 წელს კი — 51. ამათგან ზოგთა საბუთები საეჭვოდ მიიჩნია სენატმა, ზოგიერთებისა კი — სარწმუნოდ და ეჭვშეუვალად. ერთნი გაკეთილშობილდნენ, მეორენი — არა.

სალდაძემ ეს არ იცოდა, არც აინტერესებდა...

აშორდია და მისი ჯგუფის წევრები ყველა იმ დოკუმენტს ქმნიდნენ, რაც თავადად ან აზნაურად გახდომისათვის იყო საჭირო. საბუთს ჭირდებოდა საბუთი, პირველი უნდა განმტკიცებულიყო, დადასტურებულიყო მეორით, მესამე პირ-

ველითაც, მეორითაც და ასე დაუსრულებლად. ამიტომ ისინი თბილისის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორიდან დაბადების ცნობებსაც აკეთებდნენ, ამონაწერებსაც სამეგრელოს მთავრის გასავლის წიგნებიდან, საგუბერნიო არქივიდან, მოკლედ, ყველა იმ დოკუმენტს, რაც ჭირდებოდა ამა თუ იმ პიროვნებას წოდებრივად გასაბრწყინებლად, თანაც ყველაფერი შესაშური სიზუსტით ჰგავდა ნამდვილს.

ერთი რამეც უნდა გავითვალიწინოთ: მოსახლეობას უმტკიცებდნენ, ვითომ საუკუნეთა მანძილზე მათი წოდებრივი უფლებების დამამტკიცებელი დოკუმენტები დაკარგული იყო, არქივებში შემთხვევით აღმოჩნდა და ურჩევდნენ, ხელიდან არ გაეშვათ სანუკვარი შანსი.

ახლა ვერ გახდები თავადი ან აზნაური? მაშ, ვერასოდეს!!!

მათ საქმიანობას ხელს უწყობდა 1890 წლის 17 აპრილის კანონის ერთი მუხლიც, სადაც წოდებრივი უფლებების აღდგენის თაობაზე იყო ლაპარაკი. ზოგიერთ მართლა თავადსა და აზნაურსაც არ გააჩნდა სათანადო საბუთი, აშორდიელები ამნაირებსაც უკვარახჭინებდნენ საქმეს, ოღონდ იგივე ყალბი საბუთებით, და იმათაც, ვისი გვარიც არასდროს ყოფილა აღმატებული.

ერთ-ერთი გავლენიანი პირი სოლომონ აშორდიას ჯგუფისა იყო ბესარიონ დადიანი, რომელმაც უამრავი ყალბი დოკუმენტი შეადგინა. მისი გარდაცვლილი მამა მდივანბეგი გახლდათ სამეგრელოს მთავრისა, რომელთანაც, ბუნებრივია, სხვადასხვა საბუთები ინახებოდა, შვილმა კარგად გამოიყენა ეს ვითარება და ხალხში ხმა დაყარა, ჩემთან ძველი სიგელებით სავსე ზანდუკებია დარჩენილი, ზანდუკები, რომელშიც სხვადასხვა გვარის წოდებრივი მდგომარეობა შავით თეთრზე წერიაო... ჭორს გასაქანი მიეცა, ტყუილი სინამდვილედ გასაღდა. დაიწყო მითქმა-მოთქმა, ჩურჩული...

აქაოდა, ზანდუკებში უამრავი სიგელ-გუჯარია, რომელშიც ბევრი გვარის წარმომადგენელი თავადად ან აზნაურად იხსენიება, გადაიხდი ფულს, მოძებნიან იმ ზანდუკში შენი წინაპრის გვარ-სახელს, გახდები ის, რაც ადრე იყავ, რის შესახებაც წარმოდგენა არ გქონდა, — სამეგრელოს მთავარი გიმალავდა, ჩქმალავდა შენს წარმომავლობას, აზნაურს გლეხად გასაღებდა, ასე უფრო გიმორჩილებდა...

აგორდა ჭორი... მცირეს სჯეროდა, სნამდა, უმრავლესმა კარგად იცოდა, მაგრამ იმდენად დიდი და ნეტარი იყო სურვილი, უკან არ იხევდა. წინა მდივანბეგ ქავთარაძის სიძე ივანე შავდიაც ხმებს ავრცელებდა — ჩემთანაცაა საბუთები, თანაც არა ერთი და ორი, მიმალული, მიჩქმალული, მტვერწაყრილი. მაიტათ ფული, თქვენ — თავადობა, ჩვენ — დაუზარელი შრომა, გასამრჯელოს გარეშე კი ცოდვანი ვართ, დოკუმენტების გროვაა სანახავი, მოსაძებნი, გასაჩხრეკიო.

თქვენ თავადობა, კუთვნილი და მივიწყებული, ჩვენ — ფული, — აი დევიზი აშორდიასა და მისთანათა.

არც სოლომონ აშორდია იყო გულხელდაკრეფილი. ადრე სამეგრელოს დროებითი მმართველობის კანცელარიაში მუშაობდა, მერე თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოში. თითქმის ყველა დოკუმენტზე მიუწვდებოდა ხელი. ნაცნობები ჰყავდა გუბერნიის მმართველობაში, პისარებთან, სტოლონაჩალნიკებთან ძმაკაცობდა. მისთვის დამალული არაფერი იყო, უნახავი, ხელშეუვლებელიც არ არსებობდა. სურდა, მოძებნიდა, მოძებნილში სასურველს ჩაწერდა, ასლსა და ორიგინალს უზუსტესად დააახლოვებდა. თანაც დოკუმენტები თვითონ კი არ მიჰქონდა საკრებულოში, სარწმუნოდ და საიმედოდ რომ მიეჩნიათ, გუბერნიის მმართველობას აგზავნინებდა. ამით შიშიც ქარწყლდებოდა, ფასიც იწევდა.

ნიჭიერი იყო გვაჩი აშორდიას ყმაწვილი.

მისი მოსწავლეობისდროინდელი ამბავი გავიხსენოთ.

ცბიერი, ეშმაკი, მაგრამ საოცარი ნიჭის პატრონი იყოო — წერენ. სხვები რომ ერთ თვეს უნდებოდნენ რაიმეს სწავლას, შეთვისებას, ეს ერთ დღეში ასწრებდა. ისინი მდორედ, ზოზინით, ჩვეულებრივი სისწრაფით ეუფლებოდნენ სიახლეს, ეს — უცებ, სწრაფად, ღრუბელივით ისრუტავდა. იტყოდი, იცოდა, ხშირად უთქმელადაც, გუმანით, ალღოთი ხვდებოდა, ამახსოვრდებოდა, იმათ ნაკლებად, სხვათაშორის თუ ჩაეჭედებოდათ ხსოვნაში, ამას, სოლომონს — იმწამს და სამუდამჟამოდ.

ეს გარბოდა, ისინი მიმოდიოდნენ. უფრო სწორად, ეს ერთი დღის გასავლელს ერთ საათში ფარავდა, სხვები ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნიდნენ, სალდაძესავით წინ და უკან დადიოდნენ, წინ წასული უკან ბრუნდებოდნენ და პირიქით. მისი თანატოლები გუშინდელ ნასწავლს იმეორებდნენ, იზუთხავდნენ ხელმეორედ, ამას არა, ნასწავლი კი არა, ყურმოკვრით გაგონილიც ახსოვდა, გონებაში ჩაკირვოდა.

ხატვის, ხაზვის, რაც გინდათ, ის დავარქვათ, განსაცვიფრებელი უნარი ჰქონდა. ერთს დაინახავდა და მორჩა, ახსოვდა მისი ყოველი წვრილმანი, უმცირესი ნიუანსი, ჩაუჯდებოდა და დახატავდა ზუსტად ისეთს, შესაშურად მიმგვანებულს ნანახისა.

დაინახავდა, გონებაში ჩაიხატავდა, მერე გონებიდან გადმოიხატავდა თითქმის იგივეს. ნამდვილს და გადმოხატულს ძნელად გაარჩევდი...

სხვებიც იხატავდნენ, ბაძავდნენ, ექიშპებ-ეჯიბრებოდნენ, სურდათ, მიმგვანებოდნენ, მაგრამ მათი ყალბი იყო, აშკარად ნახელავი, ამისი ნამდვილისაგან ძნელად გასარჩევი.

გაკვეთილზე შეისწრო მასწავლებელმა, ნიკოლოზის მანეთიანებს ხატავდა, ჩაყურყუმალავებულიყო ამ საქმეში, ირგვლივ ვერაფერს ხედავდა, ვერ ამჩნევდა, უსწრაფესად

ხატავდა, ხელის რამდენიმე მოსმა და მანეთიანი მზად იყო.

უცქირა, უყურა გაოგნებულმა მოძღვარმა — უცებ რამდენიმე მანეთიანი დახატა, კიდევ მიუმატა, არც ორიგინალი ედო წინ, არც რაიმე ნიმუში, ხატავდა და ხატავდა. ისიც, მასწავლებელმა რომ დედნად მიიჩნია, სულ პირველად დაეხატა მერხზე საგულდაგულოდ მოკალათებულ გვაჩის ბიქს.

ხატავდა, უფრო ჭრიდა, სერიულად უშვებდა მანეთიანებს. მასწავლებელი ხედავდა, ის — ვერა, საკუთარ საქმეში ჩაფლულიყო, გაეტაცა ხატვას. ბოლოს მოძღვარმა ჯიბიდან მანეთიანი ამოიღო, დახედა, მერე დახატულისკენ გააპარა მზერა, ის ჯობდა, სოლომონის შექმნილი უკეთესი იყო, ახალი, ცინცხალი, ნამდვილი, ამისი — დაჩონჩილი, შებღალული.

განცვიფრდა მოძღვარი...

ხატავდა და ხატავდა სწრაფად, ხელგაწაფულად...

გაშტერდა თავმდგმური, ჯერ შეგირდის ხელის სისწრაფემ შეაკრთო და შეაშფოთა, მერე იმან, რომ დახატული ნამდვილი იყო, ბუნებრივი, ქაღალდიც ზუსტად იმნაირი მოეძებნა, ფულის ქაღალდი დაეთრია საიდანღაც და ხატავდა, ხატავდა...

— შენ ყალბი ფულების მჭრელი გამოხვალ... — მკლავში მოჰკიდა საქმით გართულ შეგირდს ხელი.

წამოდგა, დაირცხვინა „მხატვარმა“.

— ყალბი ფულების მჭრელი გამოხვალ... — გაუმეორა.

სოლომონი დუმდა, სახეზე ალმურგადაკრული იატაკს ჩაშტერებოდა.

— საიდან ისწავლე ასე ოსტატურად მანეთიანების ხატვა?

ისევ დუმილი.

ეკითხებოდა, ის პასუხს არ სცემდა, იდგა დარცხვენილი, დანაშაულში წასწრებული. უკანა მერხზე მოკალათდა

საგანგებოდ, რომ არავის დაენახა, არ შეემჩნია, უკვირდა, როდის დაადგა მასწავლებელი თავზე.

მოძღვარს სხვა რამ უკვირდა, შეგირდს — სხვა.

ზოგი ამ ამბავს განსხვავებულად მოგვითხრობს. აქაოდა, მომავალმა გამყალბებელმა ნიკოლოზისდროინდელი სამმანეთიანი დახატაო, ვითომ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, ფულის ნიშანზე ერთიანი იქნებოდა გამოსახული თუ სამიანი. დახატა სამმანეთიანი, წავიდა ბაზარში, იყიდა ცხვარი და ცხვარივით უწყინარი სახით დაბრუნდა შინ. საერთოდ, ავანტიურისტებსა და ყალბისმქმნელებს მამა აბრამის ბატკნის გამომეტყველება აქვთ, შესაბრალი, საწყალი, ეს რისი გამკეთებელიაო — გაიფიქრებ. არადა, ამ სისაწყლის მიღმა ათასი მაქინაციის, ვიღაცის გაცუცურაკებისა და მოტყუების წადილი იმალება.

სოლომონ აშორდიასაც ამნაირი მისაწყლებული სახე ჰქონდა იმ დროს.

სახლში მშობლები დაეკითხნენ:

— ცხვრის საყიდელი ფული სად გქონდა?!

— ვიპოვე... — იფიცა და იმტკიცა ყველაფერი მომავალმა თაღლითმა.

— სად?! — არ მოეშვა გვაჩი.

— ღობის ძირში, სერაპიონ უგლავას სახლის ბოლოში, სკოლაში მივდიოდი და დავინახე ტალახში დაგდებული სამმანეთიანი — დააკონკრეტა სოლომონმა.

— იქნებ სერაპიონისაა?! — კითხვას კითხვა მიაყოლა მამამ.

— არა, შევეკითხე, საუკუნეა სამმანეთიანი არ მჭერია ხელშიო. — ცოტა მოცოცხლდა ყმაწვილი.

— აბა ვის დაეკარგებოდა, პრისტავს აქეთ არ გაუვლია და მამასახლისს... — მეუღლისკენ გააპარა შვილს ჩაციებული მზერა გვაჩიმ და კიდევ უფრო მოეჭმუხნა ისედაც შეჭმუხნული შუბლი.

მერე სერაპიონიც მოიხმეს. ტყუილი გამოდგა ყმაწვილის ნათქვამი, ბარე სამი დღე იქნება, თვალიც არ მომიკრავს მაგ ბაღანისთვისო, — თქვა სკოლის ახლოს მოსახლე სოლომონის „მოწმემ".

იმდენი იყვირეს და ივიშვიშეს, ეს ამბავი ცხვრის გამყიდველისა და მერე პრისტავისთვისაც გახდა ცნობილი. სოლომონმა თქვა, რაც გააკეთა, თუმცა ისიც იცოდა, მცირეწლოვანი იყო და ვერც დაიჭერდნენ, ვერც პასუხს მოსთხოვდნენ. ამიტომ მამას ჩამოართვეს ხელწერილი, პირობას დებდა გვაჩი აშორდია — ჩემი შვილი ასეთს არასოდეს ჩაიდენსო.

ეს იყო პირველი შემთხვევა სოლომონის ნიჭის გაელვებისა, პირველი მარცხიც, შეცბუნებაც. წინ დიდი გზა ედო, გზა — შფოთიან-ხიფათიანი. თანამედროვენი იმასაც ამბობენ, — მერე სულაც ფულის საბეჭდი დაზგა ედგა ზუგდიდში და ბეჭდავდა და ბეჭდავდა, სამმანეთიანებს როგორ იკადრებდა — ნიკოლოზის თუმნიანებს. თუმცა ეს მერმინდელი ამბავია, სიცოცხლის ბოლო წელს როსტოვიდან ვიღაც ბერძენი ჩამოიყვანა, დაზგაც მაშინ გამოაყოლა ხელს, ზუგდიდში, საკუთარ სახლში დიდი ორმო ამოთხარა, შიგ ნოხები მოაფინა, დაზგა გამართა და ატრიალებდა და ატრიალებდა ის ბერძენი როტაციონის მანქანას, იქით მხარეს ცვიოდა ფული — დაუთვლელი და აღურიცხავი.

იმასაც ყვებიან, თითქოს ქუთაისში ორადორი თვის ჩამოსულ გვაჩის სანაქებო ყმაწვილს სუფრაზე დაეხატოს ასმანეთიანი, ზუსტად იმეორებენ რომელიღაც (ველარ ვიხსენებ) ფრანგი მხატვრის ამბავს. იქნებ სიმართლე იყოს, იქნებ — არა. სოლომონ აშორდიასგან არც ესაა გასაკვირი. მე შენ გეტყვი, ვერ მოახერხებდა.

შესულან რესტორანში, უქეიფიათ, დილას დაუწყიათ ლხინი, ღამდება, არ ამთავრებენ. ახალ-ახალს ამატებენ

სუფრას, შეთვრებიან, მოერევათ ბახუსი, მიმტანები ფიქრობენ, სადაცაა აიშლებიან, გაათავებენ ღრეობაში გადაზრდილ ქეიფსო, ესენი ისევ აგრძელებენ. მთვრალს ნახულობენ, მეორედ მისვლისას შემთვრალები ხვდებიან. თითქოს ხელახლა იწყებენ, არ აბოლოვებენ დაწყებულს. დაიღალნენ მიტანით, ჩამოსხმით, ალაგება-დალაგებით, აშლა-გაშლით, ესენი ისევ ახალ მისულებს ჰგვანან, სვამენ, თვრებიან, სიმღერას ზუგდიდის ეკლესიაში ერთხანს მგალობლად ნამუშევარი (ნამგალობლარი) სოლომონი იწყებს, სხვები ბანს აძლევენ, დაამთავრებენ სიმღერას და უცებ ფხიზლდებიან, ისევ ეტანებიან ღვთაებრივ სითხეს. შუაღამე გადავიდა, თითქოს დროის შეგრძნებაც დაკარგეს, სიმთვრალეს თავი დავანებოთ, ძილიც არ ეკარებათ, ამბობენ ერთხელ ნათქვამ სადღეგრძელოს მეორედ, მესამედ, მახსოვრობა არევიათ, სმის ჟინი ვერ მოუკლავთ. იწყებენ, არ აფინალებენ. მიმტანებს ჩაეყვინთათ, ზოგი შინ წავიდა, მცირენი დარჩნენ და ძილულეს თვალი, დაუძახებენ, თვალებს ქყეტენ, წამოხტებიან, მისატანს მიუტანენ, დასასხამს დაუსხამენ...

სვამენ უზომოდ და გაუგებრად. ყველაზე აქტიური თავადაზნაურთა საკრებულოს ახალი თანამშრომელი, ქუთაისის პროგიმნაზიის კურსდაუმთავრებელი სოლომონ აშორდიაა, ორი თვეა, რაც ქუთაისში სამსახურში ჩადგა, მაგრამ უკვე ბევრი იცნობს, ნაცნობი უცნობს აცნობს, ყოველდღე ცნობილი ხდება.

სვამენ, არ თვრებიან. სადაცაა ირიჟრაჟებს, ესენი ფხიზელი კაცის ჟინითა და აღტკინებით ეტანებიან ღვინოს. მომსახურეთა ერთმა ნაწილმა ხვრინვაც ამოუშვა, მეორენი — თვლემენ, ესენი კიდევ, კი არ სვამენ, ხვრეპენ.

და აი, დადგა წასვლის ჟამიც, აიშალნენ, გამოვიდნენ, ზოგი — კისერმოტეხილი, ზოგი — არა, სოლომონმა მიმტანს დაუძახა — მაგიდა ზე დავდე ასმანეთიანი, მაგდენი კი არ გეკუთვნით, მაგრამ ფეშქაში იყოსო.

მიმტანმა უკან მიიხედა, სხვებს ხომ არ გაუგონია, მოწილენი ხომ არ გამომიჩნდებიანო — გაიფიქრა. მაგრამ როცა ვერავინ დაინახა, დინჯად, მშვიდად, ნესისა და რიგის მიხედვით გააცილა სტუმრები, მადლობა გადაუხადა, კიდევ გვეწვიეთო — უთხრა და თავქუდმოგლეჯილი შევარდა იმ ოთახში, სადაც აშორდია და მისი ძმაკაცები ქეიფობდნენ. მაგიდაზე დადებულ ასმანეთიანს ეცა, დაავლო ხელი, მაგრამ ვერ აიღო, მომუჭა, სუფრა მოჰყვა ხელში, ერთხელ გაიმეორა, მეორედ და მიხვდა, დახატული იყო ასმანეთიანი.

შორიდან ასმანეთიანი იყო ნაღდი და შეურყვნელი, ახლოდანაც ვერაფერს იგუმანებდი, ნამდვილი იყო, ნამდვილზე ნამდვილიც. ამიტომ დასტაცა ხელი, მაგრამ ვერ აიღო, მერე მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

ზუსტად იგივე გააკეთა ვიღაც ფრანგმა მხატვარმა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, სოლომონს ეს აფიორა მიაწერეს, იმდენად კარგად შეეძლო ნამდვილისთვის ყალბის მიმგვანება, რომ სულაც ფრანგზე გაგონილი აშორდიაზე გადაიტანეს. ტული აშორდია, სოლომონის ძმის, მიხეილის შვილი, ბიძის ბიოგრაფიის თავმომყრელი, ამბების შემგროვებელი, სასამართლო საქმეთა მომძებნი და ახლობლის ცხოვრებით დაინტერესებული კაცი — ასეთ ჩანაწერს აკეთებს — მამაჩემი (ე.ი. მიხეილი, სოლომონთან ერთად გარეული მის ყველა ავანტურაში) იტყოდა: ეს ამბავი სხვისგან მომისმენია, სოლომონისა და მამაჩემისგან არაო.

ჰოდა, იქნებ ეს იყოს მართალი — სხვებმა მოიგონეს, გაგონილი ამბავი იმ ადამიანს დაუკავშირეს, ვისაც მართლა შეეძლო, იგივე გაეკეთებინა.

შეეძლო, ნაღდად შეეძლო.

მას შემდეგ სოლომონ აშორდიას ფული არასდროს დაუხატავს, ყოველ შემთხვევაში, სასამართლო საქმეში ამაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ ისეთი რამის გაყალბებას მიჰ-

ყო ხელი, დახატული და ნამდვილისაგან ძნელად გასარჩევი მანეთიანები კი არა, ოქროს თუმნიანები ცვიოდა ხოშკაკალასავით. ფულს აღარ ხატავდა, სამემკვიდრეო, საბანკო და სხვა საბუთებს აყალბებდა და ამით შოულობდა იმდენს, რამდენიც სურდა. ადრე პირდაპირ მანეთიანს, სამმანეთიანს ან ასმანეთიანს ხატავდა, უფრო სწორად, აყალბებდა, ახლა საბუთს ამგვანებდა ნამდვილს, გლეხს აზნაურად ან თავადად აქცევდა, ერთი სიტყვით, რაღაც დოკუმენტს „გააიმასქნებდა" (მიხეილ ჯავახიშვილის სიტყვაა) და ამით იჯიბავდა ნამდვილ ფულებს, ნიკოლოზისდროინდელს.

ფულის ხატვა სარისკო იყო, დაიჭერდნენ და მორჩა, ვინმეს რაიმე ნაკლი რომ აღმოეჩინა მის შექმნილში, დაიღუპებოდა, საბუთების გაყალბება, ბუნებრივია, ნაკლებ სარისკო გახლდათ, საბუთი საბუთს ჰგავდა, თანაც ვინ იყო მათი ძირისძირამდე ჩამდევი და გულისმყოფელი.

როგორც იტყვიან, ფულადი ნიშნების ხატვას, სერიულად გამოშვებას თავი მიანება, ანდა რატომ უნდა ეხატა და ევაგლახა, ბანკი აგერ არ იყო? თუმცა მანამდე სამემკვიდრეო საბუთების „წარმოებას" მიჰყო ხელი. უჭკუოდ აქაც არ იქცეოდა. იცოდა, რასაც აკეთებდა, ამიტომ სწრაფად იცლიდა ხელს, კლიენტს მოძებნიდა, უფრო სწორად, მოუძებნიდნენ და მერე შეუდგებოდა საქმეს. ერთი სიტყვით, ბავშვიც და დიდიც ერთნაირი იყო — გამყალბებელი, ადრე ფულის, მერე საბუთების. იყიდდა ნამდვილს, გააყალბებდა, ჩანერდა და ყიდდა, როგორც ნამდვილს.

სენაკის მაზრის მწერალ მიხეილ ხოშტარიასგანაც შეიძინეს საბუთები, მას უფლება ჰქონდა, ესარგებლა მაზრის არქივით, და კიდეც გამოჰქონდა და ყიდდა. ყიდულობდნენ აშორდიელები, რაღაც ხარვეზია შიგო — ამბობდნენ, ასწორებდნენ და ყიდდნენ ისევ. ყიდულობდნენ, ყიდდნენ. იხდიდნენ ცოტას, ღებულობდნენ საოცრად მეტს.

აღებ-მიცემობა ჩაღდებოდა თავადობისა და აზნაურობის საბუთებზე.

ძიების დაწყების დროს მიხეილ ხოშტარია გარდაცვლილი იყო. მის სახლში ორი ათასამდე ნამდვილი საბუთი იპოვეს, ადრე გაყიდულები კი ყალბი აღმოჩნდა, აშორდიასა და მის მომხრეებს ჩაესწორებინათ, სურვილის მიხედვით გაეახლებინათ.

ყიდულობდნენ ნამდვილს, არქმევდნენ ყალბს, ასწორებდნენ, სინამდვილეში აყალბებდნენ და ყიდღნენ, როგორც ნამდვილს.

მყიდველი იყო, მსურველი იმატებდა და იმატებდა. იშვიათი იყო შემთხვევა, ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ყალბისმქნელთა დოკუმენტები არ დაემტკიცებინოს. ხშირად სენატი აჭირვებდა საქმეს, უკან აბრუნებდა დოკუმენტებს, მაგრამ ესენი „ასწორებდნენ“ და ხელახლა აგზავნიდნენ. ერთი სიტყვით, ნდობა მყარი და შეუვალი იყო ხალხშიც და საკრებულოშიც. ფასიც ზეაღმავალი, სასურველ ნიშნულს შემწვდარი.

აშორდიას არცერთ თავადსა და აზნაურს არ უთქვამს — ვიცოდი, ყალბი საბუთებით რომ ვხდებოდი ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელიო. პირიქით, უმეტესნი ამტკიცებდნენ, სამემკვიდრეო საბუთები წინაპართა სახლში აღმოვაჩინეთ, რატომ უნდა დაგვემალა, წარვადგინეთ საკრებულოში, მივიღეთ ის, რაც ათა-ბაბადან გვეკუთვნოდა და უკანონოდ გვქონდა ჩამორთმეულიო. ამას ერთი ნაწილი ამბობდა. მეორენი გარდაცვლილებს იმოწმებდნენ — ნიკოტარიელის ძე დადიანმა, დავით დადიანმა, მიხეილ ხოშტარიამ და ივანე შავდიამ გადმოგვცა სამემკვიდრეო საბუთებიო. ოთხივენი იმქვეყნად იყვნენ და ვინ რას მოკითხავდა. ერთი ნაწილი ბესარიონ დადიანს, სოლომონ აშორდიასა და მის „შაიკას“ ასახელებდა, მაგრამ ამგვარნი, საერთო ჯამში, მცირენი იყვნენ.

აქედან ნათელია, აშორდიას აზნაურთა საკმაო ნაწილმა კარგად უწყოდა, როგორ და რანაირად გახდა თავადი ან აზნაური.

ზოგიერთს წარმოდგენაც არ გააჩნდა, რომ ყალბი დოკუმენტებით გახდა უეჭველი თავადაზნაურული წარმომავლობის მქონე საეჭვო აშორდიას აზნაურად. უწყოდა, რომ ბამა, პაპა, პეპერა, იმის მამაც და იქითაც თავადი ან აზნაური იყო, მაგრამ ამის დამამტკიცებელი საბუთები ვერსად ეპოვნა და აშორდიას აგენტები მოევლინნენ მხსნელად — მოუძებნეს (სინამდვილეში — შეუდგინეს) ძველი, ვითომ ნამდვილი (რეალურად — ყალბი) სიგელ-გუჯრები და აქციეს იმად, რაც არავისთვის იყო საეჭვო. ერთი სიტყვით, ეჭვშეუვალი საეჭვოდ ექცათ ამნაირებს. თუმცა ასეთები, როგორც ვიქვით, მცირენი იყვნენ, ისეთნი ჭარბობდნენ, მშვენივრად რომ იცოდნენ, ვისი შემწეობით, როგორ და რანაირად გათავადდნენ და გააზნაურდნენ.

„თითო პანამა ყველას არგუნა დიდად გულუხვმა ბედმა და ჩვენ რად დავავიწყდებოდით“ — წერდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ერთ-ერთი კორესპონდენტი 1903 წელს.

პანამაში გათამაშებული თაღლითობის, ყალთაბანდობის, ფულის დატაცების ამბებსა და აშორდიასა და მის მოძმეთაგან დატრიალებულ მაქინაციებს ადარებდა ერთმანეთს.

მსგავსება მართლაცაა, ოღონდ მასშტაბებია განსხვავებული. იქ უფრო გრანდიოზულ დატაცებასთან, წვრილ აქციათა მფლობელების გაკოტრებასთან, მთავრობის წევრთა არნახულ კორუფციასთან გვქონდა საქმე, აქ შედარებით ნაკლებთან, ის უფრო გახმაურდა, ეს — ნაკლებად, მაგრამ ამას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა — აშორდიას აზნაურობა საქართველოსთვის იგივე პანამა იყო, ისეთივე შემარცხვენელი, თავზე ლაფდამსხმელი, როგორც იქ, ოკეანის გაღმა მომხდარი.

ყველა ერს, ქვეყანას არგუნა ბედმა ერთი პანამა და ჩვენ რატომღა დავავიწყდებოდითო.

არც დავვიწყებივართ.

აშორდიას აზნაურთა სიაში მოხვდა ლუარსაბ ლოლუაც. ეს ის ლუარსაბ ლოლუაა, ქუთაისის ქალაქის თავი რომ იყო ბარე რვა წლის მანძილზე, ლუკა ასათიანი, კალისტრატე ჩიკვაიძისა და მისი მომხრეების თვალთახედვით, მძიმე და გაუნძრეველი კაცი რომ შეცვალა ამ პოსტზე. არაფრის გამკეთებელს იმას ეძახდნენ, ვინც ქუთაისის კეთილდღეობაზე ფიქრობდა, მოძრავსა და ენერგიულს გაუნძრეველად ნათლავდნენ, აქტიურს ინერტულად, დემოკრატს კონსერვატორად, შებღალული ავტორიტეტი კალისტრატესა და მისი მომხრეებისა უმწიკვლოდ ცხადღებოდა.

დრო იყო ასეთი. ნამდვილი ყალბი გამხდარიყო, ყალბი — პირიქით, სიტყვებს საწინააღმდეგო შინაარსით აღიქვამდნენ. თეთრის შავად და შავის თეთრად აღქმის ჟამი ჩამომდგარიყო.

მოწინააღმდეგეს, რაც არ იყო, იმას დააბრალებდნენ, ამ აზრს დაიხვევდნენ ხელზე, დაატრიალებდნენ, ტყუილს ნამდვილად გაასაღებდნენ, ახმაურდებოდნენ და მორჩა, წაქცეული იყო წაუქცეველი, დაწიხლული — მოურეველი.

ლუკა ასათიანიც ასე დაჯაბნეს. მომხრეებშიც მოწინააღმდეგენი გაუჩინეს. ივანე პურადაშვილს მოგონებებში საინტერესო ამბავი აქვს მოთხრობილი, საინტერესო, შთამბეჭდავი, იმდროინდელი ვითარების ნათლად გამომხატველი. ქალაქის თავი ლუკა ასათიანი, ხმოსნების არჩევის მერე, ივანე გველესიანს შეკითხვია:

— რას ფიქრობთ ქალაქის თავთან დაკავშირებით?

— გამიწყდეს ცოლშვილი, თუ გიღალატო.

სიტყვით უთხრა, გულში სხვა გაიფიქრა. გამჟღავნდა, გამხილდა მისი ჩანაფიქრი — ხმა ლუარსაბ ლოლუას მის-

ცა, როგორც მაშინ იტყოდნენ, ლოლუას თეთრი, ასათიანს შავი კენჭი ჩაუგორა კოლოფში. ჰოდა, შეხვდა უკვე ქალაქის ყოფილი თავი ერთგულების დამქადნებელს:

— როგორ გყავთ ცოლ-შვილი, ივანე ზურაბიჩ?

არ წერია, რა უპასუხა, როგორ დაიძვრინა თავი დიდმა მემამულემ, რა ხრიკს, ოინს მიმართა. ალბათ არაფერს, თორემ ვილაც მოიხსენიებდა, დაწერდა და ქუთაისის საარჩევნო თავგადასავლებს, ე.წ. კენჭობიას, ეს პასუხიც შეემატებოდა. ალბათ დადუმდა, თავი ჩაღუნა, სიტყვის გამტეხი, პირობის უარმყოფელი სხვანაირად როგორ მოიქცეოდა. არადა, მისმა ხმამ გადაწყვიტა ყველაფერი, ერთით აჯობა ლუარსაბმა ლუკას. ერთმა თეთრმა კენჭმა, პირობის თანახმად შავი რომ უნდა ყოფილიყო, მოახდინა მოსახდენი, შეიცვალა ქალაქის თავი.

ამის შემდეგ ლუარსაბ ლოლუამ მეორე არჩევნებშიც გაიმარჯვა და მძიმე და გაუნძრეველი ლუკა ასათიანის ნაცვლად რვა წელი იყო პირველი კაცი. ქალაქს მისი ხელმძღვანელობა არაფრით დატყობია, გაუნძრეველი იგი უფრო იყო. ერთი რამით აშკარად გამოირჩეოდა წინამორბედისაგან — კალისტრატეს მომხრეებს აწინაურებდა, ხელს უწყობდა, შეცვლით ბევრი არაფერი შეუცვლია. მერე მისი თავადობის საბუთი ყალბად მიიჩნიეს და წავიდა.

ხმაურით მოვიდა, ჩუმად წავიდა, ისევ ვექილობას დაუბრუნდა. თავადობის ყალბი დოკუმენტი აღმოუჩინეს და ამან აიძულა, ალბათ, გადამდგარიყო. თუმცა აშორდიას საქმეების საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ ლუარსაბ ლოლუას ჩვენება სანდო უნდა იყოს, რადგან ასეთივე დოკუმენტი (იგივე ნომრით) სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის არქივშიც აღმოჩნდა. თავადაზნაურთა საკრებულოში წარმოდგენილი კი, როგორც დაკითხული ამბობს, მტრებმა

შეცვალეს ყალბითო. ის, *იმპერიის დედაქალაქში აღმოჩენილი* — ნამდვილი, ეს — ყალბი. *ორივე ერთსაირი რატომ* არ შეიძლებოდა ყოფილიყო, გაურკვეველია. *ერთი* ასე, *მეორე* ისე, რისთვის, *რის* გამო მიიჩნიეს?! ადრე არ შეეძლოთ ლუარსაბ ლოლუასათვის ყალბი სიგელის დამზადებაო, ვერ იტყვი. კალისტრატესა და მისთანათა ხრიკებს რომ გაიხსენებ, მითუმეტეს.

იმ დაჯგუფებას ხომ პარტიად ნათლავენ *მემუარისტები* — კალისტრატე ჩიკვაიძის პარტია, რომელთათვისაც შეუძლებელი შესაძლებელი, მიუწვდომელი მისაწვდენი იყოო.

ლუარსაბ ლოლუამ გაქალაქისთავებიდან ერთი რიგგარეშე და მეორე ვადის გასვლის გამო დანიშნული არჩევნებიც მოიგო. სამჯერ იმარჯვა, ერთხელ წარმატებასაც რომ არ უწინასწარმეტყველებდნენ მოწინააღმდეგენი. ესეც ბუნებრივი იყო, კალისტრატე ჩიკვაიძე, ბანკის მმართველი ედგა გვერდით, ის პიროვნება, ბანკის საქმეებს რომ დიდად არ ნაღვლობდა, ოღონდ თავადაზნაურთა გული მოეგო. ესენიც ერთგულებდნენ, კუჭით სჯიდნენ გონებით განსასჯელს.

ლუარსაბის მესამედ არჩევის დროს გააქტიურდა ოპოზიცია. კანდიდატად გაბრიელ ეპისკოპოსის ძმა — მოსე ქიქოძე შეარჩიეს, ცნობილი ვექილი, შედარებით ნეიტრალური პიროვნება. შეიქმნა შტაბები აქეთ, იქით, დაფაცურდნენ ერთნიც, მეორენიც, აქეთაც, იქითაც... ლუარსაბის მხარეს ს. თოფურია, დ. კვირკველია, დ. აბდუშელიშვილი, დ. ნიჟარაძე და სხვები. ოპოზიცია ერთი გვარის სამი წარმომადგენლით — კირილე, დავით და სიმონ ლორთქიფანიძეებით, დიმიტრი ნაზაროვით, მიხ. დარახველიძით, რომ. მახარაძით, სიმონ ჭეიშვილით და ა.შ. დაიწყო შეკრებები, განსჯა, გაანალიზება იმისა, რა მოხდებოდა. ივანე პურადაშვილიც ოპოზიციონერთა შორის იყო, შთამბეჭდავად ყვება ამ ამბებს,

2. ე. თაბერიძე

ცოტა ტენდენციურადაც, მაგრამ იმას მაინც ვერ უარყოფს, რომ კალისტრატეს მოწინააღმდეგეებშიც შეეძლო მომხრეების პოვნა. მართალია, თვით ივანე პურადაშვილი ვერ გადაიბირა, მაგრამ ის მაინც მოახერხა, რომ ოპოზიციის რვა მომხრე და ერთგული, იქით ნაპირას მყოფნი, აქეთ გადმოეყვანა. დარახველიძის ბინაზე შეკრებილი ოპოზიციონერებიდან ორი, დავიდოვი და თევდორაძე, ვახშამზე არ დარჩა, ერთმა სხვაგან მიწვევა, მეორემ შვილის ავადმყოფობა მოიმიზეზა, მეორეს — თევდორაძეს მეეტლე ბაბუნაშვილი გაჰყვა უკან და ლოლუას მომხრე კიზირიას სახლში შესული დალანდა.

ორი ხმოსანი გამოაკლდათ, მაინც უეჭველად იმარჯვებდნენ.

არჩევნების მერე იოსებ ოცხელმა თქვა — შემთხვევით თეთრი კენჭი ლოლუას კოლოფში ჩამივარდაო. ჩაუვარდა თუ ჩააგდო?! — ესეც მესამე. არჩევნებს ხმის უფლებით აღჭურვილი სასულიერო წოდების წარმომადგენელიც ესწრებოდა — ქიქოძის მომხრე ცაგარეიშვილი ლუარსაბმა დავით ღამბაშიძით შეაცვლევინა, ესეც მეოთხე. აფთიაქის პატრონმა რელიგიონმა და პეტრე ფირალოვმა რომ დაინახეს, ლოლუას მომხრენი მატულობენო, იქით გაუტიეს. ეს შეეძლო კალისტრატე ჩიკვაიძეს, უფრო მეტიც, მოსე ქიქოძეს ხმა ცოლიძმამაც — გრიგოლ ტატიშვილმაც ვერ მისცა, საჩხერეში წასულს ისე მოუწყვეს საქმე, რომ მატარებელზე დაეგვიანებინა, ღვინიხაპია მასწავლებელი მაღრაძე კი მაგრად გამოათვრეს და საგულდაგულოდ ყარაულობდნენ, არ დაგვღუპოს, არ გაიღვიძოსო. ერთი, მატარებელგასწრებული, ყურებჩამოყრილი იდგა ბაქანზე, მეორე, გალეშამდე ყანწის ყანწზე მხვრეპელი, ხვრინავდა, არც არჩევნები ახსოვდა, არც ლოლუა, არც ქიქოძე. და ვინც გა-

იმარჯვებდა, გასაგებია. ლოლუას დევიზი — ფიფინაშვილის კოლოფიდან თუმანიშვილის კოლოფამდე თეთრი კენჭი, ხოლო აქედან ბოლომდე შავი, ზუსტად ისე გამართლდა, როგორც ფიქრობდა და წარმოედგინა — აქედან იქამდე თეთრმა, იქიდან ბოლომდე შავმა აჯობა აქედან იქამდე შავს და იქიდან ბოლომდე თეთრს.

აშორდიას ამბებმა შეიწირა თავადაზნაურთა წინამძღოლი თავადი სიმონ წერეთელი, რომელიც ბარე ათი-თორმეტი წელი იყო ამ თანამდებობაზე. მისი ბრალი არაფერია, კიდეც რომ მოენდომებინა, ვერაფერს გახდებოდა, ამიტომ არც უცდია, რასაც ვერ შეძლებდა, რატომ უნდა წაპოტინებოდა — წერენ თანამედროვენი.

არადა, სიმონ წერეთელს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, კამერჰერიც გახლდათ, თუ მოისურვებდა, ბევრი რამის შეცვლა შეეძლო, როგორც ჩანს, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

ქუთაისის ბულვარიც დადუმდაო, — წერს გაზეთი „ივერია“ — ორ კაცს ერთმანეთთან სათქმელი გამოელია, ერთი, შეიძლება, აშორდიელი იყოს — მეორე არა. ამიტომ არც ერთს სურს ძველებური მუსაიფი, არც — მეორეს, ყველა ყველას აკვირდება, ერთი მეორის კვალშია ჩამდგარი და იმისთვის ცუდ, თავისთვის სასიამოვნო ამბავს აყურადებს. ყველაფერი კი მას შემდეგ მოხდა, რაც იჩუჩების ამბავი გამხილდა. თავიდან ყველანი ყურჩამოყრილები იყვნენ, იმდენ საბუთს ითხოვდნენ, ვინ მოუყრიდა თავს, „მაგრამ მწუხარების ღრუბელმა მალე გადაიარა და საიმედო ცაზე სიყალბის მზემ გამოაშუქა: ეს გახლდათ ახალი გამოკვერილი დადიანის ბეჭედი, ძველი უკანასტარის ნახევი ქაღალდები და უანგაროთ გაჟღენთილი აჯეჯი. ამ იარაღით გამოვიდა სიყალბის სარბიელზე მთელი შტაბი, რომლის სულის ჩამდგმელნი, შენც გეცოდინება მკითხველო, მარტო ისინი არ

იქნებოდნენ, რომელთაგანაც ზოგი სატუსაღოში დაიხოცა და ზოგი დღედღეზე შესაფერს სასჯელს მოელის".

ვიღაც Amicus–ის წერილიდანაა ეს ნაწყვეტი, 1901 წლის „ივერიაში" რომ გამოქვეყნდა და სცადა თავად სიმონ წერეთლის რეაბილიტაცია — ამას რას ვერჩით, მიზეზის სათავე სხვაგან უნდა ვეძებოთ, იმ დროების დამტრიალებელში, როცა „ერთნაირის საბუთით მიადგა დეპუტატთა საკრებულოს ტახტის თავადი, ჩისარსალა აზნაური, ინტელიგენტი და აზნაურის ნაყმევი გლეხი. მაქაცარიას გააზნაურება მხეიძეს არ მოსწონს. წირღვავას ბატონიშვილი გვერდში როგორ ამოუდგება, მაგრამ ხმის ამოღებას როგორ გაბედავს, შენც სუ და მეც სუო, — პირობა აქვთ დადებული".

ჰოდა, ერთ ტაფაში იხარშებოდა ნამდვილი თავადიც, ჩისარსალა აზნაურიც, ყმაც...

ლოლუას გაქრობას პოლიტიკური სარბიელიდან ბანკის უძლეველი თავმჯდომარის — კალისტრატე ჩიკვაიძის ფიასკოც მოჰყვა, წავიდა მისი პარტია, აშორდიას ამბები აღმოჩნდა ის ბოლო წვეთი ფიალაში, რამაც საბოლოოდ გამოააშკარავა „ჩიკვაიძის პარტიის" წევრთა უმაქნისობა.

არჩევნებზე ასე ვრცლად არამარტო ლუარსაბ ლოლუას, სიმონ წერეთლისა და კალისტრატე ჩიკვაიძის გამო შევჩერდით. ოპოზიციონერთა შტაბშიც იყო აშორდიას აზნაური — სიმონ დავითის ძე ჭეიშვილი, რომლის ხელითაც 1899 წელს თავადაზნაურთა საკრებულოში მამია გურიელის სიგელი, დავით დადიანის 1853 წლის 18 მარტის ბრძანების ასლი და აზნაურობისათვის საჭირო სხვა ყალბი დოკუმენტები იყო წარდგენილი.

სიმონ ჭეიშვილის შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია, ოპოზიციონერთა ბანაკში იყო, გადარჩა, არ გადარჩა, დაიძვრინა თავი აშორდიას აზნაურობიდან, არ ვიცით. ლუარ-

საბ ლოლუა კი ჩამოვექილდა, ისევ ძველ საქმიანობას დაუ-ბრუნდა.

სალდაძემ ეს ამბები არ იცოდა, დადიოდა ბაღში, წინ, უკან, წინ წასული უკან ბრუნდებოდა, უკანმყოფი წინ მიიჩ-ქაროდა, დადიოდა, მისი ჭკუით, ათვალიერებდა, ამოწმებ-და. მიდიოდა, მოდიოდა, აკეთებდა ერთს, გამოუვიდა მეო-რე, ფიქრობდა ერთზე, აღმოჩნდა სხვა...

თავი მეორე

აი რა დრო ორდარია

„იჩუჩი“-დან აზნაურობამდე

17 წლის იყო სოლომონ აშორდია, დანაშაულისკენ რომ წაუცდა ხელი.

სოფელ ზუგდიდის მცხოვრებნი — დათიკო, მინა და დიმიტრი ჯანაშიები, სულ 20-მდე კაცი, ჩაწერილი იყვნენ როგორც თვით სოფელ ზუგდიდის საზოგადოებაში, ასევე, 1886 წლის საოჯახო აღწერის მიხედვით, ზუგდიდის მოქალაქეებში, ამიტომ ორგან იხდიდნენ გადასახადს. უნდოდათ, ყოფილიყვნენ ზუგდიდის მოქალაქეები და ამისთვის მიმართეს კიდეც თბილისის სახაზინო პალატას, მაგრამ უშედეგოდ — მათ სოფლის ყრილობის გადაწყვეტილება მოითხოვეს. ერთი სიტყვით, მოგეხსენებათ, გლეხების გათავისულება არ იყო იოლი. ბევრი ბიუროკრატიული ბარიერი უნდა გადაელახა ყმას, თავისუფალი მოქალაქე, ე.წ. მეშჩანი რომ გამხდარიყო: ჯერ სასამართლო გაიმართებოდა, რომელიც გათავისუფლების განაჩენს გამოიტანდა, შემდეგ კიდევ, ეს გადაწყვეტილება თბილისის სახაზინო პალატას უნდა დაემტკიცებინა. ამას დავუმატოთ უამრავი საბუთის მოძიება, შევსება... ბუნებრივია, ყოველივესთვის თავის დადგმა გლეხებს უჭირდათ, ამიტომ დახმარებისათვის ხშირად მიმართავდნენ ერობის მწერლებს, ისინიც ეხმარებოდნენ, უვსებდნენ საბუთებს, მათ მაგიერ მონაწილეობდნენ სასამართლო პროცესებში... ზოგიერთი ფულს იღებდა და, სასამართლოს გაუმართავად, ყალბი დოკუმენტებით ათავი-

სუფლებდა. ხშირად სხვა გამოსავალი არც ყმა გლეხს გაა-ჩნდა, გაჭიანურებულ, დროში გაწელილ გათავისუფლებას ერჩივნა, გადასახდელი გადაეხადა, ოღონდ დროულად, თუნდაც გაყალბებული საბუთებით გამხდარიყო თავისუ-ფალი.

ზუგდიდელმა გლეხებმა, მიქე და დათიკო ჯანაშიების თავკაცობით, გათავისუფლებისათვის დახმარება თავიან-თი სოფლის მწერალს უშანგი შედანიას სთხოვეს. მან მო-უსმინა, ასაღები აიღო და ურჩია, სოლომონ აშორდიას მი-მართეთ, თუ გიშველით, ის გიშველითო.

აშორდიას და მის მოძმეებს არც სასამართლო ჭირ-დებოდათ, არც თბილისის სახაზინო პალატის ნებართვი-სათვის ლოდინი — თვითონ წერდნენ განაჩენს, თვითონვე ამტკიცებდნენ, საბოლოოდ კი გლეხებს ათავისუფლებდნენ. ზემოხსენებულმა გლეხებმა აშორდიასთან პეტრე ქარდავა იშუამავლეს. მას გადაუხადეს მოთხოვნილი თანხა. მან კი-დევ გვაჩი აშორდიას ვაჟი ჩართო საქმეში, რომელმაც შე-ადგინა ვითომ სასამართლოს განაჩენი, ვითომ თბილისის სახაზინო პალატის გადაწყვეტილება და ა.შ

ყველა დოკუმენტი „ვითომ"-ის პრინციპით იყო შედგე-ნილი, სინამდვილეში ამგვარი არაფერი მომხდარა. სოლო-მონმა სასამართლო განაჩენი 1893 წლის 23 ოქტომბრით და-ათარიღა, მისმა მეგობარმა პეტრე ქარდავამ კი იმავე თა-რიღით, ოღონდ სხვა გლეხების მითითებით, კიდევ ერთხელ გააყალბა ისედაც ყალბი საბუთი — ყალბიდან შექმნა ყალბი და აიღო ფული.

სოლომონ აშორდიამ მიქე ჯანაშიასა და სხვა გლეხების მაგიერ თხოვნაც დაწერა, ქვემოთ კი მიუთითა, რომ მათგან, ერთის გარდა, ყველა (320) წერა-კითხვის უცოდინარი იყო და მათ მაგიერ ამ დოკუმენტს იმ ერთადერთმა გლეხმა და-თო როგავამ მოაწერა ხელი.

ბედს მიენდო 17 წლის ყმაწვილი. ეგონა, ამგვარ რამეს არავინ მიაქცევდა ყურადღებას. მოხდა კი პირიქით, სასამართლომ გაარკვია, რომ იმ სამასოცდაერთი გლეხიდან ბევრმა მშვენივრად იცოდა წერა-კითხვა. ბევრმა იცოდა, აშორდიამ კიდევ, მხოლოდ დათო როგავამ იცისო, და ყველას ნაცვლად მას მოაწერინა ხელი.

ეს ერთი შეცდომა ყალბისმქნელისა.

ახლა მეორე — განაჩენის ერთ ნაწილს გლეხების სახელით ხელი მოაწერა მიხეილ კაკულიამ, მეორეს — მიხეილ ლატარიამ. აქაც მითითებული იყო, დანარჩენებმა წერა-კითხვა არ იციანო, თხოვნაზე მხოლოდ ერთი პიროვნება — დათო როგავა აღბეჭდა, განაჩენზე კი ორი — ადრე მხოლოდ ერთი იყო წერა-კითხვის მცოდნე, ახლა ორით გაიზარდა. თხოვნის დაწერიდან განაჩენის გამოტანამდე ისწავლა ორმა მიხეილმა, ერთმა — კაკულიამ და მეორემ — ლატარიამ, წერა-კითხვა. ესეც არაფერი — ყალბ განაჩენში დასახელებული გლეხებიდან იმ დროისათვის, როცა ეს ვითომ გადაწყვეტილება მიიღეს, ბევრი იმიერში იყო გადასახლებული.

ესეც უფრო სერიოზული შეცდომა აშორდიასი.

და კიდევ: სასამართლოს განაჩენი რომ სწორად და ნამდვილად მიეჩნიათ, სოლომონმა ამაზეც იზრუნა. თვითონვე დაწერა ვითომ ზუგდიდის ერობის მამასახლისი პახვალია გუბელაძე აღიარებდა მის სისწორეს. იქვე მისი ბეჭედიც დაუსვა და პ. გუბელაძის ხელრთვით რუსულად მოაწერა ხელი. აღმოჩნდა, პახვალიამ რუსული კი არა, ქართული წერა-კითხვაც არ იცოდა.

სასამართლოზე სოლომონ აშორდიამ აღიარა, რომ განაჩენის, თხოვნის, გადაწყვეტილების ტექსტები მისი დაწერილი იყო, — მაგრამ ამაში დანაშაულს ვერაფერს ვხედავო განაცხადა, რადგან იმ გლეხებიდან ერთსაც არ ვიცნობ,

არც ისინი მიცნობენ. მათ საქმე პეტრე ქარდავასთან ჰქონდათ და ამ კაცს უნდა მოთხოვოთ პასუხი, მე უდანაშაულო ვარ, მთხოვეს, დავეხმარე, მეფის კანონიც ამას მავალებს, სხვაგვარად როგორ მოვიქცეოდი ამათი საცოდაობის შემყურეო.

მთხოვეს, დავეხმარე, პეტრე ქარდავას რა მისცეს, ვერ გეტყვით, მე სრულიად უანგაროდ მივეშველე, უჭირდათ, სიტყვის დაწერაც არ შეეძლოთ, ცოდვანი იყვნენ.

17 წლის იყო სოლომონ აშორდია ამ დროს, 24 წლისა დაიჭირეს, უპირველესად, ეს ამბავი გაუხსენეს, 8 თვე გაუშვეს ციხეში, თხოვნა დაწერა საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე — ჩემზე მეორე საქმეცაა აღძრული, ბარემ ისიც განიხილეთ, ერთად მომისაჯეთო, არ მოუსმინეს. ჩანს მეორე,უფრო მასშტაბური, იმ დოკუმენტების, სიგელ-გუჯრების, ნამდვილისაგან ძნელად გასარჩევი რომ იყო, ამბავი უფრო ადარდებდა. ეს შეცდომად მიაჩნდა, გამოცდილება აკლდა, მერე თანდათან დახვეწა, დაამუღამა — ნამდვილს დაამგვანა ყალბი.

ასეთი რამ მერე აღარასდროს, უფრო სწორად, თითქმის არასდროს მოსვლია. დანაშაული ჩაიდინა, ადვილად ამოსაცნობი კვალი დატოვა, მერე სუფთად მუშაობდა, თითქმის „უკვალოდ" აყალბებდა საბუთებს.

აი, მისგან გათავადებულ-გააზნაურებულთა ერთი ნაწილი:

ზემოთ აღვნიშნე, სასამართლო საქმის მიხედვით, 1897 წელს 12 გვარის წარმომადგენელი გათავადდა ან გააზნაურდა აშორდიელთა დახმარებით-მეთქი, მაგრამ პიროვნებანი უფრო მეტია, ხშირად გვარის რამდენიმე წარმომადგენელი გადადიოდა ერთი წოდებიდან მეორეში, დაბლიდან მაღალში, არასასურველიდან სასურველში. ამიტომ მათი ჩამოთვლაც უპრიანია, სხვა რომ არაფერი, ესეც ისტორიაა, გვარის ისტორია, ზოგიერთის მახსოვრობასაც რომ შემორჩენია აქამომდე.

1897 წელს სენაკის მაზრის სოფელ ეკში მცხოვრები ანდრო ივანეს ძე, კოხტა ხახულის ძე, პლატონ ლობიკას ძე და პეტრე, მიხეილ ბასილას ძე წულეისკირებმა ლევან დადიანის 1833 წლის 5 ოქტომბრის ყალბი სიგელი წარადგინეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოში და გახდნენ ის, რაც არ იყვნენ, ეზიარნენ თავადაზნაურობას.

აშორდიასა და მისი ჯგუფის სამოქმედო არეალი მარტო სამეგრელო არ ყოფილა. მართალია, ძირითადად ამ კუთხის წარმომადგენლები ისწრაფოდნენ მაღალი წოდებისაკენ, მაგრამ იყვნენ გამონაკლისებიც. იმავე 1897 წელს ლეჩხუმის მაზრის სოფელ მახურას მცხოვრები ბესარიონ გიორგის ძე მამარდაშვილი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოში მიტანილი სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის 1839 წლის 10 თებერვლის წყალობის სიგელით, სხვა ქაღალდ-გუჯრებით, აშორდიას მიერ რომ იყო გადაკეთებული და ნამდვილს დამსგავსებული, გააზნაურდა. ქუთაისში მცხოვრები ფარნაოზ ლევანის ძე კახიანი კი ლევან დადიანის 1820 წლის 5 იანვრის წყალობის სიგელის გადაკეთებული ვარიანტის გამო გახდა თავადი. ასევე მოიქცა როკითელი (ქუთაისის მაზრა) არქიფო სოგრატის ძე ხორავა, წარადგინა იმავე მთავრის ყალბი სიგელი და გააზნაურდა.

უფრო მეგრელები აქტიურობდნენ, მათ უფრო ეწადათ თავადობა ან აზნაურობა. ამიტომაც ეძახდნენ აშორდიასა და მისი ჯგუფის ნამოქმედარს მეგრელთა საქმეს.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ხორშაში მცხოვრები ბესარიონ (იგივე დუტუ), გიორგი, რომანოზ, სპირიდონ ლევანის ძე და იოსებ პავლეს ძე ნორაკიძეები ლევან დადიანის 1833 წლის 9 ნოემბრის გადაკეთებული წყალობის სიგელით გახდნენ მაღალი წოდებისანი. მათ სენაკის მაზრის სოფელ საელიავოში მცხოვრები მიხეილ კერსამის ძე გვილავაც არ

ჩამორჩა — იგივე ლევან დადიანის 1831 წლის 10 დეკემბერს გაცემული ვითომ წყალობის სიგელით გახდა აზნაური.

1897 წელსვე თავადობა ან აზნაურობა მიიღეს: სენაკის მაზრის სოფელ თეკლათში მცხოვრებმა სოლომონ გაბრიელის ძე გრიგოლიამ (ამ გვარის წარმომადგენლები მომდევნო წელს უფრო გააქტიურდნენ. შეიძლება ითქვას, თეკლათელები აშორდიას აზნაურობის სენით დაავადდნენ). ზუგდიდის მაზრის სოფელ ხორშას მკვიდრმა ლუარსაბ თეიმურაზის ძე ლოლუამ, ჭალადიდელმა (სენაკის მაზრა) ვარდენ ფირანას ძე წულაიამ, ზუგდიდის მაზრის სოფელ ლიაში მცხოვრებმა ბატა, ტოტო, გუტაია კაკუტელას ძე, ჩაგუ (იგივე დავით), პახვალა (იგივე პავლე), კოსტა, ისლამ ზებეს ძე, ბარდღუ გუტას ძე პინიებმა, შხეპის მკვიდრებმა (სენაკის მაზრა) ანდრო და ბართლომე ქაიხოსროს ძე შაფათავებმა, სოფელ ონტოფოში მცხოვრებმა პავლე ვახტანგის ძე ნადარეიშვილმა.

ეს ერთ, კერძოდ, 1897 წელს მოხდა. ასეა აღნიშნული სასამართლო საქმეებში. ამ წელს შედარებით მცირე ნაწილი ეზიარა თავადობას ან აზნაურობას, იქნებ უფრო მეტმაც აისრულა საწადელი, მაგრამ საქმეში მხოლოდ ესენია დასახელებული, ამიტომ ჩვენც ამ მონაცემებს ვეყრდნობით.

ყველა ზემოთდასახელებულ პიროვნებას სამეგრელოს მთავრების — ლევან და დავით დადიანების მიერ გაცემული გაყალბებული წყალობის სიგელები და სხვა საბუთები ჰქონდათ წარდგენილი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოში. სხვა დროს, სხვა წლებში იყო სხვა შემთხვევებიც, მაგრამ 1897 წელს, როგორც ჩანს, აშორდია და მისი ჯგუფი ძირითადად ამ მთავრების წყალობის სიგელებს აყალბებდა.

აყალბებდა და როგორ...

იონა მეუნარგია წერს: დავით დადიანი აზნაურობას ან

თავადობას ვაგლახად არავის უბოძებდა, სიფრთხილეს იჩენდა, ასჯერ გაზომავ-აწონიდა და მერე მიიღებდა გადაწყვეტილებას, მთელი მისი მთავრად ყოფნის დროს სამადსამი კაცი გახდა კეთილშობილი — დათაია ჭედია, გიორგი ხაბურზანია და მემკვიდრის — ნიკოს აღმზრდელი ბობოხიძე. სხვებსაც უნდოდათ, ცდილობდნენ, მაგრამ დავით დადიანი იტყოდა და მორჩა. სოლომონ აშორდია სწორედ ამ ხელმოჭერილი მთავრის სახელით წერდა სიგელ-გუჯრებს, აქაოდა, მთავარი არ გიმხელდათ, თორემ აზნაური იყავითო.

ზოგს თვითონ წერდა, ზოგს ძველს აყალბებდა.

ეს სინამდვილეში, რეალურად მომხდარი ამბებია... ახლა როგორ აისახა იგი მხატვრულ ლიტერატურაში?!

ერთადერთი მხატვრული ტექსტი, სადაც აშორდიასაგან აზნაურობის ყალბი სიგელის გადაცემაა აღწერილი, მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძეა". ამ ამბავს რომანში, ბუნებრივია, ირონიული შეფერილობა აქვს. კვაჭის მამა სილიბისტრო ბედს არ უჩიოდა, ხონის გზაზე დანგრევის პირას მისული სახლი ჰქონდა, ზედა ნაწილს „სასტუმროდ" იყენებდა, ქვედას — სასადილოდ, „მუშტარიც არ აკლდა", სახლშიც ბევრი არაფერი ებადა, უფრო სამტრედიის ბაზარში ვაჭრობით გაჰქონდა თავი, მაგრამ ეს ყოფა არ ადარდებდა, არ აფიქრებდა, პირიქით:

„სილიბისტრო და პუპი, რა თქმა უნდა, ყველა გამვლელ-გამოვლელს თავს არ უყადრებდნენ. მაგრამ თავადაზნაურებს, ვაჭრებსა და საერთოდ სუფთა მუშტარს ისე არ გააატარებდნენ იმ გზაზე, რომ გამარჯვება მაინც არ ეთქვათ, არ მიეპატიჟათ, მათი ამბავი არ გამოეკითხათ და თავიანთიც არ ეთქვათ".

სილიბისტროს ოჯახი მატერიალური ყოფით სხვებისგან არ გამოირჩეოდა, მაგრამ ეს არ აწუხებდა, ამაზე არ ფიქრობდა, მისი მთავარი საფიქრალი და სადარდო ის იყო, რომ

პასპორტში (?) სამარცხვინო სიტყვა „გლე-ხი“ ეწერა. ერთი სიტყვით, სილიბისტრო აზნაურობის მაძიებელი, როგორც მაშინ ეძახდნენ, „იჩუჩი“ იყო. მიხეილ ჯავახიშვილი რომანში ზუსტად იმეორებს აშორდიელთა მოგონილ ერთ ხრიკს, კერძოდ, იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც აზნაურობის ან თავადობის დამამტკიცებელი საბუთები არ გააჩნდათ, ამიტომ ყალბისმქნელი ავანტურისტები მათაც ეხმარებოდნენ, გარკვეული გასამრჯელოს მიღების მერე უგვარებდნენ საქმეს და თავადს ან აზნაურს ხდიდნენ იმას, ვისი ამგვარობაც ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ ეს ვითარება მათთვის ერთგვარი ალიბი იყო, ამ მდგომარეობას ყველაზე ავრცელებდნენ, ამ საბაბით საქმიანობდნენ:

„...სილიბისტრო კვაჭანტირაძე აზნაური არ იყო.: არა, ბოდიშს ვიხდი: სილიბისტრო უძველესი და უნამდვილესი აზნაური იყო, ეს მთელმა ქვეყანამ იცოდა, მაგრამ აზნაურობა ჯერ დამტკიცებული არა ჰქონდა“ — გვეუბნება მიხეილ ჯავახიშვილი. როგორც ვთქვი, ეს აშორდიასა და მისი დამქაშების მოგონილი ხერხია. კი იყავი ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელი, უეჭველი თავადი ან აზნაური, მაგრამ რად გინდა, თუ არ დაიმტკიცებ, რანაირი უნამდვილესიც არ უნდა იყო, ვის დაარწმუნებ და დააჯერებ. და კვაჭის მამამაც უამრავი ფული დახარჯა, ოზურგეთსა და ქუთაისში იარა, ვექილებიც დაიქირავა, მაგრამ უშედეგოდ, ფული გამოართვეს, იმედი უხვად, ფულის შესატყვისი მისცეს და ამით გათავდა ყველაფერი.

პირდებოდნენ, ვერ უგვარებდნენ, სილიბისტრო კვლავ „იჩუჩი“ რჩებოდა. დასცინოდნენ კიდეც მის მაძიებლობას. საერთოდ, კვაჭის მამის აზნაურული უძველესობა და უნამდვილესობა ავტორის მხრიდან დაცინვაა, გაშარჟებაა იმისა, რაც სინამდვილეში ხდებოდა.

ბოლოს აშორდიას მიაგნო, ევაჭრა, ეღრიჭა და დაითანხმა საწადელზე, თუმცა ამის შემდეგაც რამდენიმე წელიწადს ისევ ელოდა აზნაურობას. ბოლოს ოცნება აუსრულდა, ყველას მხსნელი და გადამრჩენი ეწვია, სუფრა გაიშალა და აშორდიამ თქვა პირველი სადღეგრძელო:

„ჩვენს კეთილშობილთა საერთო ოჯახს ერთი პატიოსანი ოჯახი კიდო მოემატა. ყოველმა ოჯახმა იცის, რომე ჭიპი კვაჭანტირაძის პაპა აზნოური იყო. მარა მას ბედმა უღალატა, საცხა ისთე მოხდა, რომე ეს პატიოსანი კაცი რაცხა წიგნში არ ჩაწერეს, ანი მე გავასწორე ისტორიის უსამართლობა და შენ და შენს ოჯახს, ჩემო სილიბისტრო, აზნოურობა დაგიმტკიცე. მოგილოცავ დიდებულ ოჯახურ დღესასწაულს და გისურვებ, რომე ღირსეულად ატარო მეფის წყალობა. ვსვამ აზნოურის სილიბისტრო კვაჭანტირაძის სადღეგრძელოს. გოუმარჯოს ჩემს ახალ მოძმეს!“.

აი, ტიპიური ახსნა-განმარტებანი აშორდიელებისა. ყველამ იცის, რომ ჭიპი კვაჭანტირაძის პაპა აზნაური იყო, მაგრამ რაღაც წიგნში არ ჩაწერეს და აშორდიამ გაასწორა „ისტორიის უსამართლობა“. ყალბი დოკუმენტები სწორედ ამგვარი მოტივირებით რიგდებოდა ხალხში, სწორდებოდა „ჩადენილი შეცდომები“. სინამდვილეში სიმართლე ტყუილად და ტყუილი სიმართლედ ცხადდებოდა.

აზნაურობის მიღების გამო გამართულ წვეულებაზე პატარა კვაჭიკომ მამის დარიგება შეასრულა — აშორდიას ხელზე აკოცა და უთხრა: „ბიძია, მადლობელი ვალ“... სილიბისტროს გამააზნაურებელმა კი შუბლზე აკოცა, მიუალერსა და უპასუხა:

„ჩემო პატარავ, მე გზა გაგიკაფე, ყველა კარი გაგიღე და დანარჩენი შენ იცი. შენც ბედნიერი იყავი, შენი მშობლებიც და სამშობლოც გააბედნიერე და ასახელე.“

აშორდიასა და მისი ჯგუფის ნამოქმედარის გააზრების დროს ერთი მომენტი აუცილებელად უნდა გავითვალისწინოთ: ბრწყინვალე წოდების გარეშე, ანუ თავადი ან აზნაური თუ არ იქნებოდი, ისე ვერაფერს მიაღწევდი. უპირველესად ამით იყო გამოწვეული მაღალი წოდებისაკენ სწრაფვა, ბევრი ბოგანო შეიქმნა ამგვარი და გზა გაეხსნა ყველაფრისაკენ. კვაჭიკომ აშორდიას მეფესთან მადლობა დააბარა, უთხრა, მუდამ მისი ერთგული ვიქნები, მის სამსახურში გავლევ სიცოცხლეს, შენს ამაგსაც არ დავივიწყებო. აშორდიამ კიდევ — არ დამატყუო, შენს იმედზელა ვრჩები, იქნებ როგორმე სამაგიერო მომიზღოო — უთხრა, გვარიანად იქეიფა და მეორე დღეს გაუდგა გზას.

რაც აშორდიამ მოთხოვა სილიბისტროს გააზნაურებაში, ერთი იმდენი ხონელებისა და სამტრედიელების ქეიფს დასჭირდა — უქონელი გახდა აზნაური, მაგრამ ამის ქონება ყველაფრის არქონებას გადაწონიდა.

ასე ხდებოდნენ, ასე არიგებდნენ აშორდია და მისი თანამოაზრეები ბრწყინვალე წოდებებს, უგვაროს გვარიანად აქცევდნენ, ხელფეხშეკრულს ორივეს უხსნიდნენ და საზოგადო ასპარეზისაკენ უბიძგებდნენ.

კვაჭის გახსენება მის ნამოქმედარსა და აშორდიას თაღლითობებს შორის პარალელების დაძებნის დროსაც მოგვიწევს, როცა შევეცდებით, გავარკვიოთ, რამდენად კრებითი სახეა კვაჭი კვაჭანტირაძე და რამდენად აირეკლა მასში აშორდიული ავანტურიზმი: ახლა კი ისევ სასამართლო საქმეებს მივუბრუნდეთ.

1898 წელს, წინა წელთან შედარებით, უფრო ეტანებოდნენ თავადობას ან აზნაურობას. ეს იმითაც უნდა აიხსნას, რომ დამამტკიცებელი საბუთების წარდგენის ვადა 1900 წლის დეკემბერში იწურებოდა. ამიტომ უფრო ჩქარობდნენ მოსურნენი, ეგონათ, მერე გაძვირდებოდა, ადვილად მისაღ-

წევი აღარ იქნებოდა მათთვის სანატრელი თავადობა ან აზნაურობა. მოხდა კი პირიქით, 1899 წელს ითოვა და იწვიმა აშორდიას აზნაურებმა, უფრო — სამეგრელოში, ნაკლებად — იმერეთში.

მოდით, ჯერ 1898 წელს აშორდიასაგან გააზნაურებულები გავიხსენოთ.

სასამართლო საქმეში სენაკის მაზრის ერთი სოფელია ხშირად ნახსენები — ესაა თეკლათი. ამ წელს ამ სოფელში გრიგოლიას რამდენიმე ოჯახმა მიიღო აზნაურობა, არ იყო, გახდა, ერთმა მიიღო, მეორეს სურვილი გაუჩნდა, იქნებ დაიბოღმა კიდეც და ორი რომ ღირდა, ოთხი გადაიხადა, აქაოდა, ვასილ სტეფანეს ძე, წეპო ბურდღას ძე, იესე პეტრეს ძე და ტაია კონსტანტინეს ძე გრიგოლიებზე ნაკლები რით ვართ, ჩვენც ამ გვარის გახლავართო, ჰოდა, გააზნაურდნენ იოთამის შვილები: ივანე და ბახვა, გოგის სამივე ვაჟი — ალექსანდრე, გიგო და ბესარიონი, მათ არც თედორეს ნაშიერი — იესე, გაიოზ და ანდრო ჩამორჩნენ, ამავე გვარის იგორ და ბახვა იესეს ძემ და ალექსანდრე ჯატუს ძემაც აიხდინეს საწადელი. ერთი სიტყვით, მარტო თეკლათში, სენაკის მაზრის ერთ პატარა სოფელში, გრიგოლიების გვარის 16 პიროვნება აშორდიას და მისი დამქაშების დახმარებით გახდა ის, რაც არ იყო, ამავე სოფელში მამისთვალ ხიტუს ძე სალაყაიაც გააზნაურდა, ესეც მეჩვიდმეტე შემომატებული აზნაური თეკლათიდან.

თეკლათის შემდეგ ყველაზე მეტად ზუგდიდის მაზრის სოფელ კახათის მკვიდრნი აქტიურობდნენ, თავიდან ილარიონ ივანეს ძე, ივანე შოთას ძე, მღვდლები — ეგნატე და ვასილ ნიკოლოზის ძე, გიორგი და ოქროპირ გიორგის ძე, თევდორე და ევგენი სპირიდონის ძე ცხაკაიები გააზნაურდნენ, შემდეგ დუტუ და ივანე სიმონის ძე ჩემინავები; ზუგდიდშიც არ იყვნენ გულხელდაკრეფილნი, სოლომონის

მშობლიურ ქალაქშიც დიდი გასავალი ჰქონდა ბოძებულ აზნაურობას. ზუგდიდელი ტაია (იგივე მათე), მანუჩარ (იგივე ტოჩა), ალექსი და ნესტორ (იგივე კაცია) ბატას ძე გაბუნიებმა ამ წელს აიხდინეს საოცნებო და სანატრელი. სასამართლო საქმეში კიდევ ერთი ზუგდიდელია დასახელებული, ესაა გვაჩი სკვამის ძე აშორდია, სოლომონის მამა. ასე რომ, ცნობილმა ავანტიურისტმა და საბუთების გამყალბებელმა მამასაც უბოძა აზნაურობა, თანაც მემკვიდრეობით, შვილებსა და შვილიშვილებზეც, მთელ ნაგრამზეც რომ გადავიდოდა, ბაბუა — სკვამი ივანეს ძე და მამა გვაჩი სკვამის ძე გააზნაურა და შვილებიც, ბუნებრივია, ასეთად იქცნენ. საფიქრებელია, ფულს არ გამოართმევდა, ისე, უფულოდ სხვას არავის არაფერს უკეთებდა, ეს ერთი უფულო საქმე თვითონ ჭირდებოდა, თვითონაც ერეოდა ბრწყინვალე წოდებაში. სასამართლო საქმეებში სკვამის ბიჭის მოწმობაცაა მოტანილი, სადაც გარკვევით წერია крестьянин, მერე კი იგიც და მისი შვილებიც „დვორიანინებია", რა თქმა უნდა, ყალბი, გაცუდებული დროების წყალობით აღზევებულნი. ისე, რა გასაკვირია, სხვებს აკეთილშობილებდა გვაჩისა და გულუას ქალის ვაჟიშვილი და საკუთარ თავს ამ მარაქაში როგორ არ გარევდა.

გარია კიდეც — სკვამი აშორდიაც, ლემონჯავას გვარის ქალი — მაკა რომ ჰყავდა ცოლად, აზნაური იყოო — ეუბნებოდა სხვებს და გვაჩის გლეხობაზე ვიღას მოუბრუნდებოდა ენა, მითუმეტეს მათ შვილებზე — ალექსანდრეზე, სოლომონზე, მიხეილზე, გერმანესა და ივლიტაზე. ოთხი ძმიდან ერთი ადრე გარდაიცვალა. ორი ერთ გზას დაადგა, გზას მრუდესა და ხიფათიანს. ამიტომ სოლომონი და მისი ძმა — მიხეილი — სასამართლო საქმის ყველა ფურცელზე აზნაურებად არიან მოხსენიებული.

ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი გვაჩის მეორე ცოლთან ზესა (მზეხა) გულუას ქალთან შეეძინა, პირველთან — მართა კაკულიასთან (მშობიარობას გადაყვა) — სამი ქალიშვილი ჰყავდა. ალბათ ისინიც აზნაურის ასულნი გახდებოდნენ.

საერთოდ, აშორდიები სოფელ კურზუდან იყვნენ. მე-20 საუკუნის დასაწყისში ზუგდიდში ორად-ორი — ჩვენი და თაყა აშორდიას ოჯახი ცხოვრობდაო — იხსენებს ტული აშორდია — სოლომონის ბაბუას, სკვამის, მიწის ნაკვეთის გამო ერთ-ერთ დადიანთან მოსვლია ჩხუბი, დადიანს გაურტყამს, შეურაცხყოფილ აშორდიას კი იგი ხანჯლით გაუგმირავს. ამის შემდეგ სოფელში აღარ დაედგომებოდათ, მისი ცოლი ლევან დადიანს შეუკედლებია, სკვამი კი სადღაც გადაკარგულა.

ასეთია მოკლე ისტორია აშორდიათა.

ისევ გათავადებულ-გააზნაურებულებს მივუბრუნდეთ.

სოფელ ჯაპანაშიც ორი გვარი გახდა აშორდიელთა დახმარებით აზნაური — ესენი იყვნენ: ნიკო ბაკიჩას ძე ცომაია და ბახვა და ალექსანდრე მახოს ძე თოფურიები. სენაკის მაზრის სოფელ შხეპშიც შეიცვალა სოციალური მდგომარეობა — ჯერ ივანე ნიკოს ძე კინწურაშვილი გააზნაურდა, მერე ვახტო, როსტო და მაქსიმე დავითის ძე მხეიძეები გათავადდნენ. ცაიშელი მიხეილ ბურდღუს ძე, ივანე და ბახვა ხიტუს ძე რატიანები, ლეჯიხელი დიტო ივანეს ძე ჟვანია, ბეთლემის მკვიდრი მურზაყან და წეპო ბარკალაიები, სენაკის მაზრის სოფელ სუჯუნაში მცხოვრები დავით გვათუს ძე, ათანასე, სამსონ, ამბაკო და გიორგი დიმიტრის ძე ხოშტარიები; ნაესაკოვოელი ივანე, შოშია და ალექსი როსტომის ძე ჩაჩავები, უშაფათელი ჯატუ და ლევან ხიტუს ძე ხუბუებიც არ ჩამორჩნენ სხვებს, უცებ აუღეს ვითარებას ალღო და აშორდიელთა ხშირი შეწუხებით, ხვეწნით, მუდა-

რით, გასაღების გაღებით, გადასახდელის გადახდით აისრულეს ოცნება.

რამდენჯერმე აღვნიშნეთ, აშორდიას აზნაურობას არა მარტო სამეგრელოს მოსახლეობა ღებულობდა-მეთქი, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის მკვიდრნიც ეტანებოდნენ სანუკვარ და საოცნებო წოდებას. ეტანებოდნენ, ღებულობდნენ კიდეც. აშორდიას ჰქონდა სამეგრელოს მთავრების — ლევან და დავით დადიანების, გურიის მთავარ მამია გურიელის და იმერეთის მეფე სოლომონ მეორის ბეჭდები. ასე რომ, ნებისმიერ საბუთს აყალბებდნენ ყალბისმქმნელები, რაც სურდათ, წერდნენ შიგ და ასწორებდნენ „ისტორიის უსამართლობას“. 1898 წელს ოფშკვითელი მღვდლები — სამსონ კოზმას ძე, დიმიტრი და სიმონ გიორგის ძე, ლუკა ლეონტის ძე, ირაკლი და გიორგი ივანეს ძე, ისმაილ დავითის ძე, თადეოზ და იპოლიტე იროდის ძე, ეპიფანე მოსეს ძე ნიჟარაძეები გათავადდნენ. ასევე მოიქცნენ სოფელ გეზათის (ქუთაისის მაზრა) მკვიდრები სპირიდონ ივანეს ძე, ანტონ და ბიკენტი ალექსანდრეს ძე ბოკერიები. საწულუკიძეოში მცხოვრებმა, ესეც ქუთაისის მაზრაა, ალექსანდრე ივანეს ძე წულუკიძემ (ამ კაცს მერეც გავიხსენებთ), ლევან დადიანის 1822 წლის 10 იანვრის ვითომ წყალობის სიგელი წარადგინა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოში და გახდა აზნაური. იყო კიდევ ერთი წარმომადგენელი ამ გვარისა, — უკანონოდ ნაშობი სიმონ დავითის ძე წულუკიძე, რომელიც ვერასდროს იოცნებებდა აზნაურობაზე, მაგრამ აშორდიელთათვის ყველაფერი შეიძლებოდა — ნაბუშრობასაც არად დაგიდევდნენ, აკეთილშობილებდნენ. ძვირფასი სიმონი არასდროს ყოფილა სამეგრელოში, ამ კუთხის აზნაურად კი იქცა. წულეისკირის სიმამრი იყო და სიძემ საჩუქრად მიართვა ბრწყინვალე წოდება. მერე აშორდიელთა აგენტობაც, „ივერია“ რომ აბლიკატებს ეძახდა,

იკისრა, კლიენტის მოძებნას არ თაკილობდა, კარდაკარ დაეხეტებოდა, მსურველს პოულობდა, ლუკმა-პურის ფულიც გაუჩნდა უპოვარსა და უქონელს. აზნაურობა „დაიმტკიცა“ რაჭის მაზრის სოფელ ტოლაში მცხოვრებმა ალექსანდრე ივანეს ძე ყიფიანმა, სოხუმის ოლქის სოფელ საზუხუბაიოელმა ბახუ ჯორჯიკის ძე ზახუბაიამ, სუჯუნელმა მურზა ქრისტეფორეს ძე ნოდიამ, ამ წელს გააზნაურდნენ, აგრეთვე, სოფელ უსახელოში მცხოვრები ძმები — ოქროპირ და სიმონ დავითის ძე მამარდაშვილები, ოჩხომურელები უტუტია, სტეფანე და გიორგი უტუს ძე ლაკერბაიები, სოფელ ეკის მკვიდრნი — ლუკა ივანეს ძე და მარკოზ ნიკოს ძე ფარცვანიები, ხეთელები — გუტა (იგივე პროკოფი) და ბარდღა (იგივე გაბრიელ) ჯუტუს ძე, კინტირია (იგივე კირილე) თეიმურაზის ძე კობახიძეები, მაცხოვრისკარელი მღვდელი აბაკუმ ივანეს ძე თოფურია.

ესენი ერთ წელიწადში გააზნაურებული ან გათავადებული ადამიანები არიან. მომდევნო წელს უფრო დიდი იყო მოთხოვნა ყალბ საბუთებზე, მაგრამ სჯობს, ჯერ მივყვეთ იმ მოვლენებს, აშორდიელთა ნაყალბევის გამჟღავნების შემდეგ რომ მოხდა.

ორი აბასთუმანი

ერთი აბასთუმანი ბორჯომის მხარეშია, მეორე — სამეგრელოში, შეიძლება კიდევ ერქვას რომელიმე გეოგრაფიულ ადგილს ამგვარი სახელი, მაგრამ ჩვენ ეს ორი გვაინტერესებს.

იქითა აბასთუმანი — განუმეორებელი კურორტი, რომანოვთა კუთვნილი სასახლითა და შემოგარენით, აქეთა — სამეგრელოს ერთი ჩვეულებრივი სოფელი, არაფრით გამორ-

ჩეული, მდინარე ჯუმი მოედიინება შუასოფელში, სიმინდი მოჰყავთ აქაურებს, როგორც ყველგან ამ კუთხეში, ცხოვრობენ ღარიბულად. ერთი სიტყვით, იმ აბასთუმნისა და ამ აბასთუმნის შედარებაც არ შეიძლება, ის სხვაა, ეს — სხვა, თუმცა რა შედარებაზეა საუბარი, სახელები სულაც ერთნაირი ჰქვიათ — აბასთუმანი იქ, აბასთუმანი აქ.

ზუგდიდის მაზრის სოფელი აბასთუმანი ეკატერინე ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა, გარდაცვალების მერე კი მისი შვილი, დავით მინგრელსკი გახდა ამ სოფლის სრულუფლებიანი პატრონი და გამგებელი.

არ ვაჭარბებ, აქაური აბასთუმანი მხოლოდ იმით თუ იამაყებდა, იგივე სახელი რომ ერქვა, როგორც იმას — ბორჯომის მხარეში მდებარე მშვენიერ სააგარაკო ადგილს.

სოლომონ აშორდიამ შეიტყო, რომ ვილაც ფრანგ თუ გერმანელ ფრანც ფრანცის ძე პროტცერს საქართველოში საკურორტო ადგილის შეძენა სურდა. მაშინვე გაუკრთა მაკვარანცხი აზრი გონებაში.

— ჩვენი აბასთუმანი მივყიდოთ, — უთხრა დავით მინგრელსკის და თვალები მოჭუტა.

მთავრის შთამომავალს გაელიმა, იმ წუთს სულაც არ უფიქრია, ამის გათამაშება თუ შეიძლებოდა, მაგრამ სოლომონის „გაკეთებული“ საქმეები რომ გაიხსენა, შესაძლებლად ჩათვალა.

თავიდან არც ჰო უთქვამს, არც — არა.

— მივყიდოთ ჩვენი აბასთუმანი, საქმის მოგვარება მე მომანდეთ, — ისევ გაუმეორა აშორდიამ.

— მივყიდოთ... — ღიმილით დაეთანხმა მინგრელსკი.

სოლომონ აშორდიამ ისე შეადგინა საბუთები, რომ არსად იყო ნახსენები, ეს სოფელი სად, რომელ მხარეში მდებარეობდა, მხოლოდ ის იყო ნათქვამი, მთავრის საკუთრება რომ გახლდათ და აწი პროტცერისა ხდებოდა.

მათთვის ჩვენი აბასთუმანიც კურორტია — ფიქრობდა გულში აშორდია და იმას ანგარიშობდა, ისეთი არაფერი გამორჩენოდა, უცხოელი რომ მსწრაფლ იეჭვებდა.

შედგა გარიგება.

პროტცერმა იყიდა აბასთუმანი, მაგრამ არა ის, რომელიც ეგონა, არამედ ზუგდიდის მაზრის ერთი ჩვეულებრივი სოფელი.

მიხვდა, რაც დაემართა, მაგრამ არ გაუპროტესტებია, ჩივილსა და დავიდარაბის ატეხვას აზრი აღარ ჰქონდა — გააცურეს, — გააცურეს. ახლა იმაზე უნდა ეფიქრა, როგორ გამოეყენებინა ცეცხლის ფასად ნაყიდი და შეძენილი.

სპირტის ქარხანა მოაწყო აბასთუმანში, ყიდულობდა გლეხებისგან სიმინდს, ხდიდა არაყს და სპირტს. მართალია, სხვა უნდოდა და სხვა შერჩა ხელთ, მაგრამ წაგებით არაფერი წაუგია, მშვენიერ მოგებას ნახულობდა სამეგრელოს ერთი ჩვეულებრივი სოფლიდან.

სოლომონის ძმისშვილს — ტული აშორდიას თუ დავუჯერებთ, ეს ამბავი ნამდვილია, მამისა და სხვებისგანაც მოუსმენია, უკითხავს, დაუდასტურებიათ, ამიტომაც ჩაუწერია უბის წიგნაკში მშვენიერი კალიგრაფიით (მის ნაწერს რომ ნახავ, გაიფიქრებ, მემკვიდრეობით წერდნენ კარგად, გამორჩეულად ლამაზად) ბიძის ეს საარაკო ამბავი.

ტულის, იმის დასადასტურებლად, რომ იქაური აბასთუმანი პროტცერს ეკუთვნოდა, ქუთაისის „საგუბერნიო უწყებანში" ასეთი ინფორმაციაც მოუძებნია.

აი, რას წერდა ეს გაზეთი 1902 წლის 29 ივნისს:

„ქუთაისის ნოტარიუსი ივლიანე გრიგოლის ძე ანჯაფარიძე გაცნობებთ, რომ ზუგდიდის მაზრის სოფელ აბასთუმნის მფლობელს ფრანც ფრანცის ძე პროტცერს დაეკარგა ამ სოფლის ნასყიდობის მოწმობა, რომელიც ქუთაისის საოლქო სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ იყო და-

მონმებული 1902 წლის 25 თებერვალს. მპოვნელს ვთხოვთ, დასახელებული დოკუმენტი ან სანოტარო კანტორაში ან კიდევ ქუთაისის პოლიციის სამმართველოში მიიტანოს."

როგორც ჩანს, პროტცერს მართლაც შეუძენია აბასთუმანი, შეიძლება, ჯერ მიყიდეს, მერე მოპარეს ნასყიდობის ფურცელი, ამასაც ვერ გამოვრიცხავთ.

მეორე აბასთუმნით რომ იყო დაინტერესებული და სხვა შერჩა ხელთ, გაზეთში არაფერია ნათქვამი. სოლომონ აშორდიამ დაახლოებით იგივე გააკეთა, მაჭანკალი რომ სხვას ანახვებდა სასიძოს საპატარძლოდ, მერე სხვას შეაჩეჩებდა. იგივე არ დაემართა ლუარსაბს?!

ზუდგიდის მაზრის სოფელ აბასთუმნის აყვავებაზე გაზეთი „ივერიაც" წერდა 1902 წლის 11 დეკემბერს:

„ს. აბასთუმანი (ზუგდიდის მაზრა). აბასთუმანი 7 ვერსის მანძილზე მდებარეობს ზუგდიდიდან. ეს სოფელი ეკუთვნოდა თავ. მენგრელსკის და მან ეს სოფელი, ერთი წლის წინად, ვიღაც გერმანელ მდიდარს მიჰყიდა. გერმანელი დაბრუნდა, სოფლის შეძენის შემდეგ, სამშობლოში და, რამდენიმე ხნის შემდეგ, 50-მდე მოსახლე გერმანელი გლეხები ჩამოიყვანა. ეს გერმანელები ერთი წლის წინად დასახლდნენ ამ სოფელში და თავისებურად მიწის შემუშავებას შეუდგნენ. მოჰყავთ: პური, სიმინდი, კართოფილი, კომბოსტო და სხ. გააშენეს: მსხალი, ვაშლი, ბალი, ატამი და სხვა. ჰყავთ თავის სამშობლოდგან ჩამოყვანილი ცხენები, ძროხა, ხარები,. ძალიან მდიდრულად ცხოვრობენ და უკვირთ, რომ აქაურები ასრე ღარიბნი ვართ. სოფელში ჩამოდის მოჩუხჩუხე, წმინდა მდინარე ჯუმი, რომელიც მათ ძალიან მოსწონთ და აქაურ წყალს ხმარობენ სასმელად. თავისი ნამუშევარი მიაქვთ ზუგდიდის ბაზარში და იქ ჰყიდიან. დიაღ, ბატონებო, ვიღაც გერმანელი სამეგრელოში მდიდრდება."

პროტცერმა მშვენიერად მოაწყო აბასთუმანი, შეცდა, მაგრამ ქართველებს ის მაინც დაანახა, როგორ შეიძლება ერთი ჩვეულებრივი სოფლიდან დიდი სარგებლის მიღება.

ნეტავ, აშორდია თუ ახსენდებოდა, ეშმაკურად რომ გააცურა, თუ ჯავრობდა, განიცდიდა. სოლომონი რომ არ მიიტანდა გულთან ახლოს ამ ამბავს, ნაღდია — მისი ჭკუა და გონება ხომ ასეთების გაჩალიჩებისთვის იყო მომართული.

აჩალიჩებდა კიდეც.

სხვა უნდოდა და სხვა მიჰყიდა, მეტი რა უნდა ექნა?!

სასტუმრო „ევროპის“ ოცდამეოთხე ნომერი

სოლომონ აშორდიას საქმეზე წინასწარი გამოძიება 1900 წლის 22 იანვარს დაიწყო. კალიგრაფიული ექსპერტიზით დადგინდა, რომ თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში მიტანილი სამეგრელოს მთავართა, ლევან და დავით დადიანების წყალობის სიგელების, ბრძანებების, ამავე მთავრების გასაელის წიგნთა ამონაწერების და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორიდან ვითომ გამოგზავნილი ცნობების, ერთი სიტყვით, თავადობის ან აზნაურობისათვის საჭირო სხვა დოკუმენტთა უმეტესი ნაწილი სოლომონ აშორდიას მიერ იყო შექმნილი. აგენტები, ხელისდამცლელები, კლიენტის მშოვნელები არიგებდნენ ამ საბუთებს, მჭედელ გვაჩის ვაჟიშვილი სოლომონი, უმეტესად, წერდა, ყალბს ამგვანებდა ნამდვილს.

ექსპერტიზამ დაადგინა დოკუმენტების სიყალბე, რამდენიმე მოწმემაც სოლომონ აშორდიას დაადო ხელი და დაიჭირეს.

თავს დამნაშავედ არ ცნობდა, მართალი ვარო, გაიძა-

ხოდა, არსებითს, გამართლებისათვის საჭირო, საგულისხმო არგუმენტს ვერაფერს ამბობდა, მაგრამ მაინც ირწმუნებოდა უდანაშაულობას. ექსპერტიზამ უმტყუნა, მოწმეთა ნაწილმაც დაფქვა დასაფქვავი, ამიტომ ეს გზაღა დარჩენოდა, უდანაშაულობა აეჩემებინა და აიჩემა კიდეც.

უდანაშაულო ვარო, ამბობდა, უფრო — ყვიროდა. არ სჯეროდათ. ეს მაინც გაიძახოდა, ერთხელ ნათქვამს იმეორებდა მრავალჯერ. სურდა, ეწადა, როგორმე დაეძვრინა თავი. მართალი ვარ, მართალი ვარ-ის ძახილმა გაქრა — დროებით გამოძვრა... სოლომონ აშორდია საქმის საბოლოო გამოძიებამდე თავდებით გამოუშვეს. თავდებად ნიკოლოზ დადიანი დაუდგა 5 ათასი მანეთით.

ციხეში, უდანაშაულო ვარო, ამბობდა, გარეთაც იგივეს იმეორებდა, რა საბუთები, რა სიგელები, რომელი მეფე ერეკლე, ან სოლომონ ბრძენი მე ვარო, იძახდა — ეს ყვირილი, დაჟინებით ერთი და იგივეს თქმა უფრო დამნაშავე კაცის ნათქვამსა ჰგავდა, ვიდრე უდანაშაულოსას, ხანდახან იმასაც ჩაურთავდა, დამთავრდება გამოძიება და ნახავთ, ყველაფერს მოეფინება ნათელი, თეთრს თეთრი დაერქმევა, შავსაც შავი, მე მართალი ვიქნებიო, ამას ამბობდა, სხვის დასარწმუნებლად იქცეოდა ასე, თორემ გულით სხვას ფიქრობდა, ეშინოდა, ძრწოლით ელოდა გამოძიების დასრულებას, არადა, ოდესღაც იგიც ხომ გასრულდებოდა, არ გაგრძელდებოდა უსასრულოდ, დაესმებოდა წერტილი, მაშინ რაღა უნდა ექნა, რა მოეფიქრებინა, როგორ დაეძვრინა ერთხელ უკვე დაძვრენილი თავი.

1902 წლის ივნისში დამთავრდა გამოძიება და ბრალდების გასაცნობად სოლომონიც გამოიძახეს, მაგრამ შინ ვერ ნახეს. თავადმა ნიკოლოზ დადიანმა არ შეასრულა მართლმსაჯულებისათვის მიცემული პირობა — ადრე რომ ამბობდა, გამოძახებისთანავე მოგგვრით, არ იფიქროთ, სამარ-

თალს გაექცეს, თვითონაა დაინტერესებული ჭეშმარიტების გარკვევით, გამოძახებული არ იქნება, თქვენთან რომ გაჩნდება, თან თავდებობისათვის ამოდენა თანხას, 5 ათას მანეთს, ტყუილად ხომ არ გადავყრითო, ახლა ყურიც არ გააბარტყუნა.

გამოიძახეს, შინ არ იყო. არ ვიცი, სადაა, სულ შინ გახლდათ, გელოდათ, — უთხრათ დადიანმა, ნიკოლოზმა, თავადმა, 5 ათასი მანეთის გადამხდელმა კაცმა, ამ საქმეებში გარეულმა, ჩახედულმა და საკმაოდ გაცნობიერებულმა.

1902 წლის 10 ივლისს ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა ფოსტით მიიღო სოლომონ აშორდიას მიერ ბათუმიდან 8 ივლისს გამოგზავნილი თხოვნა, სადაც ეჭვმიტანილი წინასწარი გამოძიებით წარდგენილი ბრალდების შეცვლას ითხოვდა.

დავაკვირდეთ, 8 ივლისს გამოაგზავნა ბათუმიდან, 10 ივლისს პროკურორს ხელთ ეჭირა ქუთაისში, ორი დღის შემდეგ კი, 12 ივლისს, ბათუმის პოლიცმეისტერმა სასამართლოს გამომძიებელს გამოუგზავნა ბათუმის პოლიციის წინასწარი გამოძიების ოქმი, რომელიც ძალიან ჰგავს აკუტაგავა რიუნოსკეს „უსიერ ტყეს“, თუმცა ასე შორს რატომ წავიდეთ, მისი გავლენით შეთხზულ რეზო ჭეიშვილის „რასემონსაც“. უბრალოდ, ერთ ოქმში მოქცეულ მოწმეთა ჩვენებებს ცალ-ცალკე თუ წარმოვადგენთ, თანაც მცირედით გავამძაფრებთ, აქცენტს ძირითადზე, არსებითზე გადავიტანთ, რეზო ჭეიშვილის სტილს მივამგვანებთ, აშორდიას ამბების გამჟღავნებიდან 20 წლის მერე, ზუსტად იანვარში, იაპონელის დაწერილი მოთხრობის, კაი გვარიანი წლების მერე შეთხზული „რასემონის“ აზრობრივი და სტრუქტურული ჩანასახიც მზად იქნება.

მაშ, დავიწყოთ:

ᲠᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲐᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲘᲡᲢᲐᲕᲐ

ბათუმის სატყეოს პისარი ბოროვიკოვი და ერობის ზედამხედველი გორშიკოვი 1902 წლის 9 ივლისს, საღამოს 10 საათზე, საბანაოდ შევიდნენ ზღვაში. რა ეცურავებოდათ ასე გვიან, ვერ დავადგინეთ. შეიძლება, სიცხემ შეაწუხათ, ან სხვა განზრახვა ჰქონდათ, იქნებ სულაც მოესურვათ ზღვის ტალღებზე ლივლივი. იმ დღეს არც ისე დაკავებული ყოფილან, როგორც ერთ-ერთი ამათგანი ამბობს, თუმცა მეორე (ზედამხედველი გორშიკოვი) არ ეთანხმება — თავის მოსაფხანად არ მეცალაო. ჰოდა, თავსაც მოიფხანდნენ, ტანსაც გაიგრილებდნენ საღამოს, უფრო სწორად, ღამისპირის ზღვაში. გასარკვევია, 9 ივლისს როგორი ამინდი იყო, მახსოვს, მთელი დღე წვიმდა, მოწმეები მიმტკიცებენ — თაკარა სიცხე აჭერდა დილიდანო.

ორივე ამბობს, ანუ ორივე აცხადებს, ეთანხმებიან ერთმანეთს, რომ მათთან ერთად ცურავდა ვიღაც უცნობი, რომელიც მოულოდნელად გაქრა, კარგა ხანს ხედავდნენ, უყურებდნენ, როგორ ადგაფუნებდა ტალღებს, ეტყობა, მაგარი მოცურავე იყო. მე დავყვინავდი, გორშიკოვი ხედავდა, ის დაყვინავდა, მე ვხედავდი — ამბობს ბოროვიკოვი. იგივეს იმეორებს მეორე ანუ მოუცლელი გორშიკოვი. ორივეს უკვირს, ასე ერთდროულად როგორ დაყვინეს, რომ ის უცნობი დაეკარგათ მხედველობიდან. უნდა ვიფიქროთ, რომ დაყვინეს, ჩაყვინეს, ამოყვინვა შეაგვიანდათ, თუმცა ამ საკითხში ორი კაცის აზრი განსხვავებულია — ერთი (ბოროვიკოვი) ამბობს, წყალში ჩაყვინული დიდხანს ვერ ვძლებო, მეორე არ ეთანხმება, მაგას დროის შეგრძნება დაკარგული აქვს, ჩაყვინავს, აღარ ამოყვინავს, გადაგრევს კაცს, ნერვებს დაგაწყვეტს, მკვდარი გეგონება, ცოცხლად მოგევლინებაო.

უცნობი კაციც ყვინთავდაო, — აცხადებს ერთი (გორშიკოვი), ჩაისუნთქავდა ღრმად და შიგადაშიგ ჩაყურყუმალავდებოდა, ჩაეშვებოდა წყალში, ამოყვინთავდა, ამოისუნთქავდა გულბოყვით, სულმოთქმით, შვებით, ერთგვარი ნეტარების მომგვრელი რომაა, ვისაც გამოუცდია, რა თქმა უნდა.

უცნობი კაცი ბანაობდა. ზედმეტ ყურადღებას არ ვაქცევდით, არც გვაინტერესებდა, უხერხულია თვალყურის დევნება, კაცი ცურავს, ნებივრობს, შენ რატომ უნდა მიაშტერდე, მიაკვირდე, ზღვა ყველასია. მერე გაქრა, სადღაც დაიკარგა. სარწმუნოდ შეგვიძლია ვთქვათ, დაიხრჩო, თუმცა არც იმაში ვართ ღრმად დარწმუნებული, რომ გამოვიდა ნაპირზე და აითესა. ისიც გასათვალისწინებელია, ტანსაცმელს რატომ დატოვებდა, შიშველი სად აითესებოდა. ალბათ დაიხრჩო, ჩაყვინთა, ვეღარ ამოყვინთა — ამბობენ გორშიკოვი და ბოროვიკოვი, ორ ხმაში ყვებიან ერთსა და იმავეს. უფრო დამხრჩვალი ჰგონიათ...

უცნობ კაცს ნაპირზე დარჩა ტანსაცმელი, რომელშიც აღმოჩნდა ვინმე სოლომონ აშორდიას ხელმოწერილი ორი თხოვნა, ერთი — ქუთაისის საოლქო პროკურორის, მეორე — ზუგდიდის მაზრის უფროსის სახელზე შედგენილი. ქაღალდები ახალუხის შიგა ჯიბეში იდო. ეტყობა, ძალიან უფრთხილდებოდა. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ფურცლებს მაინც წაიღებდა, ამიტომ ვამბობთ დარწმუნებით, კი არ აითესა, დაიხრჩო, ტალღებმა გაიტაცა, მიყვა, მინებდა, ეგონა, გამოცურავდა, ვეღარ გამოცურა და დაიხრჩო. შესაძლებელია, გვამი ზღვამ გამორიყოს მოქცევის დროს, შესაძლებელია — არა. ასეც მომხდარა, ისეც. ახლა მიქცევაა, დაველოდოთ მოქცევას, იქნებ გამორიყოს, იქნებ — არა. დამხრჩვალს ტანსაცმელში ჰქონდა, აგრეთვე, სასტუმრო „ევროპის“ ოცდამეოთხე ნომრის გასაღები, რომელშიც სოლომონ აშორდია იყო დაბინავებული... გაპარვა ან

დამალვა რომ ნდომოდა, გასაღებსაც მოისვრიდა და ამით გათავდებოდა ყველაფერი, ამიტომ გვჯერა, დაიხრჩო, მაგარი მოცურავე იყოო — ამბობენ გორშიკოვი და ბოროვიკოვი, მაგრები უფრო ხშირად ეწირებიან ზღვას.

ზღვაში მოცურავე უცნობი კაცი ბერძენ მარულიდსაც შეუნიშნავს. იგი ვინმე ანტონ მიქავასთან ერთად ბანაობდა. მისულა კიდეც გორშიკოვთან და ბოროვიკოვთან და ტანსაცმელზე მიუთითებია: ამის პატრონი ზღვაში ბანაობდა და ხომ არ დაიხრჩოო, — უკითხავს. მათ კიდევ ყურადღება არ მიუქცევიათ, ამ დროს ღამდება და მობანავეს ველარც კი დაინახავ — ალბათ ამით იყო ამ ორი რუსის უყურადღებობა გამოწვეული, ისე, პატიოსანი ხალხი ჩანს, გულწრფელად დაინანეს ზღვაში დამხრჩვალი კაცი...

რა უთხრა მოსამართლეს სასტუმრო „ევროპის“ კონცესიონერმა პეტრე თალაკვაძემ

სოლომონ აშორდია 1902 წლის 7 ივლისს გემით ჩამოვიდა ბათუმში და ჩვენი სასტუმროს ოცდამეოთხე ნომერში დაბინავდა. მოსვლის დროს ანკეტას არ მავსებინებდა — რა საჭიროა, ორ-სამ დღეში წავალო. იმის გამხელაც არ უნდოდა, ვინ იყო, ჩავეძიე და მართალი თუ ტყუილი მითხრა, ვერ გეტყვით. ჩემი ჭკუით, დავაყაჭიე, აზნაური სოლომონ აშორდია გახლავართო, მაგრამ რა ვიცი, მართლა ის იყო თუ არა. სხვა დროს არსად მინახავს, არ ვიცნობდი. მოვიდა, საბუთი არაფერი ჰქონდა, ბოლოს სოლომონ აშორდიად გამაცნო თავი. იყო კი... კაი კაცი ჩანდა, წესრიგიანი, სისუფთავის მოყვარული. იმ დღესვე 20 წყვილი თეთრეული გამატანა გასარეცხად, მეორე დღეს ჩექმების „დაპაჩინკება“ მთხოვა, ერთიც მოვუგვარე, მეორეც... კარგად გადამიხადა — საფულე თუმნიანებით ჰქონდა სავსე. კაი კაცი ჩანდა საწ-

ყალი — ზღვაში ვიბანაო თუ აბანოში წავიდეო — მითხრა 9 ივლისს. როგორც გენებოთ-მეთქი, ვუთხარი. ზღვაზე წასულა, დამხრჩვალა უბედური, ისე, ძალიან ჩქარობდა, სოლომონ აშორდია იყო თუ ვიღაც, ყოველ შემთხვევაში, ასე გამეცნო, იყო, არ იყო — ვერ დავიჟინებ. ასეთ კაცს დასამალი რა უნდა ჰქონოდა, უფრო იყო, მატყუარას არა ჰგავდა. ძალიან ეჩქარებოდა, დამხრჩვალი რომ არ იყოს, აქამდე გამოჩნდებოდა და გაუდგებოდა თავის გზას. სასტუმროში ცხოვრების ქირის შემტყაპუნებელ კაცს არა ჰგავდა. ზედმეტს იხდიდა, ერთიორად, უფრო — ერთიათად გასცემდა.

რა უთხრა მოსამართლეს უბნის ზედამხედველმა ყარდაშევმა

ერთი კვირაა, ხალხს ვეკითხები, ზოგს პირდაპირ, ზოგს (უფრო საეჭვოებს) სხვათაშორის ჩამოვუგდებ ხოლმე სიტყვას სოლომონ აშორდიაზე. ერთნი ამბობენ — თურქეთის ქალაქ რიზაში გაიპარა, ზღვით გავიდა ბათუმიდან და მეზობელ სახელმწიფოს შეაფარა თავიო. ეს ამბავი უფრო სარწმუნო ჩანს, როგორც ამ კაცს ახასიათებენ, იგი ამის შემძლე და გამკეთებელი უნდა ყოფილიყო. თურქეთში გაქცევა ასლან ბეგ აბაშიძემ მოუწყო და 150 მანეთი დაუჯდაო, არც ეს მგონია საეჭვო, ასლანი ხომ ძალიან ბნელი კაცია. ვერ გაიგებ, რას ფიქრობს, რას აკეთებს. ამბობენ, ხალხის თურქეთში გადაყვანით და კონტრაბანდითაა დაკავებულიო — ესეც არ უნდა იყოს სიმართლისგან ძალიან დაშორებული. დიდი ფულის პატრონია ბატონი ასლანი, საიდან უნდა ჰქონდეს ამოდენა შემოსავალი, თვალში მოსახვედრს არაფერს აკეთებს, უფრო სწორად, ვერ გაიგებ, რას მოღვაწეობს და როგორ? თუ მართლა კონტრაბანდითა და ხალხის ემიგრაციაში გაშვებითაა დაკავებული, მაშინ ფული ექნება, აბა რა?! დღეს ხომ ყოველი მეორე გაქცევაზე ფიქრობს, ზოგს თურქეთისაკენ, ზოგს კიდევ რუსეთისაკენ აქვს გეზი აღე-

ბული. ჰოდა, ასლან აბაშიძეც უგვარებთ საქმეს, ფულს იღებს, გემებს ქირაობს და გადაჰყავს გადაყვანის მოსურნენი... მე მიცნობს, ჩემთან არაფერს იტყვის საინტერესოს, ვერაფერს დავაცდენინებ, სჯობს, მის ახლობლებთან დავიჭიროთ საქმე და შევიტყოთ შესატყობი, გავიგოთ გასაგები.

ეს ერთი ვერსიაა სოლომონ აშორდიას გაუჩინარებისა...

მეორენი კი ფიქრობენ, რომ ბათუმში არავითარი სოლომონ აშორდია არ ჩამოსულა, მისი სახელ-გვარით ჩამოვიდა სხვა, იგი დაბინავდა სწორედ სასტუმრო „ევროპაში". თავი გაასაღა აშორდიად, ასლან აბაშიძესთან მოაგვარა საქმე და აითესა, იმასაც ამბობენ, ზღვაში მეორე, სოლომონ აშორდიას მეორე ორეული, უფრო სწორად, ასლან აბაშიძის კაცი ბანაობდა, ტანსაცმელი სწორედ მან დაყარა ნაპირზე ნამდვილი სოლომონ აშორდიასი, რომელიც პირველმა თვითმარქვია სოლომონმა ჩამოიტანა ბათუმში, მეორე თვითმარქვია კი შევიდა ზღვაში, იბანავა მშვენივრად, რომელიღაც გემს შეახტა და ისევ მალე დაბრუნდა ქალაქში.

ამას ამბობს ხალხი, თუმცა სიმართლეს რას გაიგებ, ხომ იცით, ჭორი როგორ სწრაფად და რამდენნაირად ვრცელდება. თუმცა ამ ამბებშიც უნდა იყოს ნატამალი სიმართლისა, ასლან აბაშიძე რომ ბნელი კაცია, ამას მტკიცება არ უნდა.

რა ეწერა გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის" 1902 წლის 20 ივლისის ნომერში

„აშორდიას ინციდენტი სულ უფრო მეტ ადამიანს აღელვებს. ხუთი დღე გავიდა და დამხრჩვალის გვამი ვერსად იპოვნეს, ზოგიერთები დაბეჯითებით ამტკიცებენ: დაიხრჩო, ნამდვილად დაიხრჩო. რატომ ნამდვილად? დამნახავი არავინ ყოფილა. ბანაობისათვის აშორდიას მეტად საეჭვო დრო აქვს შერჩეული, გვიანი საღამო, თითქმის ღამე, ამ დროს, ბუნებრივია, მისი დამნახავი და შემმჩნეველი ვინ იქნებოდა?!"

რა უთხრა მოსამართლეს სატყეოს პისარმა ბოროვიკოვმა

მე და გორშიკოვმა ზღვაში ბანაობა გადავწყვიტეთ, მაგრამ ბულვართან რომ მივედით, ჩაფრები დავინახეთ და გადავიფიქრეთ. ამ დროს მოვიდა ჩვენთან ვიღაც უცხო კაცი და გვკითხა — რაშია საქმე?! ჩვენ ვუთხარით, რაც გავიფიქრეთ, ერთი თქვენც მოგცლიათ, წამოდით, ვიბანაოთო — დავყაბულდით. უცნობმა გაიხადა და ჩვენს ახლოს დაყარა ტანსაცმელი. ჩამოძონძილი ჩოხა ეცვა, თავადს ან აზნაურს არა ჰგავდა. სახეზე არ მახსოვს, არ დავკვირვებივარ, რომ მანახოთ, ვერ ვიცნობ. ჩვენთან ახლოს ბანაობდა, თუმცა კი არ ცურავდა, იდგა წყალში და სიღრმისკენ მიიწევდა. ეტყობა, ცურვა არ იცოდა. ზღვა იყო წყნარი, მოლივლივე. ჩვენ ვბანაობდით, ის წყალში იდგა, რასაც ჩვენ ცურვით გავდიოდით, სიარულით ფარავდა იგივე მანძილს. იდგა და მიდიოდა სიღრმისკენ. ამ დროს ახმედის გემმა ჩაიარა, არ დაგვინახავს, ის უცხო კაცი ავიდა თუ არა მასზე. იქნებ ავიდა, იქნებ — არა. თუ გემს გაყვა, გადარჩებოდა, თუ არადა, დამხრჩვალი იქნება. ყვინთვა კი არა, ცურვაც არ იცოდა იმ საწყალმა. ჩაყვინთვით არც ჩვენ ვყვინთავდით, რატომ უნდა ჩაგვეყვინთა, ვცურავდით, ვხალისობდით, ასე, 20 წუთი ვიბანავეთ, გამოვედით ნაპირზე და ღვინის სმა დავიწყეთ. ამ დროს მოვიდა ჩვენთან ბერძენი მარულიდი და გვკითხა: სადაა ამ ტანსაცმლის პატრონი, თქვენთან ერთად ბანაობდა, ხომ არ დაიხრჩო საწყალი?! ჩვენ გავიკვირვეთ, თან ზღვაში ვერსად დავლანდეთ. რა ვიცით, მაშველები ხომ არა ვართმეთქი — ამ სიტყვებით მოვიშორეთ შემკითხველი. ის წავიდა, ყარდაშევი მოვიდა. იმან უფრო მეტი კითხვები დაგვისვა. ყველას ვუპასუხეთ, არ დავბნეულვართ, რატომ უნდა დავბნეულიყავით, ვიღაც უცხო კაცი ბანაობდა ჩვენთან ერთად, ან დაიხრჩო, ან — არა. რას გაიგებ, სახეზე მაინც მახსოვდეს, ასე რომ მგონებოდა, დავაკვირდებოდი, დავიმახ-

სოვრებდი მის გარეგნობას. ახლა, ბუნებრივია, არ მახსოვს. რომ მანახვოთ, — ვერ ვიცნობ, აშკარაა, ცურვა არ იცოდა, თორემ ისეთ მშვიდ და წყნარ ზღვაში სიარულს როგორ დაიწყებდა. ჩვენ ვცურავდით, ის დადიოდა, რა უნდა გვქონდეს საერთო. ცურვის უცოდინარი კაცი ზღვაში არ უნდა შედიოდეს, ეს კი უნდა ცოდნოდა იმ ჩამოძენძილჩოხიანს.

რა უთხრეს მოსამართლეს ასლან აბაშიძემ და დიმიტრი ჩიჩუამ

სოლომონ აშორდია რამდენიმეჯერ მოვიდა ჩვენთან. გაჭირვებული კაცი იყო, ფულს გვთხოვდა, ვასესხებდით, დაგვიბრუნებდა. გავიდოდა ერთი დღე, ისევ მოვიდოდა, ისესხებდა, დააბრუნებდა. სად უნდა გაქცეულიყო?! გასაქცევი ფული კი არა, საჭმლის ფული არ გააჩნდა საწყალს. პატიოსანი დამბრუნებელი კი იყო. ცურვა იცოდა თუ არა, ვერ გეტყვით. ზღვა უყვარდა, ხშირად ჩამოდიოდა ბათუმში და ალბათ ბანაობდა კიდეც. ცურვის მცოდნეც შეიძლება დაიხრჩოს და უცოდინარიც. სოლომონი გაჭირვებული, მაგრამ პატივმოყვარე აზნაური იყო, სხვისი პატივისცემა უყვარდა, სხვისი სიხარულით ხარობდა. ცოდვაა ასეთი ადამიანის დაკარგვა. ზღვა მაინც გამორიყავდეს საწყალს, რომ მისი ცხედარი უფრო გულმდუღარედ დავიტიროთ.

გამომძიებლის მინაწერი

ასლან აბაშიძეს სახეზე ვერაფერს შეატყობ, მამა აბრამის ბატკანი გეგონება, თეთრის შავად და პირიქით მოჩვენება შეუძლია. საუბრობს დინჯად, აუღელვებლად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ. ერთი ძარღვი არ შეუტოკდება საუბრის დროს, ვერ გაიგებ, გულით ამბობს თუ უგულოდ. დიმიტრი ჩიჩუას კი სახეზე აწერია, რამხელა მატყუარა, გაიძვერა, გაქნილი პიროვნებაცაა. ამას რომ არ უნდა ენდო, აშკარაა, იმას — ძნელად დასადგენი, ამოუცნობი.

რა უთხრა მოსამართლეს ანტონ მიქავამ

ბერძენ მარულიდთან ერთად ვბანაობდი. გამოვედით, ნაპირზე ვისვენებდით. „მრავალჟამიერის“ ხმა მომესმა. მიყვარს სიმღერა, თან ძალიან უცნაურად მღეროდნენ, დავინტერესდი, ვინ იყვნენ, ასე რომ აუშნოვებდნენ და ამახინჯებდნენ ჩვენს სათაყვანო „მრავალჟამიერს“. მარულიდი გავუშვი ამბის გასაგებად. მოვიდა და მითხრა — რუსები მღერიან, იქვე ვიღაც უცხო კაცის ტანსაცმელი ყრია, მე მგონი, მათთან ერთად ბანაობდა, ახლა კი ზღვაში არსად ჩანს და ალბათ დაიხრჩო საწყალიო. სხვა არაფერი უთქვამს, ის თავისი, მე ჩემი გზით წავედით.

რა უთხრა მოსამართლეს ბერძენმა მარულიდმა

ანტონ მიქავასთან ერთად ვბანაობდი. მან მითხრა: ზღვაში დაიხრჩო ვიღაც უცხო კაცი, რომელიც რუსებთან ერთად იყო და ახლა არსად ჩანს, ალბათ დაიხრჩო, თორემ ამდენ ხანს წყალში რა გააჩერებდაო. თან მთხოვა, მივსულიყავი მათთან და გამეგო რაიმე. ცნობისმოყვარე კაცი ვარ, კიდეც რომ არ ეთქვა, მაინც წავიდოდი ამბის გასაგებად. რამდენი ვინმე დამხრჩვალა ზღვაში, რამდენი ჩემს თვალწინ ჩაუთრევია ტალღებს. მივედი. მათთან ახლოს ეყარა ტანსაცმელი, ვკითხე — ამის პატრონი ხომ თქვენთან ერთად ცურავდა, ახლა სად არის, ხომ არ დაიხრჩო-მეთქი. ბოროვიკოვმა და გორშიკოვმა ერთი ამხედ-დამხედეს, კაი გამობრუჟულები იყვნენ უკვე. კითხვა ისევ გავუმეორე, უფრო დაკვირვებით შემომაშტერდნენ, მერე გინება დამიწყეს და გასალახად წამოიწიეს. მეც გავერიდე და წამოვედი.

რა აღმოჩნდა ადგილის დათვალიერების დროს

დათვალიერებით დადგინდა, რომ ვიღაც უცხო პირმა ზღვის ნაპირზე დატოვა შემდეგი ნივთები: ჟღალი ჩოხა, ახა-

ლუხი ვერცხლისფერი ქილებით, ქუდი, შარვალი, პერანგი და კალსონი, რომელზეც ამოქარგული იყო ს.ა. იგივე ასობგერა იგივე თანმიმდევრობით არის ამოქარგული ჩოხაზეც და ახალუხზეც. სასტუმრო „ევროპის" ოცდამეოთხე ნომერში აღმოჩნდა, უნდა ვიფიქროთ, თვით სოლომონ აშორდიას მიერ შედგენილი და მისივე ხელმოწერილი ნივთების სია. თუმცა ნაწერის ერთი ნაწილი სხვა ხელით, მეორე კიდევ სხვა ხელითაა შესრულებული, მაგრამ ხელმოწერა აშორდიასი უნდა იყოს, თუმცა ისიც განსხვავდება ანკეტაზე ხელმოწერილისაგან. ჩამოთვლილი ნივთებიდან არ მოიძებნა პირსახოცი (1ც), სამი წყვილი „ჩულქი", ოთხი ცხვირსახოცი, ლაკიანი ჩექმები, ხანჯალი, ინგლისური საფულე და ვერცხლის პორტსიგარი. არ აღმოჩნდა, აგრეთვე, ის ჩექმები, თალაკვაძემ რომ გაარემონტა. ოცდამეოთხე ნომრის დათვალიერებას ესწრებოდა ისიც და აღნიშნა, რომ ჟღალი ჩოხა აშორდიას ტანზე არ შემიმჩნევიაო, თეთრი კი, რომელიც იქვე იპოვნეს, იგივე ს.ა. ხელრთვით იყო დამშვენებული.

რა ეწერა ბათუმიდან გამოგზავნილ წინასწარი გამოძიების ოქმში

სოლომონ აშორდიამ ან დახრჩობის ან კიდევ გაქცევის ინსცენირება მოაწყო. ორივე იმისათვის სჭირდებოდა, რომ მართლმსაჯულებას დამალვოდა. თუმცა ერთ-ერთის სიმულაცია აჯობებდა. უნდა ვიფიქროთ, დაიხრჩო იმიტომ, რომ გაქცეულიყო და გაიქცა იმის გამო, რომ დამხჩრვალად მიეჩნიათ. თუმცა ისიც არ უნდა იყოს ნაკლებ სარწმუნო, რომ არც გაქცეულა და არც დამხრჩვალა, უფრო სწორად, ბათუმში ჩამოსვლამდე მიიმალა, აქ კი სხვამ (შეიძლება სხვებმა) ითამაშეს მისი როლი, რამდენად პროფესიულად (ე.ი. შენიღბულად), ამას ძიების შემდგომი პროცესი დაადგენს.

სოლომონ აშორდიას ნიკოლოზ დადიანის, თავდებად დამდგარი თავადის, გადარჩენაზეც უნდა ეფიქრა. დახრჩო-

ბის დამტკიცების (გვამის აღმოჩენისა და ვინაობის დადგენის) შემთხვევაში თავმდები გათავისუფლდებოდა და 5 ათას მანეთსაც უკან დაიბრუნებდა. მიმალვისას კი პასუხს მოთხოვდნენ და, ბუნებრივია, ფულსაც არ დაუბრუნებდნენ, ამიტომ ვფიქრობთ, აზნაურ აშორდიას გაქცევას დახრჩობა ერჩივნა, უფრო გასაგებად, იხრჩობოდა იმიტომ, რომ გაქცეულიყო და არა პირიქით.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ: სოლომონმა, თუ იგი მართლაც იყო ჩამოსული ბათუმში, ან თუნდაც მისი გვარსახელით მოქმედმა პიროვნებამ, მოაწყო ზღვაში დახრჩობის ინსცენირება და მიიმალა. ამით, რა თქმა უნდა, უხერხულ ყოფაში ჩააგდო თავმდები, მაგრამ მან ვერ განჭვრიტა, რომ ჩვენ ასე ვიფიქრებდით და დაახლოებით მაინც ზუსტად ამოვიცნობდით მის ჩანაფიქრს. ამიტომ მისი ძებნა უნდა გაგრძელდეს, თუმცა ზღვაც არ უნდა მივატოვოთ უყურადღებოდ, იქნებ ტალღებმა გამორიყოს და ყველაფერი გახდეს ნათელი.

ასეთია მოკლედ სოლომონ აშორდიას ბათუმური ამბავი. ყველა ზემოთნახსენები პიროვნება სასამართლოს ანალებშია აღბეჭდილი. ჩვენ არავინ და არაფერი გამოგვიგონია, უბრალოდ, ერთ ოქმში თავმოყრილი ჩვენებანი იმ ადამიანებს მივაკუთვნეთ, ვინც მათი მთქმელი იყო ან შეიძლებოდა ყოფილიყო.

და მაინც, დაიხრჩო თუ გაიპარა?!

ერთის ინსცენირებაც შეეძლო, მეორისაც....

სოლომონ აშორდიას საქმიანობაში ბევრი რამაა ურთიერთგამომრიცხავი, ერთი რამ ნაღდია, პირველის ინსცენირება მეორისთვის სჭირდებოდა და პირიქით, ორივე კი ერთ მიზანს ემსახურებოდა — მართლმსაჯულებას ათესოდა, დამალვოდა ან სამუდამოდ, ან დროებით მაინც.

სიმბოლოებიც მეორდებოდა მის ცხოვრებაში.

ოცდაოთხი-ც გასამდა, სასტუმრო „ევროპის“ ოცდამეოთხე ნომერმა გაასამა.

ნეტავ: გაიპარა თუ დაიხრჩო?!

ამას შემდეგ შევიტყობთ.

ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲛᲝᲫᲛᲔᲡ

1899 წელი ხვავრიელი იყო აშორდიელთათვის. ერთ წელიწადში თავადაზნაურთა საკრებულოში საბუთების წარდგენის ვადა იწურებოდა. ამიტომ, ვისაც სურდა, თავადი ან აზნაური გამხდარიყო, უნდა მოესწრო, დროზე ეფიქრა, ეზრუნა ამ საქმეზე, თორემ მერე შეუძლებელი ან თითქმის შეუძლებელი იქნებოდა ყოველივე. აშორდიელებიც ფაციფუცობდნენ, ეძებდნენ, პოულობდნენ, არწმუნებდნენ, საქმეებს უჩალიჩებდნენ, ერთს რომ ნახავდნენ მსურველს თავადობის ან აზნაურობისა, მეორეს დათრევაზეც ჩამოუგდებდნენ სიტყვას. ამას შეაგულიანებდნენ იმის შესაგულიან-შესაფუცხუნებლად — აქაოდა, უმეტესი შენი მოკეთე და ნათესავი გააზნაურდა, შენ რას უდგეხარ, გაინძერი, აზნაურისა და თავადისაა დროება, გლეხის საშველი მანამ არ იქნება, სანამ მისი ბატონისდარი არ გახდებაო და მისთანანი.

ეძებდნენ, პოულობდნენ, დიდი გარჯაც არ ჭიროდათ, თვითონ მოდიოდნენ, გავრცელებულ ჭორს ამოწმებდნენ და მიჰყვებოდნენ დინებას სიყალბის, ცდუნების, სანუკვარი ოცნების ახდენის წადილს იკლავდნენ ფულის გადახდით, ხარჯის გაღებით. აშორდიელებს მეტი მსურველი უნდოდათ ეპოვათ, აზნაურობის მეტი მოწადინე მოეძიათ, თორემ ერთ

წელიწადში ამ საქმეს უნდა შეშვებოდნენ, სხვა მოეფიქრებინათ, ამიტომ ცდილობდნენ, მეტი დაეყოლიებინათ, ფულიც ბლომად აეღოთ, საქმეებიც მრავალი გაეკვარახქინებინათ.

რას იზამ, შრომობდა ხალხი, ამასაც ხომ ნიჭი და გარჯა უნდოდა, ნიჭი სხვანაირი, გამორჩეული.

ჰქონდათ...

1899 წელს ქუთაისის მაზრის მკვიდრნიც აყვნენ ფეხის ხმას. საბოლოოდ მაინც ამ ქალაქში გროვდებოდა საბუთები და, ბუნებრივია, ხმები აქაც დადიოდა, ის გააზნაურდა, ის გათავადდა... პეტრე და პავლე ივანეს ძე კოკოჩევებმა სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანის 1839 წლის 11 დეკემბრის წყალობის სიგელი წარადგინეს თავადაზნაურთა საკრებულოში და დაელოდნენ მსჯავრს, გაამართლა, რასაც ითხოვდნენ, უფრო — რაც სურდათ, მოგვარდა. ამიტომ უჩუმრად, გაუხმაურებლად, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ისე აღიქვეს ეს ამბავი. ნაცნობ-ნათესავებისთვისაც არაფერი უთქვამთ, ჯერ უცდიდნენ, აყურადებდნენ, საჭიროების შემთხვევაში (განსაკუთრებით არჩევნების დროს) ააფრიალებდნენ „ისტორიული სამართლიანობის“ გამომხატველ დოკუმენტს. მას მიბაძეს ალექსი ალექსის ძე მიქელაძემ და ტრიფონ კაციას ძე გურგენიძემ, მართლა თავადებმა, მაგრამ უსაბუთოებმა, დამამტკიცებელი დოკუმენტი სახლში ვერაფერი იპოვნეს და აშორდია აგერ არ იყო... ერთისთვის ლევან დადიანის 1834 წლის 11 ივლისის წყალობის სიგელში ჩაასწორა რაღაც-რაღაცეები, მეორისათვის კი დავით დადიანის 1853 წლის 14 მარტის წყალობის სიგელი „გაალამაზა,“ ორივე შემთხვევაში აღადგინა „სიმართლე“, მიიტანა თავადაზნაურთა საკრებულოში და ალექსი მიქელაძე და ტრიფონ გურგენიძე გახადა ის, რაც

ნაღდად იყვნენ, მოკლედ, უსაბუთო თავადები საბუთიან (ოღონდ ყალბსაბუთიან) თავადებად აქცია.

ციხესულორელმა მიხეილ ივანეს ძე კობეშავიძემ, მაღლაკელმა გიგო ოტიას ძე მარჯანიშვილმა, გეგუთელმა საბა მალაქიას ძე გრიგოლაშვილმა, საყულიელმა გიორგი (იგივე გუტა) გვაჯის ძე გობელიამ კი ველარ დაფარეს სიხარული, ცაში ისროლეს ქუდები, სამი დღე ილხინ-ილოთეს, აშორდიელთა საძმოს წევრებიც მოიწვიეს, სვეს უზომოდ, ჭამეს ასევე, გაუტოლდნენ გასატოლებელს. მათ გვარებში იყო ნაბოძები აზნაურთაგანი, მემკვიდრეებზე რომ არ გადადიოდა, ამიტომ, მათი აზრით, დაიბრუნეს დიდებული წარსული, გახდნენ ისეთები, როგორებსაც შენატროდნენ.

სამეგრელოში კი უფრო ხშირად ეწყობოდა სუფრები, იქ უფრო მეტი და მეტი ემატებოდა კეთილშობილთა გვარს, ადღეგრძელებდნენ თავიანთ ახალ მოძმეებს, ლოცავდნენ ისტორიული სამართლიანობის აღმდგენლებს. სენაკის მაზრის სოფელ უფლისკარში მერაბ, უჩა, პავლე ხიტუს ძე და ლუკა გოგის ძე, უტუ და შამა ივანეს ძე გრიგოლიებმა დიდი წვეულება გამართეს, იჩუჩებიდან აზნაურებად რომ იქცნენ, ყველას გააგებინეს. ასევე მოიქცნენ მათი თანასოფლელები: სტეფანე უჩას ძე გოლუა და გოგი გიორგის ძე ელიავა. არც ამავე მაზრის სოფელ ეკში ჩაუვლია აღუნიშნავად ამ სანუკვარ ამბავს. ფარნაოზ, ლუკა და სილიბისტრო გიგოს ძე, ფილიპე და ივანე (მღვდელი) გიორგის ძე, ივანე ვასილის ძე და უჩა მუხუს ძე გუნიებმა, მანუჩარ და თეიმურაზ ლევანის ძე კორკალიებმა, საბა ზალიკოს ძე, ალექსანდრე და დიმიტრი მურზაყანის ძე, ანდრო (მანუჩარ) კოჩის ძე ადამიებმა, დათო ბაცოს ძე წულეისკირმა სამეგრელოს მთავართა სხვადასხვა დროის ვითომ გასწორებული წყალობის სიგელები და ბრძანებები წარადგინეს ქუთაისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოში და გააზნაურდნენ.

ესენი გააზნაურდნენ და სხვები როგორ ჩამორჩებოდნენ. ეპიდემიასავით მოედო სამეგრელოს აშორდიას აზნაურობა. თითქმის არ დარჩენილა სოფელი, სადაც წოდებრივი სახეცვლილება არ მომხდარიყო, არ გააზნაურებულიყო გლეხი, უფრო მეტიც, არ გათავადებულიყო.

ერთის ამბავს რომ შეიტყობდნენ, გულში შური ჩაუსახლდებოდათ, თვითონაც მოესურვებოდათ, მისდარი გამხდარიყვნენ და ხდებოდნენ. დადიოდა ხმები, ვრცელდებოდა ჭორები, ის ასეო, ეს ისეო. იყო სიმართლე ამ ჭორებში, რადგან აშორდია და ძმანი მისნი შეუძლებელს შესაძლებლად აქცევდნენ.

დადიოდა ხმები, ჭორები ეტლზე, დროგზე, ნავზე, გემზე, ფეხით მოსიარულეზე ხომ ჩქარა და ჩქარა. ერთი მეორეს ეტყოდა ან სულაც წაუჩურჩულ-წაუპუტუნებდა, ის სხვა, ეს სხვა გზით წავიდოდა, ერთი იქ, მეორე აქ მიიტანდა ამბავს, მერე ამბავგაგებულნიც ჩაერთვოდნენ გავრცელების საქმეში, ის იქ, ის იქ, ესენი კიდევ იქ და აქ ჩაიჭორავ-წაიმუსაიფებდნენ და ყველამ თუ არა, თითქმის ყველამ იცოდა ყველაფერი. იცოდა, ვისთვის უნდა მიეკითხა, რა თანხა უნდა გადაეხადა, აზნაური რომ გამხდარიყო, მთქმელი ამის ჩამდენს კილავდა, ქოქოლას აყრიდა, ისემც მამა უცხონდა, მაგენი აზნაურები იყვნენო, საკუთარი თავისთვის კი საოცრად ენატრებ-ესურვილებოდა ამგვარი ყოფა.

ისემც მამა უცხონდაო...

ჩემი გვარი მეთქმის, ძველია, მართლა აზნაურული წარმოშობის, წარსულის....

დადიოდა ხმები სწრაფად, უსწრაფესად. აშორდიელებსაც მეტი რა უნდოდათ, თავიდან თვითონვე ავრცელებდნენ ხმებს, მერე თითქოს ამ ხმებმა ფეხი აიდგა, სიჩქარე აიკრიფა, ახლა მათ დაუხმარებლად მოძრაობდა, დაქროდა.

ხმები დადიოდა, — ეს გააზნაურდა, ის გათავადდა, მართლა დიდებული აზნაური ყოფილა მისი პაპის პაპა, მაგრამ ლევან დადიანს დაუმალავს წყალობის სიგელები, აშორდიამ კი მის „მზაკვრულ ჩანაფიქრს" ფარდა ახადა, „სიმართლე" აღადგინა და დაუბრუნა კეთილშობლთა საძმოს ერთი მოძმე, ერთი დიდებული ოჯახი, დიდებული გვარი...

ბევრი ანეკდოტური, სასაცილო ამბავი ვრცელდებოდა, ზოგს იგონებდნენ, ბევრი სინამდვილეში მოხდა, ერთი უყვებოდა მეორეს, პირველისაგან მონათხრობს, ოდნავ განსხვავებულად, მეორე მოუთხრობდა მესამეს და ასე დაუსრულებლად.

ფუცუ დგებუაძე-ფულარიას „ოქროს ბეჭედის" ერთი მცირე მონაკვეთი გავიხსენოთ: „ერთი თემის ჩიქოვანები ძალიან აღელვებულნი დარჩნენ, რომ მათი საბუთი თაგვს სწორედ იმ ადგილას გამოეხრა, სადაც სიტყვა „თავადი" ეწერა. ბევრი იდავეს, აუარებელი ხალხი დაიმოწმეს ჩიქოვანებმა იმის დასამტკიცებლად, რომ მათი გვარის შტოც სახლთუხუცეს ჩიქოვანთა ოჯახს ეკუთვნოდა.

ულმობელი შეიქნა კანონი იმ ჩიქოვანთა მიმართ, სადეპუტატო კრებამ ხსენებული ჩიქოვანები აზნაურებად დატოვა, თავადობა არ დაუბრუნა.

ამ შემთხვევის შესახებ ყველაზე მეტს ხუმრობდა გუძა ჩიქოვანი, რომელიც განთქმული იყო იმ დროს თავისი ენამახვილობით. გუძა შეხვდებოდა რომელიმე აშორდიას აზნაურს, ახედ-დახედავდა და დამცინავად ეტყოდა: რა გიჭირს, ჩემო ძმაო, მე ლევან დადიანის ბოძებული თავადობა თაგვმა წამართვა, შენ კი აშორდიასგან ნაყიდი აზნაურობა ხელთ გიპყრია, ჩემ ტოლად გადაქცეულხარ, ფუი, ჩვენს საქმესო".

დადიანისგან გათავადებულები ხშირად მართლაც აზნაურებად იცნო დეპუტატთა საკრებულომ, მაგრამ პირი-

ქითაც მოხდა — აზნაური თავადად შერაცხა, უფრო მეტიც, ზოგიერთი ნაღდი, ეჭვშეუვალი ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელი უსაბუთობის გამო სულაც მოქალაქედ დატოვა.

დადიანის ნაბოძები საბუთი თაგვს სწორედ იმ ადგილას გამოუხრავს, სადაც სიტყვა თავადი ეწერაო, — სასაცილოა, აბა, რა...

სხვა ადგილს კიდევ აშორდიელები ფხეკდნენ და სურვილისამებრ ასწორებდნენ:

გაჩაღებულიყო ბრძოლა, დავა, კამათი, ქიშპიც ერთი და იგივე გვარის სახლიკაცთა შორის — თქვენ თუ თავადი ხართ, ჩვენ აზნაურად რად მიგვიჩნიესო და ა.შ.

ისე, თაგვის გამოხრულ საბუთს ვინ მიაქცევდა ყურადღებას, ან იმის დადგენა როგორ შეიძლებოდა — რა ეწერა გამოხრულ ადგილას, რაღა მაინცდამაინც იმ ადგილს მიადგა თაგვიც, როგორ უპირდაპირა ბასრი კბილები...

თაგვს აბრალებდა უგვანოდ დარჩენას, ნათაგვარ სიგელგუჯარს აფრიალებდა წამდაუწუმ თავის თავის თავადად ან აზნაურად მცნობი კაცი, ჯავრობდა, თაგვს წყევლიდა. შინაურებს ამუნათებდა — რას ჰქვია, ასეთი საჭირო საბუთი თაგვს დაახრეევინეთო.

ოჰ, ეს თაგვი...

ხიბულელმა მიხეილ, ასონკვა (ასე წერია ზუსტად, ე.თ.), ასლან და ალექსი ჯუმაშხის ძე და ტიმოთე დავითის ძე კიტიებმა რა არ იღონეს, ვინ არ შეაწუხეს, როგორ არ მიდგნენ-მოდგნენ და როგორც იქნა, ამ წელს აიხდინეს საწადელი. მათი ამბავი ერმილე ბუცას ძე ქარცხიამ შეიტყო, კიტიებზე ნაკლები რით ვართ ქარცხიებიო, ისიც გააზნაურდა. ნოსირში 4 გვარი გახდა კეთილშობილი. ესენი იყვნენ: მელიტონ დიმიტრის ძე და მღვდელი ლაზარე სიმონის ძე ოდიშარიები, დიმიტრი ბეკოს ძე ჟვანია, გიგო მერაბის ძე

ჯაკობია და კვატატია ხუტუს ძე ბოკუჩავა. სოფელ ჯვარში 3 გვარი გააზნაურდა. პირველი მათ შორის ისლამ კერეკის ძე ქავთარაძე იყო, მეორე — პავლე, ჯოკო და მოსე შევარდენის ძე შელიები, მესამე აქვსენტი (მღვდელი), დიაკომ, სამსონ, ბაგრატ და იასონ ივანეს ძე და გიორგი გაბრიელის ძე ჭანტურიები. მათ აუბეს მხარი აბაშელებმა: პეტრე ხუხულის ძე პერტენავამ, კინტირია ივანეს ძე, სოლომონ და პავლე ნიკოს ძე თოფურიებმა, საბა გოგის ძე და გიორგი როსტომის ძე ნოდიებმა; ხორგელებმა — ერისტო, კონსტანტინე, ივანე, ბახვა გიორგის ძე და ალმასხან თეიმურაზის ძე ჟორდანიებმა, ვასილ და სტეფანე გიგოს ძე ქაშიბაძეებმა, თევდორე და ზურაბ ხიტუს ძე და ოქროპირ გიჩოს ძე ლიპონავებმა, ეწრელებმა (სენაკის მაზრაა): ფარნა სიკოს ძე და ბეჟან სოსოს ძე, ელიზბარ და ესტატე კოხტას ძე გუგუშვილებმა. გიორგი გელოვანი გათავადდა, გუგუშვილები გააზნაურდნენ. შხეპელები წინა წლებში უფრო აქტიურობდნენ, თუმცა კიდევ აღმოჩნდნენ ამ სოფელში გააზნაურების სურვილით გულანთებული ადამიანები — ეგნატე შენდოს ძე შაფათავა, ლომიკა, ლევანიკა, სოსიკა, დუტუ, სიმონ ივანეს ძე, სოფრომ და კონსტანტინე კოხტას ძე და დიანოზ ანდროს ძე ჩიქობავები; უშაფათელები: ყარამან, ბახვა, ტარასი გიორგის ძე ხორავები, სვერეხია, უტუ, ეგნატე გოტას ძე, სოსო იორდანეს ძე გოგინავები, ზენელები — მიხეილ და გაბრიელ ივანეს ძე შელიები, კიკო, ათანასე, ანტონ და იორდანე ბაჩას ძე ადამიები; გეჯეთელები — ეგნატე ვატას ძე, ვატუ მიქელას ძე, ივანე და დიმიტრი საკვას ძე გეგენავები.

აშორდიელებს ერჩივნათ, ერთ გვარში რაც შეიძლება მეტი ადამიანი მოეძებნათ აზნაურობის მსურველი, ხშირად ფასსაც დაუწევდნენ, დიდ თანხას არ ითხოვდნენ, რადგან ერთ საბუთში, დავუშვათ, წყალობის სიგელში, ერთ ადამიანს თუ ჩაწერდნენ, შემოსავალი ნაკლები იქნებოდა, რახან

აყალბებდნენ, ბოლომდე რისკავდნენ, გაუყოფელ ოჯახებს, მთელ საბიძაშვილოს ათავადაზნაურებდნენ. ასე ერჩივნათ, უჯობდათ, მეტს იჯიბავდნენ, თანაც ეს წლები ბოლო სამკალი იყო, მალე ამ საქმესაც ხომ უნდა შეშვებოდნენ, უნდოდათ, ბოლომდე გამოედინათ გამოსადენი.

ზუგდიდელი ბურდღუ უტუს ძე და სამსონ (იგივე სოლომონ) კერანდუსის ძე ქუთელიების გვერდით ერთი აზნაურიშვილი ცხოვრობდა, საქმელი იმას არ ებადა და სასმელი, ერთი კბილებჩაცვენილი მოჯამაგირეღა შემორჩენოდა გაღლეტილსა და საწყალს. ქუთელიებს სარჩოც ჰქონდათ და საბადებელიც, პურიც გვარიანად მოეძევებოდათ, ღვინოც, იმას — თითქმის არაფერი, ამათ — ყველაფერი. ის კოხტად ჩაცმული, ტანზე საათივით მორგებული ჩოხა-ახალუხით გადმოდიოდა მამულიდან, ესენი — ჩამოფხრეწილი სამოსით, ის — თავაწეული დადიოდა, ესენი — მოკუნტული, ყურებჩამოყრილი. სიმდიდრე ჰქონდათ, მოჯამაგირეებიც გაეჩინათ, ოდებიც ვეებერთელა წამოეჭიმათ, ეზოგარემოც დაეგუთნათ, ბედს არ უჩიოდნენ ამ მხრივ, მაგრამ არ ჰქონდათ ის ხალისი, ვერ ახერხებდნენ, გაეცათ ვინმესთვის ისეთი მოსწრებული პასუხი, მათ გვერდით ეზოგავერანებულ და სახლის კიბეებზე ბალახაბიბინებულ აზნაურიშვილს რომ შეეძლო.

ღარიბსა და უპოვარს ჭკუას ეკითხებოდნენ, ზუგდიდის საქმეები უმისოდ არ გაირჩეოდა, მდიდარსა და ყველაფრის მქონეს კიტრადაც არავინ აგდებდა, თითქოს არც ყოფილიყო. ჰოდა, აშორდიელების გარდა ვინ იქნებოდა ქუთელიების მხსნელი?! ესენი ხომ თავიანთ უსახურ ყოფას სიბილისტრო კვაჭანტირაძესავით იმას აბრალიდნენ, „პასპორტში“ სამარცხვინო სიტყვა გლეხი რომ ეწერათ. ოღონდ ეს გლეხი მოეშორებინათ და ყველაფერზე თანახმა იყვნენ. მოიშორეს, გააზნაურდნენ. ასევე მოიქცნენ: ალექსი ივანეს

ძე, ისააკ და იაკობ ნიკოს ძე კილასონიები, ევგენი, ფილიპე, კონსტანტინე და ზურაბ ისლამის ძე ძაძამიები. ვასილ ბაჩას ძე გრიგოლია; ამ უკანასკნელთა ამბავი სოფელ თეკლათშიც გაიგეს და ივანე და ალექსი ბეჟანის ძე გრიგოლიებიც მიჰყვნენ კვალში. აქვე ვიტყვით, ზოგიერთ ამ გვარში იყო ნაბოძებ აზნაურთაგანი, მაგრამ ეს როგორ დააკმაყოფილებდა მათ პატივმოყვარეობას, მთავარია, თვითონ ყოფილიყნენ, სამიდღემჩიოდ, საშვილიშვილოდ დაემკვიდრებინათ მაღალი წოდება და დაიმკვიდრეს კიდეც.

იყო სოფლები, სადაც მხოლოდ ერთი გვარი ნაეპოტინა აზნაურობას — წალენჯიხაში (სოფელი იყო იმ დროს) პავლე, პეტრე და გიორგი ბაკუას ძე კალანდიებმა დაიხმარეს აშორდიელები, სენაკის მაზრის სოფელ ლოშათში — ივანე გიორგის ძე თოდუამ, ინჩხურში — ნიკოლოზ და თადეოზ იესეს ძე გეგეჭკორებმა, მახაშში — ბახვა, სისო და პახვალა ბაკიჩას ძე და ვასილ გერას ძე კარტოზიებმა, გულუხეთში — ბახვა მოსეს ძე გაბუნიამ, ლეძაძამეში — გვაჯი გიორგის ძე შავდიამ...

სოხუმის ოლქშიც გავრცელდა ხმები აშორდიასა და მის მოძმეთა საქმიანობაზე, იმაზე, რომ ისინი „ჭეშმარიტ", „მართალ" ისტორიას ქმნიდნენ ქვეყნისას. ამიტომ წინა წლებში ამ მხარეში გააზნაურებულებს მიემატნენ: ტამხან ზალიკოს ძე (სოფელი ოქუმი), ლუკა დუტუს ძე (ოჩამჩირე) და ივანე პეტრეს ძე ლაკერბაიები, სოფელ დიხაზურგას (ესეც სოხუმის ოლქია) მკვიდრნი — ვასილ და ბესარიონ მახუს ძე დემურიები.

მთელ სამეგრელოს მოედო ამბავი — ჭაქვინჯელი თეოფანე მანუჩარის ძე ხუბულავას მშვენიერი ასული — ცირა ერთ აზნაურიშვილს დაუწუნებია: ულამაზესია, მზითვიც აქვს, მაგრამ ჩიჩუამ სახლში ხუბულავა როგორ შევიყვანოო, უთქვამს და წასულა. გადარეულან ქალის ახლობლები, მაგ

დაგვაჯული, ნაკოჩარი, ანგელოზს გვიწუნებსო და სასწრაფოდ მოუგვარებიათ საქმე აშორდიასთან. ის არსად წერია, უშველა თუ არა ხუბულავას გააზნაურებამ მშვენიერ ქალიშვილს. ამბავი ამბად დარჩა, გავრცელდა, გადასხვაფერდა, ხალხური ეპოსისდარად მიემატა რაღაც-რაღაცები, ათასნაირი ყური გამოება...

ჭაქვინჯელი ხუბულავას გააზნაურების მერე სენაკსა და ზუგდიდში უფრო მიეტანენ აზნაურობას. იქნებ იმიტომაც, მშვენიერი ჭაბუკი ან ასული არავინ დაგვიჩაგროსო, თუმცა ეს ჩვენი ფიქრია, ვარაუდი, მთავარი და უფრო სიმართლე ისაა, უამისოდაც სურდათ, ესიზმრებ-ესურვილებოდათ აზნაურობა.

ამ წელს გააზნაურდნენ სენაკის მაზრის სოფელ საჩინავოში (?) მცხოვრები: ნიკოლოზ, ქაიხოსრო სიმონის ძე და ნიკიფორე ბეთანის ძე ჯანელიძეები, გუძემელი მიქელა გიორგის ძე ცაგურია, სოფელ კორცხელის მკვიდრნი — პახვალა ძაკუს ძე და კერანდუხ ბათუს ძე ივარდავები; კირცხელები — სიკო მიტუას ძე, პახვალა მერაბიკოს ძე, კუტული, ბესარიონ და მანუჩარ ცახულის ძე, ესტატე ცაკვას ძე ლოლუები; სუჯუნელები — მღვდელი სიმონ ივანეს ძე, დიაკონი იაგორ სოფრომის ძე, გიგო, ზურაბ, პეპო, თომა ოთარის ძე, ნიკოლოზ, თეიმურაზ და მიხეილ მახუს ძე ნოდიები; ნოჯიხეველი სიმონ დავითის ძე ცხომარია; სოფელ ზუბის მცხოვრებლებს პავლე თოთიას ძე, პეტრე გოჯაგის ძე, დავით და თედორე დუტუს ძე და გიორგი კუკურის ძე ლომაიებს, ჯერ ლევან დადიანის 1838 წლის 9 აპრილის ვითომ წყალობის სიგელი და მერე დავით დადიანის 1848 წლის 20 ოქტომბრის ვითომ ბრძანება დასჭირდათ იმისათვის, რომ აზნაურთა კლასს მიკუთვნებოდნენ.

სოფელ ძველ სენაკშიც ბევრი წაეპოტინა აშორდიას აზნაურობას, წაეპოტინა რაა, რომ არ გარკვეულიყო გასარ-

კვევი, აშკარა არ გამხდარიყო, რა გაცუდებასა და სიყალბეს-
თან გვქონდა საქმე, ხახვივით შერჩებოდათ. ჯერ ძველსე-
ნაკელი შოშა ბოშას ძე და გრიგოლ მათეს ძე ქავთარაძეები
გააზნაურდნენ, მერე მათ აუბა მხარი ამავე სოფლელმა ევ-
გენი გაბრიელის ძე ჯინორიძემ, საჭილაოელმა პეტრე ტახოს
ძე და მაქსიმე დავითის ძე სურგულაძეებმა კი თავადაზნა-
ურთა საკრებულოში წარადგინეს სურგულაძეთა მოწმობა,
რომელიც, ვითომ, დავით დადიანის მიერ იყო დამტკიცე-
ბული. ასეთი შემთხვევა იშვიათია, როგორც ჩანს, სურგუ-
ლაძეებს ადრეც გაეყალბებინათ ეს წყალობის სიგელი, შემ-
დეგ კიდევ დაჭირდათ რაღაცის ჩამატება (ნახსენები პიროვ-
ნებები ხომ უნდა ჩაეწერათ შიგ), ამიტომ ისევ „განაახლეს“
და დავით დადიანის ხელრთვითაც დაადასტურეს.

საწულეისკიროში მღვდელი სიმონ გიორგის ძე და როს-
ტომ დავითის ძე წულეისკირები გააზნაურდნენ. ობუჯაში
— ბახვა, სამსონ, პაშუტია გოჯას ძე, ანდრო გიორგის ძე და
ისაკ ბულატის ძე ფიფიები; მუხურაში — ანდრო უტუს ძე,
კირილე, კოსტა (იგივე გიორგი) ლომიკას ძე დემურიები, დარ-
ჩელში — ბახვა ერისტოს ძე ქაშიბაია; ყულისთავში — თეი-
მურაზ ლევანის ძე, ირაკლი და ბართლომე რევაზის ძე მი-
ქაბერიძეები; ფოთში — ბეჟან და ალექსანდრე როსტომის
ძე საბახტარაშვილები; ნაჯაგოუში მიქელა და დიმიტრი გი-
ორგის ძე, ჰუსარ, დიმიტრი, სტეფანე და მურზაყან გოჯას
ძე, კონსტანტინე და მათე ხუხუს ძე ქვარცხავები, ნესტორ
ბიბოს ძე, ტაია ბესარიონის ძე პაპასკირები; საჯავახოში —
სპირიდონ ეფრემის ძე ავალიანი; სოფელ ბიას მკვიდრი —
დავით უჩარჯის ძე შონია; ლეჯიხეველი გიორგი და პავლე
ზურაბის ძე, ვლადიმერ ვასილის ძე, ესტატე დავითის ძე
ზედანიები; სოფელ ჩოგოში, მგონი, ყველა შენგელიამ აიხ-
დინა ოცნება — პავლე და ივანე ნიკოს ძე, ურმი უტუს ძე,
ნიკოია ტასკოიას ძე, ჯუტუ ბებელის ძე, ტუჩუ, სტეფანე,

პეპო, სოფრომ და გრიგოლ ივანეს ძე, დათა, კოხტა, როსტო და ვასილ ბუხუს ძე და ბექაია კაციას ძე შენგელიები გააზნაურდნენ. დარჩა თუ არა ამ გვარის ადამიანები კიდევ ამ სოფელში, არ ვიცი, ისე ჯგუფურად მიეტანენ აშორდიელებს და ჯგუფურადვე გამხიარულდნენ.

მოჩხუბრები ყოფილანო — წერია სასამართლო საქმეში. განსაკუთრებით ნიკოია ტასკოიას ძე გამოირჩეოდა თურმე ჩხუბისა და აყალმაყალის ატეხვით. ტანაშოლტილი, ულალ ჩოხაში გამოწყობილი ტასკოიას ბიჭი დღენიადაგ იარაღში იყო ჩამჯდარი, ხმალი და ხანჯალი რაა, სამ დამბაჩასაც დაატარებდა. შევიდოდა დუქანში, ჭამდა, სვამდა, თანამეინახეები თუ არ ჰყავდა, იქ მყოფთ შემოიკრებდა, გალაღდებოდა, გაილეშებოდა და ვიღაცას აუშარდებოდა, აუტეხდა ჩხუბს.

— აზნაური ვარ, ყაზახი არ გეგონოთ თქვენი დედა ... — ყვირიოდა თურმე და ერთდროულად ისროდა სამივე დამბაჩიდან, ისროდა უმიზნოდ, ბევრი დაუჭრია, მოკვლითაც მოუკლავს... იყო ასე მსროლელი და მაგინებელი. თანამეინახეები მაგიდის ქვეშ ძვრებოდნენ, მედუქნე და მიმტანები იმალებოდნენ, ეს ისროდა და სამივე დამბაჩას რომ დაცლიდა, გინებას მოუმატებდა, გამოვიდოდა გარეთ, ცხენს მოახტებოდა, ისევ დაქადნებით დაიყვირებდა:

— აზნაური ვარ, ყაზახი არ გეგონოთ.

სამეგრელოში ბევრს უნახავს სხვადასხვა ციხეში ნაჯდომი ნიკოია ტასკოიას ძის დაცხრილული დუქნები, ბევრი თვითონაც ყოფილა შემსწრე და თვითმხილველი ამ ამბებისა.

გააზნაურების მერე უფრო გაყოყოჩებულა იარაღის მოიმედე ნიკოია შენგელია, — ატეხავდა ჩხუბს და თითქოს ანდერძად დაუტოვებდა იქაურებს:

— აზნაური ვარ, ყაზახი არ გეგონოთ...

ქვალონელმა მაქსიმე და სტეფანე ბეჟანის ძე ლოლუებმაც მიბაძეს თანამოგვარეებს, გახდნენ თავადები, აშორ-

დიამ მათი გვარის ერთი წარმომადგენელი — ქუთაისის ქალაქის თავი ლუარსაბ ლოლუა რახან გაათავადა, მერე სხვებსაც აღარ დაწყვიტა გული. სოფელ სორტაში კი ანტონ გოგის ძე და პავლე მათეს ძე ჩხეიძეებს საბუთები დაკარგვოდათ, თავადაზნაურთა საკრებულოში მათი წოდებრივი მდგომარეობის დამამტკიცებელი დოკუმენტები შინ ვერ მოეძიათ და აშორდიელებმა დავით დადიანის 1852 წლის 3 მაისის ბრძანებაში ჩაწერეს მათი გვარსახელები, როგორც თავადებისა; სოფელ ჯუმის მკვიდრმა მამეოზ ხიტუას ძე დარასელიამ კი უფრო ადვილად მოაგვარა საქმე, ფული მისცა გამყალბებლებს და იმათაც სახლში მიართვეს აზნაურობის საბუთი. ასევე მოიქცნენ სოფელ ლიაში მცხოვრები დიმიტრი (დუტუ), გიორგი და ეგნატე (უტა) კოჩას ძე სამუშიები, გაიღეს გასაღები, გაამხილეს, რაც სურდათ და მორჩა — ერთ თვეში ყველაფერი გაწკრიალებული ჰქონდათ, ერთი თვის წინ სხვანი იყვნენ, მერე სხვანი — წოდებრივად ამაღლებულნი და გამორჩეულნი.

მართალია, აქედან ზოგიერთის საბუთები სენატმა·დაიწუნა, არ დაამტკიცა, მაგრამ აშორდიელები ამას არ შეუშინებია, ხელახლა წამოიწყეს საქმე, უფრო შეავს-შეაკონწინეს, ძველს ახლები დაუმატეს, მათი აზრით, სარწმუნო და ეჭვშეუვალი გახადეს უფრო.

ეს ერთი წლის „მოსავალია“ აშორდიასა და მისი მოძმეებისა, სასამართლო საქმეში 91-მდეა დანომრილი გააზნაურებულთა რაოდენობა, პიროვნებანი, ბუნებრივია, უფრო მეტია. ერთი სიტყვით, ამ მონაცემებით თითქმის მთლიანად იცვლებოდა სამეგრელოს სოციალური მდგომარეობა, იყო სხვანაირი, გახდა სხვანაირი, უარესი, რა თქმა უნდა, ნამდვილსა და არანამდვილს ვეღარ ან ძნელად რომ გაარჩევ, ისეთი.

რას იზამ, ასე იყო და...

როიალისა და ალექსანდროვის ბაღის გაყიდვის ამბავი

მაიზელსონისაგან კვაჭი კვაჭანტირაძემ თვეში სამ თუმნად დაიქირავა როიალი. მუსიკამ საოცრად გამიტაცა, რომ არ შევისწავლო, გავგიჟდები — უთხრა ქუთაისში რუსეთიდან ჩამოხეტებულ უცხოტომელს.

ფულზე დახარბებული მაიზელსონი ბორჯომში მიდიოდა, ბარე სამი თვე იქ უნდა დარჩენილიყო, როიალი კიდევ დაუქმებულად მდგარიყო სახლში და უცებ დათანხმდა ამ წინადადებაზე.

ნაქირავები როიალი კვაჭიმ და შიქიამ ჯერ 500 მანეთად მიყიდეს ფოთელ არუთინოვს, 200 მანეთი ბედ წინასწარ აიღეს, თან ფოთში გაგზავნას შეპირდნენ და რკინიგზის ყალბი საბუთის გაიმასქნების მერე „ფრანციაში“ მიაკითხეს სომეხ ფოთელს.

„არუთინოვმა საბუთი გაშინჯა. საიდან? — ქუთაისიდან. სად — ფოთში. რა იგზავნება? — როიალი. წონა? — ბრუტტო — 50 ფუთი. ვინ გზავნის? — თავადი დადიანი. ვის ეგზავნება? — არუთინოვს“.

არუთინოვმა საბუთის გაშინჯვის მერე დარჩენილი სამასი მანეთიც გადაიხადა, გაგზავნის ღირებულებაც და იმ იმედით, რომ ფოთში ჩასულს როიალი დახვდებოდა, მშვიდად გააგრძელა სასტუმრო „ფრანცაში“ ცხოვრება თავის მეუღლე სირანუშთან ერთად.

მეორედ ჯონდიმ და კვაჭიმ ინჟინერ საროკინს მიყიდეს იგივე როიალი. მასაც ჭიათურაში გაგზავნაზე შეუთანხმდნენ, რკინიგზის ყალბი საბუთი მიუტანეს და ნივთის გაგზავნის ღირებულებაც გამოართვეს.

არუთინოვი — ფოთში, საროკინი კიდევ ჭიათურაში ელოდა ბეკკერის როიალს.

მესამედ ქუთაისელ მოხელე გერცოვს მიყიდეს, რომელ-

მაც ფულიც გადაიხადა და ბინაშიც გადაიტანა შეძენილი ნივთი.

შიქიამ კვაჭი მყიდველებს თავად სევერიან დადიანად გააცნო, ეს იყო პირველ აპრილს დაბადებული სილიბისტროს ვაჟის პირველი ყალბი გვარსახელი. კვაჭი-სევერიან კვაჭანტირაძე-დადიანმა ყველა მყიდველს ცალ-ცალკე უთხრა, გთხოვთ, ეს ამბავი არავისთან თქვათ, საგვარეულო ნივთია, მეტისმეტად უხერხულია მისი გაყიდვაო.

ასე დაიფარა კვალი, ერთმა, მეორემ, მესამემ არ გაამხილა, რომ იაფად შეიძინა თავად დადიანის ნაქონი მშვენიერი როიალი. მერე არუთინოვი ცალკე, საროკინი ცალკე, გერცოვიც და მაიზელსონიც იჩემებდნენ, როიალი ჩემიაო. ბოლოს მიხვდნენ, როგორ გააცურათ სევერიანად „მონათლულმა“ კვაჭიმ, ორმა დათმო, მესამემ — გერცოვმა კი ხელმეორედ იყიდა მაიზელსონისგან იგივე როიალი.

გამყიდველები ლაითაძის დუქანში გამოთვრნენ და ყაბალახმოხვეულები გაიპარნენ ქალაქიდან.

ერთი სიტყვით, ერთი და იგივე როიალი ერთხელ გაქირავდა, ოთხჯერ გაიყიდა. სოლომონ აშორდია ასეთი გაუმაძღარი არ ყოფილა, ერთხელ გაყიდა.

გაიგო, ვიღაც სომეხ ვაჭარს ალექსანდროვის ბაღის ყიდვა სურდა. დადიოდა და დადიოდა ყიდვის სურვილით აღტკინებული აქ, გეგმებს აწყობდა, თავისიანებს ეუბნებოდა, ეს რომ ჩემი იყოს, სამოთხეს დავამსგავსებდი, აქ სამიკიტნოს ჩავდგამდი, აქ კიდევ ფართლეულის მაღაზიას, — იშვერდა ხელს აქეთ-იქით, — გასართობსაც მოვაწყობდი, ბანქოს სათამაშოსაც, ქართველებს ვინ მისცა შნო და ლაზათი, რა ბაღს აცდენენ ტყუილად, რა ადგილს, ვაი, ვაი... ეს რომ ჩემი იყოს...

ბევრს მოუსმენია, უფრო მეტს კიდევ სხვათაგან გაუგონია ვიშვიშის ამბავი სომეხი ვაჭრისა, ალექსანდროვის ბაღში

რომ დადიოდა და ფიქრობდა, გეგმებს ალაგებდა, თან ქართველებს ლანძღავდა.

დღეში ბარე სამ-ოთხჯერ გაივლ-გამოივლიდა თურმე — ეს რომ ჩემი იყოს, ვაი, ვაი... — იტყოდა და გაეცლებოდა იქაურობას.

სოლომონსაც მოუტანეს ეს ამბავი. იმ წუთას გაუნათდა გონება, გადაწყვიტა — ყიდვა უნდა, იყიდოს, ამაზე ადვილი რაა — სომეხ ვაჭარზე ხშირად დაიწყო მონახულება ალექსანდროვის ბაღისა, რამდენიმე ამფსონთან ერთად დასეირნობდა, მუსაიფობდა მდიდრულად ჩაცმულ-დახურული. ერთხელ თვითონაც წააწყდა ყიდვის მოსურნე ვაჭრის ვიშვიშს და ამან უფრო გაუმძაფრა ჩაფიქრებულის განხორციელების სურვილი.

სომეხი ვაჭარიც დადიოდა, ესეც. ამან უკვე ზეპირად იცოდა, როდის შემოივლიდა ხოლმე ის, რას იტყოდა და როდის წავიდოდა. ვაჭარი აზრზე არ იყო, ჭკუას კარგავდა მხოლოდ, ბაღის ყიდვა უნდოდა.

სოლომონმა ერთხელ, სპეციალურად, სომხის თვალწინ თუმნიანი აჩუქა დარაჯს, თან დააყოლა: ყოჩაღ, კარგად უვლი და პატრონობ აქაურობასო, — ირგვლივ შემოკრებილ ძმაკაცებს კი დავალებები მისცა — შენ ეს, შენ ის გააკეთე, აქ ეს დავიწყოთ, იქ-ის და ა.შ. სომეხმა თავისი ყურით გაიგონა გამორჩეულად და მდიდრულად ჩაცმული კაცისაგან ნათქვამი და უფრო ჩავარდა მუღამში, იმწამსვე აენთო. ერთერთს დაეწია და ჰკითხა:

— ეს კაცი ვინაა?!

— ამ ბაღის მეპატრონე, — დაღვრემილმა უპასუხა ვითომ დავალების შესასრულებლად გაგზავნილმა აშორდიას ძმაკაცმა.

— მეპატრონე? — თვალები გაუფართოვდა სომეხ ვაჭარს — ვაი, ვაი, ვაიო, ჩაილაპარაკა და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

ამის შემდეგ ყველამ იცოდა, რა უნდა ეთქვა, მოემოქმედა, სომეხი ვაჭარი რომ გამოჩნდებოდა. ერთხელაც, შეხვდნენ ერთმანეთს, ისაუბრეს, თქვეს ის, ეს, ბოლოს ვაჭარმა ჰკითხა:

— ამ ბაღს ხომ არ გაყიდით?!

თაღლითობაში გაწვრთნილმა ხელები გაასავსავა:

— რას ჰქვია, გავყიდი, ეს რომ გავყიდო, უკეთესი რა ვიყიდო.

— კი არ გაძალებ, კნიაზჯან, თუ შეელევით.

— არა, ბატონო.

ეს თქვა და დეტალურად მოუთხრო, სად რის გაკეთებას, ჩადგმას, აშენებას, აღებას, დაშენებას, ჩაშენებას აპირებდა. სომეხი ვაჭრის ნათქვამს თავისი ფანტაზია დაუმატა და მართლაც სამოთხედ წარმოესახა ირგვლივეთი.

— თუ გაყიდვაზე იფიქროთ, შემატყობინეთ.

სოლომონი მიხვდა, ყიდვის მოსურნე მეტს აღარაფერს იტყოდა და მოკლედ მოუჭრა:

— მაინც რამდენს გადაიხდი?!

— ორმოცდაათი ათასს

— არა, ბატონო, ასი ათასს კაპიკი არ დააკლდება.

მაშინ ამ საუბრით დაშორდნენ ერთმანეთს, მეორე და მესამე დღესაც შეხვდნენ... სოლომონი სულ უფრო გააქტიურდა, უფრო ხშირად აძლევდა შენიშვნებსა და დავალებებს წინასწარ მოლაპარაკებულ ამფსონებს. მყიდველმა და გამყიდველმა ივაჭრეს, აუწიეს, დაუწიეს, ეღრიჯნენ, ეთვალთმაქცნენ ერთმანეთს და ბოლოს ოთხმოცი ათასზე შეთანხმდნენ.

აშორდიამ ბაღის კუთვნილების ყალბი საბუთები გააკეთა, ხელშეკრულებათა გაფორმებაც თავის თავზე აიღო, მყიდველს ხელი მოაწერინა მხოლოდ, ფული ჩაიჯიბა, ყველაფერი კი ისე მოაგვარა, ნამდვილი გვარსახელი არ გაუმჟღავნებია.

სამ წელიწადზე მეტ ხანს დადიოდა სომეხი ვაჭარი თბი-

ლისის მმართველობაში, ამა და ამ კაცმა ალექსანდროვის ბაღი მომყიდა და მიშველეთ რამეო.

ასახელებდა არარსებული კაცის გვარსა და სახელს. ითხოვდა სამართალს, ცდილობდა, ფულის ნაწილი მაინც დაებრუნებინა, მაგრამ ამაოდ.

მართლაც, რანაირად უშველიდნენ, როგორ დაეხმარებოდნენ, ბაღის კუთვნილების საბუთები ყალბი იყო, გამყიდველი — არარსებული. სომეხი ვაჭარი და მისი გადახდილი ფული ჩანდა მხოლოდ ნამდვილი.

ერთხანს სოლომონის ამფსონებსაც დაუდარაჯდა ალექსანდროვის ბაღში, მაგრამ ისინიც თითქოს ცამ ჩაყლაპა, არსად ჩანდნენ.

ეძებდა აქ, ეძებდა იქ, ზოგან კაცს, ზოგან — სამართალს, მაგრამ ვერც ერთი იპოვა, ვერც — მეორე და მაიზელსონის როიალის მყიდველ არუთინოვ-საროკინ-გერცოვივით დამორჩილდა ბედს. ისე ამ ამბის გახსენებისას გულში გაეცინებოდა ხოლმე, — როგორ გამაცურაო — გაიფიქრებდა, სიმწრის იყო ეს სიცილი და ფიქრი.

ჰგავს კვაჭისა და სოლომონის ნათაღლითარი ერთმანეთს, პირველი უფრო უტრირებულია, მეორე — არა, ის — მხატვრული გამონაგონია, ეს — სინამდვილე. კვაჭი ერთი დღით უფროსი იყო სოლომონზე. ის პირველ, ეს ორ აპრილსაა დაბადებული. მისი ამქვეყნად მოვლენის ჟამს კინაღამ დაიქცა ქვეყანა და ნოტიომ და პუპიმ ამით იწინასწარმეტყველეს, რომ სილიბისტროს ვაჟი დიდი კაცი გახდებოდა. სოლომონის დაბადების დღეს კი ასეთი არაფერი მომხდარა, ოთხშაბათი დღე იყო, ერთი დღის მთვარე სულაც არ ჩანდა წინა ღამეს, გათენდა ახალი დღე, მოშუადღდა და გვაჩისა და ზესას მეორე ვაჟიც მოევლინა ქვეყნიერებას.

სოლომონის ამბებში ბევრია ანეკდოტური, ისეთი, მას რომ მიაწერეს, მის სახელს დაუკავშირეს. ერთ-ერთი, შეიძლება, ესეც იყოს, შეიძლება — არა.

სოლომონის ძმისშვილი — ტული აშორდია წერს: მამაჩემი ამ ამბის თხრობისას ღიმილს ვერ ფარავდაო.

ესეც ბუნებრივია.

***

ალექსანდროვის ბაღის „გაყიდვამდე" სოლომონ აშორდიამ თბილისის სამხედრო საინტენდანტო სამსახურიდან ყალბი საბუთებით რამდენიმე ფურგონი სამხედრო შინელი დაითრია. გამოიტანა ერთი, მეორე და გაგზავნა გასაყიდად, სულ 10 ფურგონის ყალბი საბუთები ჰქონდა წარდგენილი, მაგრამ სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტმა ვიღაც მესხმა გასცა, ესეც დროულად შეიტყო და თბილისიდან გადაიკარგა.

ასე იცოდა:

გააიმასქნებდა რაღაცას, მიიმალებოდა, დაავიწყდებოდათ მისი დანაშაული, ისევ გამოჩნდებოდა ახალ საარაკო საქმეთა ჩასადენად გულანთებული.

გამოჩნდებოდა, მიიმალებოდა, ასე გრძელდებოდა მთელი მისი ცხოვრება.

თავი მესამე

ძმანი სოლომონისანი

გადაივლის ეს ქარ-სუსხი

აშორდიელთა ერთი სასამართლო სხდომა 1904 წლის 7 დეკემბერს ჩატარდა. ქარიან-თოვლიანი დღე იყო, ყინავდა, თოვდა, მოსარქალებული თოვლი სარკესავით ბრწყინავდა. ძვალ-რბილში ატანდა სიცივე. მიდიოდნენ საოლქო სასამართლოში აბუზული მოსამართლეები, შედიოდნენ, უფრო შერბოდნენ გაღუღუნებულ დარბაზში. დარაჯს ბუხარი ადრე დაენთო, დაეჭირა თადარიგი მომავალი სხდომისათვის, გაეთბო, გაებუბუნებინა იქაურობა. გარეთ ყინავდა, შიგნით ცხელოდა. რაღაც უსიამოვნო განწყობა იპყრობდათ ქართოშიდან სიცხეში მოხვედრილთ, შეჩვევას ცდილობდნენ, რომ უნდოდათ, ისე სწრაფად ვერ ეჩვეოდნენ და იშმუშნებოდნენ სახეაწითლებულნი.

გარეთ ციოდა, შიგნით თბილოდა, ეს სითბო არაბუნებრივად, ის სიცივე, გადაკრიალებული თოვლი, გამყინავი, თვალმზერის დამხშობი ქარბორია ბუნებრივად ეჩვენებოდათ აქ მოსულებს. პირველმა სასამართლოს თავმჯდომარემ, ბოგოროდსკი რომ იყო გვარად, ქართულად, ალბათ, ღვთისიაშვილი, შეაღო კარი, მიმოიხედა, ვერავინ დაინახა, არავინ იყო, რას დაინახავდა, მაინც ეძებდა, აქეთ-იქით აცეცებდა ყინვისაგან აცრემლებულ თვალებს. ეძებდა სხვებს, ეძებდა გულმოდგინედ, ვერ ხედავდა და უკვირდა, ვერც სხვა რამეს ამჩნევდა, ეს უფრო ანცვიფრებდა, სიცი-

ვეს ისე დაენისლ-დაებურა სახილველი, გაშტერებული მზერა რამდენჯერმე მიმოატარა ირგვლივ.

მერე ჟანოც მოვიდა, გვარია ამ კაცის და არა სახელი, რუსეთის სამსახურში ჩამდგარი იტალიური ან ფრანგული წარმომავლობის ვინმე ჟანო. საოლქო სასამართლომდე ეტლით მობრძანდა წევრი სასამართლოსი. გზაში თვალს ვერ ახელდა, გუგებს ჭუტავდა, რომ დაენახა და შეეგრძნო, რაც ხდებოდა. ცხენები მდორედ მოდიოდნენ, თითოეულ ნაბიჯს სინჯავდნენ, ამოწმებდნენ, ისე მიაგორებდნენ ეტლს. მეეტლეც არ აჩქარებდა, ფრთხილად, სადავეების აუქნევლად მიჰყავდა შეჩვეულ-შეთვისებული ტრანსპორტი. იჯდა ჟანო კოფოზე, მეეტლის გვერდით, უსმენდა ცხენთა გახშირებულ სუნთქვასა და ფრუტუნს, თვალმოკუმული მიჩერებოდა ქარში ავარდნილ ორთქლს. მდორე ღრჭიალი გოგრებისა სიამოვნებდა, იჯდა გატრუნული, ჯიშიანი ცხენების იმედად გზასადევნებული მსაჯული. ჯიშსა და გვარზე ფიქრობდა ახლაც, საკუთარი წარსული დავიწყნოდა და ვერაფრით ხვდებოდა, რატომ იკლავდნენ ქართველები თავს კეთილშობილურ წარმომავლობაზე. ცხენებმა კიდევ უფრო აუფორიაქა ეს ფიქრი — დღენიადაგ ამ გზაზე მოსიარულესავით მიდიოდნენ ბედაურები. სანაქებო ჯიშისა და გვარისა უნდა იყო, ფიქრობდა ყოფილი იტალიელი, ფრანგი ან ესპანელი, მიტმასნილ-მიწებებული რა ჯანდაბად გინდა, ა, ეს ულაყები, შეხედვისთანავე შეამჩნევ, ჯიშიანია, ჯიშიანი ფაშატისა და ულაყის შვილნი და მკვიდრნი. რაც გინდა, ის დაიბრალე, თუ არა ხარ, თუ წინაპრის გენი არ მოგდევს, თუ სისხლხორცში არ გაქვს გამჯდარი ის, რასაც ესწრაფვ-ეპოტინები, ამაოა ყოველივე. უნდა იყო, უნდა იყო... — ფიქრობდა ჟანო და უცებ, მოსახვევში, ისე სწრაფად შეუხვიეს ცხენებმა, შეჩქვიფდა, შეშინდა, ძლივს დაიმაგრა თავი კოფოზე.

მეეტლემ კი, ვითომც არაფერი, რაღაც შეუძახა და მშვიდი, აუღელვებელი სახით გააშტერდა გზას.

_ Породистыи ли эти лошади?! _ იკითხა ჟანომ.

მეეტლემ თავი დაუქნია და ისევ გზას მიაჩერდა. ჟანო მიხვდა, სულაც ვერ გაიგო ამ შეკითხვის აზრი ცხენების პატრონმა, უბრალოდ, ზრდილობის გულისათვის დაუქნია თავი.

_ Породистыи ли эти лошади?! _ გაუმეორა.

მეეტლემ უფრო მაგრად დაუქნია თავი და ისევ აჩემებულ წერტილს მიაშტერდა.

იჯდა ვინმე ჟანო, ჯიშსა და გვარზე მოფიქრალი. მიდიოდა სასამართლო სხდომაზე, სადაც კვლავ გვარსა და წარმომავლობაზე უნდა ყოფილიყო სჯა-ბაასი. იჯდა, ფიქრობდა და ეს ფიქრი შეჰყვა იმ სხდომაზეც, სადაც თავმჯდომარე ბოგოროდსკი მოხელეებს, მოწმეებსა და ბრალდებულებს ეძებდა, მაგრამ ჯერჯერობით არავინ ჩანდა.

ბესარიონ დადიანის მაგიერ სხდომაზე სენაკის მაზრის ექიმისაგან გაცემული მისი ავადმყოფობის ცნობა წარმოადგინეს. ასეთივე ფურცელი ააფრიალეს სიმონ როსტომის ძე ბარკალაიას ცუდად ყოფნის შესახებაც, ალექსი ადამიას მოწვევა კი ჩააბარეს თავის დროზე, მაგრამ ყური არ გაუპარტყუნებია, არ მოსულა სასამართლო სხდომაზე. აქვეა ჩამოთვლილი ის ოცი კაცი, რომლებმაც მოწვევა კი მიიღეს (ესენი იყვნენ ჩვენთვის ნაცნობი ფილიპე ლეჟავა, ანდრო ნადარეიშვილი, მიხეილ დარასელია და სხვები), მაგრამ არ მოსულან, ხოლო პავლე ნადარეიშვილი, დიმიტრი თუთბერიძე, ნიკოლოზ ბარკალაია, ფარნაოზ ზაქარაია, სპირიდონ ნორაკიძე ვერ მოძებნეს და, ბუნებრივია, ე.წ. „პოვეზტკაც“ ვერ გადასცეს. ბეჩუნა სიჭინავა, ირაკლი მიქაბერიძე, სიმონ მეუნარგია, კონსტანტინე დადიანი, ქაიხოსრო პაპასკირი, რევაზ სალაყაია, მიხეილ ესაკია, ილარიონ გუგუშვილი და ივლიანე ხორავა იმიერში გადასახლებულიყვნენ და არც მოწ-

მეებად, აღარც მოწმის მოწმეებად გამოდგებოდნენ უკვე. მერაბ ზედანიას, ალექსი ყიფიანს, იაკობ თვალთვაძეს და ბენო გაბუნიას ავადმყოფობის ცნობა წარუდგენიათ. ერთი სიტყვით, სასამართლო სხდომის ოქმში 46 პიროვნებაა ჩამოთვლილი, რომელთა ერთი ნაწილი ვერ მოძებნეს, მეორე, როგორც დაადგინეს, გარდაცვლილიყო, მესამემ ცნობა წარადგინა ავადმყოფობისა და ა.შ. გაირკვა, ექსპერტი ნანეიშვილიც მომკვდარიყო. იდგა მზერაარეული ბოგოროდსკი სასამართლოს თბილ დარბაზში და ეძებდა ბრალდებულებს, მოწმეებს, რაც არ იყვნენ, რას ნახავდა ან დაინახავდა.

გარეთ ყინავდა, შიგნით თბილოდა. საოლქო სასამართლოს პირველ პირს სიცივე ბუნებრივად, სითბო — პირიქით ეჩვენებოდა. იდგა, ეძებდა იმათ, ვის გამოც მოიჩქაროდა აქეთკენ, არ ჩანდნენ. სასამართლოს წევრები, პროკურორი, მისი თანაშემწე და ამხანაგი მოვიდნენ, ისინი — არა. მაინც ელოდა. კარგა ხნის მერე ზოგი ადვოკატებთან ერთად გამოჩნდა, ზოგი სულაც არ გამოჩენილა.

პროკურორის ამხანაგმა სასამართლო სხდომის ჩატარება ბრალდებულების — ბესო დადიანის, სიმონ ბარკალაიასა და ალექსი ადამიას არყოფნის გამო შეუძლებლად მიიჩნია. ამასვე დაეთანხმნენ სალაყაიას, წულეისკირისა და გვალიას ადვოკატები — ფაღავა და ჩიკვაიძე, რომელთაც მოითხოვეს, ორ ექსპერტს — ლორთქიფანიძესა და პეტრიაშვილს — კიდევ სამი დავუმატოთ, სულ ხუთნი იყვნენ, რადგან დოკუმენტები ბევრია და ორი რას აუვაო.

ესენი საუბრობდნენ. ჟანო იჯდა და დილით ნანახი ჯიშიანი ცხენები ახსენდებოდა. გარეთ თოვდა, თოვდა და ყინავდა. არ უყვარდა ზამთარი. ფიქრობდა, როდის გადაშენდება ეს თოვლ-ყინვა, როდის მოვა გაზაფხულიო...

ფაღავამ, ორი ექსპერტი ვერას გახდება, კიდევ სამი დავუსართოთო — სასამართლომ მისი თხოვნა არ გაიზიარა,

ლორთქიფანიძესა და პეტრიაშვილს ყველანი იცნობთ, პროფესიონალებიც არიან, დაუზარელნიცო.

ორს ხუთი რომ სჯობს, ამის ახსნა ჩემგან არ გესწავლებათ — ჯიუტად გაიმეორა ფაღავამ და გაჩუმდა.

რატომ სჯობს ორს ხუთი — გაიფიქრა ჟანომ და ისევ ის ეტლში შებმული ცხენები წამოუტივტივდა გონებაში. კი სჯობს, რატომაც არა, ორი ორია, ერთზე ერთის მიმატებით მიღებული, ხუთი კიდევ ორჯერ და მეტჯერ მეტი, მაგრამ ზოგჯერ ორი სჯობს ხუთს და არა პირიქით, მოუნდა, შეკამათებოდა ადვოკატს, სხვა სიბრტყეზე გადაეტანა საუბარი, დაემტკიცებინა, ეთქვა, რომ ხანდახან ცოტა სჯობს ბევრს და არა სხვაგვარად, მაგრამ დარბაზში ჩაბუდებული სითბო უფრო ფიქრის განწყობას ჰქმნიდა, ვიდრე კამათისას. ამიტომ საუბარს დუმილი ამჯობინა.

მერე გარეთ მობობოქრე ქარ-თოში გაახსენდა ისევ და გუნება გაუფუჭდა. როდის გადაივლის ეს ზამთარი?!. — ნატვრა შეურია ფიქრში.

სასამართლო სხდომას „საპატიო მიზეზით" ვერ ესწრებოდა დიონისე ჯინორიძე, რომელიც 1904 წლის 8 ნოემბერს ბულვარში ვიღაც ახალგაზრდამ რევოლვერით მოკლა და მიიმალა.

ეძებეს მკვლელი, ვერ იპოვნეს.

მყრალი კაცი იყოო — წერენ მასზე გაზეთები, სულ მუშტებზე იყურებოდა, აუტანელი და ავყია ლაპარაკი იცოდა — ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასთან სამი პატიოსანი და ინტელიგენტი კაცი საჯაროდ გალახა, ხახვივით შეირჩინა ჩადენილი ამ დროს უკვე ქუთაისელმა პოლიციელმა დიონისე-დიომ. ისე, გიმნაზია მერვე კლასში მიატოვა, გადამწერად მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებაში, ერთხანს ოდესასა და თბილისში, მერე ქუთაისში პოლიციელობდა.

პოლიციელიც იყო, აშორდიას აგენტიც მუშტიკრივის მოყვარული ჯინორიძე.

არავის დაუდგენია, რატომ გამოასალმეს წუთისოფელს — პოლიციელობისდროინდელი ცუდკაცობისა თუ თავადობისა და აზნაურობის ამბებთან დაკავშირებით.

მოკლეს, მკვლელი ეძებეს, ვერ იპოვნეს და საქმე დახურეს.

ზოგი აშორდიელი ბუნებრივი სიკვდილით გადასახლდა იმიერში, ზოგს კიდევ — კლავდნენ, ერთმა-ორმა თავიც მოიკლა.

მოსამართლეებმა ბესო დადიანის ავადმყოფობის ცნობა სარწმუნოდ მიიჩნიეს, სიმონ ბარკალაიასი — საეჭვოდ, რადგან მასში ავადმყოფობის სიმპტომები ისე არეულ-დარეულად იყო ჩამოთვლილი, ვერ გაარკვევდი, რა სჭირდა ამ კაცს, რით იყო ავად, რის გამო ვერ ცხადდებოდა სასამართლო სხდომაზე. ამიტომ ქალაქის ექიმს დაავალეს ამ ამბის გარკვევა. ალექსი ადამიას კი არ ეპატიება მოუსვლელობაო — აღნიშნეს, მოწვევა მიიღო, ჩაიბარა, თვითონაც არ გვეახლა და არც რამე შეგვატყობინაო. ამიტომ 1000 მანეთით დავაჯარიმოთ, თუ არ გადაიხდის, დავაპატიმროთ და მერე ვნახოთ, თუ აიგდებს აბუჩად სასამართლოსო.

მოწმეებიც დააჯარიმეს — ყველაზე დიდი თანხა — 25 მანეთი — ფილიპე ლეჟავას დაუდგინეს, დანარჩენს სამსამი; მხედველობაში მიიღეს და საპატიოდ ჩათვალეს იმათი მოუსვლელობა, რომელთაც მოწვევა არ მიუღიათ. დაადგინეს: დიონისე ჯინორიძის მოკვლის გამო მისი საქმე შეწყდეს. მოსულ მოწმეებს მიეცეთ კანონით დადგენილი გზისა და საჭმლის ფული. ექსპერტები ლორთქიფანიძე და პეტრიაშვილი ხუთ-ხუთი მანეთით დაჯილდოვდნენ თითოეული და ა.შ.

მომავალი სხდომა სასამართლოსი გაიმართოს 1905 წლის 3 მარტს.

გარეთ ყინავდა, შიგნით ცხელოდა. ჟანო რომ გამოერ-

კვა, სასამართლოს დარბაზი იცლებოდა, ახლა იგი ეძებდა ბოგოროდსკივით კოლეგებს, ბრალდებულებს, მოწმეებს. რა სწრაფად აშლილან, ალბათ დიდხანს ვიყავი ჩათვლემილიო — გაიფიქრა. არადა, სულაც არ ყოფილა ასე, წუთში მოთავდა და მიილია სხდომა სასამართლოსი.

ჩათვლემილი ჟანო იმ ლამაზ ბედაურებს ხედავდა და ვიღაცას დაჟინებით უხსნიდა — ორი სჯობს ხუთსო. იმ ვიღაცას არა სჯეროდა, ეს ცდილობდა, დაერწმუნებინა, ვერაფერს აგებინებდა, ჭმუნვა იპყრობდა.

სასამართლოდან გამოსულს აღარც ის მეეტლე უნახავს, აღარც ის ჭკვიანი და ჯიშიანი ბედაურები.

ძალიან უნდოდა, ენახა, ენახა და მეეტლეს კიდევ ერთხელ, უკვე მესამედ შეკითხვოდა:

_ Породистыи ли эти лошади?! _

ციხეში გვიან თენდება

ერთ-ერთი აშორდიელი, სილოვან (იგივე ლეონ-ლევან) ჟორდანია, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თანამშრომელი, თბილისიდან ამარაგებდა სოლომონსა და მის რაზმს საჭირო დოკუმენტებით. ყალბისმქმნელობა პროფესიად გაეხადა, ნამდვილს ყურადღებას არ აქცევდა, სასურველს წერდა და არიგებდა. შეამჩნიეს, გაკოჭეს. 1902 წლის 5 დეკემბერს დაიწყო თბილისის სასამართლო პალატამ მისი საქმის განხილვა და 1903 წლის 26 მარტს წელიწადნახევრით გაამწესა ციხეში. იჯდა იმაზე მოფიქრალი, კიდევ კარგი, სხვა ნაყალბევ-ნათაღლითარი ვერ აღმოაჩინეს, თორემ სასჯელის ზომა-სიდიდე მაშინ გენახათო. ერთი-ორი რაღაც უპოვნეს ბევრის მქნელსა და ჩამდენს. ამიტომ იყო

კმაყოფილი, თუმცა ქუთაისში თავადაზნაურობის საბუთებზე დატრიალებულ ამბებში მასაც ედებოდა ბრალი. იცოდა ესეც, ეგონა, აქაც იგივე განმეორდებოდა, უმნიშვნელოს აღმოუჩენდნენ, მნიშვნელოვანს — ვერა, და ერთიორი წელი ციხეში ყოფნა რა ბედენა იყო, როცა ათჯერ მეტს ელოდა, ამაზე როგორ არ იქნებოდა ყაბულს. იჯდა, ითვლიდა დღეებს და ამ თვლაში 1904 წლის 11 აგვისტოს მანიფესტმაც მოუსწრო. ერთი მესამედით უნდა შემცირებოდა სასჯელი, სილოვანს კი უკვე ამაზე მეტი ჰქონდა მოხეული. ამიტომ ხელახლა განიხილეს საქმე, გაათავისუფლეს, ოღონდ ისიც დაუდგინეს, ეს გადაწყვეტილება გავლენას არ მოახდენდა ქუთაისის საოლქო სასამართლოში მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეზე, პრივილეგიებისა და წოდებების ჩამორთმევაც ძალაში დატოვეს და გაუშვეს.

ამ დროს გაასამართლეს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მეორე თანამშრომელი, ნადვორნი სოვეტნიკის შვილი გიორგი ალექსანდრეს ძე პრიგოვორსკი და 4 თვით ციხეში ყოფნა აკმარეს. ჟორდანიას, აშორდიას აქტიურ დამხმარესა და ერთგულ თანამზრახველს — მეტი, ამას ნაკლები მიუსაჯეს, დანაშაული დაახლოებით ერთნაირი ჩაედინათ, სასჯელი განსხვავებული არგუნეს.

ადრე სინოდში, თუ ვინმე რაიმე საბუთს წარადგენდა, სადაც იგი თავადად ან აზნაურად იქნებოდა მოხსენიებული, მეტრიკულ მოწმობებშიც შეჰქონდათ იგივე ცვლილება. 1898 წლიდან კი ამგვარი რამის გაკეთება აიკრძალა, რამაც ახალი თავსატეხი გაუჩინა აშორდიელებს. საჭირო გახდა ეს საბუთებიც გაეყალბებინათ.

ჟორდანია და პრიგოვორსკი ჩაერთვნენ საქმეში. პირველს მიჰქონდა ფული, მეორე წერდა საჭირო დოკუმენტს. მეორემ აღიარა დანაშაული, პირველმა მეორეს დასდო ბრალი

— რუსული არ ვიცი, ვუხდიდი თანხას, რა შინაარსის საბუთს მაძლევდა, არ ვიცოდი. აზნაურად ჩაწერა მეტრიკულ მოწმობაში სტეფანე გეგეჭკორი, რომელმაც, რომ შეიტყო, დაიჭერდნენ, თავი მოიკლა.

ჟორდანიას ვექილმა ბახუტაშვილმა სასამართლოს გააცნო პრიგოვორსკის ორი წერილი, რომელშიც იგი თვითმკვლელ ნესტორ გეგეჭკორს თხოვდა, — საბუთები მზად არის, ჩამოდი, წაიღეო. ამით ძვირფას ადვოკატს უნდოდა დაემტკიცებინა, რომ მისი „დაცვის ქვეშ მყოფი პირი" არაფერ შუაში გახლდათ, გეგეჭკორი და ნადვორნი სოვეტნიკის შვილი მისგან დამოუკიდებლად აგვარებდნენ საქმეებს.

გეგეჭკორი მკვდარი იყო, უფრო სწორად, თავმკვდარი, ვერაფერს კითხავდნენ, პრიგოვორსკის კი ამ წერილების საფუძველზე აშკარად დებდნენ ბრალს, მაგრამ ვერ ითვალისწინებდნენ, მას მისივე ვექილ ტურკევიჩის, დიდად დაცვაც რომ არ სჭირდებოდა, მშობელი მამა მფარველობდა და იცავდა გარედან.

პრიგოვორსკიმ ამ ბრალდებასაც გასცა პასუხი, რომელიც სასამართლოს აინუნშიც არ უნდა ჩაეგდო, მაგრამ სარწმუნოდ მიიჩნია. აი, ეს პასუხი: წერილები მეტეხის ციხეში ჟორდანიას თხოვნით დავწერე, გული მომილბო, ვიფიქრე, თუ ეს უშველის, დავწერ და გავუგზავნი სტეფანე გეგეჭკორს-მეთქი.

რას ნიშნავდა გულის მოლბობა — ისევ ფულის აღებას, მეტეხის ციხეშიც რომ ახერხებდა პატიმარი, თუ იმას, რომ იქაც იმაზე ფიქრობდნენ, ერთმანეთი როგორ გამოეძვრინათ — სასამართლოს არ გაურკვევია.

სინოდის თანამშრომლებმა — მგალობელოვმა, ჩიტაძემ, იანქოშვილმა, ბერიშვილმა, არქიმანდრიტებმა გერმოგენმა და არისტრახმა მოწმობებზე ჩვენი ხელმოწერა ყალბია,

ჰგავს ჩვენსას, ჩვენი არაა. ამით პრიგოვორსკის დანაშაული უნდა დამძიმებულიყო, მაგრამ, როგორც ვთქვით, შემსუბუქდა საგრძნობ.

მოწმე გოგიამ თქვა: დავესწარი ფაქტს, როცა ჟორდანიამ მოწმობა გადასცა ადამიას, მაგრამ იგი საოცრად გაუჯავრდა, რადგან შიგ გლეხად იყო ნახსენები მისი გვარი.

აქედან დაიწყო ამ ორი კაცის მტრობა, მაგრამ ეს ყველაფერი ადრე იყო, როცა თავის მართლება ადვილი გახლდათ.

ერთი სიტყვით, თბილისის სასამართლო პალატას, რომელმაც განიხილა ეს საქმე, ავად იყო თუ კარგად, მართალია, არა უციხოდ, მაგრამ მაინც დაუძვრა სილოვანი. მაგრამ მეტეხის ციხეში გამოკეტილმა კარგად იცოდა, რომ ქუთაისის ამბებზეც უნდა ეგო პასუხი, არ იქნებოდა იოლი აქედან მშრალად გამოძრომა, იყო ხალხი, ვინც ამბობდა, მისი შემწეობით გავაზნაურდი, ფული მივეცი, საბუთები შემიდგინა და გავაშორდიელაზნაურდი, ის რომ არა, მე რისი მომგვარებელ-მომწესრიგებელი ვიყავიო და მისთანანი. საფუძვლიანად აბრალებდნენ იმას, რაც სინამდვილეში ხდებოდა, მაგრამ ლეონს საფუძვლიანი, ყოველმხრივ დასაბუთებული ბრალდება უსაფუძვლოდ უნდა მ̣იეჩნია, მიიჩნევდა კიდეც — წერდა თხოვნებს საოლქო სასამართლოს სახელზე, ითხოვდა დამატებითი მოწმეების, მისთვის სასურველი ადამიანების დაკითხვას, ერთი სიტყვით, ყვებოდა არაკს, სასურველი ფინალ-დასასრული რომ უნდა მოჰყოლოდა.

სილოვან ჟორდანიას თხოვნებს რომ წ̣აიკითხავ, გაიფიქრებ, თვითონ უსვამდა თავის თავს შეკითხვებს და თვითონვე პასუხობდა. ციხეში მეტი რა უნდა ეკეთებინა, ფიქრის დრო ბლომად ჰქონდა, ფიქრობდა. აიღებდა სასამართლოდან მის სახელზე მოსულ საბრალდებო დასკვნას, წ̣აიკითხავდა, მერე წ̣აკითხულს იმდენჯერ იხსენებდა, თვითონვე ასხვა-

ფერებდა დეტალებს უკვე, იურისტების დაწერილს და რამდენჯერმე წაკითხულს გადასხვაფერებულად ყვებოდა. აი, სილოვანისეული ინტერპრეტაცია სასამართლოდან მოსული ბრალდების ერთი მონაკვეთისა:

ყარამან გუგუშვილი რომ გاااზნაურე და სამაგიეროდ 100 მანეთი გამოართვი, ყველამ იცის. ისიც უწყიან, ეს კაცი რამდენ ხანს დადიოდა შენთან, როგორ გეღრიჭებოდა და გეხვეწებოდა. სანამ საკმაოდ დიდი ფული არ ჩაგიჯიბა, მანამდე არ დააყენე საშველი. დუტუ გეგეჭკორის საბუთებსაც ბარე ოთხი წელი დაატარებდი აქეთ-იქით, ბოლოს, რავარც იქნა, გაუხერხე აზნაურობა, მაგრამ კაცი ლოდინით დაილია, იმ დროს ეღირსა სანუკვარ წოდებას, როცა აღარც უნდოდა, უფრო სწორად, თქვენი ამბები გამჟღავნდა და ერჩია, ამ საქმეებში არ ყოფილიყო ჩართული და ჩათრეული.

ძნელი იყო ამ ბრალდებებზე პასუხის გაცემა, მაგრამ სილოვანმა კარგად იცოდა, რომ როგორმე უნდა დაეძლია ეს სიძნელე, რაღაც მოეფიქრებინა, უპირველესად საკუთარი თავი დაერწმუნებინა, მერე — სხვები.

ბევრს მოგზაურობდა, იქით-აქეთ წასვლა-წამოსვლის დროს ბევრსაც ფიქრობდა. ციხის საკანი, რაღაცნაირად, მატარებლის ოთახს ჩამოჰგავდა, უფრო ვიწრო იყო, მოუხერხებელი, ბნელი, სარკმელდახშული. იქ, მატარებელში, კარგად სუნთქავდა, აქ — ჩამოღამებულ საკანში — გახშირებულად და მდორედ. იქ — ხალისიანი, საქმეებზე მიიჩქარ-მოიჩქაროდა, გეგმებს აწყობდა, გამორჩენას ელოდა, იშვიათად უმტყუნია მატარებელში დაწყობილ-დალაგებულ აზრებს. აქ ერთი და ძნელად მოსაშორებელი სადარდელიღა შერჩენოდა მხოლოდ, იქ მრავალფეროვანი და საამური იყო ცხოვრება, აქ — გუნებამომშხამველი და სადავიდარაბო.

საკანში ყოფნასაც აიტანდა, ვინმეს რაღაცაზე რომ გამოება და ჯურღმულივით ოთახს მატარებლის ვაგონივით

ემოძრავა, უძრაობას ვერ ეგუებოდა, დასავლეთიდან აღ-მოსავლეთისკენ და პირიქით მიმოსვლისათვის დაბადებული საკანში დაკუტდა, დაგლახავდა, ყველამ უღალატა, ფიქრი დაიმეგობრა, თუმცა იმასაც ხშირად შეუწყრებოდა და შე-უკურთხებდა ხოლმე.

მატარებელში ფიქრი ხალისიანი იყო-მეთქი, თან მიდიო-და, თან ფიქრობდა, აქ, კუდის მოქნევა ადგილზე, სიარულ-საც ვერ ახერხებდა, ერჩივნა, ევლო და მოძრაობაში დაემწ-ყობრებინა აზრები.

იდგა და პასუხს ცემდა საბრალდებო დასკვნაში მოყვა-ნილ ამბებს:

სიცრუეა, თითქოს ყარამან გუგუშვილის გააზნაურების საქმე მე მომეგვარებინოს და ამისათვის მას ჩემთვის 100 მანეთი გადაეხადოს. ენას ძვალი არა აქვსო — ასეთ შემთხვე-ვაში იტყვიან. ყარამანი რა ფულის გადამხდელიცაა, ყვე-ლამ იცის, 100 მანეთს კი არა, 100 კაპიკს ვერ დატყუებს კაცი. მისი წოდებრივი ამაღლება, როგორ უცნაურადაც უნ-და მოგეჩვენოთ, მიხეილ წულეისკირმა და მიხეილ კონსტან-ტინეს ძე დადიანმა აიღეს თავიანთ თავზე და, მგონი, ბოლომდეც მიიყვანეს. მიჭირს ამის თქმა, მაგრამ როცა ტყუ-ილუბრალოდ მადებენ ხელს, იძულებული ვარ, გავამხილო სიმართლე. და კიდევ, თუ გულით ნათქვამ ამ სიწრფელე-შიც შეგეპარებათ ეჭვი, ჰკითხეთ მღვდელ ანტონ რევიას, მულინ კონსტანტინეს ძე დადიანს და მიხეილ დადიანს, თუ, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელს შუბლის ძარღვი არ გაწყვე-ტია, სამართლიანობის გრძნობა ოდნავ მაინც შერჩენია. გეტ-ყვით იმას, რაც სინამდვილეში მოხდა, რაშიც ცამდე მარ-თალი და უდანაშაულო გახლავართ. ისე, ამ კაცს, ანუ მიხეილ დადიანს, ბოლომდე ნუ ენდობით, მაინც დაინტე-რესებული პიროვნებაა, შეიძლება ითვალთმაქცოს, არ გითხრათ ის, რაც მის დანაშაულს დაამტკიცებს. სხვები კი,

დარწმუნებული ვარ, არ მიღალატებენ, განაცხადებენ იმას, რაც მოგახსენეთ. ისე, ის მაინც რამ ათქმევინა, 100 მანეთი გადავუხადეო, რისი გადამხდელ-გამღებიცაა, ქვეყანამ იცის, თქვენც გეცოდინებათ, თუ არა და, ახლა ხომ გაიგეთ. ღმერთია მოწამე, მის ქვემოთ სამღვდელოების ჭეშმარიტი მსახური ანტონ რევია და მთელ დუნიაზე მართალ კაცად ცნობილი მულინ დადიანი, რომელიც, არ ვიცი, ცოცხალია თუ არა, ადრე ჯანზეც იყო, მეხსიერებაც ჩინებული ჰქონდა, თუ არადა, მისი შვილები მაინც იქნებიან ამ ქვეყანაზე, ისეთი კაცი იყო, დაუბარებდა შთამომავლობას სიმართლეს, ისინი იტყვიან, რომ ყარამან გუგუშვილთან არასდროს არაფერი მესაქმებოდა. ეს კიდევ — 100 მანეთი მივეციო...

ჩაფიქრდებოდა ციხეში გამოკეტილი და ისევ ციხის მომლოდინე პატიმარი. ბრალდებებში მოკლედ, ლაკონურად იყო ნათქვამი ყველაფერი, ეს კიდევ გაჭიანურებულ და მომაბეზრებელ პასუხებს ცემდა. უნდოდა, არაფერი გამორჩენოდა, გრძლად ნათქვამ-დაწერილით გაემართლებინა თავი, ცდილობდა, არ გამოსდიოდა, თვითონაც გრძნობდა ამას და საკუთარ თავზე ბრაზდებოდა. ხშირად ფიქრშიც ჩაძინებია, ჩაუყვინთავს, მაგრამ სიზმარშიც იგივე საზრუნავს შეუპყრია. ციხეში გვიან თენდებოდა, სილოვანისათვის კიდევ დღესა და ღამეს აზრი დაკარგვოდა, სიფხიზლე და ძილი ერთმანეთს დამსგავსებოდა, იქაც ფიქრობდა, აქაც, გვიან თენდებოდა...

ფიქრობდა:

გადაირევი კაცი, ვისაც რა უნდა, იმას ამბობს, ღმერთი, ეკლესია, მღვდელი აღარ სწამთ მამაცხონებულებს, — გაივსო ქვეყანა ურწმუნო კაცებით. 100 მანეთი მივეციო — ისემც უცხონდეს პატრონი... კიდევ ვიმეორებ — მიხეილ კონსტანტინეს ძე დადიანის ბოლომდე ნდობა არ შეიძლება, დანარჩენები, მჯერა, საჩემოს იტყვიან.

ამას გაიფიქრებდა და ამოწმებდა წინათ ნაფიქრალს, ძილში დასიზმრებულს ღვიძილში აკონკრეტებდა და პირიქით.

იმოდენა სასჯელს ელოდა, ეგონა, იქნებ ფიქრში მაინც გამოვიხსნა თავიო: უნდოდა, ზოგიერთი მოწმე მკვდარი ყოფილიყო, მკვდარი კიდევ — ცოცხალი, ერთზე — რამ მოკლა საწყალიო, მეორეზე — ამას რა მოკლავსო — ფიქრობდა.

დუტუ გეგეჭკორსაც არევია რაღაც-რაღაცები. ურცხვად ირწმუნება, თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში 1900 წელს შეტანილი საბუთები ჯერ კიდევ 1896 წელს გადავეცი ლეონ ჟორდანიას, ხოლო ბრძანება, სინოდალური კანტორიდან ამონაწერი და ბილეთი 1899 წელს მივეცი სანდრო თოთიას და ლევან მასხულიასო. არაფერი ასეთი სინამდვილეში არ მომხდარა, არც საბუთებისთვის მომიკიდნია ხელი და არც არაფრისთვის — მღვდელი მელიტონ გეგეჭკორი, მიხეილ ჟორდანია და ბარდღუ ბიგვავა დამერწმუნებიან, რომ გეგეჭკორმა სინოდალური კანტორის ამონაწერი 1899 წელს გადმომცა ცაიშში. ჯერ ერთი, ოთხი წელიწადი ამ კაცის დოკუმენტები რატომ უნდა შემენახა, ან სად შემენახა, არქივი მქონდა გახსნილი თუ კანცელარია?! რომ გადმოეცა, მივიტანდი იქ, სადაც უნდა მიმეტანა. არ მოუცია და მე საიდან შევქმნიდი ან შევადგენდი საბუთებს?! რას იზამ, ასეთია სინამდვილე — ერთი, კაპიკს რომ ხელიდან ვერ გააგდებინებ, გაიძახის — 100 მანეთი მივეციო, ცოტას მაინც ამბობდეს მამაცხონებული. მეორე კიდევ, საბუთები ჩავაბარეო. დუტუ გეგეჭკორისგან ამას არ ველოდი, განათლებული კაცია, უნდა იცოდეს, რა რას ნიშნავს. რას მერჩის, რატომ იმას არ ამბობს, რაც სინამდვილეში მოხდა. მე ჩემი გითხარით, მისი საქციელის მიზეზი იქნებ თქვენ გაარკვიოთ.

წერდა ან ფიქრობდა ამნაირად, მერე სხვათა დასარწმუ-

ნებლად სხვანაირად აგრძელებდა. იცოდა, ძნელად დააჯერებდა ვინმეს, მაგრამ მაინც იკლავდა ფიქრის წადილს:

— რამდენნაირ ხერხს არ მიმართავს ადამიანი, მართლმსაჯულებას რომ დაუსხლტეს, რას არ მოჩმახავს და მოიგონებს, ოღონდ თავი დაიზღვიოს, გადაირჩინოს და სხვა თუნდაც სამიდღემჩიოდ გამოუკეტავთ ციხეში. ერთი მე აღმოვჩნდი — ყველასაგან განსხვავებული და სხვანაირი, დღენიადაგ იმაზე ვფიქრობ, სხვა არ დავაზარალო, არ დავაბეზღო, როგორმე ამის გარეშე დავამტკიცო ჩემი სიმართლე და გულწრფელობა.

ამის გაფიქრებისთანავე ჩაიცინებდა, ღიმილი გაუკრთებოდა გონებაში, უხაროდა, კარგად მოვიფიქრეო, მაგრამ მერე სხვა ბრალდებანიც გაახსენდებოდა და მოეშხამებოდა გუნება:

მურზა და ნიკოლოზ გაგუებზე რაღას იტყვი — რამდენ ხანს ელოდნენ შენგან სინოდალური კანტორის ამონაწერს. არ იქნა და არ აღირსე, ფული არ მოგცეს და უფულოდ ვისთვის გაგიკეთებია რამე. საბუთი ხელთ გეჭირა, აქეთ-იქით აფრიალებდი და გაიძახოდი — მომცენ ფული და მივცემო. რამ გაგაღორა და დაგახარბა ასე. მერაბ გრიგოლია ხომ კუდის რიკამდე გაატყავე, ჯერ იყო და ფარატინა ქაღალდში, ანუ სინოდალური კანტორიდან ამონაწერში ერთი სახლის ფული დატყუე, მერე ესეც არ იკმარე და ცხენები დააწერე. აზიური მაღაზიის მეპატრონე ივანე თოდუა რომ მოვიდეს სასამართლოზე, როგორ შეხედავ თვალებში, მთელმა ქვეყანამ იცის, რომ გაფცქვენი და გააღატაკე. სოლომონ აშორდიასთანაც ნახეს შენგან გამოგზავნილი დეპეშები, ამას რანაირად უარყოფ და წააყრი მტვერს. ან კიდევ, სინოდალური კანტორის პროკურორთან რომ იყავი შეკრული და მისი მეშვეობით წევდი და წევდი თამასას ზევით, ადამია რომ გეჩხუბა და გცემა, პროკურორის აგენტი რომ გიძახა, ხომ

მთელ ქუთაისს ესმოდა. არა, ამ ბრალდებებს ასე იოლად ვერ დაუძვრები, ზღაპრებს ვის დააჯერებ, სიმართლე უნდა თქვა, სიმართლე, იქნებ ამით მაინც შეგიცოდონ და შეგიმსუბუქონ მსჯავრი.

გადაულახავ ბარიერს ჰგავდა მოსამართლეთა მოძიებული ამბებიდან თავის დაძვრენა. ამიტომ ხშირად ყოვნდებოდა, გაუშტერდებოდა სახე, გაუქვავდებოდა მზერა... იდგა ერთხანს ასე, ყველაფერს ერჩია ამგვარი ყოფა, უდარდელი, არაფერზე მოფიქრალი, მაგრამ დიდხანს არ გრძელდებოდა ეს ნეტარება, ისევ ძველებურად განაგრძობდა:

მურზა და ნიკოლოზ გაგუები აშორდიამ, წულეისკირმა და მიხეილ დადიანმა გااააზნაურეს. ისინი დაპირდნენ, შეხვდნენ, მოელაპარაკნენ, გამოართვეს ფული და მოუგვარეს საქმე. მე მხოლოდ სინოდალური კანტორიდან ამონაწერი გავუკეთე. სხვათაშორის, ამ ცნობაში ეს ძმები წოდების გარეშე იყვნენ ნახსენები. მაგრამ ახლა რომ ლაყბობენ და, მათი აზრით, სიმართლეს, სინამდვილეში ტყუილს ლაპარაკობენ, ამ ცნობისათვის ფული ხომ უნდა გადაეხადათ?! არ გადაიხადეს, დამატყუეს და დამაღალატეს მართალი კაცი — მითხრეს, ამონაწერი გაამზადე, ფულს მერე მოგცემთო, ჩემი ჯიბის თანხა მივეცი ამ საბუთში. გაიგეს, გაკეთებული მქონდა, უფულოდ მოინდომეს წაღება. არ მივეცი, გაბრაზდნენ, დამეჩემნენ და გადამეკიდნენ. ასეთ ადამიანს როგორ შეიძლება ენდო?! შეიძლება საბუთისათვის საჭირო თანხაზე თქვას უარი წესრიგიანმა და სიმართლის მოყვარულმა კაცმა? და კიდევ: ფული არ მომცა და მტრად გამიხდა, მაგრამ მე უფრო ის მგონია მართალი, აშორდიასთვის, წულეისკირისა და დადიანისათვის იმოდენა თანხა ჰქონდათ მიცემული, მეტის გაღება აღარც სურდათ, აღარც შეეძლოთ. მობეზრებოდათ ყველაფერი, დაჟინებით ითხოვდნენ გااზნაურებას, დიდი ფულის გაცემას ჯავრობდნენ,

იმუქრებოდნენ, ილანძღებოდნენ. ამბობენ — თითქოს ამონაწერთან ერთად დავით დადიანის ბრძანებაც მივეცი — ტყუილი, ტყუილი. საბრალდებო დასკვნაში წერია, დადიანის ბრძანება სოლომონ აშორდიას დაწერილიაო — იმან თუ დაწერა და შექმნა, მე საიდან მივცემდი და მივუტანდი. მისი ხელით დაწერილ საბუთთან რა საქმე და ხელი მქონდა, ერთი სიტყვით, ამ ამბებშიც არ ვურევივარ, აშორდიას, წულეისკირისა და დადიანის ნამოქმედარს მე რატომ მაბრალებენ, გაუგებარია. ეჰ, ყველა თავის თავზე ფიქრობს, სხვა ფეხებზე ჰკიდია. მე კიდევ, არავის დასახელება არ მინდა, მათ დაუსახელებლად, დაუბეზღებლად მსურს დავამტკიცო სიმართლე.

გაგუები არ იყვნენ სააზნაურო ხალხი, გაუნათლებელი, უტუ ადამიანები არ უნდა ეპოტინებოდნენ იმას, რაც ვერასდროს იქნებიან. ესენი წაეპოტინენ სოლომონისა და ჩემს მიერ დასახელებულთა წყალობით და გახდნენ კიდეც, მაგრამ კაცს, როცა ისიც არ ახსოვს, ვისთან და რატომ ჰქონდა საქმე, არ უნდა ენდო. ჩემს ნათქვამს დაგიდასტურებენ მიხეილ კაციას ძე დადიანი და ნიკოლოზ ჟორდანია. შეკითხვაც არ გინდათ, უბრალოდ რომ ჩამოუგდოთ ამ ამბებზე საუბარი, წამსვე აჭიკჭიკდებიან.

ეს გაიფიქრა და მიხვდა, მთლად სათავისო რომ არ იყო, გული მოეწურა, დარდმა შემსჭვალა. გათენებული ეგონა, შუაღამე იდგა. საკანში გვიან თენდებოდა. თავდახსნის ინსტინქტი ისევ მოეძალა, სცადა, ბრალდებები გაექარწყლებინა, ქარისათვის გაეტანებინა:

მერაბ გრიგოლიასაც არევია რაღაც-რაღაცები — ირწმუნება, თითქოს მე მისთვის სინოდალური კანტორის ამონაწერი მიმეყიდოს, რატომ უნდა მიმეყიდა, ვაჭარი ვიყავი თუ ხელის დამცლელი ვაჭრისა?!

მე რას გასწავლით, სინოდალურ კანტორაში განცხადება უნდა დაწეროს კაცმა და მთავრობისაგან დაწესებული ბაჟის გადახდის მერე მიიღებს იმ საბუთს, რომელიც სურს. გრიგოლიას კიდევ ორმაგი ხარჯი რატომ უნდა გაეღო — ჩემთვის თანხა რისთვის უნდა გადაეხადა, როცა უამისოდაც ადვილად მოგვარდებოდა ყველაფერი. ერთი სიტყვით, მე არც საბუთების მყიდველი ვარ, არც გადამყიდველი, კიდევაც რომ მოვისურვო, ვინ მაყიდინებს და გამაყიდინებს რაიმეს. ეს რომ ასე იყო, ნამდვილობას დაგიდასტურებთ სინოდალური კანტორის პროკურორი ლევ პავლეს ძე რუშინსკი, ამავე კანტორის მდივანი სოფრომ მგალობელოვი და თარჯიმანი დიმიტრი მღებროვი. იმასაც გეტყვიან, მერაბ გრიგოლიას რამდენჯერმე ავუხსენით, რომ ცნობაში წოდებრივი კუთვნილების ანუ გლეხის აზნაურით შეცვლა შეუძლებელია, თუ ამის დამამოწმებელი სხვა დოკუმენტი არ არსებობს. ვუთხარით, არ დაიჯერა, თავისი გაიტანა და ახლა ზღაპრებს ყვება, მოყვეს, ვის სჯერა და სწამს მისი მონათხრობი. დაუჟინია, ჟორდანიას 100 მანეთის ცხენები მივეცით, ისემც რა ვუთხარი, ეს ცხენები იმისათვის მივიღე, რომ მისი უფროსი ქალიშვილი ჩემს ნათესავ ვასილ ჟორდანიაზე დავაქორწინე და ქორწილიც გადავუხადე. ამ ამბების სისწორეს დამიდასტურებს ამ ჩინებული და დიდებული ლხინის ნებისმიერი მონაწილე. თამადა არ მახსოვს, ვინ იყო. უჰ, გამოვჩერჩეტდი, ამდენმა ცრუ ბრალდებამ მეხსიერება დამიქვეითა, როგორ არ მახსოვს, მე ვიყავი, ამიტომ საკუთარ თავს მოწმედ არ გამოვადგები, მოადგილეების ანუ თანათამადების არჩევა და მათი დახმარებით სუფრის გაძღოლა არ მიყვარს, რამდენადაც დემოკრატი ვარ ცხოვრებაში, სუფრაზე დიქტატორად ვიქცევი ხოლმე. ამდენად, ამათაც ვერ დაკითხავთ, ისევ მონაწილეებზე უნდა შეაჩეროთ არჩევანი, ხალხი არც ბევრი ყოფილა, არც ცოტა, უფ-

რო საშუალო ან კიდევ საშუალოზე მცირე სიდიდის ლხინი გახლდათ, დედოფალი და სიძე რომ ესწრებოდნენ, ნაღდია, მაგრამ მათ, გრიგოლიას ჩაგონებით, იქნებ არ თქვან სიმართლე, სჯობს, სხვებს დაეკითხოთ, ისინი გეტყვიან ყველაფერს. ნათესავებიდან ამ ლხინზე ვინ ჰყავდათ მოწვეული, ვერ ვიხსენებ, მიხეილ გიორგის ძე ჟორდანია რომ დასტურ იქ იყო, ნაღდია, მერიქიფეობდა, ხალისობდა. კარგი კაცია, ყველაფერს დაწვრილებით ჩაგიკაკლავთ.

ეს აზრი გაუკრთებოდა გონებაში და ისევ მოეძალებოდა დარდი, მოწმეებიც შემომელია, იესელია ქორწილიდან რავა არავინ მახსოვს — ამუნათებდა საკუთარ თავს, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ ახლა ამაზე კი არა, იმაზე უნდა ეზრუნა, რა ეთქვა საფუძვლიანად, თორემ გამტყუნებით სხვებიც მშვენივრად გაამტყუნებდნენ. ამიტომ მარტო კი არ ფიქრობდა, უკვე ქაღალდზე გადაჰქონდა ნაფიქრი:

— როგორ არ რცხვენია მერაბ გრიგოლიას, როცა ამბობს, ცხენები მივეცი საბუთშიო?! ორი წელი რომ დამდევდა და მეხვეწებოდა, დამიჭკნა და დამიბიისფერდა გოგო ოჯახში, გარეთ არ იხედება, დამრჩა გაუთხოვარი, თუ ცოტა ხანში ვერ დავაქორწინე, მერე გადაბერდება და ვინ შეირთავსო. მე კიდევ ვიარე და ვიარე, ვარწმუნე და ვარწმუნე ჩემი ნათესავი ვასილი, რა არ ვუთხარი, რა არ მოვიგონე, რა არ მოვჩმახე, როგორ მზეთუნახავად არ წარმოვუდგინე გრიგოლიას გამყივანხმიანი ქალიშვილი. როგორც იქნა, დავითანხმე, გავჩარხე საქმე, გასამრჯელო მეკუთვნოდა და მივიღე. ის კიდევ, საბუთში გამომართვა ცხენებიო — როგორ არ რცხვენია ცრუპენტელას.

კაცს პატივი ვეცი, თავი არ დავზოგე, მგონი ერთ ბედაურს იქით-აქეთ სიარულში ამოვხადე სული და როგორ უკან შემომიტრიალეს ყველაფერი — მაჭანკლობასა და თამადობაში აღებული გასამრჯელო საბუთში მოცემულ ქრთა-

მად მომაბრალეს. რას არ მოიფიქრებს კაცი, ოღონდ ციხეს გადაურჩეს, თვითონ გარეთ იყოს და თუნდ მთელი ქვეყანა იქ ლპებოდეს და გმინავდეს.

ენას ძვალი არ აქვსო — მართლაც ამაზეა ნათქვამი. ძნელია, ვინმეს დაუსახელებლად შენი უდანაშაულობა დაამტკიცო. მე ვცდილობ, მგონი, ვახერხებ კიდეც.

რასაც ვახერხებ, სასამართლოზე გამოჩნდება. ვთვალთმაქცობ — გაიფიქრებდა მისდა უნებურად, მაგრამ გადარჩენის შიში სხვა მხარისკენ მიაქანებდა მის გონებას ისევ:

— ძალიან გამიკვირდა, თითქოს აზიური მაღაზიის პატრონს ივანე თოდუას ეთქვას, რომ ლევან დადიანის წყალობის სიგელი მივყიდე. არ დაიჯეროთ, რისი მიმყიდველი ვარ, ან სად მქონდა, რომ მიმეყიდა. სინამდვილეში კი თავისსავე დუქანში ამ კაცმა, ივანე ბორითაშვილისა და მელიქ დგებუაძის თანდასწრებით, მითხრა, რომ კაცია შელიას ქუთაისის გუბერნიის არქივარიუსისაგან აუღია ცნობა, მისი (ივანე თოდუას) აზნაურობის დამამტკიცებელი. მთხოვა, მივსულიყავი ამ კაცთან და გამომერთმია ეს საბუთი. თუ უფულოდ არ მომცემდა, მეყიდა და მერე მედუქნე თოდუა გამისტუმრებდა. არ დავზარებულვარ, მივედი რესტორნის პატრონ შელიასთან, ვეხვეწე, ველრიჭე, ვერაფრით უფულოდ ვერ დავტყუე, ბოლოს 100 მანეთის ვექსილი დავუტოვე და გამოვართვი. მოდი და ამის შემდეგ კაცს სიკეთე გაუკეთე, ყველა არაა ამის ღირსი, უგვანომ და გაუგებარმა არც დახმარების ფასი იცის, არც სიკეთისა. კიდევ კარგი, ამ ამბის მოწმეები რომ არსებობენ. ჰკითხეთ ბორითაშვილს, დგებუაძეს, მარკოზიას და მღვდელ სერაპიონ კვარაცხელიას. ჰკითხეთ, გეტყვიან, დაგიდასტურებენ, შეიტყობთ ჩემს სიმართლესა და უდანაშაულობას.

რა ვუთხარი ამ ყოფას, აუტანელსა და გაუსაძლისს, რა მართალი ყოფილან ძველი რომაელები, ადამიანი ადამია-

ნისათვის მგელიაო. გაუჭირდათ და მართლაც მგლებივით დაერივნენ ერთმანეთს, ერთმა მეორე, მეორემ მესამე, მესამემ მეოთხე და წინა ორი ერთად დააბეზღა და ასე დაუსრულებლად გაგრძელდა ჯაჭვი, აიკინძა ერთ ძაფზე, ერთ ჯარჯზე ადამიანთა ბედი.

ყველა თავის თავზე ფიქრობს, ჰგონიათ, სხვას დაასახელებენ და გადარჩებიან, ის კი არ უწყიან, რომ ამით მათი მდგომარეობაც მძიმდება, უფრო და უფრო საციხო ხდება. მე აღმოვჩნდი მათგან განსხვავებული, ვერ ნახავ, ვინმეზე რაიმე მეთქვას, საკუთარი თავის გადარჩენისათვის სხვა გამეწიროს.

ისემც რა გითხარი — გაუელვებდა გონებაში და ეს გაელვებული აზრი იყო ნამდვილი, დანარჩენი — მოგონილი.

რა ექნა, ციხეში გვიან თენდებოდა:

— აშორდიასთან აღმოჩენილ დეპეშებს ვინმეს გააზნაურებასთან არაფერი აქვთ საერთო. 1899 წელი იყო, შემოდგომისპირი, არეულ-დარეული ამინდი, წვიმდა, უფრო ჟინჟღლავდა. ზაფხულის ხვატსა და სიცხეს შეჩვეული სიცივეს რომ ძნელად ეგუები, გეხამუშება და გაკრთობს, ისეთი ტაროსი იდგა. სადგურ რიონიდან თბილისის მატარებელს უნდა გავყოლოდი. ხალხი ყაფანში შეყუჟულიყო, მეც იქით გავწიე, ვიღაცის ხმა დამედევნა — ლეონ, ლეონ, — მეგონა, ყაფნიდან მეძახდნენ, იქითკენ გავიხედე, ვერავინ შევნიშნე ჩემი ნაცნობი და ახლობელი. ისევ განმეორდა ძახილი, უკან მოვიხედე და დიდი ხის ქვეშ სოლომონ აშორდიას, გრიგოლ ლოლუასა და დიაკონ კირილე ჩაკვეტაძეს მოვკარი თვალი, მიხმეს, მივედი. ძალიან ახლო ნაცნობები არ ვიყავით, არც შორებელი, ვიცნობდით ერთმანეთს, არ ვძმაკაცობდით.

სოლომონმა შეიტყო, რომ თბილისში მივდიოდი და მთხოვა, გამეგო, სინოდალურ კანტორაში სოფრომ მგალობელოვს მზად ჰქონდა თუ არა მისთვის საჭირო საბუთები. თუ უკვე

გაკეთებული იყო, დეპეშით ეცნობებინა, იქვე დამიწერა დეპეშის ტექსტიც, მომცა 1 მანეთი და შემეხვეწა, კაცურად გამერკვია მისთვის ეს ამბავი. მეც, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. როგორ შეიძლება, ადამიანს ასეთ რამეზე უთხრა უარი, მითუმეტეს, დეპეშის ტექსტსაც თუ გატანს და მისი გამოგზავნისათვის საჭირო თანხასაც იღებს ჯიბიდან. ვიღაცებს ყური გამოუბამთ ამ დეპეშებზე, მამაცხონებულებმა ჯერ გაარკვიონ, გაიგონ, რა მოხდა სინამდვილეში და მერე ილაპარაკონ, თუნდაც იყბედონ და ილაქლაქონ.

მერე ადამია გაახსენდებოდა, მის გვარს ყველა ბრუნვაში შეუკურთხებდა, წაღმა-უკუღმა არ ატრიალებდა, პალინდრომი რომ იყო,ვერ ხვდებოდა — ადამია აი მადა, რომ ცოდნოდა ამაზეც იტყოდა რაიმეს. უბრალოდ,მისი ხსენებისას ხან მოეწკურებოდა გონება, ხან გახალისდებოდა:

— ადამიანმა შურით, ბოროტებით არაფერი უნდა თქვა, თორემ სხვისკენ ნასროლი ისარი უკან დაგიბრუნდება. ასე მოსვლია ალექსი ადამიასაც, მის ჩვენებას საერთოდ არ უნდა აქცევდეთ ყურადღებას — ჩვენ დიდი ხანია სამკვდროსასიცოცხლოდ ვართ ერთმანეთს გადაკიდებულნი. ერთხელ, სასტუმროში, ჩემს ნომერში, ჩემს საწოლზე მოისურვა დაწოლა, ვთხოვე, იქვე, მეორეზე მოკალათებულიყო, არ დამიჯერა, საცინლად ამიგდო, გაიჭიმა ლოგინზე და მედიდურად დამიწყო ყურება. გავბრაზდი, ვეცი, წამოვწიე, დამარტყა, დავარტყი, გვარიანად დავასისხლიან-დავალურჯეთ ერთმანეთი. მე მგონია, უფრო მაგრად ვცემე, იმას რომ ჰკითხოთ, მე ვურტყი და დავუნაყე თავ-პირიო — იტყვის. ასეთია, საერთოდ, ჩხუბი, ყველას საკუთარი თავი ჰგონია გამარჯვებული. ისე ვიყავი დამტვრეულ-დანაყული, რამდენიმე დღე გარეთ ვერ გამოვდიოდი, რას გამოვიდოდი, ლოგინზე გაუნძრევლად ვიწექ, გადაბრუნ-გადმობრუნება მიჭირდა. ისე, გვარიანად ჩავცხე და ჩავცხე. ერთი სიტყვით,

მას შემდეგ ერთმანეთს ვერ ვიტანთ, მე იმის დანახვა არ მინდა, იმას — ჩემი. ვეგდე საწოლზე უსულგულოდ რამდენიმე დღე, ადამია კი, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, წამოდგა და წავიდა. გული არ მწყდება, მაგრად დავუნაყე თავ-პირი. ასეთი კაცი ამბობს ჩემზე, სინოდალური კანტორის პროკურორის აგენტი იყოო. იტყვის, აბა, რას იზამს, თუ მოუსმენთ, მეტსაც იკადრებს, ზნეობა არ გააჩნია, ფიზიკური ძალითაც არ გამოირჩევა განსაკუთრებულად, ჰო, რა ჩავცხე და ჩავცხე, ბედად, ვიღაცები მოვიდნენ და გაგვაშველეს, თორემ მოვკლავდი მაგ საცოდავს და რა ჩვენებასაც მოგცემდათ, იმასაც ვნახავდი. იმას ვჯავრობ, ლოგინზე რომ ვეგდე კარგა ხანს გაუნძრევლად, თორემ გალახვით რომ გავლახე, ნაღდია. არც ამ ჩხუბის შემსწრეა ვინმე და არც იმისა, როგორ ცუდად ვიყავი რამდენიმე დღე, ის, ვითომც არაფერი, ხელი ხელზე გაუსვა და ფართო ნაბიჯებით გაალაჯა სასტუმროდან. მე არ დამინახავს, თვალები ჩალურჯებული მქონდა, სხვათა მონათხრობით ვიცი. თუმცა ჩვენ რომ ერთმანეთს ვერ ვიტანდით, ამას მთელი ქუთაისი დაგიდასტურებთ, განსაკუთრებით ეს ამბები დათიკო ალექსანდრეს ძე დადიანმა, მეორე გილდიის ვაჭარმა ერმილე ხვიტიამ და პოლიციელმა ფარნა ხვიტიამ იციან, ჰკითხეთ, გეტყვიან, იქნებ ჩემი მონათხრობისგან ცოტა განსხვავებულად მოგიყვნენ ყველაფერს, მათ ხომ ის არ უნახავთ, როგორ ვცემდი ქვემოდან და ვუჭერდი კისერში ხელს. ასეთ დროს თვალმოსეირენი მხოლოდ იმას ხედავენ და იმახსოვრებენ, რაც ზემოთ ხდება. თუმცა ამას, ვფიქრობ, არც აქვს მნიშვნელობა, ისინი, უბრალოდ, ჩვენი მტრობის დასამტკიცებლად დაგჭირდებათ.

ზონზროხა და დაკუნთულ ადამიას ხშირად ახსენებდა, მაგრამ მისი სახელ-გვარიდან პალინდრომი თუ გამოვიდოდა, ვერ ხვდებოდა — ისქელა აიმადა — ალექსი ადამია.

— მეტი რაღა ვიფიქრო და დავწეროო — უბრაზდებოდა საკუთარ თავს — თუ გაითვალისწინებთ, უდანაშაულო ვარ, თუ არადა... დამნაშავე შეიძლება დაუსჯელი დარჩეს, მაგრამ ათჯერ უფრო დიდი დანაშაული უდანაშაულოს დასჯაა — ეს აზრი მოწონდა, ხშირად იმეორებდა, აკვიატებია კიდეც ციხის ძნელად გასათენებელ ღამეებში.

1907 წლის 24 ნოემბერს, გიორგობის მეორე დღეს, ქუთაისის საოლქო სასამართლომ აშორდიელთა ერთი ნაწილისა და აზნაურობის მაძიებელთა საქმე განიხილა და სიმონ ბარკალაიას, გრიგოლ ბოკუჩავას, სიმონ და კონსტანტინე შელიებს, ფილიპე ქავთარაძეს, ასლან წირქვავას, თევდორე გუგუნავას, ალექსანდრე ხვიჩიას, სტეფანე გეგეჭკორს, ვასილ ხორავას, ალექსანდრე წულეისკირს, ნესტორ გეგეჭკორს, და ჩვენთვის ნაცნობ სილოვანს — რვა, სურგულაძეს და ჩახავას კი 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ყველას ჩამოართვა განსაკუთრებული უფლებები და წოდებანი, ჟორდანიას გარდა, რომელსაც ეს პრივილეგიები თბილისის სასამართლომ ჩამოართვა ადრე.

თბილისის ციხეში გატარებულ დროს სამი წლის შემდეგ ქუთაისის ციხეში გასაჯახირებელი წუთისოფლის ნაწილიც მიემატა.

აქაც გვიან თენდებოდა.

***

ჩივილზე სილოვანისა ასე ვრცლად რატომ შევჩერდით?!

ტიპურია ასეთი თხოვნანი სასამართლოს სახელზე — ჩემი თუ არ გჯერათ, იმას ჰკითხეთ, დამატებით ის დაკითხეთ, იგივეს გეტყვით, რასაც მე ვამბობ და ვღაღადებო.

ჩემი თუ არ გჯერათ, ჯიჯის ჰკითხეთ, ალფაიძეს — დაახლოებით ამგვარია ამ ფრაზათა სემანტიკა.

იყო ოდნავ განსხვავებულნიც.

აშორდიას საქმეებში ქუთაისის თავადაზნაურთა საკრებულოს ერთი თანამშრომელი, მირიან (იგივე მინა) ფოფხაძეც არის გარეული. თბილისის სასამართლო პალატამ სილოვანისნაირი თაღლითობისათვის ადრე ისიც გაასამართლა და 19 თვით ჩააყუდა ციხეში, მაშინ თავდებად კოლეჟსკი რეგისტრატორი ბ. კანდელაკი დაუდგა, მაგრამ ვერ უშველა, ბუგეულის მამულიც შესთავაზა მღვდელმა ლუკა ფოფხაძემ შვილის დასახსნელად, მაგრამ უშედეგოდ....

მირიან-მინას აშორდიას ამბებზეც უნდა ეგო პასუხი, ახლაც გამოიძებნა სათავდებო კაცი — თავადი ე. ლორთქიფანიძე, მაგრამ იმდენად აშკარა იყო მისი მონაწილეობა ამ საქმეებში, მართლმსაჯულების აღმსრულებლები ასე იოლად აღარ თანხმდებოდნენ თანხასა და თავდებობაზე.

რჩებოდა ერთი, პასუხი უნდა გაეცა წამოყენებულ ბრალდებაზე, როგორმე ემართლებინა თავი.

ცდილობდა...

მირიან ფოფხაძის ახსნა-განმარტებანი ოდნავ განსხვავდება დანარჩენთაგან, უფრო სოლომონ აშორდიას ნამუდარევს ჩამოჰგავს.

მოკლედ, ჩემი ბრალდებანი უფალი გამომძიებლის კლევენსკისა და პროკურორ კარჩევსკის მოგონილიაო — წერს. ისინი ეუბნებოდნენ მოწმეებს, დავესახელებინე, ვინც დათანხმდა, გაუშვეს, ვინც არა — ციხეში გამოამწყვდიეს. თავადაზნაურთა საკრებულოს მთარგმნელი მაჭავარიანი ამ ხერხით გადარჩა — თქვა ტყუილი, თქვა ის, რაც მართლმსაჯულებას აძლევდა ხელს და ამით დაიძვრინა თავი, დარჩა ხულუხლებელი. არც კახიანთან, არც მამარდაშვილთან, ყიფიანსა, ბაქრაძესა, კვერნაძესა და ჩარკვიანთან საქმე არასდროს მქონია. არანაირი საბუთები არ მიმიცია, მაგრამ მათ ეს თქვეს არა იმიტომ, რომ სიმართლე განეცხადებინათ, საკუთარი თავი რომ გადაერჩინათ და დაეძვრინათ.

უფრო მტკიცე საბუთსაც მოგიყვანთ — წერდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავკაცებს — ფარნაოზ კახიანმა ნიკიფორე კვიმსაძისა და ათანასე მებურიშვილის თანდასწრებით ისიც მითხრა, რომ იძულებული ვიყავი, მეთქვა ტყუილი, თუმცა გამომძიებელმა ისე არ ჩაწერა ჩემი ჩვენება, როგორც ვთქვი, უფრო დაამძიმაო...

სხვა მხრივ მირიან ფოფხაძის ახსნა-განმარტებანი არაფრით განსხვავდება დანარჩენთაგან, უფრო სწორად, დანაშაულისაგან თავის დაძვრენის ახალი ხერხი და ხრიკი არ მოუფიქრებია.

სოლომონის ძმებშიც იყვნენ გაქნილნი და ნაკლებ გაქნილნი, ნიჭიერნი და ნაკლებნიჭიერნი. ზოგი ასეთი, ზოგი ისეთი, ერთნი ლოგიკურად ასაბუთებდნენ, მიმზიდველი თხრობით გადმოსცემდნენ სასურველს, მეორენი — მშრალად და ძუნწად.

ᲐᲥᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ 1900 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲐᲓᲐᲖᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ

როგორც ვთქვით, სოლომონისა და მისი დამქაშების სიყალბე 1900 წლის იანვარში გამჟღავნდა, დაიწყო ძიება, მაგრამ ამას აზნაურობის მოსურნეთა რიცხვი არ შეუმცირებია, ზოგიერთმა წინა წლებში, ზოგმა კიდევ — ამ თვეებში შეიტანა საბუთები თავადაზნაურთა საკრებულოში. და კიდევ ერთი, მნიშვნელობა არა აქვს, სცნო თუ არა სენატმა, ე.ი. საბოლოოდ დამტკიცდა თუ არა ამა თუ იმ პიროვნების კეთილშობილური წარმომავლობა, რადგან საბრალდებო საქმეში მოხვედრილებს ყველა პრივილეგია და წოდება ჩამოართვეს. ამიტომ ჩვენთვის მთავარი საკრებულოსგან დამტკიცებული ხალხია, ხალხი, თავადობას ან აზნაურობას რომ წაეპოტინა.

მთელი ხუთი წლის მანძილზე სოლომონმა და მისმა მეგობრებმა ყველაზე მეტი ადამიანი სენაკის მაზრაში აამაღლეს წოდებრივად, მათ ფეხდაფეხ მიჰყვნენ ზუგდიდელები — 1900 წელსაც ასე იყო. ისევ სენაკელებმა დაჯაბნეს სოლომონის მშობლიური ქალაქის მკვიდრნი. ძველ-სენაკელებმა: ისიდორე საბას ძე ქავთარაძემ და სოკრატ ლევანის ძე ჭკადუამ სწორედ ამ წელს გაინაღდეს ჭკადუათა და ქავთარაძეთა სურვილი — გახდნენ აზნაურები. სოფელ ეკში მცხოვრებ მანუჩარ, გვატა და ანტონ ვახტოს ძე და პავლე გოგიტას ძე ადამიებს რა უნდა გაჭირვებოდათ — ერთი გამორჩეული აშორდიელთაგანი ადამია იყო, ის კიდევ სხვა გვარის წარმომადგენლებს ათავადაზნაურებდა და ამათ რატომ ეტყოდა უარს. არც უთქვამს — ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში დავით დადიანის 1851 წლის 23 მარტის გადაკეთებული ბრძანება წარადგენინა და მორჩა. მათ აუბეს მხარი ნესტორ და ივანე კოხოს ძე ხახუბიებმა (ალბათ უფრო ხახუბაიებმა), მერე მათ ამავე სოფლელი ზებედო ბატას ძე გიგიბერიაც მიემატა.

ბესარიონ გიორგის ძე, ნიკოლოზ, ყარამან და ჯამლეტ ლევანის ძე ცომაიები და ნიკოლოზ პეტრეს ძე თოფურია დიდხანს ელოდნენ იმ დღეს, როცა აშორდიელები კეთილი თვალით გადმოხედავდნენ, საქმის გამჩალიჩებლები არა ჩქარობდნენ, ამათ სული კბილით ეჭირათ. როგორც იქნა, გასრულდა ლოდინი — გახდნენ აზნაურები. თოფურიამ ლევან დადიანის 1852 წლის 20 მაისის ბრძანებაცა და 1849 წლის 20 ივნისის ბილეთიც წარადგინა თავადაზნაურთა საკრებულოში, ცომაიები კიდევ დავით დადიანის ბრძანებების ჩასწორებული ვარიანტის წყალობით გახდნენ ისეთნი, რასაც ესწრაფოდნენ.

შხეპელ ხოფერიებში ადრე ერთ-ერთი ციხის აზნაური გამხდარიყო, მაგრამ არა მემკვიდრეობით, მარტო მას რგუ-

ნებოდა ეს წოდება. რა გასაკვირია, თეიმურაზ კიმოთეს ძე ხოფერიასაც ნდომებოდა პაპისპაპის დიდებასა და პატივში ყოფნა. უნდოდა და მიაღწია კიდეც — აშორდიელთა შემწეობით გააზნაურდა. მასვე მიბაძა პორფირ იაკობის ძე მხეიძემ, რომელმაც თვითონაც არ უწყოდა, საიდან და რატომ ატარებდა თავადის გვარს. ონტოფოელი (ესეც სენაკის მაზრაა) პეტრე უჩას ძე, მიხეილ და სოლომონ ბეჟანის ძე ხინტკირიებში კი ყველამ იცოდა, რომ აზნაურები არ იყვნენ, მაგრამ ეს არ გახლდათ მთავარი, სურდა ამ ხალხს აზნაურობა და თუ ფულს გაიღებდა, სოლომონის მოძმეები ადვილად მოუგვარებდნენ საქმეს..

ჭალადიდშიც რამდენიმე ოჯახი ელოდა აშორდიელთა წყალობას, ეგონათ ადრე, მაგრამ გვიან გახდნენ აზნაურები. ჯავრობდნენ, ფიქრობდნენ, ფული ხომ არ შეგვიჭამეს ამ ოხრებმა, ხომ არ გადაგვაგდესო, მაგრამ 1900 წელს მათ დარდსაც მოეღო ბოლო: ჯერ სამსონ ნიკოს ძე ჩაჩავა გათავადდა, მერე კონსტანტინე და მალხაზ კოხტას ძე, ბიქტორ და ილია თომას ძე შელიები, შემდეგ კი იესე ჭაბუკის ძე გულუა.

ეწრელები არც ამ წელს ყოფილან გულხელდაკრეფილნი, ათასნაირ გზებსა და საშუალებებს ეძებდნენ სანუკვარი მიზნის მისაღწევად. ხანდახან ერთი ადამიანი იხდიდა მთელი საბიძაშვილოს გააზნაურების საღირალს. აშორდიელებსაც უხაროდათ, სანათესაოსაც, ერთნი უფრო მეტ ფულს იჯიბავდნენ, მეორენი, რაც არ იყო და, შესაძლოა, ვერც ვერასდროს გამხდარიყო, ის ხდებოდნენ. დავით ზურაბის ძე, თენგიზ კოსტას ძე და მიხეილ გიტოს ძე მარინავებიც სწორედ ამ წელს გახდნენ აზნაურები.

მთელი ამ ხუთი წლის მანძილზე გააზნაურებულთაგან ერთადერთია ქალი. ბუნებრივია, ვინმე თავადად ან აზნაურად რომ გადაიქცეოდა, მისი ასულიც, ძეც ან, უფრო სწო-

რად, ასულ-ძეებიც თავადაზნაურდებოდნენ. ერთი სიტ-ყვით, უმრავლესობა მემკვიდრეობით ღებულობდა მაღალ წოდებას. მთელ ხუთწლეულში ერთადერთი ქალია ამ სურ-ვილით აღტკინებულ საკაცეთში და ესაა წალენჯიხელი მარ-თა გვაჯავა-ჩახვავასი. ჩანს, ქვრივი იყო ან ქმარს გაცი-ლებული, მშობლის გააზნაურება რა ჩირად უნდოდა, ქმა-რი არ ჰყავდა ან კიდევ მიწა მიეყარა და ახლა აზნაურად უნდა გამოცხადებოდა. ერთ შემთხვევაში გულში ეთქვა იმ-ქვეყნად გადასახლებულისათვის — იცი რა, აზნაური გავ-ხდი სხვათა და სხვათა ჯიბრზეო, მეორეში კი ამპარტავნუ-ლად შეეხედა გლეხუჭა ქმარყოფილისათვის.

ვინ თუ არა ჩვენ, ჩვენ თუ არა ვინ — ამ სიტყვებს ატრია-ლებდნენ წაღმა-უკუღმა, ნაცვალსახელებს უნაცვლებდნენ ადგილს და იქადნებოდნენ ცაიშელი ქირიები. პეტრე (იგივე იორდანე), ივანე და ნიკიფორე გვაჯის ძეებმა საქმედ აქციეს ეს დანაქადნები. მერე მათ დუტუ პუგუს ძე, ალექსი და ერისტო გაბრიელის ძე, ტარიელ და პარმენ მაქსიმეს ძე გე-გეჭკორებიც შეუერთდნენ.

რამდენჯერმე ვთქვით, მსგავსად სენაკისა, ზუგდიდშიც რომ ცვიოდა და ცვიოდა წოდებები. კიდევ ათი წელი გაგრ-ძელებულიყო თავადაზნაურთა საკრებულოში საბუთების წარდგენა და ამ ორ მაზრაში თითქმის აღარავინ დარჩებოდა გლეხი — ყველა ერთნაირი გახდებოდა, უფრო ზუსტად, დაახლოებით მსგავსი — თავადი ან აზნაური. სოციალური მდგომარეობა ხომ შეიცვალა, ადამიანებიც სხვანაირნი გახდნენ, ბუნებრივობა დაკარგეს, იმას წაეპოტინნენ, რაც მათ ხასიათში, აღზრდაში, ბოლოსდაბოლოს, გენში არ ყო-ფილა, სრულყოფილად ვერც ის შეითვისეს, ძველიც დაკარ-გეს და იყვნენ ასე, გახიდულნი.

გააზნაურებული სილიბისტრო კვაჭანტირაძის მიხეილ ჯავახიშვილისეული დახასიათება გავიხსენოთ:

იმის შემდეგ, რაც სილიბისტრო კვაჭანტირაძემ აზნაურობა დაიმტკიცა, მის ხასიათსა და ოჯახსაც ელფერი გამოეცვალა. ყველანი გაიბღინძნენ, გაამპარტავანდნენ, გაკეთილშობილდნენ — „წინანდელ მეზობლებს ან აღარ ჰკადრულობდნენ ან ისეთი მედიდურობით და მფარველობით ექცეოდნენ, თითქოს მათ შორის ხიდი ჩამტყდარიყო და ახალი კედელი აშენებულიყო“.

სილიბისტროს მსგავსი გახდა უამრავი, გაბღინძულ-გაყოყოჩებულ-გამეტიჩრებულ აშორდიას აზნაურთა ჟამი ჩამოდგა.

ზუგდიდელი ალექსი ვახტოს ძე ოდიშარიას გათავადების ამბავი მთელ მაზრას მოედო, ჩვენ გავაზნაურდეთ მაინცო — გაიფიქრეს სხვებმა და სინამდვილედ აქციეს ფიქრი და სურვილი ესე. ოდიშარიას მიბაძა ივანე თოთიას ძე აფაქიძემ და ამაღლდა წოდებრივად, მერე გუჯმახან გიორგის ძე საჯაიაც ასე მოიქცა — გათავადდა, მურზა და დიანოზ ხიტუს ძე და ნიკოლოზ ვასილის ძე გაგუები კი აზნაურობას დაყაბულდნენ. თავმდაბლობა გამოიჩინეს, აგრეთვე, ნიჩვია, ბასა და ლევან ხუტუს ძე კვალანდარიებმა, პეპო კოკის ძე და ხითო ბოშას ძე ნაჭყებიებმა — მაღალ წოდებას არ გამოკიდებიან, აზნაურობაც საკმარისი და სასურველი იყო მათთვის.

1900 წელს გათავადდნენ ან გააზნაურდნენ, აგრეთვე, ნოქალაქეველი გიორგი და პეტრე მოსეს ძე, ნიკოლოზ, ნესტორ, ლავრენტი და თედორე ლუკას ძე ბაღათურიები; ფოთელი პეტრე კუკოს ძე ჟვანია; ქვატანელი გიგო ანდროს ძე ჭანტურია; ნიქოსელი მიხეილ იტუს ძე ხვიტია; მაცხოვრისკარელი ილარიონ, დომენტი და კირილე ალექსის ძე ჭანტურიები; ყულისკარელი სიმონ თავკოჩას ძე ბერაია; გუძემელი ივანე გუტას ძე და ალექსი სიკოს ძე სოსელიები; ალავერდისკარელი კოსტა კუჩუს ძე, გვათუ გიორგის ძე, და-

ვით, ლუკა (იგივე კაცია), გაბრიელ და ანდრია გოჩას ძე, ლევან და იულონ ბურდღუს ძე ჭურჭულიები (ალბათ ჭურღულიები); კოდორელი ილია ბეჟანის ძე და კირილე პეტრეს ძე შელიები; კოტიანეთელი გიორგი და ანტონ როსტომის ძე, ივანე ბაკიჩას ძე, პეტრე და სერგო მანუჩარის ძე ჭუბაბრიები; ნოსირელმა ივანე და იულონ მანუჩარის ძე გამსახურდიებმა ერთი კინკილა საბუთი — დავით დადიანის 1849 წლის 20 აპრილის გაყალბებული ბრძანების ასლი წარადგინეს ქუთაისის თავადაზნაურთა საკრებულოში და გახდნენ აზნაურნი. ასევე მოიქცნენ მათი თანასოფლელები — ალექსი, ფარნაოზ, იოსებ ივანეს ძე, მარკოზ სიმონის ძე, თადეოზ და დიმიტრი მათეს ძე ოდიშარიები; არც ნოგახაშელი თევდორე და სოფრომ ბეჟანის ძე და ანდრო პეტრეს ძე ცომაიებისათვის შეუდგენიათ აშორდიელებს დოკუმენტების დასტა — წინა გადასწორებული წყალობის სიგელი კიდევ ერთხელ გადაასწორეს, კიდევ ერთხელ აღადგინეს „ისტორიული სამართლიანობა" და მორჩა, მიღწეული გახლდათ სასურველი, თხოვნა — შესრულებული, წადილი — მოკლული.

ხორშელი ალექსი და ნესტორ ხოსიკას ძე, გიორგი და ნიკო ბესარიონის ძე ადონაიებსა და თეკლათელ სტეფანე ვასოს ძე გვათუას რა გაუჭირდებოდათ, აშორდიელებში თავიანთი მოგვარე, მხსნელი და მფარველი ჰყავდათ, ამიტომაც მალე გახდნენ აზნაურნი.

სილიბისტრო კვაჭანტირაძეზე დიდხანს ელოდნენ ხიბულელი გოგია ხიტუს ძე, როსტომ ქველის ძე, აქვსენტი ზუთუას ძე, სილოვან თოთიას ძე სიჭინავები სოლომონისა და ძმათა მისთა დანაპირებს. როგორც იქნა, მათთვისაც გამოანათა მზემ, გვიან აუხდათ სანატრელი ოცნება, მაგრამ ამას რაღას ჩიოდნენ. მთავარია, ქარავანს არ ჩამორჩნენ, ფეხი აუწყვეს გაცუდებულსა და გამრუდებულ დროებას.

მაიდანახეში (ზუგდიდის მაზრაა) როდონაიებმა ნათესავებისაგან შეიტყვეს, რაც ხდებოდა ქუთაისის თავადაზნაურთა საკრებულოში, როგორ მუხლჩაუხრელად იღვწოდნენ ზოგიერთნი ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად და მათ ვინ ან რა დააკავებდათ-ყარამან როსტომის ძე, გიორგი, გიგო და ონისიმე ოტიას ძე როდონაიებიც არ ჩამორჩნენ ნათესავებს, გააზნაურდნენ.

ნაესაკოვოელ ესტატე გიორგის ძე ფაღავას კიდევ ფარატინა ქაღალდიც ვერ მოეძებნა შინ მისი თავადობის დამამტკიცებელი. იყო (თანაც ყველამ იცოდა) ბრწყინვალე წოდების წარმომადგენელი, მაგრამ რად ღირდა ასეთი ყოფნა — იყო, მაგრამ არ იყო. ამიტომ სოლომონმა და მისმა მოძმეებმა მასაც გაუწვდინეს დახმარების ხელი, რა თქმა უნდა, გასამრჯელოს გაღების მერე — ნამდვილი თავადი აშორდიას თავადად აქციეს.

ბედიელმა (სოხუმის ოლქია) ქუთელიებმაც გამოიდეს თავი და დედაწულიანად გააზნაურდნენ. გიორგი, ივანე, ალექსი და პავლე გურის ძე, გიორგი და ბესარიონ პაშუტიას ძე და ანდრო დავითის ძე ქუთელიები დავით დადიანის ბრძანების გადაკეთებული ვარიანტის წყალობით გახდნენ ისეთნი, რაც სურდათ.

1900 წელი მიიწურა, ახალი საუკუნე, ახალი ასწლეული ჩამოდგა, გათენდა. აშორდიელთათვის ჩამოღამდა, ჩამობნელდა, რომ ეგონათ, გაამართლა აფიორამ, თავადაზნაურთა საკრებულომ უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება, აწი ვინღაა ამ საბუთების მომძებნი და შემმოწმებელიო, სწორედ მაშინ გამჟღავნდა ყველაფერი. როგორც იტყვიან, ძროხის კუდზე გადატყდა დანა.

საქმეს იძიებდნენ, დამნაშავეებს ეძებდნენ, ესენი კი ისევ ძველ წყალობის სიგელებსა და ბრძანებებს აყალბებდნენ.

ყველას ეგონა, ისე პროფესიულად ვაყალბებ, ვერავინ მიმიხვდებაო. ცდებოდნენ, ყველაფერს მიუხვდნენ.

თუმცა მართლმსაჯულების აღმსრულებლებიც არ აჩქარებულან, გვერდზე არ გადაუდვიათ სხვა საქმეები და ამას არ ჩაგულისძირებიან, მდორედ, ზოზინით დაიწყეს ძიება. კარგად იცოდნენ, რაც ხდებოდა, ერთ დღე-ღამეში გათავადაზნაურებულთა ამბავიც მოეხსენებოდათ, მაგრამ ზემოდან არავინ არაფერს ავალებდათ, აბა, რისთვის აეტკივებინათ აუტკივარი თავი.

კიდევ ვიმეორებთ — რუსეთისათვის გლეხთა გათავადაზნაურება და მერე ამ ამბის გამჟღავნებაც ხელსაყრელი იყო. იბღალებოდა ღირსება ნამდვილი თავადისა, აზნაურისა, უგვარონი გვარიანდებოდნენ, ორდარი ჟამის შესაფერი ადამიანები ყელყელაობდნენ.

ვინ ხართ თავადი ან აზნაური, ის ვერ გაგირკვევიათ, თქვენვე გაგიცუდ-გაგითახსირებიათ ისტორია თქვენი — იტყოდა დამპყრობელი და გულში ჩაიღიმილებდა. ერჩივნა, ასეთთათვის ეპატრონა, ვიდრე ერის თავისუფლებითა და სიყვარულით გულგასენილ ჭირისუფალთათვის.

დადიანო, დადიანო...

აშორდიელებში ერთ-ერთი აქტიური კაცი თავადი ბესარიონ დადიანი იყო. ძველ დოკუმენტებზე, წყალობის სიგელებზე, ბრძანებებზე ხელი მიუწვდებოდა, აძლევდა გამყალბებლებს, ისინი, როგორც სურდათ, „ასწორებდნენ“ და ათავადაზნაურებდნენ მსურველს, ფულის გადამხდელს...

ბესარიონი, მეტსახელად ბესა, მდივანბეგ ალექსი გიორგის ძე დადიანის (1848 წ.) და ხვარამზე მიქელაძის შვილი

და იმ კაცია დადიანის შვილთაშვილი იყო, რომელმაც ჯერ კიდევ 1803 წელს დაიფიცა რუსეთის ერთგულებაზე. როგორც ვთქვით, მამამისი ალექსი საბუთების გამწესრიგებელი კაცი, მდივანბეგი გახლდათ და შვილიც ნამეტანი სარგებლობდა მამის ყოფილი მდგომარეობით. ამოჰქონდა და ამოჰქონდა ზანდუკიდან მტვერწაყრილი, ვითომ ლევან და დავით დადიანებისაგან ხალხისათვის დამალული წყალობის სიგელები, ბრძანებები და აყალბებდა და აყალბებდა.

მისი მოგვარე ნიკოლოზ დადიანი სოლომონ აშორდიას დაუდგა თავდებში 5 ათას მანეთად, იქნებ სულაც ბესარიონ-ბესას რჩევითა და თხოვნით, ვითომც არაფერი, თვითონ სულაც არ ყოფილიყო ამ საქმეში გარეული, შეეცოდა დასაჭერად განწირული კაცი და თვითონ დასაჭერმა, მომავალში სათავდებომ, სხვას მოუძებნა თავმდები.

ზემოთაც ვთქვით, ნიკოლოზ დადიანს თავდებობის პირობა არ შეუსრულებია. გელოდათ სოლომონ აშორდია, — უთხრა დასაჭერად მისულებს, თქვენზე მეტადაა დაინტერესებული სიმართლის გარკვევითო, — ეს უთხრა, გულში სხვა გაიფიქრა, მშვენივრად იცოდა, სადაც და როგორადაც იყო ათესილი გვაჯის ყმაწვილი. ბესარიონი კი ამ დროს არსად ჩანს, არც აშორდიას ეძებს, არც მოგვარეს ამშვიდებს, სასამართლოსთვის ამოდენა თანხა რომ უნდა გადაეხადა. მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ თუ ყოველივეს მოეფინება ნათელი, მასაც მოთხოვენ პასუხს. ერთი სიტყვით, მისი ჯერიც დადგა, ვერც დადიანობამ უშველა, ვერც ბრწყინვალე წოდებამ, ვერც იუნკრობამ. გაირკვა, უიმისოდ ვერაფერს გააყალბებდნენ გამყალბებლები. როგორც იტყვიან, ფარდა აეხადა მის ნამოქმედარს, ყველა მიხვდა, ის რომ არა, იქნებ აშორდიასაც გაჭირვებოდა, ვერ დაეგვირგვინებინა წარმატებით ძნელად წარსამატებელი, სათავე იგი იყო — ბესა-

რიონ დადიანი, ძველ საბუთებში ჩახედულ-ჩაყურყუმალავებული თავადი.

სასამართლო 1907 წლის 5 ნოემბერს იყო დანიშნული. მოწვევა მიიღო, მოწმედ კი არ იბარებდნენ, დამნაშავედ სცნობდნენ. შეჩქვიფდა თავადი, კი უწყოდა, რასაც იქმოდა, მაგრამ ასე თუ გამოაშკარავდებოდა ყოველივე, ძნელად წარმოედგინა. აშორდიასი, მისი კალიგრაფიული, უფრო ნაწერს მიმგვანებლობის ნიჭისა სჯეროდა, საბუთს ნახულობდა მის შედგენილ-გადაწერილს, ნამდვილზე ნამდვილს ჰგავდა, ქაღალდი — ძველი, ხელწერა — იგივე, ბეჭედი — ნაღდზე ნაღდს დამსგავსებული. მეტი რა უნდოდა, ამიტომაც სჯეროდა, სულ უფრო ეთრევინებოდა და ეთრევინებოდა გვაჩის ბიჭს ამ საქმეში. მაგრამ ახლა ფიქრის დროც აღარ იყო, უნდა ემოქმედა, სასამართლოსთვის როგორმე აერიდებინა თავი, ამისთვის ყველაზე კარგი გამოსავალი ავად გახდომა ჩანდა. ერთხელ გაუმართლა ამ ფანდმა, გაჭრა სენაკელი ექიმის ცნობამ, სასამართლომ სანდოდ მიიჩნია. ახლაც ავად გახდომა ერჩივნა, გახდა კიდეც, წავიდა თუ არა თბილისში, იმკურნალა თუ არა, ძნელი სათქმელია, ცნობა დაითრია — კერძო კლინიკაში ვიწექიო, — ესეც სიმართლეა ან ტყუილი, უფრო მეორე, ერთხელ ნაცადის განმეორება ან კიდევ: მე შენ გეტყვი, შედგენა გაუჭირდებოდათ. ეს ცნობაც არ გამოუჩენია, სასამართლოსათვის არ გაუგზავნია. ამიტომ, ვფიქრობთ, ყალბი იყო, როცა ძალიან მოუჭირეს ხელი, მერე გააკეთებინა ვიღაცას, არც თბილისში ჩასულა, არც საწოლში მწოლიარეს უცქერია მაჯის შემატყობარისათვის.

საოლქო სასამართლოც არ ყოფილა გულხელდაკრეფილი, ბესარიონ დადიანი პროცესზე არ მივიდა და, წესით და რიგით, რაც უნდა მოჰყოლოდა ამ ამბავს, ის მოჰყვა.

1907 წლის 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს, ქუთაისის სა-

ოლქო სასამართლომ ქალაქის პოლიცმაისტერს გაუგზავნა თხოვნა, უფრო მოთხოვნა, სასწრაფოდ მოეძებნათ და დაეპატიმრებინათ თავადი ბესარიონ, იგივე ბესა დადიანი, რომელსაც ძველი საბუთების გაყალბებაში ედებოდა ბრალი. პოლიცმაისტერიც არ დაბნეულა და ხუთი დღის მერე მიმართვას, უფრო მოთხოვნას რომ ჰგავდა, მიმართვით უპასუხა, ქალაქის ცენტრალური ნაწილის პრისტავს დაავალა ბესარიონ დადიანის მოძებნა და გაკოჭვა. სამი დღე ეძება აქაურმა პოლიციელმა და რომ ვერსად ნახა, მდინარის იქითა მხარის პრისტავთან აფრინა ასეთივე მიმართვა, საოლქო სასამართლოდან პოლიცმაისტერის სახელზე და თვით პოლიცმაისტერისგან მისთვის გამოგზავნილი წერილიც ზედ დაუსართა სათანადო განმარტებით — ჩვენს სამოქმედო ტერიტორიაზე არ იძებნება და თქვენთან ეძებეთო.

ამასობაში კიდევ გავიდა სამი დღე და ეს პრისტავიც წინანდელივით მოიქცა, არქიელის გორის პრისტავს მისწერა იგივე. იმანაც ეძება 3 დღეს და ქუთაისის პოლიციის სამმართველოში გაგზავნა ცნობა — არც ჩვენთანაა ბატონოო, ეძება ერთმა, მეორემ, მესამემ... სულ პირველმა პირველს დაავალა, ამ პირველმა კიდევ ერთს, მეორეს, მესამეს, მაგრამ ვერცერთმა ვერსად აღმოაჩინა — ქუთაისში ბესარიონ დადიანის ცხოვრების კვალს ვერ მიაგნო. არც ბესა-ბესარიონი გახლდათ ისეთი ბრიყვი, ქალაქში გაჩერებულიყო, სამიზნეზე დაჯდომოდა პოლიციელებს — ეძებეს, ვერ ნახეს. ამის შემდეგ თვენახევარზე მეტი გავიდა და 1908 წლის 20 იანვარს ნოქალაქევის პრისტავმა უშაფათის თემის სოფელ ბეთლემში, საკუთარ სახლში აღმოაჩინა ბესარიონ ალექსის ძე. იჯდა იუნკერი დადიანი ბუხრისპირას, თავის სახლში, ბევრი ბეთლემელი გლეხი აქცია აზნაურად, ხშირად მთელი მოდგმაც აამაღლა წოდებრივად, ისინი ეიმედებოდა, ამიტომ ხიფათს ნაკლებად ელოდა, იჯდა, ფიქრობდა, ეგონა,

გააზნაურებულები შეატყობინებდნენ მოსალოდნელ საშიშროებას და მიიმალებოდა. იჯდა, ფიქრით დადიოდა, იხსენებდა ძველს, სასიხარულო არაფერი აგონდებოდა, — იჩუჩები ნამდვილ აზნაურებად ვერ იქცნენ, უფრო დაგლეხავდნენ, ვიდრე გააზნაურდნენ. ხასიათი, მოქცევა ისეთი დარჩათ, როგორიც იყვნენ სინამდვილეში, უარესიც, აღარც ისეთნი იყვნენ, რასაც ენუკვოდნენ, აღარც ისეთნი, რასაც გაურბოდნენ და თაკილობდნენ.

იჯდა ბესარიონი, ფიქრით დადიოდა. ერჩივნა, ფეხით ევლო-ერბინა, ვერ ახერხებდა, ჯანი შერყეოდა, ფიქრით დარბოდა, ფეხით, ცხენით გაჯირითება უჯობდა ათასწილ, სურდა სხვა, აკეთებდა სხვას. შიში ჩასახლებოდა მზერაში, დამჭერის მოლოდინში გაშტერებოდა თვალები, გაკუშტებოდა სახე, ცალკერძ საქვეყნოდ გამოჭენებისა რცხვენოდა, დადიანი იყო ბოლოს და ბოლოს. მას უნდა დაეცვა, ეპატრონა წინაპართა სიგელ-გუჯრებისათვის, პირიქით კი მოხდა, გაყალბა, გააცუდა კარგი, საუკეთესო, შერყვნა, შებღალა ნამდვილი, მეორეკერძ ჯანი გასტეხოდა, ჩადენილი ჩადენილი იყო, მოსახდენი მომხდარი, ოთხი კედლის შიში ანაღვლიანებდა.

იჯდა, ფიქრით დადიოდა, ცხენზე შემოხტომას და გაჭენებას მონატრული.

ხანდახან ეშმაკები გაუხტებოდა თვალებში, სახე გაუხალისდებოდა. ამ დროს იფიქრებდი, საბუთებს გააცუდებს კი არა, ყველაფერს მოიმოქმედებსო, სახის ერთი ნაწილი უღიმოდა, მეორე ასაკისდარად შემსჭვალვოდა, იყო ისეთი, როგორიც იყო, მაგრამ დიდხანს არ გრძელდებოდა ასე, წამიერად ბრუნდებოდა წარსულში. თუმცა, ამ დროს რომ შეძლებოდა, გაიქცეოდა, მსგავსად სხვათა და სხვათა, მიიმალებოდა, მიიყუჟებოდა თვალმიუწვდენლად, მზერაშეუტყორცნელად. არ შეეძლო.

იჯდა, ფიქრობდა და პრისტავიც წამოადგა თავზე! არ გაძალიანებია, ერთ დროს რუსეთის არმიის იუნკერი, მისთვის უჩვეულო თმენით დაყვა, დანებდა. არც გააზნაურებულებს შეუტყობინებიათ რამე, არც სხვებს. ეს ბუხრისპირას იჯდა ფიქრით მორბენალი და საიდანღაც გამოტყვრა ნოქალაქეველი მართლაღმსრულებელი. იცნობდა შორიდან, მისი სიჯიუტის, გაუტანლობის, უნდობლობის ამბებიც ჩაწვდენოდა ვიღაცებისაგან. იდგა ის, იჯდა ეს, თავმდგმური იარაღით, ეს — უიარაღოდ, მსხდომი ათასი, ფეხზედგომელა ერთი ფიქრით შეპყრობილი. შეუმჩნევლად შემოხეტებულმა დადიანის ნახვა და დაპატიმრება ერთი ქნა, გაკოჭილი სენაკის მაზრის უფროსს კაპიტან მიტკევიჩს მიჰგვარა. მიტკევიჩი, როგორც უმეტესი რუსი სამხედრო, შემსრულებელი კაცი იყო და ძველ დადიანთა შთამომავალს სენაკის ციხეში ამოაყოფინა თავი, ქუთაისის საოლქო სასამართლოში კი აფრინა დეპეშა — დავიჭირეთ, ციხეში გვყავს, რასაც გვიბრძანებთ, შევასრულებთო.

სხვისთვის თავმდების მპოვნელი, სხვის დაჭერაზე მოდარდე ბესარიონ დადიანი ახლა თვითონ დაიჭირეს, ამას ეცოდებოდა ისინი, საშუალებებს ეძებდა მათ გასათავისუფლებლად, მას ვინღა წაეშველებოდა, ზოგი გადაკარგულიყო, ბევრი ციხეში აღამ-ათენებდა. მაინც არ შემდრკალა, ფარ-ხმალი არ დაუყრია — ერთი კვირის მერე ქუთაისის საოლქო სასამართლოში აფრინა თხოვნა — 5 ნოემბრის სასამართლოს სხდომაზე იმიტომ ვერ გამოვცხადდი, თბილისში ვიყავი, კერძო კლინიკაში ვმკურნალობდი, ის კი არა, პირველი ნოემბრიდან 16-მდე იქ ვიწექ დაუძლურებული, დაძაბუნებული, ვითომ გამოვკეთდი, იმქვეყნად მიმავალმა საამქვეყნოდ მოვიხედე, ცნობა მკურნალობისა თან მაქვს, ვფიქრობდი, გამოვმჯობინდები, ვეახლები მართლმსაჯულებას-მეთქი, მაგრამ მე ვფიქრობდი ასე, სხვები — სხვაგ-

ვარად. ოთხმოცი წლის ბერიკაცი ახლა სენაკის ციხეში ვარ დაყუდებული, უპატრონოდ, უყურადღებოდ მიგდებული. ავადმყოფს ძალა არ მომდევს, გეახლოთ და, თუ დამნაშავე ვარ, ვაღიარო თქვენი მსჯავრი. გეხვეწებით, სასამართლოზე გამოუცხადებლობას დანაშაულად ნუ ჩამითვლით, საპატიო მიზეზი მქონდა. სად გავიქცევი სამარის პირას მისული ბერიკაცი, გეაჯებით, ნუ მომკლავთ აქ, ვინმეს თავდებით გამათავისუფლეთ, რომ მითხრათ, თუნდაც მიბრძანოთ, ვერსად წავალ, არც წავუვალ განაჩენს თქვენსას...

უფრო სიბერეს, სიძაბუნეს უჩიოდა, დანაშაულის გამო სინანულს არ იმჩნევდა, წლებმა მომტეხაო — იმეორებდა.

ყურად იღეს ქუთაისის საოლქო სასამართლოს მესვეურებმა ოთხმოცი წლის თავადის თხოვნა, იმსჯელეს, იფიქრეს მის დროებით თავისუფლებაზე და გადაწყვიტეს — ჩადენილი დანაშაულისათვის ციხეში უნდა იჯდეს, მისი ბრალეულობა ამას მოითხოვს, მაგრამ 1000 მანეთად გავუშვათ თავდებში, იმ პირობით, გამოძახებისთანავე გამოცხადდება, მართლმსაჯულებას არ დაემალებაო.

გაჭრა ბესარიონის აჯამ, გაჭრა, მაგრამ ახალი თავსატეხი გაუჩნდა — სად ჰქონდა ათასი მანეთი?!

მეორე დღესვე ქუთაისის საოლქო სასამართლომ მიიღო ბესარიონ ალექსის ძე დადიანის მეუღლის — ნიმფადორა კონსტანტინეს ასულ ჩხეიძე-დადიანისას თხოვნა, სადაც იგი უმორჩილესად ევედრებოდა მართლმსაჯულების აღმსრულებლებს, გაეთვალისწინებინათ — მის ქმარს განზრახ არაფერი დაუშავებია, სასამართლოზე ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა, ცნობაც აქვს, უბედურს, ამის დამამტკიცებელი. საცოდაობაა, სიცოცხლის მიწურულს მხცოვანი თავადი ციხეში იჯდეს, შეიცოდეთ საბრალო, ან ვინმეს თავდებობით გამოუშვით, ან კიდევ 1000 მანეთის სა-

ფასურად ჩვენი მამულის შესაბამისი ნაწილი ჩაითვალეთ. მწამს, გაგვიგებთ, ჩვენს უბედურ ყოფასა და გაჭირვებას ყურად იღებთ — კიდეც თხოვდა, ნამუსზეც აგდებდა სასამართლოს თავკაცებს ჩხეიძის ქალი.

1908 წლის 17 თებერვალს ქუთაისის საოლქო სასამართლომ ქალბატონ ნიმფადორას თხოვნაც განიხილა და დაადგინა: იმის გათვალისწინების მიუხედავად, რომ ბესარიონ დადიანის მეუღლე ქმრის დანაშაულებრივ საქმეებში არ ყოფილა გარეული, დაპატიმრებული თავადის თავდებობის საკითხი დარჩეს ისე, როგორც წინათ იყო გადაწყვეტილი და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს მთხოვნელს.

ხორავასა და გეგეჭკორს თავადი ს. წულუკიძე, სიმონ შელიას — ს. დგებუაძე, სიმონ ბარკალაიას — სალომე ბარკალაია, სურგულაძეს — ქვარიანი და ა.შ. გაუთავდებდა, ბესარიონ დადიანს — არავინ.

აშორდიასთვის 5 ათასმანეთიანი თავმდები მოიძებნა, ახლა ბესარიონს ათასი მანეთის შოვნა აღარ შეეძლო, ან პირიქით, შეეძლო, მაგრამ სურდა იოლად დაეძვრინა თავი, საფიქრებელია, არ შეეძლო, მისი მოძმენი, ძმანი აშორდიასნი, ან სადღაც გადაკარგულიყვნენ, ან კიდევ წინა დანაშაულისათვის ახალიც მიემატებინათ და ციხეში ისხდნენ.

სოლომონ აშორდია ამ დროს ვლადივოსტოკის ციხეში კლავდა დროს, სათაღლითოდ განკუთვნილ ნიჭსა და ღონეს განცხადებების, თხოვნების წერაში ფლანგავდა. მისი ძმა — მიხეილიც იქ იყო, მახლობელი ქალაქის სხვა კამერაში, თევდორე გეგენავა, ანდრონიკე სალაყაია, ვასილ ხორავა, გრიგოლ ბოკუჩავა, ალექსი ადამია და სხვები დაჭერილ-დაპატიმრებულნი, გარეთ დარჩენილი მცირე ნაწილი — მიმალული და მიყუჟული დამჭერის მოლოდინში.

ბესარიონ დადიანი ამათთან ძმაკაცობდა, ძმაკაცობდა რაა,

საქმიანობდა, ესენი იყვნენ მისიანები, სხვა ვინ წაეშველებოდა, უცხო რატომ და რისთვის გახდებოდა მისი თავმდები?!

არადა, სასამართლოზე ბესარიონ დადიანს ბევრმა მოწმეებმა დაადეს ხელი — ამისგან მივიღეთ თავადაზნაურობის საბუთები, ფული გადავიხადეთ, თუ ყალბი იყო, რა ვიცოდითო.

ბეჟან ნადარეიშვილის ჩვენებიდან:

„ჩემი შვილი ხელში მძიმედ დაიჭრა და ცნობილ ექიმ ყარამან სურგულაძესთან მკურნალობდა. იქ გაიცნო მისი სიძე ლავრენტი ხუნდაძე, რომელმაც შეთავაზა აზნაურის საბუთების მოძიება. ამისათვის მან გადაიხადა 200 მანეთი, არ ვიცით, ბატონმა ლავრენტიმ სად მოძებნა ეს საბუთები."

ბეჟან ნადარეიშვილის ვაჟის — ალექსანდრეს ჩვენებიდან:

„ბათუმში მძიმედ დავიჭერი ხელში. ვმკურნალობდი ექიმ ყარამან სურგულაძესთან, აქ გავიცანი ლავრენტი ხუნდაძე, რომელმაც შემომთავაზა აზნაურობისათვის საჭირო საბუთების მოძებნა თავადაზნაურთა საკრებულოში. ჩემი ბიძაშვილი გლეხი იყო და ასეთნაირად გააზნაურდა. მეც მინდოდა აზნაურობა. ლავრენტის ამისათვის 200 მანეთი გადავუხადე, მერე მამაჩემი აძლევდა კიდევ თანხას, როცა მოთხოვდა."

ანა რუხაძის — ლავრენტი ხუნდაძის ნათესავის ჩვენებიდან:

„ერთხელ ქალაქის ბაღში ვიჯექი ყარამან სურგულაძის მეუღლესა და ალექსანდრე ნადარეიშვილთან ერთად. ეს უკანასკნელი წავიდა და მალევე, ნიკო გვათუასთან ერთად, დაბრუნდა. მოსვლისას გვითხრა, რომ იგი შეპირდა აზნაურობისათვის საჭირო საბუთების მოძებნას, მართლაც მოუძებნა, მაგრამ, რაღაცატომ, უვარგისი აღმოჩნდა. მერე ნადარეიშვილი ფულის დაბრუნებასაც ითხოვდა ყარამან სურგულაძისა და ლავრენტი ხუნდაძისაგან".

სასამართლოზე გ. ბარკალაიამ პირდაპირ განაცხადა, ნადარეიშვილისათვის საჭირო საბუთი ბესარიონ დადიანმა გაამზადა, მოსამართლემ კი უვარგისად ცნოო. ყარამან ხორავამაც დააღო პირი და თქვა, საბუთში ბესა, იგივე ბესარიონ დადიანს 50 მანეთი გადავუხადეო. მურზაყან ბარკალაიას კი ბეთლემში მცხოვრები თავადისაგან 30 მანეთად დაუთრევია აზნაურობის საბუთი. ალექსი ბარკალაიამ ისიც აღიარა, დავით დადიანის წყალობის სიგელებსა და ბრძანებებს ბესარიონ დადიანი რომელ არქივში პოულობდა, არ ვიცი, ის კი ნაღდია, ერთი კაცის საბუთში 30 მანეთი გადავიხადეო.

ერთი სიტყვით, ძირითად საბუთს ბესარიონ დადიანი იძლეოდა, მერე მას ასხვაფერებდნენ სხვები, გამცემმაც და მიმღებმაც მშვენივრად იცოდნენ, რასაც იქმოდნენ. პირველი დამნაშავე ანუ რაღაც წყალობის დოკუმენტის მომძებნი ბეთლემელი თავადი ბესარიონი ფულსაც არ ითხოვდა ბევრს, 30-50 მანეთს ჯერდებოდა, მერე ეს სიგელი სხვების ხელში ხვდებოდა, მერე კიდევ სხვების და რამდენადაც მეტი ადამიანის ხელში გაივლიდა, მით მეტად ძვირდებოდა.

ხომ დავინახეთ, ალექსანდრე ნადარეიშვილი ყარამან სურგულაძესთან მკურნალობდა, იქ გაიცნო მისი სიძე ლავრენტი ხუნდაძე, რომელიც ნიკო გვათუას დაუკავშირდა, ეს კიდევ სხვას (ალბათ ერთ-ერთ აშორდიელს), ის სხვა — ბესარიონ დადიანს, ამის შემდეგ გუბერნიის კანცელარიის მოხელეებიც ჩაერთვნენ საქმეში და გამოცხვა გამოსაცხობი. ახდა ოცნება ალექსანდრესი, ბიძაშვილი გააზნაურდა, ეს როგორ ჩამორჩებოდა, გულს უღრღნიდა მისი წოდებრივი აღმასვლა, თვითონაც ეწია საწადელს, ერთხელ 200, მერე, ნაწილ-ნაწილ, სხვა ფულიც გადაიხადა, გახდა აზნაური ლავრენტი-ნიკო-ბესასა და სხვათა წყალობით.

ზღაპრულ სკივრში ძველი წყალობის სიგელების მპოვ-

ნელი ბესო დადიანი, ისე, როგორც ყველა მსჯავრდებული, დანაშაულს უარყოფდა — ჩემი ბრალი არაფერია, საერთოდ, ვერ გამიგია, რა შუაში ვარო, — აცხადებდა. მაგრამ ექსპერტებმა — პეტრიაშვილმა და ლორთქიფანიძემ — თავადაზნაურთა საკრებულოში წარდგენილ საბუთებში მისი ხელწერაც ამოიცნეს, სალაყაიასიც, ბარკალაიასიც, — სამივე მაინც თავისას გაიძახოდა — უდანაშაულონი ვართო. გრიგოლ ბოკუჩავამ ისიც კი თქვა, რომ არქივიდან გამოტანილი საბუთები კვირეობით და თვეობით ეწყო გუბერნიის სამმართველოში, ვისაც სურდა, ნახულობდა, რაც უნდოდა, იმას წერდა და ასწორებდა, იქვე განმარტა — მიხეილ გრიგორაშვილს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ამ წიგნებში ჩაკერებული და ჩასმული ახალი ფურცლების შემჩნევაო. ერთი სიტყვით, დაინდო, ფიქრობდა, გუბერნიის სამმართველოში მომუშავე კაცი ამით გადარჩებოდა, მაგრამ სასამართლომ გაარკვია, რომ მიხეილიც იყო გარეული ამ საქმეში.

ზოგიერთ გადაწყვეტილებაში პირდაპირაა აღნიშნული, რომ აზნაურობის მაძიებელთა საქმე ბესარიონ დადიანის კანტორა გახლდათ, სადაც ყველას თავისი ფუნქცია ჰქონდა. ოღონდ დაბადების მოწმობებს, სოლომონ აშორდიას გარდა, სხვები ვერ „წერდნენ". ეს იყო ერთი გამორჩეული, რომელსაც ყველანაირი დოკუმენტის შედგენა და ნამდვილს მიმსგავსება შეეძლო — დანარჩენები, დაბადების მოწმობების გარდა, სხვა საბუთებს ახლაფორთებდნენ, მაგრამ მათი შექმნილ-დაწერილი ნახელავს ჰგავდა, აშორდიასი — ნახელოვნებს.

სასამართლომ ზემოთნახსენები გუბერნიის მმართველობის თანამშრომელი მიხეილ გრიგორაშვილი დამნაშავედ ცნო, ჩამოართვა ყველა უფლება, ქონება (სახლი არქიელის გორაზე) და ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა,

ლავრენტი ხუნდაძესაც ჩამოართვა უფლებები, ქონება და ციხეში 8 თვით გაუშვა.

მოკლედ, ბესარიონ დადიანის ბრალი აშკარა იყო. თავმდებს ეძებდა, ვერ იპოვნა, ციხეში მოდებულმა ტიფმა უშველა, შეამოწმეს მდგომარეობა, მართალი გამოდგა და გაუშვეს დროებით, ხელწერილით. თუმცა ამის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია, 1908 წლის 5 მაისს გარდაიცვალა. ასე დამთავრდა ერთი აშორდიელის ბესარიონიადა.

ადამია ვიატკის ციხიდან აითესა, სოლომონი და მისი ძმა ვლადივოსტოკში გაკოჭეს — ამათი საქმე სასამართლომ ცალკე გამოჰყო, აქ დარჩენილებისა — ცალკე. თუმცა ამაზე ქვემოთ.

ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲫᲛᲐ

ხალხის გათავადაზნაურებაში სოლომონ აშორდიას მისი უმცროსი ძმა — მიხეილიც ეხმარებოდა. ქუთაისის ცენტრალური საპოლიციო ნაწილის მწერალი ძმის შედგენილ სიგელებსაც გადაწერდა ხოლმე, გადაწერდა ისევ სოლომონის რჩევითა და თხოვნით, უფრო მკაფიოდ რომ ვთქვათ, იმას აკეთებდა, რასაც უფროსი დედმამიშვილი ეტყოდა და უბრძანებდა. ამიტომ დანაშაულებრივი ჯგუფის ერთი წევრი ისიც იყო. ექსპერტმა წყალობის სამი სიგელი აღმოაჩინა მიხეილისაგან გადაწერილი — ერთი ადამიას, მეორე არჩაიათა, მესამე კიდევ გელოვანების გაკეთილშობილებისათვის იყო განკუთვნილი. პირველი-ორი ბულვარში, სალდაძის აღმოჩენილ ფუთაში იპოვეს, მესამე თავადაზნაურთა საკრებულოში მიეტანა სოლომონის ძმასა და დამხმარეს.

მიხეილ აშორდიას ბრალეულობას სხვადასხვა დოკუმენ-

ტზე სოლომონის მინაწერი ტექსტებიც ადასტურებდა — მიხა, ეს გადაწერეო.

აშორდიელთა საბოლოო განაჩენში ეს ამბებიც დეტალურადაა აღნუსხული.

და კიდევ — დეპეშები:

ზუგდიდში, გვაჩის სახლსა და მისი შვილის ქუთაისურ ადგილსამყოფელში აღმოჩნდა სოლომონ აშორდიასაგან სხვადასხვა ქალაქებიდან მისი ძმის სახელზე გამოგზავნილი დეპეშები, ეს ასე, ის ისეო, ამ დროს ვიქნები აქ, წამოვედი პეტერბურგიდან და ა. შ. ატყობინებდა სოლომონი მიხეილს. გამოძიებამ ესეც ერთ სამხილად ჩათვალა — ძმამ ძმის ასავალდასავალი დეტალურად უწყოდა, რადგანაც მისი თანამზრახველი და თანამონაწილე იყო თავადაზნაურთა საბუთების გაყალბების საქმეში.

იკრიბებოდნენ ქუთაისში, სოლომონ აშორდიას ბინაზე გათავადაზნაურების მსურველნი, უმეტესად მეგრელები, გვარდებოდა, ერთი შეხედვით, ძნელად მოსაგვარებელი საქმეები, მიხეილიც იქ იყო, იქ ტრიალებდა, გვერდით ედგა ძმას.

ჯარში უნდა წაეყვანათ, სოლომონმა ლაზარეთში დააწვინა საღსალამათი კაცი, გლეხს აზნაურად აქცევდა და ჯანმრთელი ავადმყოფად გაესაღებინა, ვინ დაუშლიდა. მამას — გვაჩის უდეპეშა — მშვენივრადაა, მაგრამ ჯარში რომ არ წაიყვანონ, საავადმყოფოში დავაწვინე, სულ თუ არ გაათავისუფლებენ, ერთი წლით მაინც გადაუწევენ გაწვევას, ესეც შეღავათია, მერე კიდევ რაღაცას მოვიფიქრებ, ვუსაშველებ, არ იჯავროთ.

მოიფიქრებდა, აბა, რას იზამდა.

ჯარს თავი აარიდა, ძმის საქმეებში აქტიურად ჩაერთო და ჩაგულისყურდა, ისიც ჩათვალეს დამნაშავედ. ამიტომ 1906 წლის აგვისტოდან უკვე მიხეილ აშორდიას ეძებდნენ. იყო მიწერ-მოწერა, ქუთაისის ერთი ნაწილის პრისტავი მე-

ორეს აცნობებდა, მეორე — მესამეს, მესამე — მეოთხეს ეუბნებოდა წერილობით — აქ არ არის, დავით ძოწენიძესთან ცხოვრობდაო. ერთი სიტყვით, არსად იყო, ან, უფრო სწორად, პირველი მეორეს ეუბნებოდა, შენს საპოლიციო ტერიტორიაზე უნდა იყოსო, მეორე კიდევ უარს ამბობდა, მესამე ზუგდიდისკენ იშვერდა ხელს, ზუგდიდელი პრისტავი აშორდიათა მშობლებთან გარბოდა და, რასაც ისინი ეტყოდნენ, იმას დაწერდა ქაღალდზე და გამოაფრენდა ქუთაისში, აქ ხელახლა დატრიალდებოდა კარუსელი, ერთი მეორეს აცნობებდა, მის სიძეს, დგებუაძეს ეცოდინება, რომელიც ბაღის ქუჩაზე, ბოლქვაძის სახლში ცხოვრობსო.

დგებუაძეც ნახეს, ბოლქვაძეც, მიხეილ აშორდიას კვალს ვერ მიაგნეს.

იყო თუ არა ამ დროს ქუთაისში?!

ან იყო, ან — არა. უფრო — არა. სარწმუნოა — მცირე ხნით ჩამოვიდა და ისევ აითესა, ვილაც-ვილაცებმა ისიც თქვეს, თბილისის ქალაქის მმართველობაში მწერლად მუშაობსო, მიაკითხეს, ვერ იპოვნეს.

ამ ცნობების, მიწერ-მოწერის წაკითხვისას იფიქრებ, აქ რომ იყო, იქ ეძებდნენ, იქ რომ ცხოვრობდა, აქ აწიოკებდნენ და აკითხავდნენ მავანსა და მავანს — შენთან არის, გამოაჩინეო, არ იყო იქ და რას იზამდა სახლის პატრონი, ვთქვათ, ბოლქვაძე, სიძეს ანახვებდა აშორდიათა, ა, ბატონო, აგერაა, თვით მიხეილი არ ვიცით, არ გვინახავს, არ შევხვედრივართ, როგორ გამოვაჩინოთ, როცა კარგა ხანია, თვალით არ შეგვიხედავს, ყურით არ გვსმენია, არ გაგვიგონია, ვინმეს დაენახოს. ამ ქალაქში ვინ ან რა დაიმალება, ყველამ ყველაფერი იცის, ვინ სად წევს და ხვრინავს, იმასაც გეტყვიან, მიხეილ აშორდია არ უნახავთ მათ, არც ჩვენ, არც სხვებს, როგორ გამოვაჩინოთ, თუ არ არის, გამოჩენით, შეიძლება, დამალული, კუთხეში მიყუჟული კაცი ან ნივთი გა-

მოაჩინო, არ დაგვიმალავს, არ მიგვიჩქმალავს, საიდან, როგორ მოგიყვანოთ, უჩინმაჩინობას ნუ მოგვთხოვთ, ვერ შევძლებთ, იმედს გაგიცუდებთ — პასუხობდნენ მოსაძებნად მისულ პრისტავებსა და ჩაფრებს. მისულები ჯიუტობდნენ, დამხვდურები მშვიდად, წყნარად ესაუბრებოდნენ — არ არის, ბატონო, აქ, სავარაუდოა, იყოს იქ, ან კიდევ იმას ეცოდინება, სადაა, ის გეტყვით, დაგაკვალიანებთ, გზაზე დაგაყენებთ.

მიდიოდნენ პრისტავნი და ჩაფრები იმასთან, უფრო იმათთან, გზაზე დასაყენებლად, ვერაფერს არკვევდნენ, უკვირდათ, ხარჯავდნენ ძალ-ღონეს ფუჭად, უშედეგოდ, გზას ვერ ადგებოდნენ, რომ ეგონათ, კვალში ედგნენ, დღეს არა ხვალ მოიხელთებდნენ, ნურას უკაცრავად...

მიხეილ აშორდია ქუთაისიდან ზუგდიდში ჩადიოდა, იქიდან აქეთ მოუწევდა გული, აქედან თბილისისკენ იზამდა პირს, აქ რომ ეძებდნენ, იქ იყო, იქ რომ მირბოდნენ, აქ ათენაღამებდა. პოლიციელები წერილს წერილზე წერდნენ — ზუგდიდის მაზრის უფროსმა ისიც აცნობა აქაურებს ანუ ქუთაისელ პოლიციელებს — გამოკითხვით გავარკვიეთ, იყო ქუთაისში, ჩამოვიდა ზუგდიდში, წავიდა თბილისში, სად, რომელ უბანში ცხოვრობს, ვერ დავადგინეთ. ვფიქრობთ, იციან, არ გვეუბნებიან, თუმც არც ისაა გამორიცხული, რომ არ იცოდნენ ზუსტი საცხოვრისი მიხეილისა, თბილისი დიდია, ვერ იპოვნი, შენს ნება-სურვილზე ვერ დაადგები თავზე, შენ ეძებ, ის გარბის, კარგად უწყის, რომ ეძებ, ნადირივით ფრთხილია კაცი ასეთ დროს, ამიტომ ჭირს მიგნებაო.

ეძებდნენ, ვერ პოულობდნენ. ეძებდნენ აქ, იყო იქ. აქოთებდნენ აქაურობას, არ ჩანდა, რადგან იქ იყო ამ დროს, ჩხრეკდნენ საგულდაგულოდ იქაურობას და ვერ აგნებდნენ, რამეთუ ნებივრობდა ამ დროს აქ. ქუთაისელი პრისტავი რომ დაიღლებოდა ძებნით, ცხენს არაქათს რომ წაართმევდა წან-

წალითა და ჭენებით, ხალხს თავს რომ მოაბეზრებდა ხშირი მიკითხვითა და გამოკითხვით, ხელს რომ ჩაიქნევდა სანახევროდ დარწმუნებული მის არყოფნაში და პატაკს დაწერდა — ჩემს სამოქმედო ტერიტორიაზე არ არისო, ამ დროს ჩამოდიოდა ქალაქში, ცხოვრობდა ჩვეულებრივად, არავინ აკითხავდა, ჩაფარ-პრისტავი დაღლილი იყო, მისავათებული. ამ დროს ზუგდიდში ეძებდნენ გამალებით, მიდიოდნენ მშობლებთან, ახლობლებთან, სხვათაშორის ჩამოუგდებდნენ სიტყვას სხვებს მიხეილ აშორდიაზე, მხრებს იჩეჩავდნენ ისინი, ჰყავდათ მოენეები, მომსმენები, ყურებდაცქვეტილი ხალხი, აგენტები — სარწმუნო და სანდო, მაგრამ ამ საქმისთვის გამოუსადეგარნი, რადგან ისინი, იქაურნიც და აქაურნიც და კიდევ იქაურნიც ანუ ქუთაისელ-ზუგდიდელ-თბილისელნი მაშინ ეძებდნენ, როცა აქ არ იყო, იქ იყო, ან კიდევ, იქაც არ იყო და იყო იქ.

მიხეილ აშორდიას თავდებად თავადი ბესარიონ ლორთქიფანიძე დაუდგა 1000 მანეთად, ვერ შეასრულა პირობა, ვერ მოახერხა სასამართლოზე, 1907 წლის 1 ნოემბერს რომ იყო დანიშნული, მიყვანა სოლომონის ნამდვილი ძმისა და ამიტომ ის ფული გადაახდევინეს. გადაიხადა თავადმა, რა უნდა ექნა, ჰქონდა, არ ჰქონდა რაიმე სხვა გარიგება მიხეილთან, არ ვიცით, თანხის გადახდაა აღნიშნული მხოლოდ სასამართლო საქმეში. გავიდა ერთი თვე და გვაჩის მეორე ყმაწვილი ვლადივოსტოკში გაკოჭეს. ამ ამბის შეტყობისთანავე ლორთქიფანიძემ მართლმსაჯულების მესვეურებს მიმართა, გავიგე, დაუჭერიათ, მისი თავდებობიდანაც გამათავისუფლეთ და ფულიც დამიბრუნეთო, მაგრამ თავადის თხოვნა ქუთაისის საოლქო სასამართლომ არ გაიზიარა — გევალებოდა მისი სასამართლოს სხდომაზე მოყვანა, ვერ მოახერხე, ამიტომ დაჯარიმდი კანონიერად, წესის დაცვით, აწი კი გათავისუფლებული ხარ მისი თავდებობისაგანო. ლორ-

თქიფანიძემ თბილისის სასამართლო პალატაში იჩივლა, სადაც მისი სურვილი ყურად იღეს, ფულიც დაუბრუნეს, მიხეილ აშორდიას აპეკუნობაც გაუუქმეს.

ეძებდნენ ქუთაისში, ზუგდიდში, თბილისში, დაიჭირეს ვლადივოსტოკში. და მაინც, იყო თუ არა ამ დროს ქუთაისში? ან იყო, ან არა, უფრო — არა. ზუსტი პასუხის გაცემა ძნელია, მითუმეტეს, ძმები აშორდიების ავანტიურისტულ ბუნებასა და ხასიათს როცა იცნობ.

მიხეილ აშორდია 1910 წლის ივლისში თავადაზნაურობისათვის საჭირო საბუთების გაყალბების გამოც გაასამართლეს და 8 თვით გაუშვეს ციხეში. ჩამოართვეს ყველა პრივილეგია და წოდება და აკმარეს მცირე სასჯელი.

ასეთი იყო ქუთაისის საოლქო სასამართლოს მსჯავრი.

ვლადივოსტოკში სხვა სასჯელი ელოდა.

და იყო სასჯელმისჯილი მიხეილ აშორდია ახალი სასჯელის მოლოდინში.

ილემელი დეპუტატი

კონსტანტინე მაჭავარიანი ქუთაისის თავადაზნაურთა საკრებულოს წევრი იყო შორაპნის მაზრიდან. გახდა თუ არა დეპუტატი, აშორდიაც გაიცნო, დამეგობრდნენ, ერთად ქეიფობდნენ, სოლომონს რომ დაინახავდნენ, კონსტანტინეც იქ იყო ან პირიქით, ამას დაინახავდნენ და სოლომონსაც დალანდავდნენ, ჭირშიც ერთად დადიოდნენ — გვაჩის ძე წინ, ილემელი (ესეც პალინდრომია, წაღმა-უკუღმა იკითხება) დეპუტატი — უკან. ბუნებრივია, საქმეებიც საერთო ჰქონდათ — ზოგს ათავადებდნენ, ზოგს კიდევ აზნაურობის ბოძებით აჩუმებდნენ. დადიოდნენ ერთად, მოუგვარებელ და შეუძლებელ რამეს აკვარახჭინებდნენ, ღებულობდნენ

ფულს, აშორდია — ბევრს, მაჭავარიანი — ნაკლებს. იყო ისეთი შემთხვევებიც, სოლომონის დაუხმარებლად, მისგან მალულად რომ მოაგვარა კონსტანტინემ და ასაღები თანხაც თვითონ ჩაიჯიბა მთლიანად. ერთ-ერთი ამნაირი პავლე ნადარეიშვილის გააზნაურება გახლდათ, რომელიც თავიდან ბოლომდე თავის თავზე აიღო და გაება კიდეც.

წესის მიხედვით, თავადაზნაურობის მაძიებელს დეპუტატთა საკრებულოსთვის განცხადებითა და სათანადო საბუთებით უნდა მიემართა, იქ სხდომაზე განიხილავდნენ ამ საკითხს, შეადგენდნენ ოქმს, და დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, გაგზავნიდნენ სენატში.

პავლე ნადარეიშვილისათვის აზნაურის წოდების ბოძებასთან დაკავშირებით საკრებულოში სხდომა არ გამართულა, არ გამართულა, მაგრამ არსებობდა ოქმი, ვითომ გაიმართა და ვითომ მთხოვნელის სასარგებლოდ გადაწყდა ყველაფერი.

ოქმი კონსტანტინე მაჭავარიანმა დაწერა არარსებული სხდომისა, საბუთებიც მან შეაკონწინა და 1898 წლის ოქტომბერში გაგზავნა გეროლდიაში. ელოდა პასუხს, რომლის მიხედვითაც პავლე აზნაური უნდა გამხდარიყო, მაჭავარიანს კიდევ — დარჩენილი თანხა აეღო.

ელოდა, მაგრამ ბედმა უმუხთლა, მაინცდამაინც ამ დოკუმენტებს ჩაუგულისყურდნენ იმპერიის დედაქალაქში, ბევრი რამ საეჭვოდ მიიჩნიეს და შესამოწმებლად უკან გამოგზავნეს.

კონსტანტინე მაჭავარიანს აშორდიასავით პეტერბურგში საქმის ჩაწყობა არ შეეძლო. ალბათ ამის გამო იყო, რომ ეს საბუთები იქ გულდასმით გასინჯეს და უკან დააბრუნეს, მაგრამ თავადაზნაურთა წინამძღოლს — თავად სიმონ წერეთელს კი არ გამოუგზავნეს, როგორც ეს სხვა დროს ხდებოდა, აშორდიას ნევისპირელი თანამზრახველის წყა-

ლობით, არამედ ქუთაისის გუბერნატორს გერშელმანს. ეს უკვე სიყალბის სანახევროდ გამჟღავნებას ნიშნავდა.

თავადაზნაურთა საკრებულოში რომ დაბრუნებულიყო პავლე ნადარეიშვილის საბუთები, აქ შეასწორ-შემოასწორებდნენ, დაწუნებულს ხელახლა და უფრო სარწმუნოდ მიამგვანებდნენ, ე.ი. ხელმეორედ გააყალბებდნენ, „შენიშვნებს“ გაითვალისწინებდნენ და ხელთავიდან გაგზავნიდნენ, ან, თუნდაც, თუ უიმედო იყო, დახევდნენ ბოლოს და ბოლოს და „იჩუჩს“ ფულს დაუბრუნებდნენ, მაგრამ გუბერნატორი სხვა იყო, მის სიტყვას სხვა ძალა ჰქონდა, მის ყურამდე ამ აზრის მიწვდენას უსაშველო ხიფათი მოჰყვებოდა. გერშელმანმა საკითხის შესწავლა პოლიციას დაავალა.

ერთი სიტყვით, კონსტანტინე მაჭავარიანის ბრალი ნელ-ნელა იკვეთებოდა. ნანობდა კიდეც, მარტო რომ გარისკა ამ ამბის მოყომარება, მაგრამ სულმა წასძლია, მისი მეგობარი, რომლის უკან ან გვერდით იყო მუდამჟამს, დასტა-დასტად ყრიდა ფულებს, ამას უჭირდა და იფიქრა, გავკეთდებიო, ჰოდა ჩავარდა.

თავიდან აშორდიელებს გუბერნიის სამმართველოც უჭირვებდათ საქმეს. მას შემდეგ, რაც ვიცე-გუბერნატორად მიკლაშევსკი დაინიშნა, უარი ხშირზე ხშირი გახდა — საბუთები ნამდვილად არსებობს, მაძიებლის გვარიც გარკვევით იკითხება, მაგრამ ახალ ჩაწერილს ჰგავს, ფურცელიც რომაა ჩაწებებული, ესეც აშკარად ემჩნევაო, — იყო პასუხი გუბერნიის სამმართველოდან. რა უნდა ექნათ, თითქმის ყველაფერს აგვარებდნენ, აქ, იქ, იქ, აქ...ბოლოს-დაბოლოს, ნევისპირა ქალაქშიც ჰყავდათ დამხმარე, მიკლაშევსკის ვერაფერს უხერხებდნენ. გააგზავნიდნენ, ჩაეფუშებოდათ სანახევროდ მოთავებული საქმე.

ბოლოს მიაგნეს გამოსავალს.

ყველაფერს ვაყალბებ და ბარემ ესეც ყალბი იყოს — იფიქრა აშორდიამ. ამიტომ თვითონ წერდა გუბერნიის მმართველობის წერილს და მიკლაშევსკის მაგივრადაც აწერდა ხელს, თან საოცრად მიმგვანებულად, ისე, რომ თვით ვიცე-გუბერნატორიც ვერ გებულობდა, ნამდვილად მისი ხელრთვა იყო თუ ნათაღლითარი.

კონსტანტინე მაჭავარიანმაც იცოდა ეს ამბავი. ამიტომ ეს საბუთიც თვითონ დაწერა, ხელიც მოაწერა, მაგრამ არა აშორდიასებურად.

ერთი სიტყვით, აშორდიას ამბების გამჟღავნებამდეც ბევრმა იცოდა, რა და როგორ ხდებოდა, დუპუტატებზეც ჰქონდათ ეჭვი — ერთადერთი, ვინც ყველაზე მეტად გამოაშკარავდა, ილემელი დეპუტატი იყო.

1900 წელს გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ წერდა, რომ ახალი არჩევნების დროს საკრებულო მთლიანად უნდა შეიცვალოს, ძველები, რომლებიც ასე თუ ისე იყვნენ გარეულნი აშორდიას ამბებში, უნდა წავიდნენ, ახლები მოვიდნენო. მაგალითად კონსტანტინეა დასახელებული, იქვე ისიცაა ნათქვამი, რომ მარტო იგი არ იყო გარეული ამ ამბებში. ეს იქიდანაც ჩანს, რომ როცა დეპუტატთა ერთმა ნაწილმა სიმართლე თქვა, უფროსების წყრომა დაიმსახურა — რა თქვით, ამით ხომ ყველას რეპუტაცია შებღალეთ, ამიტომ ყველანი უნდა წავიდნენ, გასვრილნიც და გაუსვრელნიც.

მაჭავარიანი კონსტანტინე სულაც არ ფიქრობდა, ახალ არჩევნებში მიეღო მონაწილეობა. მას უფრო ის ადარდებდა, ნადარეიშვილის ამბავი ბოლომდე არ გამჟღავნებულიყო და ციხეში არ ეკრათ თავი.

გაზეთები ერთხმად ყიჟინებდნენ — ყველანი უნდა წავიდნენ, გარეულ-გაურეველთა ჩათვლით.

კონსტანტინეს თავისი საწუხარი გაჩენოდა.

„ივერიაში“ გასცა პასუხი ზემოთხსენებულ ბრალდებას, იქით დასდო ბრალი ორ გაზეთს, პირველს — „ნოვოე ვრემიას“, რომელმაც თავდაპირველად დასტამბა ეს წერილი და მეორეს — „ჩერნომორსკი ვესტნიკს“, უცვლელად რომ გადმობეჭდა — ქუჩაში გაგონილს სარწმუნოდ მიიჩნევთ, დეპუტატთა ნათქვამს — არა, რას ჰქვია, საკრებულოს სხდომა არ ჩატარებულა, ჩატარდა და ძალიან კარგადაც, პავლე ნადარეიშვილის საქმეც განვიხილეთ, სხვებიც, იმის, ვისზეც თქვენ ცილს მწამებთ, აზნაურობის საქმე დადებითად გადავწყვიტეთ, სხდომის თავმჯდომარე თავადი სიმ. წერეთელი გახლდათ, მთავრობის წარმომადგენელი — შკორბატოვი, დეპუტატები — სოლოვან ხუნდაძე, შამშე მხეიძე და მე იქ ვიყავით, მდივნად პატივცემული გამრეკელოვი ბრძანდებოდა. ვიმსჯელეთ, ვიფიქრეთ, შევამოწმეთ, გავსინჯეთ, გავჩხრიკეთ და დავადგინეთ პავლეს აზნაურობა. თქვენ კიდევ, სხდომა არ ჩატარებულა, ყალბია ოქმიო, ჭორი გჯერათ, მთავრობის წევრის გულწრფელი ნათქვამი — არა.

კონსტანტინე მაჭავარიანმა „ივერიაში“ გაიმეორა ის, რაც ყალბ ოქმში ეწერა, რომლის შესაბამისი სხდომა არ ჩატარებულა და სხვების მიბაძვით თვითონ გამოიგონა.

ჭაში ჩავარდნილი კაცის ჩივილს ჰგავდა თავის მართლება მისი — არ ჩავვარდნილვარო რომ გაჰყვიროდა, არადა, ამ დროსაც იქ იყო, რამდენიმე მეტრის სიღრმიდან მოისმოდა ხმა.

1898 წლის ნოემბრის ერთ მშვენიერ დღეს ილემელი დეპუტატი დროზე ადრე მივიდა საკრებულოში, მდივან გამრეკელოვს არ დაელოდა და კოლეგა კანდელაკს თხოვა, შეედგინა აზნაურობის მოწმობა გიორგი ბერიძისა. მანაც დაწერა, მერე კონსტანტინემ შავი პირი თავადაზნაურთა წინამძღოლ სიმონ წერეთელს შეუტანა, მან რეზოლუცია დაადო _ писать, გადაათეთრეს და მოწმობა მზად იყო, გიორგი

ბერიძემ დილას გლეხად გაიღვიძა, საღამოს აზნაურად დაიძინა. ამ საბუთს ელოდებოდა ბერიძის ცოლი ანა ჩხეიძე, რომელსაც მიწის გამო ვიღაც გლეხმა უჩივლა, თუ ეს საბუთი ექნებოდა, მიწა მას დარჩებოდა, თუ არა — მოდავეს, ჰოდა, ილემელი დეპუტატის წყალობით იშოვნა კიდეც.

კანდელაკმა — 1867 წლის კომისიის ოქმები კარგად ვერ შევამოწმე და ამიტომ დავუშვი შეცდომა, — თქვა თავიდან, მაგრამ მერე, როცა დაითხოვეს, მაჭავარიანი მკარნახობდა, მე ვწერდი, გადათეთრებით ფოფხაძემ გადაათეთრა მოწმობის შავი პირი, მე რას მერჩითო.

ერთი სიტყვით, რისკიანი იყო ილემელი დეპუტატი — იმდენად თავზეხელაღებული, რომ არც სენატში გაუგზავნია რაიმე, არც სხვა საბუთების მოძიებაზე უზრუნია, პირდაპირ გამოაცხო გამოსაცხობი — გიორგი ბერიძის აზნაურობა.

იქნებ ეს მოწმობა ამ კაცს სხვაგან არც წარედგინა, არც გაემხილა, მხოლოდ და მხოლოდ მიწაზე მოდავის გასაჩერებლად ჭირდებოდა. იოლი გამოსავალი მოძებნა გლეხზე გათხოვილმა ჩხეიძის ქალმა, ქმარი გააზნაურა და პროცესიც მოიგო.

ეს ამბავიც გამჟღავნდა, ნადარეიშვილის საქმეს იგიც დაესართა და ილემელ დეპუტატს წელიწადნახევრით პატიმრობა არგუნეს.

თბილისის სასამართლო პალატაში გაასაჩივრა, მოგვარე კ. მაჭავარიანი იცავდა, სადაც გაამართლეს, მაგრამ ხელმეორედ განიხილეს და იგივე სასჯელი დატოვეს ძალაში.

აშორდიასთან ერთად მომეგვარებინა საქმეები, მარტო რად გავრისკე, რა თავსატეხი გავიჩინე — ფიქრობდა დეპუტატი ილემიდან. არადა, სოლომონის ძმაკაცი იყო, მუდამ ერთად იყვნენ, ამას დაინახავდნენ, იმას დაუწყებდნენ თვალებით ძებნას ან პირიქით.

შევარდენის ბიჭი

ალექსი ადამიას მამას შევარდენი ერქვა, ე. ი. შევარდენის ძე იყო. ეს კაცი 1897 წლის 10 ნოემბერს გიორგი ზაქარაიას შეხვდა და უთხრა, შენს გვარზე ლევან დადიანის 1839 წლის წყალობის სიგელი აღმოვაჩინე, სადაც აზნაურად ხართ მოხსენიებულიო. ზაქარაია შეკრთა, ასეთი რამ არასდროს გაეგონა, ბაბუისგან არ სმენოდა, მამისგან მითუმეტეს, ხომ უნდა ეთქვა ვილაცას — წინაპრები აზნაურები იყვნენო, პირიქით, რაც თავი ახსოვდა, გლეხი იყო, ყველამ იცოდა მისი გლეხობის ამბავი და მოულოდნელმა წოდებრივმა გაკეთილშობილებამ შეაჩქვიფა და შეაკრთო.

მიუხვდა შევარდენოვიჩი.

— აზნაურები ყოფილან, აზნაურები, ნახეთ, ბატონო, ჩემგან ნაპოვნი წყალობის სიგელი...

ზაქარაია ჭოჭმანობდა, არ ჯეროდა ნათქვამისა, მაგრამ არც ის ეთმობოდა, სადღაც მისი წინაპარი აზნაურად რომ ყოფილა მოხსენიებული.

— აზნაური ყოფილა, აზნაური, — ისევ გაუმეორა ალექსიმ.

ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, გიორგი ზაქარაიას აზნაურობის წადილი გაღვივებოდა, მის გონებაშიც აკიანთებულიყო მაღალ წოდებაში გარევის სურვილი. ეგ კი, მაგრამ შევარდენის ძეს სულ სხვა მიზანი ჰქონდა, ვითომ მოძებნილ, სინამდვილეში მის მიერვე შედგენილ დოკუმენტში ფული უნდა აეღო, ისე, სულაც არ ადარდებდა, ეს კაცი და მისი ნაგრამი გლეხი იქნებოდა, აზნაური თუ თავადი. სასამართლო საქმეში წერია — 20 მანეთი და 30 მანეთის ვექსილი გამოართვა ალექსი ადამიამ გიორგი ზაქარაიასო, — უმნიშვნელო თანხაა, ზუსტად იმის მიმანიშნებელი, აზნაურობის სურვილი თვითონ რომ არ გასჩენია, პირიქით, იქით შესთავაზეს, შეაგულიანეს, თორემ სხვები 10-ჯერ

მეტსაც იხდიდნენ ამ საქმეში, იქით ეხვეწ-ეაჯებოდნენ. გიორგი ზაქარაია შემთხვევით წამოაგო ალექსიმ ანკესზე, ჯიუტმა გლეხმა კი ის პირობაც დაუთქვა, ჩემი აზნაურობა თუ არ დამტკიცდება, თანხა უკან დამიბრუნეო — ალექსიც დაყაბულდა, უბირ და გაუგებარ გლეხთან ჰქონდა საქმე და რა უნდა ექნა.

ეს ერთ-ერთი, უცნაური პირობის შემცველი გარიგებაა, თუ აზნაური ვერ გავხდები, თანხა უნდა დამიბრუნოო. იგივე ჩაუკაკლა გამომძიებელს გიორგი ზაქარაიამ, უთხრა ის, რაც ვთქვით და დავწერეთ. საერთოდ, ალექსი ადამია კლიენტებს 25-დან 220 მანეთამდე თხოვდა საბუთების მოგროვებასა და გააზნაურებაში. გიორგი ზაქარაია ერთ-ერთი მცირე შემოსავლიანი მაძიებელი იყო, უფრო ისეთი, იქეთ რომ უნდა შეხვეწნოდი, ვიდრე აქეთ ჩამოგკიდებოდა კისერზე.

ალბათ ამიტომაც მოიქცა შევარდენის ბიჭი ასე — უარი არ თქვა ანკესზე წამოგებულ ჭიჭყინაზე, ანუ მცირე თანხას დაყაბულდა. ისიც უნდა ითქვას, ალექსი ადამია აზნაურობის მაძიებლებში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა, იქამდე წულეისკირმა ნოტარიალურად დაუმტკიც-დაუდასტურა მისი სააზნაურო საქმეების წარმართვა და ამისათვის 220 მანეთი გადაუხადა.

უფრო ენდობოდნენ, ვიდრე ეჭვის თვალით უცქერდნენ, რასაც იტყოდა, ასრულებდა, თუმცა მისი წვლილი ამ საქმეებში, სხვებთან შედარებით, მაინც მოკრძალებული იყო, წყალობის სიგელი რომ შეედგინა, ხელის მოსაწერად და ბეჭედდასადასტურებლად სხვისთვის უნდა მიეტანა, დამოუკიდებლად ვერაფერს იქმოდა.

აშორდიელებში უმრავლესობა თვითონ იყო აშორდიას აზნაური, თვითონ რომ გააზნაურდა, მერე ეს საქმე შემოსავლის წყაროდ გაიხადა და ახლა სხვას აკეთილშობილებდა. ალექსი ადამიაც, სიმონ შელიასთან, დიონისე ჯინო-

რიძესთან, ასლან წირღვავასა და სხვებთან ერთად, აშორდიას აზნაური იყო.

სასამართლომ გაარკვია, რომ დიონისე ჯინორიძის, ადამიების, საბახტარაშვილის, შაფათავას, თოდუას და გუნიას თხოვნები და აქედან გამომდინარე, სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის შესაბამისი ბრძანება თუ წყალობის სიგელები სხვადასხვა წლისა, ალექსი ადამიას მიერ იყო შედგენილი და დაწერილი.

მოსამართლეებმა კალიგრაფიული ექსპერტიზით დაადგინეს, რომ ექვსივე დოკუმენტი ალექსის ხელით გახლდათ დაწერილი, თუმცა შეეჭვდნენ შაფათავას საბუთებზე, მაგრამ მერე გაარკვიეს, რომ ისიც მას დაეწერა, ოღონდ განსხვავებული ხელით, ყველაფერს, ძირითადად, ერთნაირად წერდა, მაგრამ აქ ძველი ხელწერისათვის მიმგვანებას შეცდილიყო და ამიტომ გამოსვლოდა ოდნავ განსხვავებული. ამ დოკუმენტებიდან სამი გვარის საბუთები 1900 წლის 20 იანვარს ქალაქის ბულვარში იპოვნეს, მეორე სამი თავადაზნაურთა საკრებულოდან ამოიღეს.

შევარდენის ბიჭის ბრალი აშკარა იყო, ექვსივე მოწმემ მას დაადო ხელი და თქვა ის, რაც სინამდვილეში ხდებოდა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ალექსი ადამიას მონაწილეობა აშორდიას საქმეებში მარტო მის მიერ დაწერილი ან შედგენილი საბუთებით არ შემოიფარგლებოდა, ხშირად სოლომონ აშორდიას, სიმონ ბარკალაიას, ბესო დადიანსა და სიმონ შელიასაც უცლიდა ხელს, ეხმარებოდა კლიენტების შოვნაში.

წინასწარი გამოძიების დროს ალექსანდრე გვიჩიამ თქვა, ადამია ჩემგან ერთ მანეთად ყიდულობდა იმ ქაღალდს, ყალბი საბუთების შესადგენად რომ იყო საჭიროო.

ასე, ამან თქვა, იმან თქვა, ექვს მოწმეს მეშვიდე დაემა-

ტა, ექსპერტებმაც თავისი საქმე გააკეთეს და ნათელი გახადეს შევარდენოვიჩის ბრალეულობა.

და კიდევ ერთი დეტალი:

აშორდიელებში ალექსი ადამია ერთადერთია, პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებად რომაა მიჩნეული. ვის, რას ემხრობოდა, როგორი პოლიტიკური რწმენა-მრწამსი გააჩნდა, არ ვიცით. პოლიტიკურად არასაიმედოო, წერია სასამართლო საქმეში და მორჩა. ამიტომ იყო, ქუთაისის გუბერნატორმა 1906 წელს, ამ საქმეების საბოლოო გამოძიებამდე, ვიატკის გუბერნიაში რომ გადაასახლა. გადაასახლეს, გადასახლდა, მაგრამ 1907 წლის 7 მარტს ქუთაისის საოლქო სასამართლომ ასეთი შინაარსის წერილი მიიღო:

„გადმოსახლებულ ალექსი ადამიასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ იგი 1907 წლის 7 აგვისტოს მიიმალა, ვეძებეთ მთელი ვიატკის გუბერნიის ტერიტორიაზე, მაგრამ ვერ ვიპოვნეთ. თუ მივაკვლიეთ, დაუყოვნებლივ დავაპატიმრებთ და გადმოვაგზავნით ქუთაისის ციხეში. ამასთან დაკავშირებით გვაქვს ვიატკის გუბერნატორის მოწერილობაც.“

ეძებეს, კარგახანს ვერ იპოვნეს. სხვები გაასამართლეს, სხვადასხვა სასჯელი მიუსაჯეს, ძმათა აშორდიათა და შევარდენის ძის საქმე ცალკე გამოყვეს, მათ გამოჩენას დაელოდნენ. სოლომონიც, ალექსიც ათესილი იყო, და როცა იპოვნეს, მის პოლიტიკურ არასაიმედოობაზე არაფერი უთქვამთ, პირდაპირ ციხეში ჩააყუდეს და თავადაზნაურთა საბუთების გაყალბებაში მონაწილეობაზე მოთხოვეს პასუხი, გაასამართლეს, მიხეილ აშორდიას ტოლფარდი სასჯელი — 8 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

სხვა რა შეიძლება ვთქვათ, სილოვან ჟორდანიასა და ალექსი ადამიას დამოკიდებულებასა და ჩხუბზე უკვე დავწერეთ. ისე, ადამიასთვის რომ გეკითხათ, მიმინოსავით დავაცხრი და დავამტვრიე ძვალ-რბილშიო — გეტყოდათ. ის

სხვას, ეს სხვას ამბობდა, მტყუან-მართლის გარკვევა აქაც გაძნელებულიყო.

ისიც გასაკვირია, ალექსი ადამიამ არ იცოდა რუსული, სასამართლოზე თარჯიმანი კახიანი გამოიძახეს და ის უქართულებდა სასამართლოს მოხელეთა ნათქვამს. სხვებს ასეთი რამ არ დაჭირვებია, მშვენივრად არუსულებდნენ, ეს ან განგებ, გარკვეული პოლიტიკური შეხედულების გამო, იქცეოდა ასე, ან მართლაც ვერ შეეთვისებინა დამპყრობლის ენა.

სასამართლოს განაჩენით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, 8 თვეზე მეტი შორეული ვიატკის გუბერნიაშიც გაძლო, აქ როგორმე აიტანდა ამდენი ხნით პატიმრად ყოფნას.

ერთი სიტყვით, ასე გასრულდა შევარდენოვიჩის აშორდიელობა.

***

სოლომონს თავადაზნაურთა საბუთების გაყალბების საქმეში უამრავი ხელისდამცლელი, თანამოაზრე, თანამონაწილე, სიმბოლური ძმა ჰყავდა. იყო სიმონ ბარკალაია, სიმონ შელია, ანდრონიკე სალაყაია, დიონისე ჯინორიძე და სხვანი და სხვანი, ყველაფერი დაწვრილებითაა აღნუსხული ქუთაისის არქივში დაცულ სასამართლო საქმეში, მაგრამ ეს იმდენად მშრალი ინფორმაციაა, მოსათხრობადაც არა ღირს. უამრავი მოწმის გამოცხადება-გამოუცხადებლობაზეც არაერთგზისაა ნათქვამი და აღნიშნული, ამიტომ ეს უამბავო ამბები იქით გადავდოთ, სჯობს, მთავარი გმირის — სოლომონ აშორდიას გზას მივადევნოთ თვალი.

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

ᲓᲔᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲡᲐ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲖᲔᲝ...

ამ თავში სოლომონ აშორდიასაგან ქუთაისის საოლქო სასამართლოს სახელზე ვლადივოსტოკის ციხიდან გამოგზავნილ რამდენიმე თხოვნას გავიხსენებთ. უპირველეს იმიტომ, რომ ერთ-ერთი მათგანი მოვლენათა განვითარებას უშუალოდ ებმის და კიდევ, დამერწმუნები, მკითხველო, მათში ძალუმად იგრძნობა ავანტურისტის დიდი ნიჭი და ფართო გონებრივი ჰორიზონტი...

მაშ, დავიწყოთ.

აი, ვლადივოსტოკიდან გადმოფოშტებული პირველი უსტარი გვაჩის ძისა.

ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲜᲐᲕᲘ ᲛᲝᲪᲣᲠᲐᲕᲓᲐ

უფალო მოსამართლენო, ამას გწერთ ვლადივოსტოკის ციხის პატიმარი სოლომონ აშორდია — გეხვეწებით, ყურად იღოთ თხოვნა ჩემი — სამართლიანი, ობიექტური, ფაქტებისა და მოვლენების ჭეშმარიტ არსში გარკვევის სურვილით დაწერილი. მე მართალი ვიყავი, ახლაც მართალი ვარ და სიმართლის გარდა აღარაფერი დამრჩენია. ვარ ციხეში, ოთხკედელშუა გამოკეტილი, შორეულ ვლადივოსტოკში, უცხო და უჩვეულო გარემოში. ციხე, საერთოდ, უცხოა ყველასათვის — ჩემთვის ორმაგად. სხვა ქალაქში, ნაცნობებს და ახლობლებს განრიდებული ვიმყოფები. უმძიმესია ყოფა აქაური,

მაგრამ, ვიდრე პირში სული მიდგას, ვეცდები, დაგეხმაროთ სიმართლის გარკვევაში.

სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!..

ადამიანი დამნაშავედ არ იბადება. გარემოება, შექმნილი სიტუაცია უბიძგებს მას, ჩაიდინოს დანაშაული, ბევრი, ძალიან ბევრი ძლევს ამ ცდუნებას, მცირედნი — ვერა. თქვენი მსჯავრი, მაშინაც კი, როცა ქუთაისის ციხეში გამომკეტეთ, ძალიან მკაცრი იყო, ახლაც უმკაცრესია, კაცთათვის, ადამიანთათვის უმძიმესი. შეგეძლოთ მაშინ, შეგიძლიათ ახლა, ციხეში ყოფნა თავდებობით ან გირაოთი შეცვალოთ. ამ უკანასკნელის რაოდენობაზე კი კომპეტენტურმა მსაჯულებმა უნდა იფიქრონ. ჩემი ნიჭი, განათლება უკმარია ამისათვის. იფიქრონ, გადაწყვიტონ, რამეთუ ეს იქნება მათი ამ საქმისადმი, თავადაზნაურთა საბუთების გაყალბების გამო აღძრულ გამოძიებისადმი, სამართლიანი დამოკიდებულება. თქვენ, უფალო მოსამართლენო, უპირველესად სიმართლის გარკვევა გევალებათ, შეგიძლიათ კიდეც. იქნებ ჩემმა ამ თხოვნამ კიდევ ერთხელ ჩაგაფიქროთ, მთელი სიგრძე-სიგანით წარმოგადგენინოთ სირთულე იმ ვითარებისა, რაც ჩამოუყალიბებელი მმართველობის ვითარებაში შეიძლებოდა შექმნილიყო, როცა ათასნაირი ნამდვილი და ყალბი საბუთი ირევა ერთმანეთში, ხშირად მართალი ტყუილად საღდება და პირიქით. ვიღაცეები ასეთ დროს ისტორიასაც აყალბებენ, რაშიც თქვენს მონა-მორჩილს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია. მენდეთ, ენდეთ ჩემს გულწრფელ განცხადებას — დრო მოვა, იქნებ ცოცხალიც აღარ ვიყო, აქ, ვლადივოსტოკის ციხეში აღმომხდეს სული, მაგრამ სიმართლეს, დღეს თუ ხვალ, მაინც მოეფინება ნათელი. სჯობს დღეს, რამეთუ ამით თქვენ თავსაც უკდავყოფთ, საქმისადმი პროფესიულ დამოკიდებულებასაც გამოიჩენთ

და მეც, ციხეში გამოკეტილ ერთ უბედურ ადამიანს, დამიბრუნებთ სიცოცხლის რწმენას.

უფალო მოსამართლენო, თქვენი მონა-მორჩილი, არსად გამქცევი, სამართლისათვის არასდროს თავამრიდებელი, იმასაც შემოგკადრებთ, რომ თქვენდამი რწმუნებულ სასამართლოს გარდა, ჩემს წინააღმდეგ ანალოგიური საქმეები სხვა, რამდენიმე საოლქო სასამართლოშია აღძრული. კანონის თანახმად კი, ჯერ ერთ ოლქში უნდა მოთავდეს საბრალდებო საქმე, მერე მეორეში, მესამეში, მეოთხეში და ა.შ. უკანასკნელში. შვიდი წელია, ქუთაისში ამ საქმეს იძიებთ, ჯერ თითქმის არაფერი გაგირკვევიათ, იქნებ ერთი შვიდი წელი, ექვსი მაინც, მოანდომოთ მის საბოლოო მოთავებას. ამის შემდეგ თქვენნაირი ან თქვენზე უარესი სიდინჯით ბაქოში დაიწყებენ ძიებას, მერე — უფაში, მერე ომსკში, მერე იქ, მერე იქ, საბოლოოდ აქ. ეს მართლაც საბოლოო იქნება. ვინ ან რა გგონივართ, უფალო მოსამართლენო, ყვავი თუ მათუსალა?! ერთ შემთხვევაში სამასი (ან სამასამდე), მეორეში კი ზუსტად 969 წელი რომ ვიცოცხლო?! ვინ ან რა გგონივართ?! მათუსალა თუ ყვავი?! თქვენგან მსჯავრდებული ორივეს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე თანახმა იქნებოდა, ან ერთის, ან მეორის ამ ქვეყნად ყოფნის გარანტიას რომ იძლეოდეთ, ვერ იძლევით, რაღაც ისეთიც ხომ არის, რაც თქვენც არ ძალგიძთ. ბუნების წეს-კანონს კი სხვა ვინ გაქცევია, მე რომ გავექცე, ამიტომ, შვილნო ბუნებისანო, მოდგმავ ადამისანო, ისმინეთ ჩემი უმორჩილესი თხოვნა — მე, თქვენზე არანაკლებ დაინტერესებული ჭეშმარიტების გარკვევით, გირჩევთ, გეხვეწებით, თქვენგან მოსალოდნელი პატიმრობა გირაოს თავდებობით შემიცვალოთ, თანხის რაოდენობაზე იმსჯელეთ, გადაწყვიტეთ და ვლადივოსტოკის ციხის უფროსის მეშვეობით შემატყობინეთ.

ეს იქნება სიმართლეც, სამართლიანი დამოკიდებულებაც.

თქვენო მაღალკეთილშობილებავ, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ის სასამართლო ოლქები, რომლებშიც ჩემს წინააღმდეგაა აღძრული საქმეები, საოცრად დაშორებულია ერთმანეთისგან. ერთი ამ დასაკარგავში, მეორე იმ დასაკარგავში, მესამე ორივე ამისგან მოცილებული, მეოთხე კიდევ წინა სამისგან განსხვავებულ მხარესაა და ა.შ. წასვლაც რომ მოისურვო, წლები მოუნდები, სამყაროს ნახევრის გადასერგადაკვეთა მოგიწევს იქ ჩაღწევამდე, იქიდან აქეთ მეორე ნახევარი გამოგივა და შემოგივლია დედამიწისთვის და ეგაა. ამიტომ ხანდახან ერთი ფარატინა ქაღალდის აქედან იქით მიღწევას ერთი წელი სჭირდება, იქიდან აქეთ კიდევ ერთი ან უფრო მეტი, ამას დაუმატეთ ათასი ფორმალობანი, სიზანტე სასამართლო მოხელეებისა და გამოდის, მართლაც მათუსალას ხნობამდე უნდა ვიცოცხლო, საბოლოო მსჯავრის გამოტანას რომ მოვესწრო.

მთელი ცხოვრება შიშსა და ძრწოლაში გავატარე. სულ მეგონა, დამიჭერდნენ. უდანაშაულო ვიყავი, მაგრამ ქუთაისის ციხეში უსამართლოდ გატარებულმა თვეებმა ფსიქიკა დამიმახინჯა. მგონია, რომ მომდევენ, ხომ ვიცი, ახლა ვლადივოსტოკის ციხეში ვარ დაყუდებული, მაგრამ წავთვლემ თუ არა, მდევარს ვხედავ, პრისტავი მადგას თავზე და ბორკილს მადებს. უფალო მსაჯულებო, უნდა გაითვალისწინოთ ჩემი ამგვარი მდგომარეობა. ეს კიდევ არაფერი, ორჯერ მქონდა სისხლდენა პირიდან, რამაც სრულ ანემიამდე მიმიყვანა. როგორც ჩანს, კუჭში კიბო მაქვს, რასაც ვლადივოსტოკის მთავარი ექიმის მ.პ. იოჰანსონის ცნობაც ადასტურებს. მასში ნათქვამია, პატიმარ აშორდიას მკვდრის ფერი ადევს, მაჯისცემა ძალიან სუსტი, მაქსიმუმ 58 აქვს წუთში, სუნთქავს ღრმად, ოხვრითა და ამოხვნეშით. როგორც გაირკვა, სამიოდე თვის წინათ ჰქონია სისხლდენა,

დაუკარგავს უნციამდე სისხლი, მიმაჩნია, რომ კუჭი კიბოთი აქვს დასნებოვანებული. ხშირად იტკივებს მუცლის მარცხენა მხარეს, უჩივის სისხლნაკლულობას, უჭირს სუნთქვა და ა.შ.

ამას ხომ მაინც ირწმუნებთ, უფალო მოსამართლენო, კარგა ხანს ველოდი ამ ექიმის მოსვლას, როგორც იქნა, მოვიდა, გამსინჯა და, რასაც ვფიქრობდი, ზუსტად ის აღმოჩნდა — კიბო. ასე რომ, მათუსალას ასაკამდე მივაღწევ კი არა, ყოველდღე ველი სიკვდილს, ისიც არ მოდის, იგვიანებს, სანამ მოვიდოდეს, მინდა ცოცხალმა შევიტყო სიმართლე. მე ხომ უსამართლოდ ნაბიჯიც არ გადამიდგამს, ნებისმიერი ჩემი სამსახური იმპერატორისა და ქვეყნისადმი სიმართლით მსახურების პრინციპით იყო გამსჭვალული. პირიქით კი მოხდა, ყველაზე მართალი კაცი ყველაზე მტყუანად ვიქეც, თანაც ისეთ დამნაშავედ, რომ დიდი ხანი ჭირდება ჭეშმარიტების დადგენას. ერთ (მე უფრო ორი ან სამი მგონია მართალი) უნციამდე სისხლი უკვე დავკარგე, კიდევ დავკარგავ, კიდევ და თქვენი მონა-მორჩილი ველარც დაგეხმარებათ სიმართლის დადგენაში. არადა, სიმართლე ერთია. მინდა, მალე იზეიმოს ჭეშმარიტებამ, მე უთქვენოდ ვერაფერს გავარკვევ, თქვენ უჩემოდ ვერაფერს დაადგენთ, ორივენი ერთმანეთს ვჭირდებით, უფრო მეტი, უერთმანეთოდ ვერ ვიარსებებთ, მე, როგორც დამნაშავე, თქვენ, როგორც სიმართლის აღმსრულებელნი. თქვენ კიდევ, ჯიუტად, ჩემი მოსაზრებების გაუთვალისწინებლად, მისჯით პატიმრობას, მართალ კაცს ციხეში მამწყვდევთ. ერთხელ ჩამამწყვდიეთ განუსჯელად, ახლა მეორედაც ასე განგიზრახავთ, ცდებით, უფალნო მსაჯულნო, დამნაშავე გგონივართ ცამდე უდანაშაულო კაცი.

რას იზამ, ბედისწერას ვინ გაქცევია, ასეთი ყოფილა ბედი ჩემი, ბედი მდევარი, დამნაშავის დამღით დაღდასმული.

თქვენ კი, უფალო მსაჯულნო, შეგიძლიათ, მცირედით მაინც შემოაბრუნოთ ჩემი ცხოვრების უბედური ჩარხი, მცირედი კეთილდღეობა მაინც დამანახოთ, გამოიჩინეთ გულმოწყალება და უბედური პატიმარი, რომელმაც არც იცის, რა ელოდება, გირაოთი გაათავისუფლეთ, გირაოს რაოდენობის განსაზღვრა თქვენი ვალია.

და კიდევ — არიან პატიმრები, ერთ სასამართლოში აქვთ საქმე, მე, — მრავალში. ამითაც გამომარჩია და დამსაჯა განგებამ. ერთთან გამკლავება ადვილია, ერთს ადვილად დაუმტკიცებ სიმართლეს, ადვილად გააგებინებ, დამნაშავე რომ არა ხარ. მე მრავლისათვის მიწევს პასუხის გაცემა, მრავალი მრავალ უსამართლო ბრალდებას მიყენებს. ძნელია, ყველას უპასუხო, ყველას კვალში მისდიო. თანაც ეს სასამართლოებიც ერთ ქუჩაზე ხომ არ არიან ჩამწკრივებულნი, ფეხის დაუსველებლად ერთიდან მეორეში რომ გადახვიდე. ძნელია ყოფა ჩემი, ყოფა ვლადივოსტოკის ციხეში დაყუდებული პატიმრისა, გარეთ რომ ვიყო, უკეთესად მოგვარდებოდა ყოველივე, მალე მოეფინებოდა ბნელს ნათელი. აქ, ოთხ კედელში, ისედაც ბნელა, ჩემთვის, მოყურყუტე და მსჯავრის მომლოდინე კაცისთვის — მითუმეტეს.

მოიღეთ მოწყალება და გირაოს თავდებობით დაკმაყოფილდით. გირაოს რაოდენობა დაადგინეთ, მე არსად გაგექცევით. სხვაგვარად ძნელად წარმომიდგენია ჩემი საქმეების ჩემს სიცოცხლეშივე გასრულება. მინდა გჯეროდეთ, არც მათუსალა გახლავართ, მითუმეტეს — ყვავი, ერთი უბადრუკი, დღენიადაგ წამლებზე მყოფი პატიმარი ვარ, უდანაშაულო, შემთხვევითი მსხვერპლი გარემოებათა და გარემოებათა.

გამიშვით გირაოთი, ან, სულაც, უამისოდ გამათავისუფლეთ, გირაოს შემთხვევაში კი რაოდენობა ვლადივოსტოკის ციხის უფროსის მეშვეობით შემატყობინეთ.

გირაო საუკეთესო გამოსავალია, რაოდენობაზე არ დაგვზოგოთ, შეეძლებთ როგორმე.

იქნებ იმას ფიქრობთ, რომ 1902 წლის 9 ივლისს გამოძიებას დავემალე. არა! ეს სულაც არ გამივლია გულში, მე მართალი კაცი ვარ, მართლები კი გამოძიებას არასდროს ემალებიან, პირიქით, თავისი ფეხით მიდიან, რათა სამართალმა იზეიმოს, როგორც იტყვიან, პური ჭამოს.

1902 წელს, ქუთაისის ციხეში თითქმის ორწლიანი პატიმრობის შემდეგ, 5 ათას მანეთიანი გირაოთი გამომიშვეს. თავდებად ნიკოლოზ დადიანი დამიდგა. მეგონა, გამოძიება გასრულდებოდა, ყველაფერი გაირკვეოდა, მე კი მანამდე გარეთ ვიქნებოდი. მაგრამ ნურას უკაცრავად, ბათუმში შემატყობინეს, გამომძიებელმა კვლავ გამოიტანა გადაწყვეტილება შენს დაპატიმრებაზეო. რა უნდა მექნა, ან ქუთაისში დავბრუნებულიყავი და ციხეში ამომეყო თავი ან კიდევ თავი მომეკლა. მეორეზე შევჩერდი. ყოველივე წინასწარ განვსაზღვრე და მოვიფიქრე. თავის მოკვლის ათასნაირი ხერხი არსებობს, მაგრამ ჩემთვის ყველაზე უპრიანი ზღვაში უკვალოდ გაქრობა იყო. მშობლები ჯერ პატიმრობით დავტანჯე, მერე თავმოკლულს რომ მნახავდნენ, უფრო გადაირეოდნენ. ჩემზე არა, მათზე ვფიქრობდი. მინდოდა, ოდნავ მაინც შემემსუბუქებინა შვილის თვითმკვლელობით გამოწვეული ტრაგედია. ზღვაში დახრჩობა საუკეთესო გამოსავალი იყო. ისინი იფიქრებდნენ, კი არ დაიღუპა, მიიმალაო, სულ ექნებოდათ ჩემი მოლოდინი, მე (მე რა, ჩემი ცხედარი) კიდევ ამ დროს ზღვის ფსკერზე გაიხრწნებოდა. დამელოდებოდა დედ-მამა ერთ წელს, ორს, ათს, ბოლოს მათაც მოაკითხავდათ მიქელ-გაბრიელი, მაგრამ გულის გულში მაინც ექნებოდათ იმედი, რომ ცოცხალი ვიყავი. ამიტომ შევედი ზღვაში 1902 წლის 9 ივლისს, საღამოს 9 საათზე, ნა-

პირზე მილეთი ხალხი ირეოდა, ზოგი ბანაობდა, ზოგი გრილ-დებოდა. ვდურთე თავი ზღვაში და გავცურე. მინდოდა, რაც შეიძლება შორს გავსულიყავ, ჩემი ცხედარი ზღვას რომ არ გამოერიყა და არ გამჟღავნებულიყო ჩანაფიქრი.

მივცურავდი და მივცურავდი. გადაწყვეტილი მქონდა, დავიღლები, მკლავ-ფეხი აღარ დამემორჩილება და ჩავიძი-რები-მეთქი. მივცურავდი, კარგა ხანს გაგრძელდა ცურვა, რომ მეგონა, მალე დავიღლებოდი, პირიქით, რაღაც ძალა მომემატა თითქოს, სხეულში ენერგიის მოზღვავება ვიგრ-ძენი, მივცურავ და მივცურავ, გვარიანი შორს დავტოვე ნა-პირი, მივცურავ და მივცურავ, მინდა დავიღალო, არ ვიღ-ლები, მაგრამ ხომ ყველაფერს აქვს დასასრული, ადამია-ნის ფიზიკური შესაძლებლობანი ხომ უსაზღვრო არაა. რომ მეგონა, ასე თუ ვიცურე, ერთი ნაპირიდან მეორეზეც ამოვ-ყოფ თავს-მეთქი, უცებ დავიღალე, ხელ-ფეხი მომემჩვარა, მქონდა თუ არა, მება თუ არა, ვერ ვგრძნობდი. ხომ ასეა, თავიდან ჯიქურ შეუტევ, მეც შევუტიე, მაგრამ არა იმის გა-მო, რომ ზღვის უკიდეგანო სივრცე ცურვით გადამელახა, არა, რაც შეიძლება ღურღუმელა ზღვაში რომ ჩავკარგუ-ლიყავი. მთელი ძალღონით ტალღებთან მორკინალი უცებ მოვდუნდი, არაქათგამოცლილს გონებაც წამიერად მებინ-დებოდა, წამიერად გამინათდებოდა და, აღარ მახსოვს, მგო-ნი, რამდენჯერმე ჩავყვინთე კიდეც. ალბათ ტალღებმა ამო-მაგდო, ამომატრიალა და რას ვხედავ, ჩემგან ძალიან ახლოს ნავი არა დგას? ინსტიქტურად, გაუაზრებლად ავტეხე ყვი-რილი — მიშველეთ, მიშველეთ, მიშველეთ-მეთქი! დავიყვი-რებდი, დავყვინთავდი, ნებით კი არა, ტალღები ჩამითრევ-და, ამომაგდებდა, მიშველეთ-მეთქი, გავიძახოდი. რატომ ვშვრებოდი ასე, არ ვიცი, ყოველივე ჩემდა უნებურად ხდე-ბოდა. ხომ გაგიგონიათ ასეთი შემთხვევა — ადამიანს თა-

ვის მოკვლა განუზრახავს, გადამხტარა ხიდიდან, მდინარის მღვრიე ტალღებს რომ დაეხრჩო, მაგრამ წყალში მოხვედრისთანავე გამოფხიზლებულა და სასიკვდილოდ თავგამეტებულს პარტყა-პურტყით გამოუცურავს ნაპირისაკენ. არადა, ეს ადამიანი თავდაპირველად იმას ფიქრობდა, ხიდზე გადახტომაში არავინ შემიშალოს ხელი, ნეტავ, ყველასაგან უჩუმრად მოვადენდე წყალში ზღართანს და ჩავიძირებოდეო. მერე კი სიცოცხლის წყურვილმა თუ რაღაც ენით აუხსნელმა გრძნობამ გაიღვიძა მის არსებაში და, თავგამეტებით თვითმკვლელობაზე მოფიქრალმა, თვითონვე უშველა თავს.

ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა — მინდოდა, რაც შეიძლება ღრმად შემეცურა ზღვაში, ტალღებს რომ არ გამოვერიყე და ჩემს უბედურ და ჩემგან გატანჯულ მშობლებს დამხრჩვალი არ ვენახე. ერთი სიტყვით, მინდოდა, თავი დამეხრჩო ისე, რომ უკვალოდ გავმქრალიყავ. პირიქით კი მოხდა. ამ სურვილით გულანთებულმა ნავის მახლობლად რომ ამოვყავი თავი, არ ვიცი, რატომ, რისთვის ვყვიროდი, მიშველეთ-მეთქი, ნავს რომ უნდა გავრიდებოდი, ზღვის ღურღუმელა ტალღებში ჩავნთქმულიყავი, პირიქით, მასზე ამოვყავი თავი — არ მახსოვს, უფრო სწორად, ვერ ვიხსენებ, როგორ ამომათრიეს წყლიდან, როგორ მომასულიერეს. გონს რომ მოვედი, შევიტყვე, ნავზე თურქი კონტრაბადისტები ყოფილან, რომლებიც ბათუმისკენ წამოსული მეორე ნავის სიგნალს ელოდებოდნენ. თუ იგი უსიგნალებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ნაპირზე მშვიდობიანად გადასხა კონტრაბადისტები, თუ არადა, რაღაც შეემთხვა, გაიჭედა და ესენი ნაპირს აღარ უნდა მოახლოებოდნენ, თურქეთისკენ გაერეკათ, ასეც მოხდა, სიგნალს ელოდნენ, ელოდნენ და იქით გაუტიეს, საიდანაც მოვიდნენ!

დახრჩობას ვაპირებდი და უპატრონო, უტანსაცმლო, მშიერმწყურვალმა, თვითმკვლელობის ჟინით გულანთებულმა თურქეთის ქალაქ ტრაპეზუნტში ამოვყავი თავი.

იქ რაც შემემთხვა, გრძელი ისტორიაა. მათ კი არა, ვიცი, ჩემგან მოთხრობილ ამ ამბავსაც არ ირწმუნებთ (თუმცა არაფერია მასში დაუჯერებელი). ამიტომ გაგაცნობთ ბათუმიდან ჩემს სახელზე აქ, ვლადივოსტოკის ციხეში მოსულ ერთ ცნობას, სადაც ნათქვამია, რომ 1902 წლის 9 ივლისს, საღამოს 9 საათზე, საზღვრის დაცვის ოანამშრომელმა ვინმე პავლე ჩუპინმა შეამჩნია ბათუმის სანაპიროებისაკენ მოცურავე ნავი, მიიმალა ორმოში და, როცა მან ვიღაც ოთხი თურქი (გვარებიცაა ჩამოთვლილი) გადმოსხა ნაპირზე, ატეხა ჰაერში სროლა, ნავიც და იქიდან გადმოსულებიც დააპატიმრა. ამ ცნობის სისწორეს ადასტურებს ბათუმის საზღვრის დაცვის უფროსიც, თუმცა ცოცხალი მოწმე აგერ არა ვარ?! ეს სწორედ ის ნავი იყო, რომლის სიგნალსაც შუაგულ ზღვაში მოცურავე მეორე ნავი ელოდებოდა. უსიგნალობა (იგივე უსაყვირობა) იმას ნიშნავდა, რომ რაღაც შეემთხვა წინ მიმავალს და ვასერზე მყოფი უკან უნდა გაბრუნებულიყო. ასეც მოხდა, წინა დაიჭირეს, უკანამ თურქეთისაკენ გაუტია.

ბუნებრივია, სასაზღვრო დაცვა ყურყუმალა ზღვაში მომლოდინე ნავს ვერ შეამჩნევდა, არც შეუნიშნავს. ბათუმის ნაპირზე მყოფი კი ნახა და დაატუსაღა კიდეც.

ერთი სიტყვით, ყოველივე ისეა, როგორც მოგითხრეთ. იმედია, ჩემს სიმართლეს ირწმუნებთ. გაითვალისწინებთ, რომ უდანაშაულო ვარ ამ საქმეებში და მთლად თუ არა, დროებით მაინც გირაოთი გამათავისუფლებთ. რაოდენობა გირაოსი ვლადივოსტოკის ციხის უფროსს აცნობეთ და მალე მოგვარდება ყოველივე.

***

წაიკითხა საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ ლიაპინმა ეს წერილი და გვერდზე გადადო.

რომ არ ვიცნობდე, ვირწმუნებდი, — გაიფიქრა, — ისე, რას ვერჩი, ამ კაცის ყველა თხოვნა თუ ახსნა-განმარტებაა საინტერესო. საინტერესო ჯერ ერთი, ფაქტების, მოვლენების მისეული ინტერპრეტაციის გამო და მეორე, ისეა დაწერილი, თავის დაძვრენის, მართლმსაჯულებისათვის თავარიდების იმდენი ხრიკია მოგონილი, ისე მიზეზ-შედეგობრივადაა აკინძული მისგან განზრახ ჩადენილი, მოფიქრებული, წინასწარ განჭვრეტილი ამბები, რომ შეუძლებელია, უყურადღებოდ დატოვო. ის კი არა, მათი წამკითხველი ხანდახან გაიფიქრებ, მხატვრობის ნიჭი ხომ ჰქონდა, ხელოვნების სხვა დარგისა არანაკლებ, ან ერთს ან მეორეს რომ გაჰყოლოდა, უკეთესი იქნებოდა, კვალსაც გამორჩეულს დატოვებდა, მან კიდევ ორივე ხელობას საბუთების გაყალბება, ნიადაგ დევნა და ციხეებში ყოფნა არჩია.

რას იზამ, ნიჭი ათასნაირი მიმართულებით შეიძლება დახარჯო, სოლომონ აშორდიამ ეს გზა აირჩია, გზა — უხვშემოსავლიანი, დანაშაულებრივი...

გაახსენდა, 1903 წელს აშორდიას ზუგდიდში რომ ეძებდნენ, 217 მოწმე გამოიძახეს იმის დასადასტურებლად, მართლა ნახეს თუ არა გვაჩის ძე. გაზეთ „ნოვოე ვრემიაშიც“ გაჟონა ამ ინფორმაციამ: „აშორდიას ბათუმში დახრჩობა მისტიფიკაცია გამოდგა. იგი ცოცხალი, ჯანმრთელი და უვნებელია. იმალება ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრაში. მოწმეებიდან დაძახებულია 217 მოწმე“ — წერდა მაშინ ეს გაზეთი. არცერთს არ უთქვამს — ვნახეთ სოლომონიო, ყველამ ხელები გაასავსავა. იქნებ, მართლაც იყო ამ დროს ზუგდიდში — გაიფიქრა თავმჯდომარემ, ამ კაცისას რას გაიგებ, შეიძლება აქაც იყოს, იქაც, აქ — ორეული, იქ — ნამ-

დვილი, ან პირიქით, რომ გვენახა და დაგვეჭირა, რამდენ დანაშაულს ავაცილებდით ქვეყანას, მაგრამ შეიძლება ვითომ სოლომონი დაგვეჭირა და მომხდარი იმას დაებრალებინა, ნამდვილს კი უპრაგუნოდ ეთარეშა უკიდეგანო იმპერიის ქალაქებში. იყო, არ იყო, მარჩიელობაა, ერთი რამ ცხადია, სადაც უნდა ყოფილიყო, ახსნიდა, რატომ იყო და რისთვის. მშობლები მომენატრა, დამხრჩვალი ვეგონე და მინდოდა გამეხარებინა, წერილს ვწერდი, სხვებსაც ვაბარებდი, ცოცხალი და საღსალამათი გახლავარ-მეთქი, არ სჯეროდათ, ვერც გაამტყუნებ — რუსეთის ყველა გაზეთმა დაბეჭდა — დაიხრჩოო და ესენი როგორ ირწმუნებდნენ სხვას, ცოცხალი უნდა ვენახე, ჩამოვედი, შევხვდი, დავარწმუნე, გავანერვიულე კიდეც, მირჩიეს, არსებობის სხვა გზა ამერჩია, არ დავუჯერე, შევცდი, ვინანიებ...

თუმცა ამაზე რატომ ვფიქრობ — გაიფიქრა ლიაპინმა და ისევ გააგრძელა დაწყებული:

ეჰ, სოლომონ, სოლომონ, რამდენი თხოვნა უნდა დაწერო, რამდენ სასამართლოში უნდა იმართლო თავი — ქუთაისში, ბაქოში, უფაში, აშხაბადში, ომსკსა თუ ვლადივოსტოკში... მართლა ყვავი ან მათუსალა ხომ არა ხარ, ამ საქმეების გათავებას რომ მოესწრო.

რაღა მიუნჰაუზენი და რაღა შენ?! როგორ მშვენივრად მოგიფიქრებია ბათუმიდან ათესვის ამბავი; მერეც არაერთხელ მიმალულ-მიკარგულ-გაქცეულ-ათესილხარ, მაგრამ ასე მხატვრულად და კარგად აღწერილი არცერთი არაა, ის კი არ უწყოდი, მხატვრული ლოგიკა და ფსიქოლოგიური სიმართლე რომ არაფერია ჩვენთვის, თუმცა უწყოდი, მაგრამ სხვა რაღა დაგრჩენოდა — მტყუანსა და დამნაშავეს უდანაშაულობა უნდა გემარჯვა ფარად, ასე ცდილიყავ ფონს გასვლას.

ეცადე, მაგრამ ამაოდ...

დახრჩობა მინდოდა, მიმალვა გამომივიდაო...

მშვენიერია, შენი ნიჭის პატრონისაგან, ასე მოხდენილად მოძებნილი გამოსავალის გარდა, სხვა რამეს არც უნდა მოველოდეთ — გაიფიქრა და შეცბუნდა.

რა მემართება, რა მომდის — სხვას უნდა ვუკითხავდე მორალს და საკუთარი თავი კი გამოვიჭირე დამნაშავის სიბრალულში.

ნეტავ, მართლა თუ იყო ზუგდიდში?! იქნებოდა, უფრო იქნებოდა, ვინ და რა შეუშლიდა ხელს. ამ კაცის ცხოვრებას რომ გაიაზრებ, ცოდვაა, აბა, რა...

დახრჩობა მინდოდა, მიმალვა გამომივიდაო...

დახრჩობა, თანაც ისე უგზო-უკვლოდ, ცხედარიც ვერ მოეძებნათ, მშობლებს რომ არ ეგლოვათ და ევაგლახათ, ამგვარი იყო წადილი ჩემი, — სინამდვილეში კი ავითესე, თქვენი აზრითო.

ბათუმიდან მოსული ცნობაც კარგად დაგიკავშირებია მიმალვასთან, სხვა ასეთ გამოსავალს ვერ მიაგნებდა, თავის დასაძვრენ ასეთ მიზეზს ვერ მოძებნიდა. შენ სხვა ხარ, სხვათაგანაც სხვა და განსაკუთრებული. ერთი მაცოდინა, ამ სტრიქონებს რომ წერდი, შენ მაინც თუ გწამდა შენივე დაწერილისა. ბუნებრივია, არა, მაგრამ რა გექნა, მიუნჰაუზენსაც ხომ ღიმი არ გაუკრთებოდა თავგადასავლის მოთხრობისას.

ჰგავდი ბარონს...

ნეტავ, თურქეთში თავსგადამხდარი ამბებიც დაგეყაჭა, საინტერესო იქნებოდა ჩემთვისაც, სხვებისთვისაც...

ცოდვაა, ცოდვა ამოდენა ნიჭის კაცი ამ დღეში, — ფიქრობდა ლიაპინი და უკვირდა თავისივე ფიქრი.

წადი, უსტარო, იახელ

სოლომონ აშორდია ქუთაისის საოლქო სასამართლოს სახელზე ვლადივოსტოკის ციხიდან ხომ აგზავნიდა და აგზავნიდა წერილებს, აქ ჩამოეტაპებულსაც არ დაუდვია კალამი, წერდა და წერდა, ითხოვდა, იხვეწებოდა, უარყოფდა კიდევაც ერთხელ დაწერილს. ვექილი, შედარებით ნეიტრალური პიროვნება გამოყავით ჩემს დამცველადო, — თხოვდა სასამართლოს ადრე, მერე, ქუთაისის ციხეში მოკალათებულმა, უარყო ეს აზრი, უარი თქვა სახაზინო ადვოკატზე.

ექსპერტი პეტრიაშვილიც არ მოწონდა, თავადაზნაურთა საბუთების, საერთოდ, ძველი სიგელ-გუჯრების უცოდინარობაში დებდა ბრალს. ამასთანავე, ეს კაცი მიკერძოებულ, ტენდენციურ პიროვნებად მიაჩნდა და ხშირად იმეორებდა, იხვეწებოდა, თუ სიმართლის გარკვევა გსურთ, ბატონი პეტრიაშვილი ამ საქმეს ჩამოაშორეთ, იმას ნუ მოთხოვთ და დაავალებთ, რაც არ იცის, რისი გარკვევა და შესწავლაც არ ძალუძს. ჰქონდა ამისი თქმის საბაბი, ჰქონდა და ამ შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდა — წინასწარი ძიების დროს სასამართლოს მოხელეებმა უფალ ექსპერტს რამდენიმე დოკუმენტი წარუდგინეს შესამოწმებლად, მან კიდევ თვალის დაუხამხამებლად განაცხადა, ნამდვილიაო, ძიების დასრულების მერე კი იგივე საბუთები ყალბად მიიჩნია. ერთ შემთხვევაში თქვა სხვა, მეორე შემთხვევაში — დიამეტრალურად განსხვავებული და სოლომონიც რა სოლომონი იყო, ეს ხარვეზი უმალ არ შეემჩნია, არ გამოეყენებინა, ყველასთვის აქეთკენ არ მიეთითებინა.

მოსამართლემაც რომ შენიშნა განსხვავება ექსპერტის წინა მოსაზრებასა და მერმინდელს შორის, პეტრიაშვილმა უკმეხად განაცხადა, მაშინ ზედაპირულად დავათვალიერე, ახლა საგულდაგულოდ შევისწავლეო. და სოლომონსაც მე-

ტი რა უნდოდა, რა გარანტია გაქვთ, მესამე შემთხვევაში მესამე, წინა ორისგან განსხვავებულ აზრს რომ არ იტყვის ბატონი ვასილი, — წერდა მოსამართლეებს და ურჩევდა, უარი ეთქვათ ძველი საბუთების ასეთ გამრკვევსა და მცოდნეზე — დღეს ერთს, ხვალ მეორეს რომ ამბობს, მაზეგ კიდევ მესამეს უნდა ველოდეთ მისი აღმატებულებისაგანო.

სოლომონ აშორდია უფრო შორსაც მიდიოდა — ძველ საბუთებსა და სიგელ-გუჯრებზე კალიგრაფიული ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებლად მიაჩნდა. ამასაც არ იქმოდა შემთხვევით, თუ ეს სამხილი მოეხსნებოდა, მაშინ მოწმეები რჩებოდნენ და მათთან გამკლავებას ადვილად შეძლებდა. იმასაც ურჩევდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს მესვეურთ, გაერკვიათ, ყალბი საბუთები სამეგრელოს დროებითი საბჭოს მმართველობისას შეიქმნა თუ 1890 წლის შემდეგ?!.

თუ პირველი დამტკიცდებოდა, ჩვენი სოლომონი სასამართლოს დარბაზიდან იქნებოდა გასათავისუფლებელი, რადგან იმ დროს სულ მთლად ღლაპი იყო და ამნაირი ასაკისა ამნაირ საქმეებს რომ ვერ გააკვარახჭინებდა, ყველასათვის იქნებოდა ნათელი, ამასაც განგებ წერდა, იქით უტევდა, აქეთ შემოსატევი.

ერთი სიტყვით, ამ წერილების წამკითხველი უნებურად გაიფიქრებ, თავისი თავის ადვოკატი თვითონვე იყო, ან სხვანაირად, ერთ კარგ ვექილს სჯობდა საკუთარი თავის დაცვასა და ვითომ უდანაშაულობის დამტკიცებაში. იმასაც წერდა მოსამართლეებს — თქვენ იტყვით, ყალბი დოკუმენტები რომ 1890 წლის შემდეგ შეიქმნა, ეს მოწმეთა ჩვენებებით მტკიცდებაო, მე გიპასუხებთ — მოწმეები დააშინეთ, დააშანტაჟეთ, ვინც მე დამასახელებდა, ათავისუფლებდით, ვინც არა — ციხეში უკრავდით თავს, აბა, გაიხსენეთ, რომელთაც თქვეს, თავადაზნაურობის საბუთები ნი-

ნაპართაგან გადმოგვეცაო, ყველანი დაიჭირეთ, რომელთაც სოლომონ აშორდიას დაადეს ხელი — ახლაც არხეინად დასეირნობენ ბულვარში.

საბუთების ცნობილი გამყალბებელი იქით აშინებდა, ნამუსზე აგდებდა მართლმსაჯულების აღმსრულებლებს — უფალო მსაჯულებო, ისიც ხომ კარგად უწყით, რომ მთელი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობა სოლომონ აშორდიას სურათს დაეძებდა, უნდოდა, იერი დაემახსოვრებინა, რათა ამოცნობისას არაფერი შეშლოდა და პირდაპირ ჩემზე მიეთითებინა. იცით, ძალიან კარგად იცით, განსაკუთრებით ქუთაისში ეძებდნენ ფოტოს. იყო დიდი მითქმა-მოთქმა, არიქა, გვანახვეთ, დაპირისპირების დროს რომ ამოვიცნოთ და დავადოთ ხელიო.

მოკლედ, სოლომონ აშორდიას ამ წერილებსა და ხვეწნა-მუდარაში ალოგიკურობას ძნელად იპოვნი, ყველაფერი მიზეზ-შედეგობრივადაა აკინძული. ზემოთაც ვთქვი, გვაჩის ყმაწვილს პოლიციელი ფილიპე ანუ იგივე გოჯასპირ ლეჟავა მიუჩინეს. მან ცნობილ გამყალბებელს გოგნაძისათვის საბუთების გაკეთება სთხოვა. აშორდიაც არ დაზარდა, სასწრაფოდ შეუსრულა ნათხოვნი და შენახვეწი. ამიტომ ერთ-ერთი მთავარი სამხილი ან უფრო ცოცხალი მოწმე მისი ბრალისა ისევ ორსახელიანი გოჯასპირ-ფილიპე (ან პირიქით) იყო. ბუნებრივია, პატიმარი ამ ფაქტსაც ვერ დატოვებდა უყურადღებოდ. სურდა, აქედანაც დაეძვრინა თავი, წერდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს, ლეჟავა გადაკიდებული იყო, რადგან ჩემი ადგილი სურდა დაეჭირა და ამ საქმეში მისი ნათესავი და თავადაზნაურთა საკრებულოს თანამშრომელი პარმენ კანდელაკი ეხმარებოდაო. მოწმეებსაც უსახელებდა მოსამართლეებს სილოვანივით, ჩემი თუ არ გჯერათ, იმათ ჰკითხეთ, დაგიდასტურებენ, მე კიდევ, იმასაც მოგახსენებთ, რომ თქვენგან მოწონებული და ნდობით აღ-

ჭურვილი ფილიპე-გოჯასპირი ჯერ კიდევ 1899 წელს დამემუქრა — გაგანადგურებ, ისეთ სკანდალში გაგხვევ, ყოფას გიტირებ, მე კიდევ პრისტავი გავხდებიო, — აასრულა დაქადნები, ის გაპრისტავდა, მე ვლადივოსტოკის ციხეში ვყურყუტებ და ათასნაირ ბრალდებაზე მიწევს პასუხის გაცემა. ეს ამბავი ქალაქის მეორე პრისტავ კოსტავასათვის არაერთხელ მითქვამს, ჰკითხეთ, დაგიმოწმებთ...

ეკითხებოდნენ, არავინ იყო რაიმეს დამოწმებაზე ყაბულს. სოლომონ აშორდია მაინც თავისას გაიძახოდა, უნდოდა, როგორმე დაეფარა დანაშაული, დამნაშავე სრულიად უდანაშაულოდ ქცეულიყო. ხანდახან ისეთ რამესაც წერდა, რომლის მოფიქრებისას, ალბათ, ღიმილი უკრთებოდა სახეზე, მაგრამ სასაცილოდ და ღიმდასამჩნევად არ ჰქონდა საქმე, ყველასა და ყველაფერში ლოგიკას ეძებდა, ლოგიკურად ეწინააღმდეგებოდა ალოგიკურს. იქით ასწავლიდა ჭკუას სხვებს — სად გაგონილა, ბატონებო, არქივი ყოველდღიურად არ ილუქებოდეს, ვინ დაგიჯერებთ, ვინმეს იქიდან წიგნები გამოქონდეს და რაც სურს, იმას წერდეს შიგ, წარმოუდგენელი სიცრუეა. ქუთაისშიც ყოველდღიურად ილუქებოდა საგუბერნიო არქივი და იქ დაცულ წიგნებზე ხელი არავის მიუწვდებოდა, ისეთი რამე მაინც დამაბრალეთ, რაც ახლოს იქნება სინამდვილესთან, ასეთ ზღაპარს ვინ დაიჯერებსო.

არის სიმართლე ამ აზრში.

თვითონვე მშვენივრად უწყოდა ამ სიმართლის ფასი და სარგებელი.

ნეპოკოიჩიცკიც არ ავიწყდებოდა, ძაღლის ნაკბენივით ახსოვდა, 1901 წელს ქუთაისის საოლქო სასამართლოს მაშინდელმა თავჯდომარემ რომ არ დაინდო და მისი დანაშაული მართლად განსაჯა. ნეპოკოიჩიცკი ნე დაიოტ მნე პაკოიო, — ამას არ წერდა, მაგრამ დაახლოებით იგივეს გუ-

ლისხმობდა, ეევედრებოდა აქაურ მსაჯულებს, ჩემს საქმეს ეს კაცი ჩამოაცილეთ, რადგან ვერ მიტანს, ვეზიზღები, იგი ახლობლობს ზუგდიდელ ბუკიებთან, რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან ჩემზე გადაკიდებულნი. ვფიქრობ, ყოველივე მათი ბრალია, იმათ გადამამტერეს და გადამკიდეს. გამსვლელი სესიების დროს ზუგდიდში უფალი მოსამართლე ბუკიებთან ათევს ღამეს, მათთან სვამს და ჭამს, ისინი კიდევ შანსს ხელიდან როგორ გაუშვებენ, ჩემზე არ ჩამოაგდონ სიტყვა, არ გადამკიდონ და გადამამტერონ კიდევ ერთი ადამიანიო.

სოლომონ აშორდიას ამის გამო ნეპოკოიჩიცკი დაინტერესებულ პიროვნებად მიაჩნდა. იმასაც აბრალებდა, 1901 წელს 8 თვით გამიშვა ციხეში, მაშინ, როცა ჩემზე თავადაზნაურთა საბუთების გაყალბების გამოც იყო აღძრული საქმე, მიდიოდა გამოძიება და შეიძლებოდა, განაჩენი ერთად გამოეტანათ და შეედგინათო.

ბუკიებს ვძულვარ, ნეპოკოიჩიცკისაც მათ შეაძულეს ჩემი თავი — აი, გამოსავალი ცნობილი ავანტურისტისა. — მართლად განსჯა ასეთ კაცს რომ არ შეუძლია, ნათელია და ვითხოვ, ჩემს საქმეს ჩამოაშოროთ — მიზეზ-შედეგობრივად აკავშირებდა მოთხოვნილსა და შენახვენს — 1901 წელს, როცა საოლქო სასამართლოს ჩემი თხოვნა წარვუდგინე, რათა მეორე საქმის გასრულებასაც დალოდებოდნენ და მერე ეფიქრათ განაჩენზე, უფალი სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწემ მითხრა — აშორდიავ, შენ ამ საქმეების გამო საგანგებოდ დაისჯებიო. ჯერ წინასწარი ძიება არ გასრულებულიყო და უკვე ყველა ელოდა ჩემს საგანგებოდ დასჯას, რადგან უწყოდნენ, ნეპოკოიჩიცკი იყო გადამტერებული.

ნეპოკოიჩიცკი ვერ განსჯის ობიექტურად, მართალ მსჯავრს ვერ გამოიტანს.

ქუთაისის საოლქო სასამართლოდან საბრალდებო დასკვნა რომ მიიღო, ერთი უცნაური თხოვნით მომართა აქაუ-

რებს — მომეცით ნება, ჩემი ხარჯებით ყულისკარიდან წმინდა გიორგის საკვირველმოქმედი ხატი ჩამოვიტანო, იგი საოცრად პატივცემულია მეგრელებში, მინდა, სასამართლო სხდომაზე მოწმეები ამ ხატზე დავაფიცო, რადგან ამ ბოლო ჟამს საქართველოში, საერთოდ, კავკასიაში, ტყუილის თქმა, ცრუმოწმეობა ჩვეულებრივი ამბავიაო.

ესენი პასუხობდნენ, ეს ამბავი ჩვენს კომპეტენციას აღემატება, ვერც ნებას დაგრთავთ, ვერც დაგიშლით, საქმე სხვისი გადასაწყვეტიაო, ის კიდევ — თქვენ შეგიძლიათ, მომცეთ ნება, ჩამოტანის ხარჯებს მე გავიღებ.

ესენი ასე, ის — ისე ესიტყვებოდნენ ორჯერ თუ სამჯერ.

ესეც არ იყო ადვილად სათქმელი და გასაბედი — მოწმეებს წმინდა გიორგის საკვირველმოქმედ ხატზე დავაფიცებ — უნდა შეჩქვიფებულიყო მაინც, თუ არ შეკრთებ — შეშინდებოდა ამის წამკითხველი, უნდა ეფიქრა, რაღაც სიმართლე იცის ამ კაცმა, თორემ ასეთ რაიმეს საიდან მოიფიქრებდა, ჩვენი თუ არა, ღმერთის მაინც არ ეშინია ამის ჩადენის მოწადინესო?! არ ეშინოდა, პირიქით, ამათ დასაფიქრებლად და შესაკრთობად იქმოდა ამას.

იყო მინერ-მოწერა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ქუთაისის სასამართლოს მესვეურები ან ჰო-თი, ან კიდევ არა-თი ეხმიანებოდნენ, ის — ვლადივოსტოკის ციხეში გამოკეტილი, ასაბუთებდა და აგულისყურებდა ყოველივეს.

ზოგიერთ წერილს სააპელაციო საჩივარს არქმევდა, ქუთაისიდან პასუხობდნენ — სააპელაციო საჩივარი მას შემდეგ შეგიძლიათ დაწეროთ, როცა პირველი ინსტანციის სასამართლო განიხილავს თქვენს საქმესო.

ჯერ ჩვენ არ განგვიხილავს, რა დროს აპელაციააო.

სოლომონ აშორდია იმასაც ხშირად იმეორებდა — ჩემს დაუსწრებლად განიხილეთ საქმე, რა გახდა ასეთი მოუთავებელი, ათი წელია, ამ საქმეს იძიებთ, იძიებთ, ვერ გამო-

გიძიებიათ, განიხილეთ უჩემოდ, მოწმეებს ყულისკარის საკვირველმოქმედ წმინდა გიორგის ხატზე დააფიცეთ.

განიხილეთ უჩემოდ...

ამ აჯამ რომ არ გაჭრა, მერე ითხოვდა, სასწრაფოდ გადამიყვანეთ ქუთაისის ციხეში, პანფილოვი იურისპრუდენციაში ნაკლებად ერკვევა, ვლადივოსტოკში განაჩენი უკვე გამოტანილია, მაინც აქ მაყოვნებს, ახლა ქუთაისის მსჯავრს ველი, ამიტომ იქ უნდა ვიყოო, — წერდა აქაურებსა და თბილისის სასამართლო პალატას ერთდროულად.

1910 წლის 24 იანვარსაც, ამ ამბების გამჟღავნებიდან ათი წლის მერე (კიდევ ერთი ოცდაოთხი დაემთხვ-დაედარა წინანდელთ, აღარც მახსოვს, მერამდენედ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ 24-ისა იყო, ახლა ათი წლით უფროსი), თხოვდა აქაურ მართლმსაჯულების აღმსრულებლებს, რაც შეიძლება მალე დაენიშნათ სასამართლო.

ამ თხოვნებში, იქედან აქეთ წერილების გამოგზავნაში კიდეც ჩამოიყვანეს ქუთაისში და ჩააყუდეს ციხეში, ერთი ძველი ნათხოვ-შენახვეწი აქაც გაიმეორა — დიდხანს ნუ დამაყუდებთ ამ ციხეში, მალე დანიშნეთ სასამართლოო.

ამასაც არ ითხოვდა უსაფუძვლოდ.

ათი წელი გაიჭიმ-გაიწელა ძიება და საბრალდებო დასკვნის გამოტანა.

ამიტომ იხვეწებოდა.

რომ არ შეხვეწნოდა, იქნებ ძველებური ზოზინით გაგრძელებულიყო ყოველივე.

ხესა სურო შეჰყოლია

სოლომონ აშორდიას ნაყალბევი ექსპერტებმა დაადგინეს, წინასწარი ძიების დროს მოწმეებმაც ბევრი თქვეს და ილაპარაკეს მის დანაშაულზე. იტყოდნენ, აბა, რას იზამ-

დნენ, გვაჩის ძე თუ არა, სხვა ვინ მოიმოქმედებდა ყოველივეს. ის იყო თავი და თავი, ხელმძღვანელიც, შემსრულებელიც... საგულდაგულოდ სწავლობდა საქართველოს ისტორიას, განსაკუთრებით — სამეფო-სამთავროთა ახლო და შორეული წარსულით იყო დაინტერესებული, სათავისოდ აკეთებდა საინტერესო და საგულისხმო ჩანიშვნებს და ყოველივე იმისთვის კი არ ჭირდებოდა, ისტორიული სიმართლე და ჭეშმარიტება დაედგინა, არა, კარგად გაეყალბებინა, უმცირესი ნიუანსიც არ გამორჩენოდა, ისე მიემსგავსებინა ნამდვილისთვის ყალბი, რომ ძნელად ან სულაც ვერ გაერკვიათ.

იმდენი მდაბიო გააზნაურა ან გაათავადა, რომ აშორდიას აზნაურობა სახალხო ტერმინად იქცა. ის, ვინც იმას იჩემებდა, რაც არ იყო, რაც აროდეს ყოფილა მისი წინაპარი, ამგვარი სახელით მოინათლა.

რიბენტროპმა ბრიკენდროპის წვეულებისთვის მზადებისას თავის გვარს წინ არისტოკრატიული წარმომავლობის აღმნიშვნელი ფონ დაუმატა და იოახიმ ფონ რიბენტროპი გახდა. „ასეთებს ჩვენში „აშორდიას აზნაურებს“ ან გააზნაურებულ მდაბიოებს უწოდებდნენ“ — წერდა მიხეილ კვესელავა „ასერგასის დღეში“.

მართლაც იგივეა, არ იყო არისტოკრატიული ჩამომავლობისა, მოისურვა, გახდა, თუმცა ამისათვის არც ყალბი საბუთები დაჭირვებია, არც სენატში მათი წარდგენა: „საელჩოს თანამშრომელმა სადღაც ძველი მედალიონი იპოვა ლათინური წარწერით „Pro meritis de Ribentrop“ — „რიბენტროპს დამსახურებისათვის“ და ეს საკმარისი აღმოჩნდა, არისტოკრატად მონათლულიყო.

სოლომონ აშორდიას კი უგვანოთა გასააზნაურებლად სენატიც ჭირდებოდა, ჭირდებოდა და როგორ, იქ მტკიცდებოდა ბოლოს ყოველივე და ამიტომ პეტერბურგშიც ხში-

რად ჩადიოდა, ნახულობდა მომხრეებს, აგვარებდა საქმეებს. განსაკუთრებით სენატის თანამშრომელ გუსევთან იყო ახლოს, მას ანდობდა და ეუბნებოდა გულისნადებს, ისიც პირნათლად ასრულებდა. ეს ამბები რომ გამჟღავნდა, სოლომონისა და ძმათა მისთა სიყალბეს ფარდა აეხადა, გუსევმა თავი მოიკლა. ისე აშკარა გამხდარიყო ყოველივე, სენატის ჩინოვნიკმა სხვა გამოსავალი ვერ მოძებნა, ციხეში ყურყუტს შუბლში ტყვიის დახლა ამჯობინა.

გუსევმა რომ თავი მოიკლა, ამ ფაქტმა კი არ დაამძიმა, უფრო დაფარა და მიჩქმალა ბევრი რამ, საიდუმლოთა ნაწილი მიწაში ჩაიტანა იმ ქვეყნად გადასახლებულმა ჩინოვნიკმა.

ვთქვით, აშორდია ხშირად ჩადიოდა პეტერბურგში, იქ ხვდებოდა საჭირო ხალხს და უდეპეშებდა აქაურებს, მეგობრებს, ახლობლებს — ამის საქმე მოგვარებულია, ფული მოთხოვე, იმის ამბები ყოვნდება, მერე შეგატყობინებ და ა.შ. ერთ-ერთ წერილში ძმას სწერდა: ხოშტარიას 100 მანეთი გამოართვი, ასევე წაგვარე ცხენი 50 მანეთში, ხოლო მამამისს — გვაჩის ატყობინებდა — ქავთარაძეზე ნუ იჯავრებ, რაც მოიტანოს, აიღე, ყველაფერი სანდრო წულეისკირის ბრალია, უჩემოდ დაიწყო გააზნაურების მოგვარება, გავიგე და გავბრაზდი, მაგასთან საქმეს აღარ დავიჭერ. ამიტომ ქავთარაძე, რასაც მოიტანს, დაყაბულდი, ოღონდ შემატყობინე.

ხშირი იყო ასეთი მიწერ-მოწერანი, მერე გამომძიებელს ჩაუვარდა ეს წერილები ხელში და წინ დაუწყო აშორდიას ყმაწვილს.

იმართლა თავი, იმართლა, თავისი აზრით, თორემ მსაჯულებს არაფრად ჩაუგდიათ მისი ნათქვამი და დაწერილი.

რუსთა იმპერიის მაღალ ეშელონებში ხომ ჰყავდა ნაცნობ-ახლობლები, აქაც არ უჩიოდა ამ მხრივ ბედს, ბევრთან

ძმაკაცობდა, ახლობლობდა, ნდობაც შეუვალი გააჩნდა — მამამისის, საერთოდ, აშორდიათა გააზნაურების საქმე, წესისა და რიგის თანახმად, თავადაზნაურთა საკრებულოში უნდა ყოფილიყო, უფრო — მის არქივში, რადგან იგი, მართალია, ყალბი დოკუმენტებით, მაგრამ ყოველმხრივ იყო დამთავრებული, მაგრამ მოსამართლეებმა ზუგდიდში, გვაჩი სკვამის ძის სახლში იპოვნეს. აქ უნდა ყოფილიყო, იქ აღმოაჩინეს.

რა გაუჭირდებოდა, ვინ ეტყოდა საბუთების წაღებაზე უარს?! 25 მანეთს იხდიდა ამა თუ იმ გასავლის წიგნის, რეესტრის და ა.შ. გატანის დროსო — წერია სასამართლო საქმეში, ჰოდა, ვინ დაუკავებდა. ამოდენა თანხით ზოგიერთი აშორდიელი საბუთს წერდა და აკონიწებდა, ამას საბუთების გატანაზე ვინ შეეწინააღმდეგებოდა, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს და ისინი როგორ იქნებოდნენ გამორჩეული დანარჩენ უმრავლეს კაცთაგან. წაიღებდა, ჩაასწორებდა, მისთვის სასურველს ჩაწერდა, ფურცელს ჩააწებებდა შიგ და დააბრუნებდა.

აშორდიას თავადაზნაურობისათვის საჭირო თითქმის ყველა დოკუმენტთან ჰქონდა შეხება. ერთი ნაწილი მის მიერვე იყო შედგენილი ანუ დაწერილი, მეორე ანუ სხვათა შედგენილ-გადაწერილს ბეჭდით ადასტურებდა ან მთავრის ხელმოწერას ურთავდა, მესამე ნაწილს გასავლის რეესტრში ათავსებდა, მეოთხეს — სათანადო თარიღებს უსვამდა და ა.შ. დაუსრულებლად, ერთი სიტყვით, უიმისოდ არაფერი კეთდებოდა, ვისაც და როგორადაც უნდა ეცოდვილა, ბოლო-ბოლო სოლომონი მაინც საჭირო იყო სურვილის საბოლოოდ ასახდენად.

ამდენის შემძლესა და ჩამდენს ფულიც ბლომად ჰქონდა. შეძლებული იყო, როგორც მოესურვებოდა, ისე ხარჯავდაო, — პეტერბურგში და პირიქით მისვლა-მოსვლას, ცხოვ-

რებას არხეინს, ხშირად ქეიფსა და ღრეობას საკმაო შემოსავალი ჭირდებოდა. ჰქონდა,ჰქონდა და უშურველი მხარჯველიც იყო.

წერილების გაგზავნა-გამოგზავნასაც არ ეყოფოდა ცოტა ფარა, პეტერბურგიდან სისტემატურად აფრენდა უსტარსა და დეპეშებს, გააზნაურებულებს ულოცავდა, სხვებს ამშვიდებდა, აწყნარებდა. ქუთაისიდან გუსევს თითქმის ერთი და იგივე შინაარსის წერილს სწერდა: ამის საქმე დააჩქარე, ამის დააწინაურე, ეს მოიცდის, ამას ნუ დააყოვნებ, სასწრაფოდ განახილინე სენატს და მაცნობე... ერთი სიტყვით, იქედან აქეთ და პირუკუ ყოველდღიური კავშირი იყო. ამიტომაც წერენ მოსამართლენი, ეს იყო ორგანიზებული ჯგუფი, რომელსაც ჰყავდა გამოკვეთილი ლიდერი, ყოვლისშემძლე და ყველაფრის გამკეთებელი სოლომონ აშორდია.

თევზაობა უვარდა, რიონის ჯილეებში ჩაყურყუმალავდებოდა, ჩაიკარგებოდა, დამნახავს ეგონებოდა, ტალღებმა წარიტაცა საწყალიო, ამ დროს ამოყვინთავდა ხელში დიდი წვერათი, სხმარტალებდა თევზი, ეს ხელს არ უშვებდა, კი არ მოცურავდა, მოდიოდა, წყალში და ხმელეთზე ერთნაირად გრძნობდა თავს.

წავიდოდა სათევზაოდ „დუხავოი მუზიკის“ თანხლებით, წინასწარ შეუთანხმდებოდა მემუსიკეებს, შეამზადებდა, განაწყობდა, ფულს ბლომად მისცემდა, გაახალისებდა. ესენი მდინარის ნაპირზე, სათევზაო ადგილიდან მოშორებით გამწკრივდებოდნენ თავიანთი ბარგი-ბარხანით, ის წყალში შეტოპავდა, შესრიალდებოდა, ჩაყვინთავდა, ამოყვინთავდა თევზით და ესენიც დასცხებდნენ, რას უკრავდნენ, არსად წერია, ალბათ დიდი თევზის დაჭერას ხანგრძლივი მუსიკალური აკომპანიმენტით ეგებებოდნენ, პატარას — მოკლე სამუსიკო ტექსტით.

ის თევზაობდა, ესენი უკრავდნენ, ხელებს იტყავებდნენ

დოლზე ბრაგუნით, აწრუპუნებდნენ და აწრუპუნებდნენ საკრავებს, ის, თითქოს აქაც არაფერი, გეგონებოდა, ეტლით დაჰქრის ქუთაისის ქუჩებშიო, ისე დადიოდ-დაცურავდა.

დაიჭერდა, დასცხებდნენ. ნახევარი ქალაქი გებულობდა სოლომონის თევზაობის ამბავს.

გაავსებდნენ კალათას და დუქნისკენ გაუტევდნენ, მასპინძელი სოლომონი იყო. გზაში თავის დაჭერილს აკვირდებოდა, რამოდენა�ო, — ხელს წამოკრავდა ჯერ ისევ მოსხმარტალე წვერას, ჰაერში შეათამაშებდა, ააგდებდა, დაიჭერდა, ესენი უკრავდნენ გაფაციცებით და ამით გამოხატავდნენ სიხარულს, ის კიდევ თევზის ხელის შევლებითა და ჰაერში ტყორცნით.

დუქნამდეც მუსიკით მიდიოდნენ, იქაც მეთევზის ნებასურვილზე მღეროდნენ და უკრავდნენ. სოლომონი ქეიფობდა, ლხინობდა, ფულებს აფრიალებდა, ხელზე მიმტანები დარბოდნენ, მოჰქონდათ, მიჰქონდათ, ღვინოს აგემოვნებინებდნენ, მოუწონარსაც მოსაწონად უხატავდნენ. ვერ ატყუებდნენ, მხრებს იჩეჩდნენ, იტყოდა, არ ვარგაო და მორჩა, უკეთესი უნდა მოერთმიათ, გაესინჯებინათ.

სოლომონი ღიმილიანი სახით ხვდებოდა მათ ფაციფუცს, ისინი ოფლიანი ტუჩ-პირით დარბოდნენ. მოიტანდნენ მოსატანს და გვაჩის ბიჭიც შეუდგებოდა ქეიფს, ზლაზვნით დაიწყებდა სადღეგრძელოთა თქმას, მერე თანდათან აჩქარდებოდა, მუსიკასაც აიყოლებდა.

თუმცა ეს ადრე იყო, ადრე, როცა მის ნათქვამს ძალა გააჩნდა, ხალხი დასდევდა, ეხვეწებოდა, სოლომონიც არ აწბილებდა, დანაპირებს უსრულებდა.

იგი ყველას გაჭირვების ტალკვესი გახლდათ. დათა ასათიანმა ჯერ კიდევ 1894 წელს სცადა, აზნაურობა დაემტკიცებინა, მაგრამ სენატმა წარდგენილი სამი დოკუმენტი ამისთვის საკმარისად არ მიიჩნია. გამოჩნდა სოლომონ აშორ-

დია და ყველაფერს მოება თავი — ძველ სამ საბუთს ახალი ქაღალდებიც დაუმატა და 1899 წელს ხელახლა შეიტანა თავადაზნაურთა საკრებულოში. ექსპერტებმა ისინი, წინანიც და მომდევნონიც, ყალბად მიიჩნიეს. სოლომონმა დათა და ალექსი ასათიანები დააჯერა, სამეგრელოს მთავრის კანტორაში ვმუშაობდიო და საბუთებისთვის 30 მანეთი აართვა, გერსამიას — 100 მანეთი წაგლიჯა, კალენიკე სალაყაია დაბადების მოწმობაში 10 მანეთს დააჯერა.

სარდიონ აბესაძემ წინასწარი ძიების დროს გამომძიებელს უთხრა — თერძ ელიზბარ ნემსიწვერიძეს სოლომონ II-ის სიგელი სოლომონ აშორდიამ მისცაო, სასამართლოზე კი გადათქვა, უფრო მეტიც, არც ვინმეს შევხვედრივარ, არც დავუკითხივარ, სიზმარს ვერ ვიმახსოვრებ, მეორე დილით ღამით ნანახის გახსენება მიჭირს, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, სიზმრად მიცემული ჩვენება რომ არაფერში გამოგადგებათ, აშკარაა, ცხადად კიდევ — არაფერი მითქვამს, მითუმეტეს, დამიწერიაო.

ადრე თქმული უარყვეს, აგრეთვე, ვასილ და სტეფანე ქაშიბაძეებმა, წინათ სხვა, მერე სხვა განაცხადეს: საერთოდ, სასამართლოზე ბევრმა გადათქვა წინასწარი ძიებისდროინდელი ჩვენება: სამსონ როგავამ — სესია სანიკიძემ საბუთებისთვის აშორდიას 100 მანეთი მისცაო, — თქვა წინასწარი ძიების დროს, სასამართლოზე ხელები გაასავსავა, ასეთი რამ ჩემს ბაგეებს არ დასცდენიაო. დალაქიშვილმა, სოლომონ აშორდიამ მომიგვარა სააზნაურო საბუთებიო, რომ გაიძახოდა, მერე გოჯასპირ — ფილიპე ლეჟავას დააბრალა ყველაფერი. თანხა ფილიპეს მივეცი და არა აშორდიას. მან კიდევ, მომატყუა, მითხრა, სოლომონს დააბრალეო, მეც შევცდი, ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის ბრალია წინასწარი ძიების დროს მიცემული ჩვენება, თორემ სიმართლეს ახლა ვამბობო. აშორდია შეეკითხა — განმარტეთ, რა-

ტომ მოკლეს ფილიპე-გოჯასპირი?! მაგრამ მოსამართლემ არ მისცა დალაქიშვილს რაიმეს თქმის უფლება იმ მიზეზით, რომ მკვლელობას ამ საქმესთან არაფერი ჰქონდა საერთო. რაც შეეხება მართალსა და მტყუანს, ლეჟავა ამ დროს პატრონს ჩაბარებული ანუ გაღმა იყო გასული მარილზე და პასუხს ვინ მოთხოვდა. ერთი სიტყვით, პატიმარი აშორდიაც ახდენდა გავლენას გარეთ მყოფ, ამ საქმეებში გარეულ ხალხზე. გიგო ჭანტურიამ: სამეგრელოს მთავრის კანცელარიაში ჩემი აზნაურობისათვის საჭირო საბუთს ვეძებდი, ვიღაც კაცი მოვიდა, სოლომონ აშორდიად გამეცნო და მომცა ის დოკუმენტი, რომელსაც ვერ ვპოულობდი. ის კაცი ამ კაცს არანაირად არ ჰგავს, ის სოლომონ აშორდია ეს სოლომონ აშორდია არ არის, ან იგი იყო თვითმარქვია, ან ეს. ერთხელ ნანახი ვინმე არასდროს მავიწყდება, უეჭველ ვიცნობ, ეს პატიმარი ჩემთან შენახვედრი არაა და რა ვქნაო?!

სოფრომ გაბუნიამ თქვა: ნიკოლოზ გამრეკელთან სტამბაში ერთი წელი ვმუშაობდი, ხშირად მოდიოდა სოლომონ აშორდია, გავიდოდნენ გარეთ, ტროტუარზე დადგებოდნენ და საუბრობდნენ. რაზე მსჯელობდნენ, ვერ გეტყვით, ალბათ ისეთ საქმეზე, რომელიც სხვასთან არ გაიმხილებოდა. სოლომონის ძმაკაცები — მინა ფოფხაძე, ასლან წირქვავა, სანდრო წულეისკირი და სხვებიც ასე იქცეოდნენ. მოვიდოდნენ, გაიხმობდნენ. რამდენიმე თვე პოლიციელიც ვიყავი, ბაღის ქუჩაზე აშორდიას სახლის ახლოს ვმორიგეობდი, ჯგროდ მოდიოდნენ მეგრელები, შევიდოდნენ, ესაუბრებოდნენ, ჯგუფ-ჯგუფად წამოვიდოდნენ პუტუნ-პუტუნითა და გაოცებული სახეებით.

ალექსი მიქელაძემ: ჩემს მაღაზიასთან გამოიარა ვიღაცამ, მომცა ჩემი თავადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მითხრა, სოლომონ აშორდიამ გამოგიგზავანათო. მივიტანე საკრებულოში, ყალბი აღმოჩნდა, თავადები ვიყავით,

ვართ, ყველა ასეთად გვიცნობს... ვინ იყო ის ადამიანი, არ ვიცი, აშორდიამ გამოატანა საბუთი თუ არა, ვერ გეტყვით...

ფარნა გუგუშვილი მწერალ ხურცილავას მეშვეობით დაუკავშირდა აშორდიას და საბუთებისთვის 50 მანეთი მისცა, მაგრამ სასამართლოზე სოლომონთან ნაცნობობასა და საქმიან ურთიერთობაზე უარი განაცხადა. ასე მოიქცა ბევრი, გადათქვა წინათ ნათქვამი, ან გვაჩის ყმაწვილი დაინდო, ან საკუთარი დანაშაულის გამხელას მოერიდა.

სოლომონ აშორდია იჩუჩების გააზნაურებაში დიდ ფულს არ ითხოვდა, საბუთებს ხან ასე, ხან ისე აკვარახჭინებდა, ერთი დადგენილი ფასი არ გააჩნდათ, შუამავლები აძვირებდნენ, თორემ ცნობილი გამყალბებლის საბრალდებო საქმეში 10 მანეთიცაა დასახელებული, მეტიც, მაგალითად, საბახტარაშვილმა 500 მანეთი გადაუხადა, მერე ორასიც დაუმატა ხარჯებისათვის, ერთგან ორიათასიცაა ნახსენები, უფრო შეცდომა უნდა იყოს, ალბათ ერთი ნოლია მიმატებული, თორემ თავადაზნაურთა საბუთების ღირებულება ათასამდეც არ აუყვანიათ, უფრო ხუთასი მანეთის ფარგლებში აგვარებდნენ ყოველივეს.

სოლომონ აშორდიას საბოლოო განაჩენში ერთი უცნაური ფაქტია, ფაქტი — ნამდვილი ამბავი, იმის თვალნათლივ მაჩვენებელი, თუ როგორ გაბიაბრუებულიყო ყოველივე, როგორ დაცემულიყვნენ, როგორ ჩვეულებრივი ამბავი გამხდარიყო მიღება აზნაურობისა, რა თქმა უნდა, ყალბისა, ჩამკვდარ-ჩაჩუმებულიყო ნამდვილი, ხმაამაღლებულიყო გაცუდებულ-გაიმასქნებული. მკერავმა ესტატე ბენიძემ სოლომონ აშორდიას აზნაურობისათვის საჭირო საბუთების შესაქმნელად 5 მანეთი გადაუხადა, ჩოხა შეუკერა და დაპირდა, გაკეთილშობილებამდე კოსტიუმსაც შეგითერძავო. ჰა, ჩოხა, მოიტა აზნაურობა, — თითქოს ხელიდან ხელში იც-

ვლებოდა, დახლი იყო, აშორდიას ბიჭი დახლიდარი, მკერავი ესტატე — კლიენტი, ეს ყიდდა, ის ყიდულობდა. ეტლში ან დროგში იცვლებოდა აზნაურობაო, — წამიკითხავს სადღაც-სადღაც მემუარებში, ჩოხაში გაცვლილი არც მსმენია.

ჩოხა ხომ მოგარგე, კოსტიუმშიც გამოგჭიმავ, ოღონდ შენ სანუკვარი ოცნება ამიხდინე...

მეტი ირონია რაღა გინდა — ჰა, ჩოხა, მიბოძე აზნაურობა. რატომ იკავებ თავს, ჩოხა ჩვეულებრივი არ გეგონოს, ჩემს შეკერილს ბევრი ეტანება, ვერ ავუდივარ მთხოვნელს, არც შენ გყავს ცოტა მუშტარი, კარგად ჩაცმა-დახურვა რომ გიყვარს, ფული ხომ უნდა გადამიხადო, არ მინდა, ბატონო, ჩოხა ჩემზეა, კოსტიუმიც სამომავლოდ, აზნაურად რომ მაქცევ; ვიცი, მთელი დუნია დაგეძებს, გეხვეწება, გელრიჯება, ყველას უგვარებ საქმეს, ერთი საწყალი, კაი ჩოხის მკერავი ესტატე რაღა გავხდი, მეც გამაკეთილშობილე, ამამაღლე წოდებრივად, მართალია, მერე თერძობას აღარ ვიკადრებ, მაგრამ მერე მერეა, რასაც გაძლევ, ნუ დაკარგავ, გაძლევენ, აიღე, გთხოვ — მომეცი, — ეუბნებოდა ესტატე ბენიძე აშორდიას და ესეც დაყაბულდა, საბუთები შეუდგინა და, ეს ამბები რომ არ გამჟღავნებულიყო, კიდევ ერთი არააზნაურული წარმომავლობის თერძი გაერეოდა კეთილშობილთა მარაქაში.

მიბოძე აზნაურობა, მოგცემ ჩოხას.... იქნებ ის თანხა, რომელსაც სოლომონ და ძმანი მისნი იღებდნენ მავანისა და მავანის გააზნაურებაში, სულაც არ იყო ჩოხის საღირალზე მეტი, მაგრამ ჩოხა მაინც ჩოხაა, კოსტიუმიც, სხვათაშორის, ამით გააშორდიელაზნაურობაც თვალში საცემი და დამაფიქრებელი. სასამართლოზე ესტატემაც შეცვალა ნათქვამი — აშორდიას კი არა, მინა ფოფხაძეს სურდა ჩემი გააზნაურებაო. ჩოხა ვის შეუკერა, კოსტიუმს ვის დაპირდა, აღარ

დაუკონკრეტებია, სოლომონი იქვე იყო, ფოფხაძე სადღაც, ერთი გაწირა, მეორე შეიწყნარა.

აზნაური ხდებოდა თერძი, მზარეული, ლაქია...

ლევან ასათიანი ნიკო მგელაძის მოგონებას იხსენებს აშორდიას ამბებთან დაკავშირებით:

„მე (ნიკო მგელაძე) ქუთაისში მეწაღე თოდუასთან ხელობას ვსწავლობდი. მახსოვს, ამ ჩემმა ოსტატმა ფული მისცა აშორდიას და მისგან აზნაურობის ყალბი საბუთი მიიღო. გააზნაურდა კაცი“.

ალბათ, წაღები ვერ შეკადრა, იქნებ ამაზეც ყოფილიყო გვაჩის ძე ყაბულს. მოგცემ ან, თუნდაც, შეგიკერავ წაღებს, მიბოძე აზნაურობა, — დათანხმდებოდა, ეს თუ არა, სხვები აიტაცებდნენ ამ წინადადებას და ერთი მეწაღეც მიემატებოდა ათასთა მსგავსად კეთილშობილთა რიგებს.

კიდევ ერთი უცნაური ფაქტიცაა ნახსენები აშორდიას საბოლოო განაჩენში — სპირიდონ ავალიანმა ლევან დადიანის (1839 წლის 25 ნოემბრის) და სოლომონ მეორის (1804 წლის 20 თებერვლის) წყალობის სიგელებსა და დავით დადიანის 1848 წლის 20 აპრილის ყალბ ბრძანებაში 40 მანეთი გადაიხადა. სოლომონმა ეს საბუთები რომ გადასცა, თან მისი ფოტოსურათიც დაუმატა. არ ენდობოდა ძვირფასი სპირიდონი აშორდიელებს თუ რის გამო, რატომ, გაუგებარია. უფრო ესაა სავარაუდო, ეჭვიანი და უნდო იყო, თორემ სოლომონი სხვა დროს და სხვასთან არ მოქცეულა ასე და სპირიდონ ავალიანი რა თეთრი ბატი იყო, მისცა სურათი, აი, კარგად დამიმახსოვრე, მე ვარ შენი საბუთების არქივში მომძებნი (სინამდვილეში — შემქმნელ-დამწერი) და აღმომჩენიო. სპირიდონი კიდევ რა სპირიდონი იყო, გამომძიებლისთვის არ ეთქვა ყოველივე. სასამართლომდე ვერ იცოცხლა, გარდაიცვალა, თორემ საინტერესო იქნებოდა, როგორ მოიქცეოდა, იგიც სხვებივით შეცვლიდა, ნეტავ, წინათ ნათ-

ქვამს, თუ აშორდიას საქართველოში არყოფნის დროს მიცემული ჩვენების სისწორეს დაადასტურებდა.

ექსპერტებსაც საოცრად უჭირდათ ნამდვილისა და ყალბის გარჩევა, ორს, — ვასილ პეტრიაშვილსა და კირილე ლორთქიფანიძეს — მესამე, ხუსკივაძეც დაუმატეს, მაგრამ ზოგიერთი დოკუმენტი იმდენად იყო ნამდვილს მიმგვანებული, გაცუდებულისა და გაუცუდებლის გარჩევა ჭირდა. კირილე ლორთქიფანიძემ სასამართლო სხდომაზე დაიჩივლა — ძმა მყავს ავად, მე ვუვლი, დილით თავის დროზე მოსვლა მეძნელება, საღამოსაკ ადრე უნდა წავიდე და იქნებ გამათავისუფლოთ ექსპერტის მოვალეობისაგანო. მოსამართლემ უარი უთხრა — დილით დაიგვიანე, საღამოს ადრე წადიო — გადაუწყვიტა. არ უნდა იყოს კირილეს ეს თხოვნა შემთხვევითი. სხვა დროს პირადული არ გახსენებია, პირიქით, სხვებს კილავდა და ამუნათებდა ასეთ რამეზე, ახლა თვითონ იქცევა ისე. როგორც ჩანს, მისთვის დამახასიათებელი სიმართლის თქმა სასამართლოზე არ ხერხდებოდა, ამიტომ ამ აბებში გარევას გაცლას ამჯობინებდა.

საერთოდ, სასამართლომ სოლომონ აშორდიას მხოლოდ დოკუმენტების მცირე ნაწილი წარუდგინა, შეჩერდნენ ძირითადად მათზე, რომელთა ნაყალბევობა ეჭვს არ იწვევდა, თორემ გამოწვლილვით და დეტალურად რომ შეესწავლათ ყოველივე, საბუთების გროვასთან ექნებოდათ საქმე, თუმცა არც სამხილად წარდგენილი იყო ცოტა და ხელწამოსაკრავი.

სოლომონს არც წინასწარი ძიების დროს და არც მერე, სასამართლოზე დაუყრია ფარ-ხმალი, ისეთ შეკითხვებს აძლევდა ექსპერტებს, იბნეოდნენ, ჯერ სხვას, მერე სხვას ამბობდნენ. ცნობილმა ყალბისმქნელმა სოლომონ მეორის 1809 წლის 20 იანვრის წყალობის სიგელზე მიუთითა, მითხარით, ნამდვილია თუ ყალბიო. ეს დოკუმენტი ექსპერ-

ტებმა წინასწარი ძიების დროს ნამდვილად, ხოლო თავფურცელი, წევრების ხელმოწერა და იმერეთის დროებითი მმართველობის ბეჭედი ყალბად მიიჩნიეს. განაცხადეს კიდეც, ეს სოლომონის გაიმასქნებულიაო, სასამართლოზე კი — ტექსტიც ყალბიაო, მონახეს გადაფხეკილი და მერე გადაწერილი ადგილი ამ სიგელში.

ერთ შემთხვევაში სხვა, მეორე შემთხვევაში სხვა, სრულიად განსხვავებული აზრი მოახსენეს მართლმსაჯულების აღმსრულებლებს და ასეთ რამეს აშორდია ხელზე იხვევდა, წამდაუწუმ იმეორებდა ამგვარ შემთხვევებს.

იყო ისეთებიც, რომელთა ნაყალბევობა თავადაზნაურთა საკრებულომ ვერ შეამჩნია, მაგრამ სენატმა ადვილად აღმოაჩინა გაცუდების კვალი და ისევ უკან დააბრუნა. ასეთებს სოლომონ აშორდია და ძმანი მისნი ხელახლა ასწორებდნენ, საბუთს საბუთს უმატებდნენ და მიჰქონდათ საკრებულოში, იქ თავიდან განიხილავდნენ, საეჭვოსა და საორჭოფოს ვერ პოულობდნენ, უფრო სწორად, არც უნდოდათ ენახათ, თორემ აშკარა იყო ყოველივე და ისევ პეტერბურგს გზავნიდნენ. ტრიალებდა კარუსელი ქუთაისიდან პეტერბურგში და პირიქით, აშორდიელები კიდევ კლიენტს არ კარგავდნენ, აღებულ თანხას უკან არ აბრუნებდნენ, იჩუჩებს ამშვიდებდნენ და აიმედებდნენ.

სოლომონ აშორდიას სენატი უშლიდა ხელს, თორემ გულს არავის დაწყვეტდა, ყველა მსურველს გაათავადაზნაურებდა. განსაკუთრებით სიყალბის გამჟღავნების მერე იჩენდნენ იმპერიის დედაქალაქში სიფრთხილეს, უეჭველი წარმომავლობის მქონესაც ხშირად საეჭვოდ რაცხდნენ, საეჭვოებს კი ადვილად ხვდებოდნენ და მათ საბუთებს ისევ თავადაზნაურთა საკრებულოს უგზავნიდნენ შესამოწმებლად. აქ ნახავდნენ, ერთ-ორ დოკუმენტს მიუმატებდნენ, რა თქმა უნდა, ისევ ყალბს, და უკანვე გზავნიდნენ. პეტერბურგში ად-

რეც შეეძლოთ ნამდვილისა და ყალბის გარჩევა, მაგრამ მაშინ გვაჩის ძის ავტორიტეტი ჭრიდა, ბოლო წლებში კი ერთობ დაკნინდა მისი ძალა და გამავლობა. საკრებულომ ერთადერთი კაცის — გიგო გაბაშვილის საბუთები დაიწუნა, ასლან წირქვავას წყალობით გაიმასქნებული დოკუმენტები ცქირიებისა კი, მათი ყმობის მიუხედავად, სარწმუნოდ მიიჩნია, შენგელიებს რომ გაუჭირდათ, დეპუტატ კაცია მაჭავარიანს 48 მანეთი მისცეს და გადაწყვეტილებაც ხელთ ჰქონდათ. სენატი კი, განსაკუთრებით 1899-1900 წლებში, უარს ამბობდა მავანისა და მავანის გათავადაზნაურებაზე. გახშირდა შემთხვევები დოკუმენტების უკან გამოგზავნისა. თხელიძეთა გვარის საბუთებიც დააბრუნეს, იმერეთის დროებითი მმართველობის საბჭოს წევრების — ჩხეიძისა და ბაბინის ხელმოწერა არ მოეწონათ, საეჭვოდ მიიჩნიეს და საკრებულოს დაავალეს, შეემოწმებინათ, გულდასმით განეჩხრიკათ და მერე მიეღოთ გადაწყვეტილება. კიკნაველიძისა და ბრელიძის, ერგემლიძისა და ნემსიწვერიძის, კობახიძისა და ბოლქვაძის, ხოშტარიასა და ფარულავას, ჟვანიასა და გვალიას, სხვათა და სხვათა, კიდევ სხვათა და სხვათა და სხვათა საბუთებმაც ტყუილად ინახულეს ნევისპირა ქალაქი, არც გზაში დაზიანებულან, აქიდან იქით და პირიქით უვნებლად, ე.ი. უარყოფითი დასკვნით ჩამოქაღალდდნენ.

ერთი რამეც უნდა აღვნიშნოთ, ზოგიერთს არც აინტერესებდა, მისი აზნაურობა ან თავადობა უმაღლეს ინსტანციაში ყოფილიყო დამტკიცებული, მთავარი გახლდათ, თავადაზნაურთა საკრებულოს ეცნო მათი კეთილშობილური წარმომავლობა და მორჩა, მეტს აღარც ითხოვდნენ, რადგან თვითონვე მშვენივრად უწყოდნენ, როგორი თავადები თუ აზნაურებიც იყვნენ, მაგრამ ზოგს ის ეწადა, ბოლომდე აეხდინა სანუკვარი მიზანი, აშორდიელთა ჯგუფის გამჟღავ-

ნებამაც ვერ დააბრკოლა: კობახიძეებმა ჯერ კიდევ 1895 წელს სცადეს გააზნაურება, მაგრამ სენატიდან უარყოფითი პასუხის გამო შეყოვნდნენ. 1900 წლის 24 იანვარს, იქიდან ოთხი დღის შემდეგ, სალდაძემ გრაგნილების ფუთა რომ იპოვნა ბულვარში და რამდენიმე აშორდიელი საგულდაგულოდ გაჩხრიკეს, ხელახლა შეიტანეს ორჯერ უფრო მეტად გაყალბებული საბუთები თავადაზნაურთა საკრებულოში.

ალექსი წულუკიძე კი პირიქით მოიქცა, აშორდიელთა ამბის გამჟღავნებიდან ერთი კვირის მერე საკრებულოს მიაკითხა და იმ საბუთის დაბრუნება მოითხოვა, რომლის წყალობითაც გააზნაურდა.

სოლომონის დაჭერის მერე მცირე ხნით შეწყვიტა, თავდებში გაშვების მერე კი ისევ განაახლა აშორდიელთა კანტორამ საქმიანობა — გრიგოლიებმა 2 ივნისს, მარინავამ 29 მარტს და ა.შ. შეიტანეს საბუთები თავადაზნაურთა საკრებულოში. ერთი სიტყვით, ძიების დაწყებას და აშორდიასა და ძმათა მათთა ამბის გამჟღავნებას დიდად არ უმოქმედია შემოსავალზე, აზნაურობის ყველა მოსურნე არ დამფრთხალა...

სოლომონ აშორდიას საბოლოო განაჩენში ის გვარებია ჩამოთვლილი, რომელთა გაკეთილშობილებაში უშუალოდ მონაწილეობდა. 200-ზე მეტი პიროვნების გვარსახელია ჩამოწიკნიკებული, ამათგან ზოგი გააზნაურდა, ზოგი გათავადდა, ზოგი ვერც ერთი გახდა, ვერც მეორე, რადგან მათი საბუთები სენატმა ყალბად მიიჩნია. ზემოთაც აღვნიშნეთ, საბოლოო ინსტანციაში დამტკიცდა თუ არა პიროვნების წოდებრივი მდგომარეობა, ამას ჩვენთვის მნიშვნელობა არ გააჩნია, რადგან სასამართლო საქმეში მოხვედრილთ მექანიკურად ჩამოართვეს ყველა პრივილეგია და წოდება.

განაჩენში ის დოკუმენტებიცაა ჩამოთვლილი, აშორდიამ რომ გააყალბა, ნამდვილში გადაფხიკა რაღაც ადგილი და

მისთვის სასურველი ჩაწერა, ან სრულიად ახალი შექმნა, გასავლის წიგნებსა და რეესტრში ფურცელი ან მისი ნახევარი ჩააწება და ა.შ. ერთი სიტყვით, მსაჯულებს უამრავი სამხილი ეპყრათ, ზოგიერთი სოლომონმაც აღიარა, იმსჯელეს, იფიქრეს მოსამართლეებმა და ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

ასე გასრულდა ქუთაისური სიზმარი აშორდიასი, ბაქოში, უფაში, ომსკში და ა.შ. რომ უნდა გაგრძელებულიყო.

თავი მეხუთე

დავღონებულვარ ციხესა

საღოლ, საროლ!

ქუთაისიდან მიმალული სოლომონ აშორდია ბაქოში გამოჩნდა. იქ დაიჭირეს და ჩასვეს ციხეში. მანამდე შუა აზიის ქვეყნებიც მოიარა, გვარიანად ითაღლითა, მაგრამ ვერაფერი გაუგეს, რომ უნდა შეეტყოთ, ნახევრად გამჟღავნებულ-გამოაშკარავებული საქმის მერე გაეცალა იქაურობას.

ჩვეოდა ესეც...

ბაქოში გვაჩის საჩინო ყმაწვილს უკვე სხვა გვარსახელი ჰქონდა, — ჯერ ზედგენიძე იყო, მერე ანანიევი, შემდეგ საროლ მუსალის ძე ჯამბატოვი და ა.შ. სინამდვილეში სოლომონ აშორდია გახლდათ, მაგრამ ამ გვარითა და სახელით უკვე ჩადენილი ჰქონდა დანაშაული, ციხეც ელოდა უეჭველი. ამიტომ ნათლობისდროინდელი უარყო და ახალი, იქაურ გვარ-ტომს მისადაგებული დაირქვა. ამასაც მანამდე ატარებდა, სანამ ახალ სიყალბეებს მოაქუჩებდა, ანუ საროლის ჩადენილი რაიმე დანაშაული თუ გამჟღავნდებოდა, სხვას დაირქმევდა. მე შენ გეტყვი, საბუთების შექმნა გაუჭირდებოდა, მოიფიქრებდა სასურველ გვარსახელს და ივლიდა, იცხოვრებდა მისი შესატყვისი დოკუმენტებით.

იცვლიდა ხშირად, როგორიც სურდა, რანაირიც...

ბაქოში ვიღაც ბენდიანი უმემკვიდრეოდ გადაბარგდა იმიერში, დარჩა დიდი ქონება, — ვეებერთელა ციხე-სიმაგრე კუშკაში და აურაცხელი სიმდიდრე. სოლომონმა ყოველივეს ხელში ჩაგდების მოსურნეს საბუთები მოუკვარახჭი-

ნა, ისე წარმოადგინა საქმე, იმ ქვეყანაში გადასახლებულს ვითომ ეს კაცი დაეტოვებინოს მემკვიდრედ. შეუდგინა ერთი, ორი, სამი და ა. შ. დოკუმენტი და ბენდიანის ქონებას, მიმზიდველსა და სანეტაროს, პატრონი გაუჩნდა, ქალაქ აბხადის საოლქო სასამართლოსაც რა უნდა ექნა, შეამოწმა, გასინჯა სამემკვიდრეო საბუთები და მას მიაკუთვნა ყველაფერი. საროლმა ანუ იგივე სოლომონმა უპოვარი დიდი ქონების პატრონად აქცია, ისე ჩაუწიკწიკა ყველაფერი, ეჭვი არავის გასჩენია. ბენდიანის ვითომ მემკვიდრემ ამ საქმის მოგვარებაში 10 ათასი მანეთი ჩაუჯიბა. გადაუხდიდა, აბა, რას იზამდა, ათჯერ ან ოცჯერ უფრო ძვირი ქონება იგდო ხელთ და ამდენს რატომ არ გაიღებდა.

ზღაპრის გმირივით, თუ მოისურვებდა, გაამდიდრებდა ან კიდევ — გააღატაკებდა...

აშორდიას ბაქოში გათამაშებული სცენა რომ აღვწეროთ, მარკ ტვენის კალამია საჭირო, — წერდა ვიღაც ა. ჩერნი გაზეთ „კასპიაში“ 1910 წელს.

არც მთლად გადაჭარბებულია, ყოველ შემთხვევაში, ეს ამბავი დამაჯერებელი რომ გამოვიდეს, მარკ ტვენის თუ არა, რომელიმე დიდი მწერლის კალამს მართლაც საჭიროებს.

რა მოხდა ასეთი?! აშორდიასთვის არაფერი, მისი ხასიათისა და ბუნებისათვის ჩვეულებრივი, სხვათათვის — არაჩვეულებრივი, უცნაური და ძნელად დასაჯერებელი.

1905 წლის 27 მარტს ბაქოდან სპარსეთში გასამგზავრებელი ბილეთის ასაღებად სალაროსთან ვიღაც ნაბადსა და ფაფახში გამოჯგიმული კაცი მივიდა. მივიდა და იმ წუთს მოინდომა მოელია საქმე, ნაწილი ხალხისა მიწი-მოწია, ნაწილს რაღაც უთხრა და ჯიქურ წაიწია წინ. ვიღაცამ ვერ მოითმინა: ურიგოდ რატომ მიდიხართ, ბატონო, — შენიშნა. სოლომონმა ამ დროს ბილეთი ჩაიჯიბა, მთქმელს მედიდუ-

რად გადახედა, დამცინავი ღიმილი გაუკრთა სახეზე, თვალები მოჭუტა და მიუგო:

— ფორმა არ მაცვია, თორემ ოფიცერი გახლავართ, როგორ ბედავთ შენიშვნის მოცემას?!

ეს თქვა და ჯგრომ უცებ გაუთავისუფლა გზა. გამოვიდა, ისევ მედიდურად მიმოიხედა, ხალხს თვალი გადაავლო. ამის შემყურე იქვე მდგომ პოლიციელსაც გაეღვიძა პატივმოყვარეობა, ოფიცერი თუა, ასეთ ტანსაცმელში რატომ გამოეწყო, იქნებ სულაც არაა და აფერისტობს, მე შენ გეტყვი, ცოტაა ნავთობით მდიდარ ქალაქში უცებ გამდიდრებისა და თაღლითობისათვის ჩამოხეტებული ხალხი, — გაიფიქრა, მივიდა და პასპორტი მოთხოვა.

სოლომონმა კიდევ უფრო მოჭუტა თვალები, იქედნურად გახედა მთხოვნელს, ნაღდად იკრძნობდა დაკვირვებული თვალი — საბუთს თხოვენ იმ კაცს, ვინც ათასობით ქართველი ყალბი საბუთებით თავადი ან აზნაური გახადა, უსაბუთო ანუ უპასპორტო პასპორტიანად აქცია, მდიდარი ღარიბად და ა.შ.

ჟანდარმერიის როტმისტრ ზედგენიძის სახელზე გაცემული უვადო პასპორტი წარუდგინა. პოლიციელს თვალები გაუფართოვდა, როტმისტრი ყოფილა, უვადო პასპორტმა მთლად გადარია და თავი მოვალედ ჩათვალა, ბოდიში მოეხადა:

— ბოდიშს გიხდით, ბატონო როტმისტრო.

— რას ბრძანებთ, ეს თქვენი მოვალეობაა, პირიქით, შექებას იმსახურებთ, — მოუწონა სიფხიზლე აშორდიამ.

როცა გემი ნაპირს გაცდა, შტურმანი მოვიდა პოლიციელთან და ჰკითხა:

— იცით, ვის მოთხოვეთ პასპორტი?

— დიახ, ჟანდარმერიის როტმისტრი ზედგენიძე გახ-

ლავთ, ალბათ ვინმეს გამოჭერა დაავალეს და ამიტომ იყო ასეთ სამოსში გამოწყობილი.

შტურმანი ისე ახარხარდა, გეგონებოდა, ზღვაში გასულ გემსაც უნდა მიაწვდინოს ხმაო. სული რომ მოითქვა, კიდევ ერთხელ შეეკითხა:

— ვინ იყო?!

— როტმისტრი ზედგენიძე... — უპასუხა დაბნეულმა პოლიციელმა.

— როტმისტრი კი არა, ესაა ცნობილი სოლომონ აშორდია, მთელ კავკასიაში განთქმული გამყალბებელი, აფერისტი, ათასი დანაშაულისთვის ძებნილი, ციხეებიდან გაქცეული.

— რას ამბობ?! — გაიკვირვა პოლიციელმა.

— რაც გაიგონე! — მოუჭრა შტურმანმა.

სასწრაფოდ აცნობეს ლენქორანის მაზრის უფროსს, რომელმაც გემიდან აიყვანა გვაჩის ყმაწვილი, პასპორტიც მოთხოვა — პოდპორუჩიკ ანანიევზე გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარუდგინა. ზედგინიძე იყო ბაქოში, ლენქორანში ანანიევად გარდაისახა.

ლენქორანის მაზრის უფროსმა ბრძანება შეასრულა და შემდგომი ძიებისათვის ბაქოში გაგზავნა, სადაც ციხეში ჩააყუდეს. იჯდა ნორდიანი ქალაქის სატუსაღოში, რომელშიც უწინ წისქვილი იყო, ახლაც შემორჩენოდა კვალი ნაწისქვილარისა. წისქვილი ადრე ცნობილ აზერბაიჯანელ კაპიტალისტს ტაგიევს ეკუთვნოდა, რომელმაც მერე რუსეთის მთავრობას ციხის განსათავსებლად აჩუქა ეს შენობა. ამიტომ ყველა ტაგიევის ციხეს ეძახდა. სოლომონს შენობის ისტორია ნაკლებად აინტერესებდა, ერთი აზრი უბურღავდა გონებას — როგორმე თავი დაეღწია ამ ნაწისქვილარიდან. მეორე დღეს პოლიცმაისტერის თანაშემწე გრეჩკინმა დაკითხვაზე გამოიძახა. მივიდა, მაგიდაზე პოლიცმაისტე-

რის მომართვა იდო, ერთი შეხედვით დაიმახსოვრა, თუ როგორი იყო ბეჭედი, შტემპი, რანაირი მოხაზულობის ასოებით ეწერა, როგორი იყო ხელმოწერა და ა.შ.

გრეჩკინი რაღაცას ეკითხებოდა, ეს იმ წერილს არ აშორებდა თვალს, არ აშორებდა და მეხსიერებაში ჩაიბეჭდა ყოველივე, ერთი სიტყვით, მხედველობით დაიმახსოვრა. მომართვის ნომერსაც საგულდაგულოდ ჩახედა. იგიც დაიგუმანა.

საკანში დაბრუნებულმა იცოდა, რა უნდა ექნა. გაქცევის ჟინი უკვე თავს ტკენდა, ისე აეტაცა ამ ფიქრს, რომ ერთ ადგილზე ვეღარ ჩერდებოდა. ვიწრო ოთხკედელში ფეხებს აბაკუნებდა, გეგმებს აწყობდა, განაზრახს განაზრახს უთანხმებდა.

საკუთარი განთავისუფლების ბრძანება უნდა დაეწერა, მაგრამ როგორ?! გარეთ ყველაფერს მოახერხებდა, ციხეში ძნელი იყო. მართალია, უნიკალური მხედველობითი მეხსიერება გააჩნდა, მაგრამ ქაღალდის შესადგენად ეს არ იყო საკმარისი. ამიტომ იშოვა ალიზარინის მელანი, წეკოს ქაღალდი, ხელის შეხებით იმას რომ ჩამოჰგავდა, რომელზეც ოფიციალურ მიმართვებს წერდნენ და დაიწყო საქმე.

შეადგინა ერთი, ფერი არ მოეწონა შტემპისა, მელანს რაღაც დაუმატა, მაინც არ დააკმაყოფილა, ზუსტი ასლი არ გახლდათ დამახსოვრებულისა, მესამედ კი, ხელისმოწერის ჩათვლით, ისე მიამგვანა ყველაფერი, ნუ იტყვით, ეჭვის ნატამალსაც ვერავინ იგუმანებდა, ნამდვილზე ნამდვილს ჰგავდა, გრეჩკინის კაბინეტში ნანახის უზუსტესი ასლი იყო.

საკუთარი განთავისუფლების ბრძანება ჯიბეში ედო, მაგრამ რად გინდა, აქ მას არანაირი ძალა არ გააჩნდა. საჭირო იყო, როგორმე უფროსობისთვის მიეწვდინა. ზედამხედველთან აუდენცია ითხოვა, ჩემი განთავისუფლების შესახებ წე-

რილობით ხომ არაფერი უცნობებიათო — იკითხა და როცა მან დავთარში ჩარგო თავი, შეუმჩნევლად დადო მაგიდაზე თავისი განთავისუფლების პაკეტი — საკუთარი ხელით დახატული, ნამდვილზე ნამდვილი:

გავიდა ორი-სამი საათი და ზედამხედველმა დაიძახა:

— აშორდია! მომილოცავს, თავისუფალი ხარ.

ტაგიევის ციხის საკნიდან აუღელვებლად გამოვიდა.

სახეზე სინანულიც გამოეხატვოდა, წყენაც, ვიფიქრე, იმას ჯავრობს, სპარსეთში, ქალაქ ენზელში მიმავალ გემს რომ ჩამოვარჩინეთ, მაგრამ მაინც უხარია, ციხეს რომ დროზე დააღწია თავი-მეთქი, — გაიხსენებს მერე ეს ზედამხედველი.

— მომეცით ცნობა, რამდენი დღე და რატომ ვიყავი დაჭერილი! — მოკლედ მიუჭრა აშორდიამ.

ზედამხედველი შეკრთა, დღეების დათვლას რა უნდა, მაგრამ რა მიზეზით დააკავეს, ეს ჩემს კომპეტენციას ცილდება — გაუელვა გონებაში და მწყრალად გასცა პასუხი.

— მიზეზი პოლიციაში უნდა გაარკვიოთ, ხოლო რამდენი დღე იყავით დაკავებული, ამაზე „სპრავკას“ ახლავე მოგართმევთ.

— როგორ თუ „სპრავკას“... დამაკავეთ, გემს ჩამომარჩინეთ, არც ის გითქვამთ, რატომ მიჭერდით, არც ის — რის გამო მათავისუფლებთ, ქვეყანა ჩალით დახურული ხომ არ გგონიათ, უდანაშაულო კაცის ციხეში ჩაყუდება გაგონილა?!

— უკვე გითხარით, პოლიციაში გაარკვიეთ-მეთქი და კიდევ გიმეორებთ, — ჩვენი ცნობა თუ გჭირდებათ, ახლავე დაგიწერთ.

— ჯანდაბას, იყოს! — ხელის ჩაქნევით უთხრა აშორდიამ და გააგრძელა — იმათაც მივაკითხავ, არავის ეგონოს, რაიმე შევარჩინო, უნდა იცოდნენ, ვის აპატიმრებენ და რატომ.

ზედამხედველმა გულში გაიფიქრა — ვისაც უნდა, იმას მოთხოვოს პასუხი, მე მომიყვანეს, ჩასვი საკანშიო, მითხრეს და ჩავსვი, — და გააგრძელა ცნობის შედგენა.

აშორდიამ — ნამეტანი ხომ არ მომდის, აქამდე მიყვანილ საქმეს ჩემივე ნებით ხომ არ ვფუშავო, მაგრამ ისე ბუნებრივად ვითარდებოდა მოვლენები, დიალოგიც ისე ნამდვილი იყო და ძალდაუტანებელი, მომხდარი მოვლენებიდან გამომდინარე, რომ მაშინვე დაიმშვიდა თავი.

ცნობა გამოართვა, გადაიწია ნაბიჯი, გულის ჯიბეში ჩაიდო, ზედამხედველს ხელი ჩამოართვა და ბოლო წინადადებად კი არ უთხრა, უფრო მიუგდო:

— იცოდეთ, ამ ამბავს გაუსაჩივრებლად არ დავტოვებ.

ნება თქვენია! — უპასუხა ზედამხედველმა, რომელსაც ოდნავადაც არ უეჭვია, ეს ყველაფერი გათამაშებული სცენა რომ იყო, თვითონ კიდევ ძალაუნებურად ამ ამბის ერთ-ერთი მონაწილე.

აშორდია ციხიდან ასეთ გამოსვლას უკანონო განთავისუფლებას ეძახდა, ვინმე მაღალჩინოსანი კი არ წყალობდა, პატიმარი ითავისუფლებდა თავს.

არსენასავით არც მცველები დაუთვრია, არც ბორკილები გაუქლიბავს, არც უფროსის ტანსაცმელში გამოჯგიმულა. უბრალოდ, ბაქოს პოლიცმეისტერის სახელით საკუთარი გათავისუფლების ბრძანება შეადგინა და გარეთ იყო.

ამ ამბის აღწერას მართლაც მარკ ტვენის კალამი ჭირდება.

ამნაირი ხერხით ციხიდან თავის დაძვრენის ამბის გამგონეთაგან ერთი ვიღაც მაინც გაივლებდა გულში:

საღოლ, საროლ!

მართლაც რომ საღოლ!

1905 წლის აპრილი იყო, ბაქოდან რომ აითესა. ქარიანი,

მტვერს რომ ატრიალებს და ცხვირ-პირში გაყრის, დღე იდგა. გამოვიდა ციხიდან, მტვერ-ქარმა დაუხშო სახილველი, არ იცოდა, სად წასულიყო, ვერ ხედავდა გზას. ციხესთან არავინ დახვედრია, ელოდა კი, მაგრამ იმათაც ისე არარეალურად მიაჩნდათ დაძვრენა ანანიევისა, უფრო ზღაპარი ეგონათ, ვიდრე სინამდვილე, თან საკუთარ თავსაც გაუფრთხილდნენ. ამიტომ არ დახვედრიან, სიზმარს ჰგავდა ნაფიქრალ-ნაოცნებარი.

ახლა სად უნდა წასულიყო, რომელი ქალაქისათვის შეეფარებინა თავი?! რუსეთი იაპონიასთან ომში ჩაბმულიყო, აქეთ ნაკლებად აღწევდა ბრძოლის მძვინვარება და საშინელება. იქ, შორს, შორეულ აღმოსავლეთში ძალუმად იგრძნობოდა სიცოცხლის საფრთხეც და გაჭირვებაც. იქ ერჩივნა, ომის ახლოს, რადგან იქ ადვილი იყო ყალბისმქნელობა, ყველა ომზე გადართულიყო, არეულდარეულიყო, აქ თითქოს წესრიგი სუფევდა, იქაც, ოღონდ სამხედრო, მაგრამ სამხედროთათვის, ჩვეულებრივ მოქალაქეთათვისაც ისეთი სულისშემხუთველი, ოდნავი თავისუფლების შესაგრძნობადაც სოლომონისნაირი ყალბისმქნელები რომ გამხდარიყვნენ საჭირო.

ამიტომ ერჩივნა იქ, ომის ახლოს. ბაქოდან ათესილი მანჯურიის სადგურში ჩავიდა, აქ უკვე ჟვანიად იქცა, ფერი იცვალა ქამელეონივით და ჩასვლისთანავე ჩაერთო საქმეში. იქაურთა დიდ ნაწილს უფლება არ ჰქონდა, მანჯურიის არმიის ზურგში შესულიყო. ამას საგანგებო საშვი ან ნებართვა ჭირდებოდა, მაგრამ გაჟვანიებული აშორდია აგერ არ იყო — სამხედრო შენაერთის უფროსის სახელით აცხობდა საშვებს და ნებართვებს. დაწერდა, გაყიდდა, წერას ვერ აუდიოდა, იმდენი იყო მსურველი. ესეც წერდა და წერდა, აცხობდა და აცხობდა. ვინ იყო შემმოწმებელი ნამდვილს საოცრად მიმსგავსებული ქაღალდისა, და ხალხი მიმოდი-

ოდა, აქედან იქით და პირუკუ ამის შექმნილი საბუთებით. ისინი მიმოდიოდნენ, ეს მდიდრდებოდა, თითქოს რუსეთ-იაპონიის ომიც მას წამოეწყოს, მანჯურიის არმიის ზურგში შესვლაც საგანგებოდ აეკრძალოს.

ისევ ნიკო მგელაძის ის მოგონება გავიხსენოთ, ლევან ასათიანს რომ ჩაურთავს თავის ჩანაწერებში:

„1905 წლის ხანებში მე იაკუტიაში ვიყავი. ვიქნებოდი 18 წლისა. რამდენიმე ქართველმა დავაპირეთ მანჯურიაში, ხარბინში წასვლა, მაგრამ საჭირო იყო საშვები. ძნელი იყო მისი შოვნა. მაშინ გვითხრეს, აქ ერთი ქართველია, ჟვანია, ის მოგიხერხებთო.

მოვძებნეთ ის ჟვანია, თურმე ამ გვარს აშორდია ატარებდა. ის ყალბ „პროპუსკებს“ ამზადებდა მანჯურიაში გასასვლელად და ბევრ ფულს შოულობდა. მთელი ხარბინი თურმე ებრაელი პროსტიტუტკებით აავსო, რომლებიც რუსეთიდან მიდიოდნენ მანჯურიაში — „საშოვარზე“.

სოლომონ აშორდიამ ნიკო მგელაძესა და მის მეგობრებსაც გამოუცხო მანჯურიაში შესასვლელი საშვი, მოკლედ, გულს არავის წყვეტდა — იღებდა ფულს, მსურველს აძლევდა ნამდვილს საოცრად მიმგვანებულ დოკუმენტს.

ამ საქმეებზეც ჩავარდა — ბელიაევის ბანდას შვიდი ათას მანეთად გაუკვარახჭინა ცნობა, რომლის მიხედვითაც მას თავისუფლად შეეძლო მანჯურიის არმიის ზურგში შეეყვანა რამდენიმე მეძავი. ეს საქმე გამჟღავნდა და ახლა უკვე ჟვანია-აშორდიაც გასკვანჩეს. რა უნდა ექნა, იმდენს ეცადა, უდანაშაულოდ წარმოადგინა თავი. თავისსავე აღსარებაში წერს — დაპატიმრების დროს დიდძალი ფული მიპოვნესო, — ამასაც უნდა გაეჭრა, თორემ მარტო ჯამბატოვ-ჟვანია-აშორდიას ლოგიკურ აზროვნებასა და თავის უდანაშაულოდ წარმოჩენის საოცარ უნარს არ დაჯერდებოდნენ. თავდებად სოკრატ იოსელიანი დაუდგა. სოლომონ აშორდიას ამ საბრალდებო საქმეზე დართულია მანჯურიის

ზურგის არმიის უფროსის გენერალ-ლეიტენანტ ნადაროვის რეზოლუცია: „ჟვანია გაიგზავნოს საცხოვრებელ (ჩაწერის) ადგილას და როგორც არასასურველ ელემენტს, ომის დამთავრებამდე მანჯურიის არმიის ზურგში შესვლა აეკრძალოს“. ეს გადაწყვეტილება 1905 წლის 30 ივლისითაა დათარიღებული, იქვეა ორი დღის შემდეგ გაკეთებული ჩანაწერიც: ჟვანიასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას ვაუქმებ“. ხელს ისევ ნადაროვი აწერს: მეორე გვერდზე კი სოკრატ იოსელიანი დებს პირობას, რომ ჟვანიას უმოკლეს დროში, 4 აგვისტომდე გაგზავნის მოქმედ არმიაში.

თავდაპირველად ჩაწერის ადგილას გზავნიდნენ, სად იყო ჩაწერილი და სად ცხოვრობდა, არ ვიცით. სოლომონს სამშობლოში დაბრუნებაც არ უნდოდა, რადგან აქ ჩამოსვლა დაჭერას ნიშნავდა. ამიტომ ისევ იქ უნდა დარჩენილიყო, იქ, მართალია, დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ უდანაშაულოდ ცნეს, თავდებობით გაათავისუფლეს. ამიტომ იქ უჯობდა ყოფნა, მშობლიური ქვეყნისაგან მოწყვეტილს იქ უფრო შეეძლო ფრთების გაშლა. სოკრატისვე ცნობით, აქედან თავდახსნილი ჟვანია, იგივე აშორდია, ფრონტზე კი არ წასულა, კუნხარბინში მიიმალა.

ნადაროვის განკარგულებისა და სოკრატის ხელწერილის ბოლოში სოლომონის ჩანაწერიცაა: ოთხიათასი მანეთი მივიღე. ალბათ ეს ის თანხაა, დაჭერის დროს რომ უპოვნეს. ბევრი უპოვნეს, ცოტა დაუბრუნეს, საქმეს ასე ჭირდებოდა. აშორდიაც ყაბულს იყო, მშოვნელმა გაცემაც იცოდა, თავისუფლებისათვის კი ფულს როგორ დაზოგავდა, გამოვიდოდა, ისევ იშოვნიდა, მთავარია, გარეთ ყოფილიყო. ამ ამბიდან დაიწყო მილიციის პრაპორშიკ სოკრატ იოსელიანისა და სოლომონ აშორდიას მეგობრობა და ყალბი საბუთებით ერთობლივად საქმეების გაიმასქნება. იოსელიანი ახლოს იცნობდა სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკებს, ბანკის თანამშრომლებს, საინტენდანტო საწყობში აგზავნიდა სხვადასხვა პი-

რებს და იღებდა ათეული ფუთობით შაქარს და სხვა საქონელს. ერთ მშვენიერ დღეს ასეთი შემთხვევაც მარცხით დამთავრდა, იოსელიანი ჩავარდა, მაგრამ შეუთანხმდა გაგზავნილ კაცს და მან თავის თავზე აიღო დანაშაული, სოკრატზე ძიება შეწყდა, დაჭერილი კი ციხიდან ისევ სოკრატის შემწეობით გაიქცა.

ეს ვიღაც სოლომონ აშორდია უნდა ყოფილიყო, რადგან საზღვრისპირეთის საოლქო სასამართლოს IV განყოფილების მოსამართლე იჭერდა სოლომონ აშორდიას ყალბი დოკუმენტებით ხაილარის საინტენდანტო სასურსათო მაღაზიიდან 5 ათასი ფუთი შაქრის მიღების გამო.

აშორდიას თუ დაეუჯერებთ, სოკრატი ჩავარდაო, საბრალდებო საქმეში კი პირიქითაა ნათქვამი. როგორც ჩანს, ამ ამბავშიც ერთად იყვნენ, გამოაშკარავების მერე კი ერთმანეთს უშველეს და დაეხმარნენ.

სოლომონ აშორდია თავის აღსარებაში წერს, რომ რუსეთ-ჩინეთის ბანკიდან ყალბი საბუთებით გატანილი ფულების დათვლა შეუძლებელი იყო, გაჰქონდათ და გაჰქონდათ, როგორც სურდათ, რამდენიც ესაჭიროებოდათ, ან, უფრო სწორად, უნდოდათ ფული, აგერ იყო ბანკი, შეადგენდნენ ყალბ საბუთს და უფულონი ფულიანად იქცეოდნენ, უფულოდ არასდროს ყოფილან, ცხოვრობდნენ მდიდრულად...

სოლომონ აშორდია იმასაც ამბობს, რომ ბანკის სიახლოვეს კავკასიელებმა ფორმიანი ყარაული დააყენეს, რომელსაც არც ბანკის, არც იქიდან გამოსული ადამიანების დაცვა არ ევალებოდა, დაინახავდა თუ არა გვაჩის ძეს, სიგნალს მისცემდა დანარჩენ ქართველებს, ისინი თავს დაესხმოდნენ და დააყაჩაღებდნენ.

სოლომონი ბანკს აყაჩაღებდა, სხვა ქართველები კიდევ რამდენჯერმე სახელ-გვარშეცვლილ სოლომონს. მას ჰქონდა, იმათ — არა, უფრო სწორად, ამას ფულის შემნახველი დაწესებულების დაყაჩაღება შეეძლო, იმათ — ამისი, და ასე არხეინად გრძელდებოდა ცხოვრება.

იმდენად მობეზრდა ასეთი ყოფა თავადაზნაურთა საბუთების გამყალბებელს, რომ გადაწყვიტა, ყველაფერს ჩამოშორებოდა, შეშვებოდა, მაგრამ ეს მას უნდოდა, სხვებს — არა. იგი მათთვის შემოსავლის წყარო იყო, სოლომონს აღარც ფული ჭირდებოდა, აღარც შიშით ცხოვრება, ერჩივნა, ნაშოვნ-დათრეულით გაელია წუთისოფელი, მაგრამ სხვები არ ეშვებოდნენ, რადგან ერთხელ შეტოპა ამ საქმეში, უკან აღარ აბრუნებდნენ, უნდოდათ, ბოლომდე გამოეწურათ, გამოედინათ გამოსადენი. შორეულ აღმოსავლეთში რაღაც დანაშაულის ან გამდიდრების გამო ჩახეტებული წულუკიძე, მაღულარია, ხავთასი, კუხიანიძე, კიზირია და სხვები არსად მუშაობდნენ, არანაირი შემოსავალი არ გააჩნდათ, საქართველოდან არავინ არაფერს უგზავნიდათ, მაგრამ ეს მათ ყოფას არ ეტყობოდა, მდიდრულად, მეფური ხელგაშლილობით ცხოვრობდნენ, რამდენიც სურდათ, იმდენს ხარჯავდნენ, ფული ბლომად ჰქონდათ. სხვანაირად როგორ იქნებოდა, აშორდია იქვე ჰყავდათ, ერთს „წაამუშავებდნენ“ და მოცვიოდა ათასები.

ხარბინში გაჩერება აღარ შეიძლებოდა, ერთხელ გადარჩა, ტყუილი სიმართლედ ჩაუთვალეს, მაგრამ ყოველთვის ასე არ მოხდებოდა, ყველაფერს შეიტყობდნენ და ციხეს ვინ დააჯერებდა. გაიპარა, ციხიდან გამპარავს რატომ გაუჭირდებოდა ქალაქიდან ათესილიყო. აითესა კიდეც — კიზირია, ჯორჯიკია, გეგელია და მებუკე დაედევნენ. უსოლომონოდ ცხოვრება წარმოუდგენელი იყო, სადაც ის, ჩვენც იქ... გეგელიამ მიაგნო, მაგრამ ორივე დაიჭირეს უფაში და ომსკის

ციხეში ჩააყუდეს. გამოძვრა იქიდანაც, თვითონ წერს, სასნაულმა გადამარჩინა, ომსკის ციხიდან გაქცეული რომ არ დამიჭირეს და უკან არ დამაბრუნესო.

უფაში დაჭერის ამბავზე უფრო ვრცლად მოგითხრობთ.

ყველაფერი ერთმა ეჭვიანმა და უნდო კაცმა გადაწყვიტა. არადა, ასეთები რომ არ არსებობდნენ, აშორდიას ვინ ან რა დააკავებდა, შეხედავდი, ვერაფერს იგუმანებდი, მილიონერს ჰგავდა, რაიმეს თუ იტყოდა, არც ამაში ჰყავდა ბადალი. ისე უფრო სიტყვაძუნწობდა, მდიდრებისა და დიდცხოვრებანანახი ადამიანების მსგავსად იქცეოდა, თუმცა ხასიათიც არ ჰქონდა ენაწყლიანი, ბევრმოუბარი.

1906 წლის აპრილში მოსკოვის საერთაშორისო ბანკის ჩელიაბინსკის განყოფილებაში მდიდრულად ჩაცმული, საშუალო სიმაღლის მამაკაცი მივიდა და რუსეთ-ჩინეთის ბანკის ხარბინის განყოფილებიდან ვასილ ზახაროვის სახელზე გადმორიცხული 20 ათასი მანეთი მოითხოვა. პასპორტიც სათანადო წარადგინა ზახაროვისა, საბუთებიც... ბანკის მმართველ რუზანოვს რაღაცატომ არ მოეწონა ეს კაცი, ხომ არიან ადამიანები, რაღაც მეშვიდე გრძნობით რომ გრძნობენ, ეჭვობენ, ფიქრობენ. საბუთსაც აკვირდა კაი ხანს და ბოლოს მომლოდინე კაცის მზერას რომ წააწყდა, უფრო შეეჭვდა. ამიტომ მეორე დღეს დაიბარა ფულის მისაღებად. ზახაროვიც დაყაბულდა, ეკატერინობურგში მივდივარ, ხვალ ამ დროს დავბრუნდები და შემოგივლით, — დაიბარა.

ეჭვიანმა რუზანოვმა რუსეთ-ჩინეთის ბანკის ხარბინის განყოფილებას უდეპეშა, შეგვატყობინეთ, ამა და ამ კაცზე 20 ათასი მანეთი თუ გადმორიცხეთო.

— არა, მასეთი არაფერი მომხდარა! — იყო პასუხი.

ეკატერინობურგში წასული 20 ათასი მანეთის მთხოვნელი, ბუნებრივია, მეორე დღეს არ გამოჩენილა. სოლომონმა მშვენივრად იცოდა — ხვალ მობრძანდით — რას ნიშნავდა,

რაღაც საეჭვოდ მიიჩნიეს, შეამოწმებენ, გასინჯავენ და აღმოჩნდება აღმოსაჩენი.

არც მისულა, მაგრამ ის ვეღარ იანგარიშა, რომ რუზანოვი ამით არ დაკმაყოფილდებოდა — ახლომდებარე ქალაქების ბანკების მმართველებსაც დაუგზავნა შეტყობინება — ასეთი და ასეთი კაცი ყალბი საბანკო საბუთებით ცდილობს ფულის აღებასო და ჩელიაბინსკის მაზრის პოლიციის უფროსსაც აცნობა მომხდარი. ამან კიდევ ძებნა გამოაცხადა ზახაროვზე და სხვა მაზრების პოლიციასაც აცნობა ყველაფერი.

უფაში რომ მივიდა ზახაროვად გვარგადარქმეული აშორდია, იმ წუთას იცვნეს — ხელზე ოქროსძეწკვიანი ოქროს საათი უბრწყინავდა, ოქროს პორტსიგარიც დააძრო მრავალმნიშვნელოვნად.

უფის ვოლგა-კამის ბანკის განყოფილებაშიც 20 ათას მანეთზე წარადგინა საბუთები, აქაც ზახაროვად გააცნო თავი და ფულის მიღებას დაელოდა.

— ახლავე მოგართმევთ! — უთხრა მმართველმა, გავიდა მეორე ოთახში და პოლიციას შეატყობინა.

ზედმეტი დავიდარაბის გარეშე დააპატიმრა უფელმა პრისტავმა და ჩასვა ციხეში. გაირკვა, ციმბირის სავაჭრო ბანკიდანაც ჰქონია ყალბი საბუთებით და ჯამბატოვის გვარით 20 ათასი მანეთი აღებული, ამიტომ უფიდან ომსკის ციხეში გადაიყვანეს, იქაური ამბის უკეთ გამოსარკვევად და გამოსაძიებლად.

ომსკის ციხეში დაახლოებით იგივე მოიმოქმედა, რაც ბაქოში. ციხის უფროსმა აშორდიას ხელით დაწერილი გამომძიებლის განკარგულება მიიღო: ჯამბატოვი, იგივე ზახაროვი 10 ათას მანეთად თავდებითაა განთავისუფლებულიო.

ან ეძინა, ან თავს იმძინარებდა, რომ შევედი და ეს ამბავი ვაცნობე, — ამბობდა ციხის უფროსი, — მშვიდად იქცეოდა,

საეჭვო არაფერი შემიმჩნევია, ნივთების წასაღებად ხვალ მოგაკითხავთო, მითხრა და წავიდა.

ანდა, საეჭვო რაღა უნდა ყოფილიყო — თავისივე ხელით დაწერა განთავისუფლების ბრძანება და რა შეაეჭვებდა?!

ესეც მეორე უკანონო განთავისუფლება აშორდიასი.

ისე, ამ ამბავს უფრო მტკივნეულად იხსენებდა, არ ვიცი, როგორ გადავრჩი, როგორ ვერ მიმიხვდნენ და უკან არ მიმაბრუნესო. ბაქოდან ათესვა ათწილ ლოგიკური და გათვლილი ეჩვენებოდა, ვიდრე ომსკის ციხიდან თავდაღწევა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე თვლიდა, ჩვენც მას დავუჯეროთ. მერე ჩიტაში დასახლდა, იქ კიზირია არ შორდებოდა, სადაც წავიდოდა, მიჰყვებოდა, რამეს აყალბებდა, საქმის კურსში იყო. ერთი სიტყვით, ერთი ვიღაც ყოველთვის ახლდა, ჯერ ერთი, უიმისოდ რომ არაფერი მოემოქმედნა და ქართველები მშრალზე არ დაეტოვებინა და მეორეც — საერთოდ არ აეღო ხელი ყალბისმქნელობაზე. ამით მას არაფერი დააკლდებოდა, დანარჩენ იქაურ ქართველებს კი ულუკმაპუროდ დატოვებდა.

ჭირდებოდათ, დასდევდნენ, მის ყოველ ნაბიჯს თვალს ადევნებდნენ.

იყო თვალმისადევნებელი, გასაფრთხილებელი...

გამყალბებელი გამოძახებით

1907 წლის მაისში, მისიონერთა ქუჩაზე, შეველიევის ვეებერთელა სახლთან სამი უცნობი მამაკაცი მივიდა. ერთი ებრაელს ჰგავდა, წითური, ჩოფურა, გრძელსახიანი, მოუსვენარი და დაქიჩმაჩებული ტიპი სახლის წინა მოედანზე გადი-გამოდიოდა, თვალებში ეშმაკები უხტოდა, სახე უოფლიანდებოდა, წვეთები ჩამოკიდებოდა ჟღალ წვერზე... მაგ-

რამ მაინც არ ჩერდებოდა. ორნი გაუნძრევლად იდგნენ დიასახლისის მოლოდინში. ისინი კავკასიელებს ჰგავდნენ — ყოველ შემთხვევაში, ერთი ებრაელად და ორი ქართველად მიიჩნია კრასიკოვამ. სამივენი ყურადღებით ათვალიერებდნენ შეველიევის სასახლეს და მის გარშემო ფეტვის მარცვლებივით მიმოფანტულ ქოხმახებს. აშკარა შეუსაბამობა იყო, აქეთ — სასახლე, იქით მიწას გართხმული სახლები.

ეკატერინე კრასიკოვას თვალში არ მოუვიდა ებრაელის სიფათი, წუწურაქ ხალხთან მექნება საქმეო, — გაიფიქრა და ყურადღებით მოუსმინა მოსულებს. საწყობად გამოსადეგი ბინის დაქირავება სურდათ, რაღაც საქონელი შევიძინეთ და ამისთვის გვჭირდებაო, — განუცხადეს. შეთანხმდნენ, შეველიევის სახლში ერთი მოზრდილი ოთახი დროებით დაისაკუთრეს და შეუდგნენ საქმეს. ყარაულად ვიღაც ჩინელი მიუჩინეს დაქირავებულ ფართს, ეს ჩინელი ჩაწერეს და გააფორმეს კიდეც სახლის ამ ნაწილის განმგებლად. თავიანთი ვინაობა არ გაუმხელიათ, არც სახლის პატრონი დაინტერესებულა და გამოუკითხავს რაიმე. ორი თვით დაიქირავეს ოთახი, თანაც კარგ ფასზე შეთანხმდნენ. გამქირავებელიც და დამქირავებელიც კმაყოფილი დარჩა.

ოთახს ფარდები ჩამოაფარეს, ჩააბნელეს და ჩაალუსკუმეს. ინდიკოტის, კავერკოტის, შელიოტის, ბოსტონის მაუდისა და დრაფის ქსოვილის დიდ მორგვებს მიათრევდნენ, ჭრიდნენ, პატარ-პატარა ნაწილებად ფუთავდნენ და სადღაც მიჰქონდათ. გარედან გრძელ ხვეულებს ორი-სამი კაცი გაჭირვებით მოაპორწიალებდა, შიგნიდან ერთს გამოჰქონდა ადვილად.

ორი თვით დაიქირავეს ოთახი, მაგრამ ორ კვირაში აიბარგნენ. ქალბატონ კრასიკოვას გული დაწყდა, კლიენტი ისევ საძებარი გაუხდა. ამათ ნახევარი თვის საფასური გადაუ-

ხადეს, ვაჭრობა არაფერს ტოვებსო, — მოიმიზეზეს და სახეზე უკმაყოფილებააღბეჭდილები გაეცალნენ იქაურობას. იმ დროს სახლის პატრონს კიდეც შეეცოდა გაწბილებული და უიღბლო საქმოსნები, მაგრამ როცა შეიტყო, რაც ხდებოდა თურმე სინამდვილეში, ინანა, ორივე თვის ქირა უნდა გადამეხდევინებინა ამ თაღლითებისათვისო.

ბინა დაიქირავეს, მოიტანეს ყალბი კონოსამენტებით დათრეული საქონელი, როგორც სურდათ, ისე დაანაწილეს, დაახარისხეს, შეფუთეს, მიფუთეს, მოფუთეს, მელნით რაღაც დააწერეს და აითესნენ.

კრასიკოვა შეცდა. ბინის დამქირავებელთაგან ორი ნაღდად არ იყო კავკასიელი, ანანია ნოვაკი და ბრონისლავ კროკოვსკი ფოტოებით ამოიცნო, დაბეჯითებით განუცხადა გამომძიებელს, ესენი ნაღდად იყვნენ, მესამე ვერ მოძებნა იმ უამრავ სურათში, მართლმსაჯულების წარმომადგენელმა რომ დაულაგა მაგიდაზე.

სავარაუდოა, იგი ქართველი ყოფილიყო, მაგრამ კონკრეტულად ვინ, ამით არავინ დაინტერესებულა.

1907 წლის მარტში ვლადივოსტოკში მცხოვრებმა მილიციის პრაპორშიკმა სოკრატ იოსელიანმა ჩიტაში რამდენიმე დეპეშა აფრინა: არიქა, სამუშაო გამოჩნდა, იქნებ ვინმე გამომიგზავნო, რომ დავასაქმოო. არც ის იყო ნათქვამი, რა სამუშაო და როგორი პირობები იყო. სამუშაო გამოჩნდაო და მორჩა, ეს ერთგვარი პაროლი გახლდათ, მიმღებმა გაიგო, რაშიც იყო საქმე. ძვირფასი სოკრატი ჩიტადან სოლომონ აშორდიას იწვევდა, მისთვის სამუშაო, საქმე გაჩენოდა...

ჰოდა, გვაჩის ძეც ხომ არ დააყოვნებდა. მარტის ბოლოს, კიზირიასთან ერთად ჩავლადივოსტოკდა და სასტუმრო „როსიაში“ დაბინავდა, მერე ორივენი „ზოლოტოი როგში“ გადავიდნენ, სადაც სოკრატმა მას ბეჟან ბერეჟიანი გააც-

ნო, რომელმაც უთხრა, ბანკში მყავს ორი თანამშრომელი, რომელთაც შეუძლიათ ყველა იმ საჭირო დოკუმენტებით მოგამარაგოთ, რის გაიმასქნებასაც ისურვებთო. სოლომონმა — კონოსამენტები გავაყალბოთო. ბერეჟიანი დაყაბულდა, სხვა რა გზა ჰქონდა, რასაც უფალი აშორდია ბრძანებდა, უნდა დამორჩილებოდა. დამორჩილდა, უფრო სწორად, თავის დაკვრით დაეთანხმა და დავალებაც მიიღო — ბანკიდან უნდა მოეტანა რამდენიმე ფირმის კონოსამენტი, უფრო იმათი, რომელთაც დიდი ბრუნვა ჰქონდათ და ხშირად აგზავნიდნენ ძვირფას საქონელს... სოლომონმა მოტანილი საბუთები შეამოწმა, გაჩხრიკა, აწონა, დაწონა და გადაწყვიტა, „კოტლიარევსკი იკ°“-ზე შეჩერებულიყო. დაწერა კიდეც 30 ცალამდე ამ ფირმის მსგავსი კონოსამენტი. ამ ქაღალდებით 40 ათასი მანეთის საქონლის დათრევა შეიძლებოდა. საქონელს დაითრევდი, ფულად აქცევდი, ფულს კიდევ, როგორც გსურდა, ისე მოიხმარდი.

შვიდი თუ რვა კონოსამენტი დომენტი ღლონტს, ასათიანის გვარით რომ ცხოვრობდა ვლადივოსტოკში, გადასცეს. მან 10 ათასი მანეთის საქონელი მიიღო, გაყიდა და აშორდიას კაპიკი არ მისცა. გაბრაზდა გამყალბებელი სოლომონი და ბერეჟიანს უფრო საიმედო ვინმეს მოძებნა თხოვა. აფხაძე შესთავაზა იოსელიანისგან მოგზავნილმა კაცმა — „ვერხნე პოლოგის“ ქუჩაზე, ცოლქმარ ანანია და ანა ნოვაკებთან ცხოვრობს, მათთან აქვს, აგრეთვე, ბინა ბრონისლავ კროკოვსკის, სამივე სხვადასხვა რჯულის საქონელს ჰყიდის და მათი მეშვეობით აფხაძეს არ გაუჭირდება საქმის მოგვარებაო. შეთანხმდნენ, სოლომონმა კიდევ გამოაცხო კონოსამენტები, რომელთა მეშვეობით აფხაძემ დაითრია საქონელი, ნაწილი ხაბაროვსკში გაგზავნა, ნაწილი გაყიდა, სოლომონი ამანაც ფეხებზე დაიკიდა, შაური არ არგუნა. ერთხელ მოატყუეს, უფრო — გადააგდეს, მეორედაც ასე

მოექცნენ. ეს იყო თავი და თავი — ნამდვილს დამსგავსებული ყალბი კონოსამენტის გარეშე ხომ ვერას გახდებოდნენ, მაგრამ საბუთს რომ ხელთ იგდებდნენ, მთავარი გმირი ავინყდებოდათ, საქონლის მიმღებს ან გამყიდველს აძლევდნენ ფულს, სოლომონს — არა. ერთხანს ესეც ითმენდა, არაერთხელ დამართნოდა ამგვარი რამ, ბევრჯერ მოეტყუებინათ, გადაეგდოთ, მაგრამ უიმისოდ ვერას იქმოდნენ, ბიჯსაც ვერ დგამდნენ, დაჭირდებოდათ, დაუძახებდნენ, ეს შეუცვლელი იყო, ისინი — არა, ვილაც-ვილაცებს კიდეც რომ მოეტყუილებინათ, არაფერიც არ მიეცათ, საერთო ჯამში ამას მაინც მეტი რჩებოდა.

კონოსამენტი საზღვაო გადაზიდვების ხელშეკრულებისა და ტვირთის გადატანის პირობებს ითვალისწინებს. წარადგენ ამ საბუთს, მიიღებ იმ საქონელს, რაც მასშია ჩამოთვლილ-ჩამოწიკწიკებული.

სოლომონ აშორდია და მისი მოძმეები უფრო ე. წ. ორდერულ კონოსამენტს აყალბებდნენ. ეს კიდევ კონოსამენტის ის სახეა, როცა ბანკის ბრძანებით ხდება ტვირთის გადაცემა.

ჯერ კიდევ წინასწარი ძიების დროს გახდა ცნობილი, რომ 1907 წლის 4, 19, 21, 23, 26 მაისსა და 1 ივნისს ვლადივოსტოკის მოხალისეთა ფლოტმა გემების „კოსტრომისა“ და „კიევის“ მეშვეობით ოდესიდან სავაჭრო სახლ „კოტლიარევსკი ი კ°“-საგან გაგზავნილი 25 ათასი მანეთის ღირებულების ათასნაირი მანუფაქტურული ნაწარმი ჩამოიტანა ვლადივოსტოკში, რომელიც 20 ყალბი კონოსამენტით სხვადასხვა პირმა მიიღო.

ამ კონოსამენტთა ნამდვილი დედნები სავაჭრო სახლმა „კოტლიარევსკი ი კ°“-მ ინკასოსთვის ოდესის საერთაშორისო კომერციულ ბანკს გადასცა, რომელმაც ისევ ინკასო-

ზე რუსეთ-ჩინეთის ბანკის ვლადივოსტოკის განყოფილებას გადაუგზავნა.

ბანკის თანამშრომელმა ლამბრო ანდონოპულომ თქვა, რომ ტვირთის გამგზავნი 20 კონოსამენტის მიხედვით აგზავნიდა საქონელს ოდესიდან ვლადივოსტოკში, იტოვებდა საბუთს, იგივე კონოსამენტებს, რომლებიც იმწამსვე შეეძლო გაეგზავნა ვლადივოსტოკში, მაგრამ ზედმეტი ხლაფორთის თავიდან ასაცილებლად ეს დოკუმენტები ოდესის საერთაშორისო ბანკის მეშვეობით გააგზავნა. ოდესის ბანკს უნდა გაეცა ორდერი, რომლის მიხედვითაც სავაჭრო სახლი ფულს აიღებდა, მაგრამ მისი გაცემა რუსეთ-ჩინეთის ბანკის ვლადივოსტოკის განყოფილებას დაავალა, სადაც ორდერისა და ფულის მისაღებად არავინ მისულა.

ყალბი კონოსამენტების დათვალირების შემდეგ გაირკვა, რომ ისინი მოხალისეთა ფლოტის ვლადივოსტოკის სააგენტოს ტიტულიან ფურცლებზე იყო დაწერილი. გააჩნდა, როგორც ამ ორგანიზაციის, ასევე სავაჭრო სახლის შტემპი, ბანკების ბეჭედი და ორი თანამშრომლის — ობერისა და ბელკეს ხელმოწერა. ყალბ და ნამდვილ კონოსამენტებს შორის ექსპერტებმა მცირე სხვაობა მაინც აღმოაჩინეს, ნამდვილებში ნაწერი უფრო გარკვევით იკითხებოდა, მოხალისეთა ფლოტის დროშაც უკეთესად იყო დაბეჭდილი, სტამბაც მითითებული _ Типо-лит. Н. Евстафиев С. П. Б. ეწერა. ამის აღნიშვნა ძმებს — სოლომონ და მიხეილ აშორდიებს დავიწყებოდათ ან კიდევ, საჭიროდ არ მიეჩნიათ. ნამდვილ კონოსამენტებზე პატარა ფურცელი იყო მიკრული თანხის გადარიცხვის ჩვენებით, ყალბზე — არა. ასე რომ, თუ მოინდომებდნენ, უფრო ზუსტად, სამსახურებრივ მოვალეობას პირნათლად შეასრულებდნენ, თაღლითობის კვალს ადვილად იპოვნიდნენ. განგებ ბრმავდებოდნენ, რათა ენახათ სარგებელი, მიეღოთ ის, რასაც კანონიერად ვერანაირად მი-

იღებდნენ. ისიც აშკარაა, აფიორა ბანკის თანამშრომელთა მონაწილეობის გარეშე ვერ განხორციელდებოდა. ლამბრო ანდონოპულომ უთხრა გამომძიებელს — ამ პერიოდში სასაქონლო დოკუმენტების საქმეს ბანკში დიმიტრი ძნელაძე აწესრიგებდაო.

გამოდის, მომხრე კი არა, თანამზრახველი ჰყოლიათ სოლომონსა და მის მოძმეებს შიგნით, ამიტომაც ადვილად ტეხავდნენ ციხეს.

ნამდვილი კონოსამენტებიც ისე ეყარა თურმე მაგიდაზე, რომ ნებისმიერს შეეძლო აეღო, წაეღო, მერე ან დაებრუნებინა, ან სულაც — სადღაც გადაეგდო, — ესეც ლამბრო ანდონოპულოს ნათქვამია.

ოდესიდან ვლადივოსტოკში გაგზავნილი საქონელი ნეჟინეცკის, პოგორელოვს, ტენ-ხო-შენს, კრავჩენკოს, ძმებ სირნიკოვებს და სტანიშევსკის უნდა მიეღოთ, ნამდვილი კონოსამენტები და ორდერები ოდესის საერთაშორისო ბანკში მათ სახელზე იყო გამოწერილი, მაგრამ ამათ მაგიერ ჩამოვლადივოსტოკებული ტვირთი გრომოვმა, ელისეევმა, ჟურავლიოვმა და დავიდოვმა აიღეს. არც ერთი ეს გვარი ნამდვილი არ იყო, უბრალოდ, ნოვაკს, კროკოვსკის და არგირატოსს დაერქმიათ და საბუთებიც შეედგინათ შესაბამისი.

ნეჟდანოვი და პოგორელოვი დაკითხეს, სხვებით არც დაინტერესებულან, ისედაც ნათელი იყო ყველაფერი. ჩავედით ოდესაში, სავაჭრო სახლ „კოტლიარევსკი ი კ°"-საგან ვიყიდეთ საქონელი, გამოვგზავნეთ ვლადივოსტოკში, ჩამოვედით, წაღებული დაგვხვდა. ვიღაცებს ყალბი კონოსამენტებით დაუთრევიათ, ჩვენი საბუთების ნამდვილობაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ რაც გვეკუთვნის, არსად ჩანს, დავიქეცით პატიოსანი ხალხი, — გულზე მუშტების ბრაგუნით ყვებოდნენ ორივენი.

მოხალისეთა ფლოტის ვლადივოსტოკის სააგენტოს თა-

ნამშრომლებმა — ზიმინმა, ადამსკიმ და შილინმა — სიზ-მარშიაც ვერ წარმოგვედგინა, თუ ვინმე ყალბი დოკუმენ-ტებით წაიღებდა ტვირთს, საბუთს გულდაგულ არ ვამოწ-მებდით, უბრალოდ დავხედავდით, ვატანდით, რომ გვა-ნახვოთ ის ხალხი, ვერ ვიცნობთ, — სამეულიდან ორმა — ადამსკიმ და შილინმა თქვეს, ზიმინ-ზამთარაძე უფრო ყუ-რადღებიანი და უკეთესი მხედველობითი მეხსიერების პატ-რონი აღმოჩნდა, სურათზე გრომოვად თავის გამსაღებელი ანანია ნოვაკი ამოიცნო, ბოლო დროს სულ ეს კაცი მოდიო-და, მოჰქონდა საბუთები, ყალბი თუ იყო, რა ვიცოდით, ვა-ტანდით კუთვნილს, რომელიც, თურმე, სხვისი ყოფილა, — უთხრა გამომძიებელს და კოლეგებს მედიდურად გადახედა — აქაოდა, თქვენზე მეტიც ვიცი და შემიძლია კიდევაცო.

იოსებ აფხაძეს კოსტუმის ჯიბეში ამ თაღლითობასთან დაკავშირებული ანგარიშები, მიღების ხელწერილები და სხვა დოკუმენტები უპოვნეს, ხოლო ცოლქმარ ანანია და ანა ნოვაკებთან, ვისთანაც იგი ცხოვრობდა, ნახეს მოზრდილი სკივრი და იაპონური კალათა ახალთახალი შალის, მატყლის, მაუდისა და დრაფის ქსოვილებით სავსე.

ეტყობა, გასაღება ვერ მოასწრეს, თუმცა გაყიდვით საკ-მაოდ გაყიდეს, ფული აიღეს, არათანაბრად გაანაწილეს, იმას, ვის გარეშეც ვერაფერს გახდებოდნენ, კაპიკიც არ არ-გუნეს, დანარჩენებმა ბლომად ჩაიჯიბეს.

სოლომონ აშორდიამ ბოლოს საერთოდ გადათქვა ყვე-ლაფერი, წინასწარი ძიების დროსა და აღსარებაში გამხე-ლილი დანაშაულიც უარყო — აქაოდა, ამ საქმეების, მითუ-მეტეს ყალბი კონოსამენტების, არაფერი ვიცი, მონაწი-ლეობა არ მიმიღია, თქვენ კიდევ არ გაქვთ უფლება, სხვისი დანაშაული დამაბრალოთ, მომაწეროთ. ერთი სიტყვით, რომ იტყვიან, ქვა ააგდო, თავი შეუშვირა, სასამართლო პროცეს-

ზეც იგივეს გაიძახოდა და მართალია, მთლიანად არა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც მიაღწია საწადელს.

იცოდა, რა დროს რა ეთქვა, სიტუაციის დარად როგორ მოქცეულიყო, რა გაემხილა, რა დაეფარა, რისგან რას გამორჩებოდა. დანაშაულისათვის ბევრჯერ თავარიდებულს ყოველივე გაზომილ-აწონილი ჰქონდა და მოქმედებდა ამ პრინციპით, ამბობდა იმ დროს, როცა უშველიდა. თუ არადა, გაჯიქდებოდა, უამრავ არგუმენტს მოძებნიდა სათავისოდ და მართლმსაჯულების წარმომადგენლებს დააბნევგააშტერებდა, კაბინეტსა თუ სასამართლო დარბაზში წინ და უკან სიარულს დააწყებინებდა.

სოლომონი ბევრს ფიქრობდა, მოსამართლეები — ცოტას და უხაროდა, როცა იმათ დაჯაბნიდა, ნერვებს აუწეწავდა... სასამართლო სხდომაზე ააწრიალებდა...

დომენტი ღლონტმა ყალბი კონოსამენტებით საქონლის დათრევის ფაქტი აღიარა, დამნაშავეთა ერთი ნაწილი ჩაუშვა — სოლომონ აშორდია, ბეჟან ბერეჟიანი და ბრონისლავ კროკოვსკი მონაწილეობდნენ ამ საქმეშიო — განაცხადა. სხვები დაინდო, ესენი გაწირა. ორი ვაგონი საქონელი გავგზავნეთ ხაბაროვსკში, ნაწილი აქვე, ვლადივოსტოკში გავყიდეთ, მცირეოდენი გაუსაღებელი დაგვრჩა, სოლომონი სასტუმროში წერდა ყალბ კონოსამენტებსო და ა.შ.

იოსებ აფსაძემ თავიდან სხვა, მერე კიდევ დიამეტრალურად განსხვავებული აზრი მიაწოდა მოსამართლეებს. დიმიტრი ძნელაძემ — 1907 წლის იანვრიდან სასაქონლო განყოფილებაში ვმუშაობდი რუსეთ-ჩინეთის ბანკის ვლადივოსტოკის განყოფილებაში, მანამდე კი ინკასოები მებარა. ასე რომ, ამ დანაშაულის ჩადენის დროსა და მომენტში კონოსამენტებთან არაფერი მესაქმებოდაო.

რატომ ვიხსენებთ მათ ნათქვამს ასე დაწვრილებით?

უპირველეს იმის გამო, რომ, სოლომონ აშორდიას გარ-

და, ყველანი გაუაზრებლად მოქმედებდნენ, ამბობდნენ ტყუილს, აშკარად რომ უჩანდა მოკლე ფეხები, ცნობილი გამყალბებელი კი წინასწარ მოფიქრებული გეგმითა და განაზრახით მოქმედებდა.

აი, ზოგიერთის ჩვენების ფრაგმენტი:

ანანია ნოვაკი: დამნაშავედ თავს არ ვცნობ, 1907 წლის მაისში ბრონისლავ კროკოვსკისაგან, რომელსაც მანამდეც ვიცნობდი, შევიძინე 1600 მანეთის სხვადასხვა მანუფაქტურული ნაწარმი. ივნისში ნიკოლსკ-უსურიისკში წავედი, რათა საქონლის პატრონ კროკოვსკისათვის ვალი დამებრუნებიინა. იქ გავიგე, ჩემი ბინა გაუჩხრეკიათ, ბრონისლავმა ისიც მითხრა, რომ ეს საქონელი ყალბი საბუთებით იყო მოპოვებული. შევშინდი, ავღელვდი, ნაცნობმა და ახლობელმა კროკოვსკიმ გვარის შეცვლა შემომთავაზა — შემიდგინა საბუთები და ნოვაკი ნეკრასოვად გარდავისახე.

ბრონისლავ კროკოვსკი: დამნაშავედ თავს არ ვცნობ. ყალბი კონოსამენტებით საქონელი არასდროს მიმიღია, არც ნოვაკისათვის მიმიყიდნია რაიმე. აფხაძეს და გენრიეტა შეერს ჩემი ხელნაწერი ანგარიშები და სხვა საბუთები საიდან ჰქონდათ, არ ვიცი. ნოვაკთან ერთად ნიკოლსკ-უსურიისკში კაფე-შანტან, „ერმიტაჟში“ ვმუშაობდი. ყოველთვის და ყველგან ჩემი გვარით ვმოქმედებდი, ნოვაკი ნოვაკიც იყო, ნეკრასოვიც, იქნებ დედის გვარია და ამიტომ ირქმევდა ხოლმე, მიზეზს, ზუსტს და ნაღდს, ვერ გეტყვით...

გენრიეტა შეერი: თავს დამნაშავედ არ ვცნობ. ჩემთან ნაპოვნი ანგარიშის ასლები ვიღაც ბატონმა, რომლის დასახელებაც არ შემიძლია, მომიტანა და მთხოვა, გადამეწერა. ასეთი რამ ხშირად მომხდარა, მოიტანდნენ რაღაცას, მთხოვდნენ გადაწერას და გასამრჯელოდ ხან 15, ხან კიდევ 20 მანეთს მაძლევდნენ. ამის შესახებ სოკრატმა არაფერი იცოდა, არც ახლა იცის და ა.შ. და ა.შ.

ასე განსხვავდებოდა ერთის ნათქვამი მეორისაგან, მეორისა მესამისაგან და ასე დაუსრულებლად. ეს ჩვენებანიც რომ სრულად მოგვეტანა, აკუტაგავა რიუნოსკეს „უსიერი ტყის“ არქიტექტონიკას კიდევ ერთხელ გავიმეორებდით.

მართლაც...

სადაც ბევრი ფული ნახა

1907 წლის 7 ივნისის დილა ჩვეულებრივად დაიწყო რუსეთ-ჩინეთის ბანკის ვლადივოსტოკის განყოფილებაში. თანამშრომლები საქმეს შეუდგნენ. ვიღაც მოვიდა, ქალაქის მმართველობის ჩეკი წარმოადგინა, 30 ათასი მანეთი იყო გასანაღდებელი. მოვიდა ჩვეულებრივად, რიგში ჩადგა, საბუთები მიაწოდა, არც ღელვა ეტყობოდა, ყოველ შემთხვევაში, ბანკის თანამშრომელს ამგვარი არაფერი შეუმჩნევია. გამოართვა დოკუმენტები, შეამოწმა, შეავსო და მოლარეს გადასცა, იქაც რიგი დაიკავა 30 ათასი მანეთის გასატანად მოსულმა კაცმა, იდგა კარგა ხანს, იდგა, უცდიდა სხვებს, ნელ-ნელა მიდიოდნენ, ფულს იღებდნენ, ითვლიდნენ, საგულდაგულოდ ინახავდნენ და გადიოდნენ ბანკიდან.

ეს ელოდა, ელოდა, როგორც სხვები და ერთი-ორი კაცი რომ დარჩა მის წინ, ისე გაქრა, ვერავინ შეამჩნია. თუ იცდიდა, ბოლომდე რატომ არ დაელოდა, თუ არადა, ათი-თხუთმეტი წუთი რაღა იყო, სადაც ამდენ ლოდინს გაუძლო, ბარემ ცოტაც მოეთმინა, მისცემდნენ ფულს, დათვლიდა, სხვებივით საგულდაგულოდ შეინახავდა და გამოვიდოდა შენობიდან. არა, არ დაელოდა, ის-ის იყო, ფული უნდა აეღო, ამ დროს მიიმალა. მიიხედეს, მოიხედეს, ვერსად დაინახეს, უცადეს ერთი, ორი, სამი საათი, არ გამოჩნდა, დარჩა ოცდაათიათასმანეთიანი ჩეკი გაუნაღდებელი.

— ისე, ამ ბოლო დროს ქალაქის მმართველობას ბევრი ფული გააქვს ბანკიდან, დღეს უკვე მესამედ მოვიდნენ, — თქვა ერთმა.

— ალბათ ჭირდებათ, თორემ ისე რატომ აიტკივებენ თავს, აქ შენახული არ ურჩევნიათ? — ჩაერია მეორე.

— არა, ადრე ათას, ათასხუთას ან ორიათას მანეთს ითხოვდნენ, ახლა რას აკეთებენ ისეთს, ამდენი ფული რომ ჭირდებათ, თანაც ერთიანად გაიტანონ, დღეში სამჯერ, ნაწილ-ნაწილ რომ გააქვთ... — ისევ დააკითხვისნიშნა პირველმა.

— ჭირდებათ ალბათ, — აზრი არ შეუცვლია მეორეს.

— თუ ჭირდებათ, ბარემ ათი წუთიც მოეცადა მამაცხონებულს, მივცემდი, წაიღებდა, ჩეკი მომიგდო და დაიკარგა.

— გამოჩნდება, სად დაიკარგება. — დააიმედა მეორემ.

ბუნებრივია, ეჭვი გაჩნდა, ვიღაც მოვიდა, ჩეკი მოიტანა და ფულის აღებას არ დაელოდა, ასეთი რამ ხომ იშვიათად, უფრო ძალიან იშვიათად ხდება. საბუთებს დახედეს, თვალის გადავლებით საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს, ყველაფერი წესრიგში იყო, ქალაქის თავის — ციმერმანის, ბუღალტერ სტეციუკის და მმართველობის წევრ კრასოვსკის ხელმოწერა გარკვევით იკითხებოდა, ბეჭედიც კარგად აჩნდა, წინანდელებს ჰგავდა, გაცუდების კვალს ნაკლებად იგუმანებდი.

მაინც ვერ მოისვენეს, ისევ შეამოწმეს და აღმოჩნდა, ოთხ ივნისს ორჯერ — 14000 და 7800 და 1000-1000 მანეთი გაეტანათ, ექვს ივნისს — 16 და 22 ათასი, 7 ივნისს კი სამჯერ, ერთხელ 1500, მეორედ 28 და მესამედ 19 ათასი მანეთი გაეტანათ ბანკიდან, მეოთხედ კიდევ, იმავე დღეს, 30 ათასის წასაღებად მისულიყვნენ. სამი დღის განმავლობაში 140300 მანეთის მოთხოვნა არ იყო ჩვეულებრივი ამბავი. მართალია, ბოლო ჩეკი არ გაუნაღდებიათ, 30 ათასი არ გაუტანიათ, მაგ-

რამ 110300 მანეთი ცოტა იყო?! გაირკვა, ჩეკებიც არ ყოფილა სწორად გადანომრილი, იგივე №85994-ით ქალაქის მმართველობას იმავე 7 ივნისს 1500 მანეთი გაეტანა, ხოლო ამავე ნომრით, ოღონდ 6 ივნისს, 16 ათასი მანეთიც იყო გატანილი. №5992 და №5993 ჩეკებს თარიღები არ ჰქონდა, ერთ შემთხვევაში მათი მეშვეობით 1000-1000 მანეთი, ხოლო მეორეჯერ, იგივე გადანომრით, 7800 და 14000 მანეთი იყო გატანილი.

ყველაფერი ნათელი გახლდათ, სიყალბე აშკარად იკვეთებოდა, მაგრამ დასარწმუნებლად ქალაქის მმართველობას მიაკითხეს, ციმერმანმა — ჩემს ხელმოწერას ჰგავს, მაგრამ ჩემი არააო, კრასოვსკიმაც იგივე თქვა, სტეციუკმა ხელები გაასავსავა, თავს მოვიკლავ, ფაქსიმილე ყალბია, 1500 და ათასმანეთიანი ჩეკები ჩვენია, ნაღდი, ესენი კიდევ გაიმასქნებულიო. ამას დაემატა ისიც, რომ ქალაქის მმართველობაში გადანომრილი ჩეკები (5994-დან 6035-მდე ანუ ერთი შეკვრა) ხელუხლებელი აღმოჩნდა. ამან კიდეე უფრო ცხადი გახადა ყოველივე. ერთი სიტყვით, რუსეთ-ჩინეთის ბანკის ვლადივოსტოკის განყოფილებიდან, სამი დღის მანძილზე, ოთხიდან შვიდი ივნისის ჩათვლით, 7 ყალბი ჩეკით 106.800 მანეთი გაიტანეს.

ბანკის თანამშრომელმა ლეპნერმა აქეთ-იქით ატრიალა ყალბი ჩეკები და განაცხადა, ერთი შეხედვით, ყველაფერი წესრიგშია, ასე ზუსტად როგორ, რანაირად მიამგვანეს. დღეს კიდევ ვიღაც მოვიდა, 30 ათასი მანეთის განაღდება მოითხოვა, მაგრამ მერე სადღაც მიიმალა, ეჭვი რომ გამჩენოდა, დავაკვირდებოდი, სახეს დავიმახსოვრებდი, მე უფრო იმან გამაოცა, ქალაქის მმართველობას რომ ხშირად გაჰქონდა ფული, თორემ სიყალბეს ვერც ვიფიქრებდი, ვერც წარმოვიდგენდიო.

ვლადივოსტოკის მესამე ნაწილის პრისტავმა კრუშევანმა გაიკითხა რაღაც-რაღაცები, იმას ჰკითხა, ამას მოუსმინა და

გაარკვია, რომ ბანკში მომხდარ ამბებში ქართველები ერევნენ, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი, მთელ კავკასიასა და იმპერიაში გამორჩეული გამყალბებელი სოლომონ აშორდია, იგივე სოტიევი იყო. ისიც გაიგო, ეს კაცი „ხარკოვის ნომრებში" ცხოვრობდა, ზუსტად 7 ივნისს მეგობარ ნინა ჯოხაძესა და სპირიდონ არგირატოსთან ერთად დატოვა ვლადივოსტოკი და გაურკვეველი მიმართულებით გაუტია.

8 ივნისს პოლიციელებმა ვლადივოსტოკიდან ჩიტაში ექსპრესით მიმავალი სოლომონ აშორდია და ნინა ჯოხაძე დააკავეს. პირველმა — მიხეილ ბერიძე გახლავართო და გაუწოდა პასპორტი, მეორე კიდევ საგულდაგულოდ გაჩხრიკეს და უხერხულ ადგილებში 9600 მანეთი და 63 კაპიკი აღმოუჩინეს. ფული ჩემიაო — ლამაზმა ქალბატონმა, ვწვალობ, ნარდად ვმუშაობ, ვაგროვებ, მინდა ქმარ-შვილი მყავდეს, ოჯახი შევქმნა, ეს კიდევ კარტს თამაშობს რესტორნებსა და სასტუმროებში, დღეს ბევრი აქვს, ხვალ არაფერი, ამიტომ ვუმალავდი, თორემ რა გვჭირს გასაყოფი, მოგვწონს, მგონი — გვიყვარს კიდეც ერთმანეთიო. ასეთი იყო სოლომონისა და ნინას ნათქვამი ექსპრესშივე, მერე სხვა, მერე კიდევ სხვა თქვეს, წინანდელთაგან განსხვავებული, უფრო სინამდვილეს და რეალურ ვითარებას მისადაგებული. მაგრამ რაც თქვეს და დაყაჭეს, თქვეს ისე, რომ ერთმანეთი არ გაუწირავთ, არ ჩაუშვიათ, აქაც იგრძნობოდა მათი სიყვარული, ვლადივოსტოკიდან ერთად გადაკარგვაშიც, რა თქმა უნდა.

* * *

ახლა უკან დავბრუნდეთ, ამის წინ მომხდარი ამბები გავიხსენოთ. თანამოსაქმეებისაგან ორჯერ გადაგდებული სოლომონი ავად გახდა, არა უფულობის გამო, ნერვებმა უმტყუნა. იწვა სასტუმროში, მიდიოდნენ მნახველები ხშირად, იო-

სელიანი, ბერეჟიანი, ღლონტი და ამშვიდებდნენ, ანუგეშებდნენ. სოკრატს, გვარად იოსელიანს, ერთი ქალი საგანგებოდ მიჰყავდა, ერთხელ ანახა, მეორედ... მოეწონა მწოლიარეს, მნახველსაც ისე ჩაუვარდა გულში, რომ თავისთან, სასტუმრო „ხარკოვის ნომრებში" გადაიყვანა, ჯერ მისსავე ოთახში დააწვინა, გამოჯანმრთელებული კი გვერდით მოათავს-მოაკალათა.

ნინა ჯოხაძე აზნაურ იაშვილის ქალად ასაღებდა თავს, სინამდვილეში გლეხის — ხოსია გიორგის ძე იაშვილის შვილი იყო, ქმრის გვარს ატარებდა, რომელიც არ ჰყავდა. კარგა ხანია, რაც ვლადივოსტოკში ცხოვრობდა, გენერლებსა და მაღალჩინოსნებთან ტრიალებდა, საქმეებს აგვარებდა სათავისოს და სასხვისოს. ზოგი მასზე ნადირობდა, ზოგს, პირიქით, ეს ჩანგლავდა, სოლომონიც ახალი ნანადირევი გახლდათ ნინასი ან კიდევ პირიქით, ჯოხაძის ქალი დაითრია სოლომონმა. ერთმანეთი მოეწონათ, ცხრა წლით იყო უფროსი ქალი კაცზე, მაგრამ ისე მომხიბვლელად გამოიყურებოდა, გვაჩის ძე და სკვამის (სკვამი მეგრულად ლამაზს ნიშნავს) შვილიშვილი დანახვისთანავე მოინუსხა, მერეც არ განელებია პირვანდელი გრძნობა, ცდილობდა, როგორმე დაეხსნა მართლმსაჯულებისაგან გულში ჩავარდნილი მშვენიერი სქესის მშვენიერი ქალბატონი.

ნინა ჯოხაძესთან ვერთობოდიო, — წამოცდა თუ გააზრებულად განაცხადა სოლომონ აშორდიამ სასამართლო პროცესზე. ამის გამგონე ჯოხაძის ქალბატონს ტირილი აუვარდა და მეხდაცემულივით გავარდა გარეთ. ამიტომ, შეიძლება ერთმანეთი უფრო ჭირდებოდათ, ვიდრე უყვარდათ, თუმცა ახლოს რომ იყვნენ, აშკარაა. მერე გვაჩის ძემ ნინას ქალიშვილი თამარა შეირთო ცოლად, ყოფილი გულის ვარდი სიდედრად იქცა, მაგრამ ეს შემდეგ მოხდა, ამ ამბების გასრულებისა და ციხეების კაი გვარიანად ხეხვის მე-

რე. ჯოხაძეს სასამართლოზე ყველა ქართველი მოწმე დაუპირისპირდა, პირდაპირ ეუბნებოდნენ — შენ არც ერთ კავკასიელს არ უყვარხარ იმ საქმიანობის გამო, რომელსაც ეწევიო. ბრალდებული ნინა და მისი ვექილი დაკონკრეტებას ითხოვდნენ — რა საქმიანობას ვეწევი ამისთანასო. მოწმე არ ამბობდა, სასამართლოს თავმჯდომარეც უარზე იყო — ადამიანის ზნეობრივი მხარე ხელშეუხებელიაო, — აცხადებდა. ესენი მაინც დაჟინებით ითხოვდნენ დაზუსტებ-დაკონკრეტებას.

— კავკასიელებს იმიტომ ვძულვარ, რომ მე რუსები მიყვარს, მათ არა, — სხვა მიმართულებას აძლევდა დაკითხვას ჯოხაძის ქალი.

— მაშ, სოლომონი? — ეკითხებოდნენ.

— სოლომონი გამონაკლისია... — პასუხობდა.

ნინა ჯოხაძემდე ვლადივოსტოკში საფრანგეთის ელჩის ქალიშვილი შეუყვარდა. იმას უფრო ჩაუვარდა გულში, ვიდრე — აშორდიას. საფრანგეთში გადაბარგებაც შეთავაზა, წავიდეთ, იქ უკეთესად ვიცხოვრებთ.

ყველაზე კარგად აქ, რუსეთში ვგრძნობ თავს, მეეჭვება ასეთი შტერები ფრანგი მოხელეები იყვნენ, — უთხრა სოლომონმა.

იდავეს, იკამათეს და დროებითი გატაცებაც ამით გასრულდა, ის პარიზში გაემგზავრა, ეს — რუსეთში დარჩა. ელჩმა მთავრობაში იჩივლა, მაგრამ სოლომონის მომხრეთა წყალობით საქმე მიფუჩეჩდა, ჩაიფარცხა.

სასიყვარულო „დანაშაულს“ იოლად დააღწია თავი.

საბანკო აფიორას, გაზეთები affaire Achordia-ს რომ ეძახიან, მივუბრუნდეთ.

გამოჯანმრთელებულმა სოლომონ აშორდიამ ბანკისაგან ორგანიზაციებზე გაცემული ჩეკების გაყალბება გადაწყვიტა. ისევ ბერეჟიანს მიმართა, ამან კიდევ ბანკის ორ თა-

ნამშრომელს, რომელთაც უამრავი განაღდებული ჩეკი გამოატანეს სხვადასხვა ფირმებისა და ორგანიზაციებისა. აშორდიამ კარგად შეისწავლა, გაერკვა, ვის რა რაოდენობის ფული ჰქონდა გატანილი და არჩევანი ქალაქის თვითმმართველობაზე შეაჩერა, რაკიღა ყველაზე მეტი თანხა მიმდინარე ანგარიშზე მათ ჰქონდათ. ერთი სიტყვით, საკმაოდ დიდ ლუკმას დაადგა თვალი. ეს გადაწყვიტა და ქალაქის მმართველობის რამდენიმე ჩეკიც მოართვეს, მათი მეშვეობით ძმებმა აშორდიებმა, მიხეილმა და სოლომონმა, შეადგინეს ახალი ტექსტი, უფრო სწორად, ნამდვილის ასლი, ხელმოწერა მიამგვანეს, ბეჭედი შექმნეს და დაიწყო საქმე.

სოლომონი თანხის მისაღებად ბანკში თვითონ აღარ მიდიოდა, ჩეკებს აძლევდა სხვებს და ისინიც დაუბრკოლებლად იჯიბავდნენ ჩასაჯიბს. 1907 წლის 4 ივნისს 2 ჩეკი „გამოუშვა," უფრო სწორად, ბერეჟიანს გადასცა, მან კიდევ ერთი ნოვაკსა და მეორე ბრონისლავ კროკოვსკის, ექვს ივნისსაც ორი ჩეკი — ერთი თექვსმეტ და მეორე ოცდაორიათასმანეთიანი „გამოჩეკა". პირველი ღლონტმა გაანაღდა, მეორე — ბერძენმა სპირიდონ არგირატოსმა. 7 ივნისს მადამ მოიმატა და ორის ნაცვლად სამი ყალბი ჩეკი „გამოვიდა არენაზე" — პირველი, ცხრამეტიათასმანეთიანი, ისევ ღლონტმა აიღო, მეორე უშუალოდ სოკრატ იოსელიანისთვის იყო დამზადებული და მისი დავალებით თადარიგის პრაპორშჩიკმა მურვანიძემ გამოიტანა, მესამე — ოცდაათიათასმანეთიანის მიმღები სადღაც დაიკარგა.

პირველი გაყოფა ფულისა ანანია და ანა ნოვაკების ბინაში, ვერხნე პოლოგის ქუჩაზე მოხდა. იქ იყვნენ აფხაძე, ნოვაკი, აშორდია და ბერეჟიანი, მაგრამ სოლომონს, როგორც ვთქვით, იმჯერად არაფერი არგუნეს და გაბრაზებული წავიდა. მეორედ სასტუმრო გრანდ-ოტელში შეიკრიბნენ, ამ ამბავს სოლომონის მაგიერ მისი ძმა, მიხეილი ესწრებოდა,

რომელიც დედმამიშვილის საშველად საგანგებოდ ჩამოვიდა ირკუტსკიდან. ამავე დღეს სასტუმრო „ხარკოვის ნომრებშიც“ უნდა მოეყარათ თავი, სოლომონმა ძმა გრანდოტელში გაუშვა, თვითონ „ხარკოვის ნომრებში“ მოწყობილ განაწილებაში მიიღო მონაწილეობა. ყველა იმ გაყოფიდან აშორდიას 7-8 ათასი მანეთი ერგო, სხვებს მეტი, ბერეჟიანი ერთის ნაცვლად სამ წილს იღებდა, ერთს თავისთვის და ორს იმ ადამიანთათვის, რომლებიც ბანკში ეხმარებოდნენ. ერთი, ალბათ, დიმიტრი ძნელაძე იყო, მეორე არ ვიცით, ისე გასრულდა ეს საქმე, მათი ვინაობა არავის გაუმჟღავნებია.

1907 წლის 7 ივნისის შუადღისას, იოსელიანთან აშორდია და ბერეჟიანი მივიდნენ. იმ დღეს ქალაქის მმართველობის ორი ყალბი ჩეკი უკვე განაღდებული იყო, მესამეს მიმტანი — ათესილი. ფული უნდა გაეყოთ, ყველას თავისი რგებოდა.

— 28 ათასი რომ ჩაიჯიბე, ძმაო, ბანკის თანამშრომლებს რა ვუყო, კარგად იცი, ისინი რომ არა, ვერაფერს გავხდებოდით! — კითხვა-ბრძანება გაურია ხმაში ბერეჟიანმა.

— ბანკის თანამშრომლებს კი არა, ჯილდო იმას ეკუთვნის, ვინც არ შეშინდა, თანხა გამოიტანა, სახუმარო საქმეა, ყალბი ჩეკით მიხვიდე და მშვიდად, წყნარად აიღო ასაღები?! — თქვა სოკრატმა.

— ფულის გამოტანას რა უნდა, გაძლევენ, აიღე... — გაიბღინძა ბერეჟიანი.

— ეგრე არაა, ძმაო, იცი, რამხელა რისკია, რამოდენა საფრთხეში იგდებ თავს?! — არ მოეშვა იოსელიანი. არ მოეშვა და სიტყვაც არ ჰქონდა დამთავრებული, არც მისთვის ჩვეული მედიდური იერი მიღებული, რომ ბერეჟიანმა ყბაში თხლიშა, ისე ძლიერი გამოუვიდა, სამი ყირა აყირავდა მილიციის პრაპორშჩიკი. მიეშველნენ, წამოაყენეს. ამ დროს მუგუზალივით შავსახიანშავწვერიანი (ისეთი გამომეტყვე-

ლება ჰქონდა, ღამით რომ შეგხვედროდა, შეგაშინებდა — წერდა ერთი იმდროინდელი გაზეთი) გუგუნავაც მოვიდა, არ შეუტყვია, რა მოხდა, არც არავისთვის უკითხავს რამე, პირდაპირ სოლომონს მივარდა.

— რას მერჩი, რას გადამეკიდე, ჩემთვის არაფერი გემეტება...

— მე რას გერჩი, შენ რა შუაში ხარ, ფული თუ გინდა, შოვნაც უნდა ისწავლო!

— გასწავლი მე შენ ჭკუას, ცხოვრება გამიმწარე, გზაკვალი ამირიე და გროში გენანება ჩემთვის, შე ღორო...

— ღორიც ხარ და მაიმუნიც... — ეს თქვა და რევოლვერი დააძრო აშორდიამ, შემართა კიდეც, მაგრამ მიცვივდნენ, წაართვეს და ხელები გაუკოჭეს. ეს რომ გუგუნავამ დაინახა, გაკოჭილ კაცს მივარდა, რევოლვერი შეაყენა და ესროლა. ესროლა, მაგრამ აიცდინა სასჯელის ხშირად ამცდენმა ყალბისმქმნელმა. ისე ოსტატურად გააქნია თავი, რომ სახესთან გაუარა ტყვიამ, გაუარა, გაჭრა, ღრმად გაუკაწრა ლოყა. თავი რომ არ მიებრუნებინა, განწირული იყო, მაგრამ თაღლითმა სოლომონმა სროლაც მშვენივრად, ნასროლის ოსტატურად აცდენაც იცოდა. ესროლეს, აიცდინა. ნაწერ-ნაბეჭდის უწვრილმანეს ნიუანსში გამრკვევს თვალიც უჭრიდა, გონებაც, ზერელედ არაფერს აკეთებდა, ნაღდი იყო, ისროდა, მიზანში ჩასვამდა. ახლაც ასე იზამდა, მაგრამ ხელებგაკოჭილს რა უნდა ეღონა, რაც შეძლო, ისიც შეუძლებელს ჰგავდა. სხვა მის ადგილას იატაკზე გაიშხლართებოდა, სულს დაღაფავდა, ამან სახე დაისახიჩრა მხოლოდ, მთავარია, გადარჩა.

აღსარებაშიც (ასე ჩვენ ვარქმევთ, თორემ, ისე, ანონიმური წერილებია — ერთი ვლადივოსტოკის საოლქო სასამართლოს პროკურორის, ხოლო მეორე პრიმორსკის ოლქის სამხედრო გუბერნატორის სახელზე გაგზავნილი) დაწერს

— ჩემი მოკვლა უნდოდათო. სიმართლეა, სხვას ვერც იფიქრებ, ისინი ბევრნი იყვნენ, ეს — ერთი, და ხელების გაკოჭვას წინ რა დაუდგებოდა?! გაკოჭეს და მეორეს სროლა დააცადეს, მას კი არ მიცვივდნენ და იარაღი წაართვეს, არა, დაუცადეს, აცალეს, იქნებ ქნას საქნელი და მოვისვენოთო. ალბათ სოლომონისათვის კაი ბლომად უნდა მიეცათ ფული. ამიტომ იფიქრეს მოშორება. უნდა მიეცათ, აბა, რა, იგი იყო ტვინი, დანარჩენი მისი ნება-სურვილის აღმსრულებელი. საფიქრალია, სცენაც გაითამაშეს, წინასწარ იცოდნენ ყველაფერი, გუგუნავა უნდა შემოვარდნილიყო და აშორდია გაელანძღა, დაემცირებინა. სოლომონის ხასიათი რომ იცოდნენ, ამას არ მოითმენდა, რაღაცას მოიმოქმედებდა, ამიტომ გაკოჭავდნენ, ის ესროდა და მორჩა. ამბის ასეთი განვითარება და დასასრული იმიტომ აძლევდათ ხელს, რომ ყველაფერს მკვდარს დააბრალებდნენ, ხელებს შეაწმენდდნენ, უნდოდათ, მაგრამ ვერ მოახერხეს.

სოლომონ აშორდიამ წინასწარ დადგმულ სცენაშიც იმარჯვა, საკუთარი სურვილისდარად წარმართა მოქმედება.

იმ დღესვე აიბარგა ვლადივოსტოკიდან. გაჩერება, დაყოვნება, გუგუნავასა და სხვებისთვის სამაგიეროს მიზღვა რომ საშარო იყო, კარგად უწყოდა.

ექსპრესში ნინა ჯოხაძეს გაუტყდა: შენს ქვედა სართულში შენახული ფული ყალბი ჩეკით გამოვიტანეთ ბანკიდან, ამიტომ, შეიძლება, დაგვიჭირონ კიდეც. გადაირია ჯოხაძის ქალი, ფანჯრიდან უნდოდა გადახტომა, მაგრამ ისე მოუთათუნა ან მოუხათქუნა ჯენტლმენმა აშორდიამ, რომ უცებ ჩაამშვიდ-ჩააწყნარა.

ჩიტაშიც გაასწრებდა, იქ უფრო საგულდაგულოდ მიიმალებოდა, ერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევა რომ არ მომხდარიყო. პირველად ბანკის თანამშრომელ დიმიტრი ძნელაძის ბინა გაჩხრიკეს, სადაც ფულსა და სხვა საბუთებ-

თან ერთად იპოვეს ბანკის გადარიცხვის ფურცელი, რომლის მიხედვითაც ბეჟან ბერეჟიანი ვინმე ხარშილაძეს 14 ათას მანეთს ურიცხავდა თბილისში. ამის შემდეგ ბერეჟიანის ადგილსამყოფელს მიადგნენ. პატრონი აითესა, მაგრამ ჩხრეკის დროს ფოსტალიონმა სოლომონის მიერ სადგურ ხანდაოხენძიდან დღის პირველ საათსა და ათ წუთზე (ყველაფერი ერთ დღეს, 8 ივნისს ხდება) გამოგზავნილი დეპეშა მოიტანა. მასში ეწერა: გოგიამ (იოსებ აფხაძე) მოგვატყუა, ძმას უთხარი, სასწრაფოდ წამოვიდეს, დარჩენილი თანხა აუცილებლად უნდა მივიღო, სოლომონი.

ამით უკვე აშორდიას ჩაუდგნენ კვალში და ექსპრესშივე დააპატიმრეს.

შეეძლო, რომ გაესწრო, ვერ გაასწრო, თითქოს ესეც გათვლილი ჰქონდა, მაგრამ ფულიც არ ეთმობოდა, თან ღირსების შებღალვად მიიჩნევდა იოსელიანის ბინაზე მომხდარის შემდეგ გაჩუმებას, პირში წყლის ჩაგუბებას.

ამიტომ მარტო ბერეჟიანს კი არა, ალასანიასაც გაუგზავნა დეპეშა სადგურ ხაილარში შეხვედრის თხოვნით, ხოლო ჩიტაში ივანე ორახელაშვილს აცნობა: „ჩქარი მატარებლით მოვდივარ, სოკრატს დეპეშით მოთხოვეთ დანარჩენი თანხა“.

ფულიც უნდა აეღო, კუთვნილი მიეკუთვნებინა და პასუხიც გაეცა მავანთა და მავანთათვის. უნდოდა კი, მაგრამ ვერ მოახერხა.

ექსპრესშივე მიაკითხა ვიღაცამ — 10 ათასი მანეთი მომეცი და აქედან უვნებლად გაქცევა ჩემზე იყოსო — შესთავაზა.

სოლომონმა იუარა. მიხვდა, რაშიც იყო საქმე. გაქცევის „ორგანიზატორი“ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ჟანდარმთა შეფი დერჟავიჩი აღმოჩნდა მერე.

იყნოსა გვაჩის ძემ, რაც ხდებოდა. ტუალეტში შევიდა, სოტიევზე გაცემული ყალბი პასპორტი დახია, ბერიძის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები დაიზეპირა.

ერთი სიტყვით, ეცადა თავის დაძვრენას, ამაოდ.

დანარჩენი უკვე ვთქვით. 7 ივნისს მესამე ჩეკის გასანაღდებლად სპირიდონ არგირატოსი მივიდა ბანკში, მაგრამ საეჭვოდ მოწრიალე, მისკენ დაჟინებით მაცქერალი პოლიციელი შეამჩნია და გაიპარა.

ამან უფრო გაამძაფრა ეჭვი, თუმც იმას ვერავინ იფიქრებდა, რომ ქართველთა ერთ ნაწილს ჩიტადან ცნობილი გამყალბებელი ჰყავდა გამოძახებული და ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ.

სოლომონ აშორდიას იქაური დანაშაულებანი ჩამოვთვალოთ.

აი, მცირე ნუსხა:

პრიმორსკის საოლქო სასამართლოში მის წინააღმდეგ ბენდერ ბელიაევისათვის ყალბი საშვის გაკეთების გამო იყო აღძრული საქმე!

უფის სასამართლოში ყალბი საბუთებით ვოლგა-კამის ბანკიდან 20000 მანეთის გატანის, ხოლო ომსკის საოლქო სასამართლოში ციმბირის ბანკის ომსკის განყოფილებიდან ისევ ყალბი საბუთებით 20 ათასი მანეთის გატანისა და ასევე ყალბი დოკუმენტებით ციხიდან გაქცევის გამო (ამ ამბავში გვაჩის ბიჭთან ერთად გეგელიაც იყო);

ხარბინის სასამართლოში რუსეთ-ჩინეთის ბანკიდან კვლავ ყალბი საბუთებით სხვადასხვა დროს 99089 მანეთისა და 30 კაპიკის გატანის გამო თხოვდნენ პასუხს.

ამას დაუმატეთ ბაქო, ქუთაისი და ის, რაც არ გაუმხელია.

მკათათვის ნაღვლიანი დღეები

ივლისში ყველაფერი გამჟღავნდა, ნათელი მოეფინა, გარეთ ნათელი, მზიანი დღე იდგა, პატიმართათვის ბნელოდა, დანაღვლიანებულიყვნენ ჩაბნელებულ საკანში გამოკეტილნი, მკათათვე სხვანაირი ახსოვდათ მშობლიური ქვეყნისა, გადაკრიალებული ცით, მცხუნვარე მზით. ოთხ კედელს შუაც იდგა პაპანება, ოფლის, შმორის მცხუნვარებით შეზავებული ხვატი. სულს უხუთავდათ სიმდოვრე, ძნელად სუნთქავდნენ.

იდგა ივლისის მოწყენილი დღეები.

ყველა რაღაცას ნაღვლობდა.

ცდილობდნენ, რაღაც ეღონათ, ვერ ახერხებდნენ, თითქოს ქმნის წადილი ვიღაცას საგანგებოდ ამოეკვეთა მათი გონებიდან, ძალი წაერთმია, ძველი ნაფიქრ-ნამოქმედარის გამხელა-არგამხელის მხუთავი აზრი ჭიატობდა გონებაში მხოლოდ.

გარეთ მკათათვის ბუღი იდგა, მათ წარმოსახვასა და გონებაში არანაკლები.

ნაღვლობდნენ.

სოლომონ აშორდიას ნინა ჯოხაძისა და ძმის ბედი აწუხებდა თავის თავზე უფრო, რამეთუ ჯეროდა, ისეთ რამეს მოიგონებდა, თავდახსნის ისეთ ხერხს იპოვნიდა, აქამდე რომ არავის მოეფიქრებიინა.

გაეგონა — თანხის დატაცება ხშირად მომხდარა, წონით წაუღებელიც წაუღიათ, ყალბი, ზოგჯერ ნამდვილი საბუთებითაც გაუტანიათ ამაზე მეტი. ბევრი დაუჭერიათ, ბევრი — ვერა.

ოციოდე წლის წინათ თბილისის გუბერნიის ხაზინადრის თანაშემწემ, კარის მრჩეველმა, ვინმე თევდორე ივანოვმა ბანკიდან სამასი ათასი მანეთი დაითრია და მიიმალა.

მისი პატიოსნება და კეთილსინდისიერება არავის აეჭვებდა და ხაზინის თანხას ანდობდნენ, ჰოდა, ნდობამოპოვებული ბანკს მიადგა, მშვიდად აიღო სამასი ათასი მანეთი და გაუტია. ეს ამბავი იმდენად უცნაური იყო, რომ იმდროინდელი თითქმის ყველა გაზეთი გამოეხმაურა. ნიკო ნიკოლაძემაც მიმოიხილა „ნოვოე ობოზრენიეში", როგორც ჩვეოდა, ჯერ ფაქტი აღნიშნა, მერე განაზოგადა. ივანოვმა გამოიტანა სამასი ათასი მანეთი, ყველას თვალწინ დალაქს ეახლა, თმა-წვერი შეიღება, გადასხვაფერდა და მიიმალა. ისიც არ უცდია, ეს საქმე საიდუმლოდ, გარეშე თვალისგან შეუმჩნევლად მოემოქმედა. ნიკო ნიკოლაძე წერს, რომ იმ დროისათვის ეს კაცი ყველას გმირად ესახებოდა, შენატროდნენ მის ყოფასა და ბედს, მაგრამ როცა დაიჭირეს, სულელად მონათლეს, როგორ ვერ შეძლო ბრიყვმა უცხოეთში გაქცეულიყო, რა უნდოდა მშობლიურ რიგაში, სადაც შემწვარსაც კი იცნობდნენ, რომ დაეხეტებოდაო.

თუ მართლმსაჯულებას დაემალებოდა, ხალხი გმირად, თუ დაიჭერდნენ — გიჟად შერაცხავდა... კიდევ კარგი, დროზე დააკავეს, თორემ მაშინ გენახათ ხაზინის ძარცვის ფაქტები — წერს ნ. ნიკოლაძე და იმასაც ამბობს, რომ დამნაშავეს მშვიდად ცხოვრება არ უწერია, ფოთლის შრიალიც აკრთობს, ამიტომაც იჭერენ ადვილად.

ივანოვი მართლაც ადვილად და სწრაფად დააკავეს, თუმცა მისი ძარცვა, სოლომონისა და მისი მეგობრების ნამოქმედართან შედარებით, უმნიშვნელოა. ფული ხელის გაწვდენაზე ჰქონდა, ხაზინადარის თანაშემწეობა აძლევდა უფლებას, გამოეტანა ბანკიდან თანხა და გაენაწილებინა. გამოიტანა, არ დაარიგა, ჯიბეში ჩაიდო, თმა-წვერი შეიღება და აითესა. სოლომონ აშორდია ერთგან ამ ამბავსაც ახსენებს, მოსამართლეს წერს, რა მოხდა ასეთი, გამიგონია, თბილისის ხაზინადარმა სამასი ათასი მანეთი მოიპარაო.

ახსენებს, თუმც, ისე, სხვათაშორის დაასახელებს. მართალიცაა, მსგავსება ამ დატაცებებს შორის თითქმის არ არსებობს. ვლადივოსტოკის ამბებში გარეულნი თაღლითობისათვის საჭირო დოკუმენტებთან ერთად პირად საბუთებსაც ცვლიდნენ, სხვა გვარსახელს ირქმევდნენ, მრავალჯერადად ფერიცვალობდნენ.

სოლომონ აშორდიამ რამდენიმე, მგონი, სულაც ათამდე გვარი გამოიცვალა, ერთი იყო, მაგრამ სახელი და გვარი სხვადასხვა ჰქონდა, ჯერ ანანიევაღ, ზედგენიძედ და მერე საროლ ჯამბატოვად გარდაისახა, მერე კონსტანტინე ზახაროვად, მერე იოსებ ჟვანიად, შემდეგ სოტიევად, ბერიძედ, თუმცა ეს გვარი არ დაურქმევია, უბრალოდ, ნამდვილად არსებული მიხეილ ბერიძის ნამდვილი პასპორტი დაუთრია ბეჟან ბერეჟიანმა, რომელიც ნამდვილ მიხელ ბერიძესთან ცხოვრობდა. იმასთან ცხოვრობდა, ამასთან ძმაკაცობდა, ის, ნამდვილი, უსაბუთოდ დატოვა და გაკვირვებულმა გაზეთებიდან გაიგო, ვიღაც ქართველი მისი პასპორტით რომ დაიჭირეს. ასე რომ, ეს გვარსახელი სოლომონს სხვისი, მაგრამ ნამდვილი ჰქონდა. სხვა დროს კი იცვლიდა და იცვლიდა ქამელეონივით, ერთს შეუტყობდნენ, უკვე მეორის დოკუმენტებით განაგრძობდა ცხოვრებას. იცვლიდა ტყავს ანუ ფორმას, შინაარსს იგივეს ტოვებდა.

პოლიციელები გაიგებდნენ, ამა და ამ გვარით ცხოვრობს ამა და ამ ადგილასო — მივიდოდნენ, ვერ პოულობდნენ, ვიღაც ხვდებოდათ, მაგრამ, მათი აზრით, არა ის, ვისაც ეძებდნენ, იყო კაცი სულ სხვა გვარ-სახელით, ესენი სხვას ეძებდნენ, ის — სხვა გახლდათ. სინამდვილეში ის იყო, მთელ იმპერიაში ცნობილი გამყალბებელი სოლომონ აშორდია, მაგრამ უკვე სხვა გვარით და სახელით, მისივე შესატყვისი საბუთებით, ჩაცმით, დახურვით განსხვავებული იგივე. ამათ სხვა ეგონათ, უფრთხოდნენ უცნობის დაკავებას. არადა,

ვერც გაამტყუნებ, ერთი შეხედვით, მართლაც სხვა იყო. ეს ერთი შეხედვა შველოდა სოლომონს, უფრო ზუსტად, ერთი შეხედვით იყო განსხვავებული, მეორედ შეხედვისა და ჩაგულისძირების საშუალებას არავის აძლევდა, მეორედ ნახვისას უკვე სხვა იყო და იქაც ერთი შეხედვით უნდა დაკმაყოფილებულიყავი. სხვანაირად უცებ გამოაშკარავდებოდა.

იცვლიდა და იცვლიდა გვარებს და სახელებს. გააჩნდა ორეული, საროლი სოლომონის ორეული იყო, კონსტანტინე საროლის და სოლომონის ერთად, იოსები საროლის, კონსტანტინესა და სოლომონის ერთდროულად და ასე დაუსრულებლად, ერთი იყო, ბევრნაირად გარდასახული. და განა მარტო სოლომონ აშორდია?! თითქმის ყველანი — შორეულ აღმოსავლეთში გაბანდებული ქართველობა და ამ საქმეებში გარეული სხვა ეროვნების ხალხი რამდენიმენაირი გვარსახელით ცხოვრობდა.

ციხეში გამოკეტილ აშორდიას ეს სხვადასხვაობაც უწუხებდა გულს. იცოდა, იმ დროს საჭირო იყო, მაგრამ ახლა ივლისის პაპანაქება, თაკარასიცხიან დღეს მათი გახსენება გუნებას უშხამავდა.

პასპორტებიც ჰქონდათ ბევრნაირი — საიმპერიო და საზღვარგარეთო. რუსეთ-ჩინეთის ბანკის განყოფილებიდან ფულის დატაცებაში გარეული ადამიანებიდან თითქმის ყველა ამნაირი იყო, მხოლოდ რამდენიმეს, მათ შორის სოკრატ იოსელიანს შერჩენოდა ნამდვილი, ნათლობისდროინდელი გვარ-სახელი.

დავიწყოთ ჩამოთვლა: ჩიტადან სოლომონ აშორდიასთან ერთად ჩავლადივოსტოკებულ და 8 აგვისტოს დაკავებულ, ხარბინში აზიური მაღაზიის მეპატრონე ილარიონ კიზირიას უცხოური პასპორტი უპოვნეს, რომელიც ყალბი, მიხეილ აშორდიას შედგენილი დოკუმენტის მიხედვით იყო გაცემული.

მომდევნო დღეს გაჩხრიკეს 1898 წელს თბილისში კაცის მოკვლისათვის გაციმბირებული იოსებ (იგივე გოგია) აფხაძის ბინა, აღმოუჩინეს კაი ძალი თანხა და სხვადასხვა საქონლის აქეთ-იქით გაგზავნის დამადასტურებელი საბუთები, მაგრამ ამჯერად ეს არ გვაინტერესებს. იქვე იყო ნოტარიუს ადამსზე ხულიგნური თავდასხმისათვის მსჯავრდებული დომენტი ღლონტი, რომელმაც თავი აზნაურ ვლადიმერ ასათიანად გაასაღა. პასპორტიც დააძრო სათანადო, ისიც მიხეილ აშორდიას ხელრთვით დამშვენებული ცნობის მიხედვით გაცემული. ამჯერად სწორად დაეჭვდნენ მართლმსაჯულების აღმსრულებლები და სინამდვილეში დომენტი ღლონტს, საბუთებით ვლადიმერ ასათიანს ციხეში უკრეს თავი.

დაიჭირეს დომენტი, იგივე მიხეილი, აკავებდნენ ერთს, რომელიც სხვად ასაღებდა თავს და დაჭერილი კაცის ნათქვამი სიმართლე რომ ყოფილიყო, ეს გასაშვები, ის სხვა ისევ დასაჭერი ეყოლებოდათ.

გამხდარი და ჭლექიანი დომენტი ღლონტი არა მარტო ვლადიმერ ასათიანის გვარ-სახელით საქმიანობდა, მან ბანკიდან ფულის დათრევის დროს ერთ ჩეკს მიხეილ მიხეილის ძე სამუილოვად, მეორეს პიოტროვიჩად, ხოლო ყალბ კონოსამენტებს ა.ს. დავიდოვად მოაწერა ხელი. ერთი სიტყვით, იყო სამუილოვი, პიოტროვიჩი, დავიდოვი, ასათიანი, სინამდვილეში ღლონტი დომენტი.

იოსებ აფხაძის პასპორტიც ყალბი, ისევ სოლომონის ძმის შედგენილი აღმოჩნდა, რამეთუ ამავე ნომრით სენაკის მაზრის პოლიციას ვინმე ქავთარაძეზე ჰქონდა გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მიხეილ აშორდია სენაკის მაზრის პოლიციის დოკუმენტს აყალბებდა, რომლის საფუძველზეც ამურისპირეთის სამხედრო გუბერ-

ნატორი ცემდა უცხოურ პასპორტს. სოლომონის ძმა ქმნიდა საფუძველს, რომლის ნამდვილობა არავის აეჭვებდა და უკვე გზა იხსნებოდა, აქ ითაღლითებდა, გამჟღავნებამდე საზღვარგარეთ მოკურცხლავდა.

იოსებ აფხაძის ბინაში ბევრი ფული ნახეს-მეთქი, ვთქვით ზემოთ, ბანკის თანამშრომლებს შეამოწმებინეს ას და ხუთასმანეთიანი კუპიურები, დაადასტურეს — ჩვენგანაა წაღებულიო, ეს ადვილად დაადგინეს, იმის დამტკიცებას კი, ესა თუ ის საბუთი ყალბი იყო თუ არა, თვეები, იქიდან აქეთ და პირუკუ გაგზავნ-გამოგზავნა ჭირდებოდა.

პოლიციელებმა გაიკითხეს, გამოიკითხეს და გაიგეს, ბეჟან ბერეჟიანი და მიხეილ აშორდია სადგურ ოკეანსკისთან პატიეშვილის ბინაში იმალებიანო. მივიდნენ, ვერც ერთი იპოვნეს, ვერც მეორე. სახლის პატრონი და მისი საყვარელი, გუბერნატორის მდივნის ქალიშვილი ელენე სმირნოვა შეშინდნენ, აითესნენ უმალ. ამ ვიზიტს მხოლოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ დაადგინეს — პატიეშვილიც ყალბი — ახბეტოვის, ალიბეკის და ახაბედოვის გვარით დაქიჩმაჩობდა შორეულ აღმოსავლეთში.

პოლიციამ ისიც შეიტყო, ანანია ნოვაკი ნეკრასოვის გვარით, ხოლო მისი მეგობარი, ადრე ვინმე ფილატოვთან ერთად ნიკიტა ჩერეპანოვასათვის 300 მანეთის წართმევის გამო ძებნილი ბრონისლავ კროკოვსკი, ანუ იგივე ჟურავლიოვი, იგივე სობოლევი და ა.შ. ნიკოლსკ-უსურიისკში იმალებოდნენ და კაფე-შანტან „ერმიტაჟში“ ოფიციანტებად მუშაობდნენ. მიაკითხეს, ვერ იპოვნეს. ამათ თუ გაიგეს, იმათაც გაეგოთ, რომ ამათ გაიგეს და აითესნენ. ნოვაკი მალე დაიჭირეს, რომელიც იზიუმსკელ ალექსანდრე ნეჟდანოვად გარდაქმნილი გაეცნო პოლიციელებს. თუმცა რამდენიმე შემოლაწუნებისა და მირტყმევ-მორტყმევის მერე გამოტყდა,

ნოვაკი რომ იყო სინამდვილეში, ისიც თქვა, ნეჟდანოვის პასპორტი ვიღაც უცნობისგან 13 მანეთად ვიყიდეო.

ნოვაკი იყო, ნეკრასოვად და ნეჟდანოვად ასაღებდა თავს, ნამდვილი, გველის ტყავივით გამოეცვალა, ახალს მორგებოდა საყალთაბანდოდ.

ნოვაკის ბინაში ყალბი კონოსამენტებით დათრეული უამრავი საქონელი იპოვნეს...

თითქმის ყველა მოიხელთეს ხუთსახელგვარიანი აშორდიას ჩათვლით და თავკაცობით, რჩებოდათ ერთი — ბრონისლავ კროკოვსკი, რომელიც კარგა ხანს დადიოდა იქით და აქეთ, შეიცვლიდა გვარს, სახელს და სანამ პოლიციელები მის ადგილსამყოფელსა და ვინაობას შეიტყობდნენ, უპრობლემოდ მიმოდიოდა ერთი ქალაქიდან მეორეში.

ბრონისლავ კროკოვსკის ყალბი გვარ-სახელები პეტრე ორლოვით იწყება, მერე პერეგუდოვი გახდა, ჟურავლიოვი, ჟურავსკი და სობოლევი უფრო მერმინდელია.

გაჩხრიკეს „პეტერბურგსკი რესტორნის" ნომრები, სადაც, პოლიციელთა აზრით, კროკოვსკი სობოლევის ან ჟურავლიოვის გვარით უნდა ყოფილიყო დასადგურებული. მიადგნენ იმ ოთახს, სადაც დაბუდებულიყო, ჟურავსკი გახლავართ — აჩვენა პასპორტი და სანამ ესენი აქეთ-იქით მიმოიხედავდნენ, კარებთან მდგარ კროკოვსკის მეგობარ ქალს მადისაღმძვრელ ევდოკია ლეონტიევას შეათვალიერებდნენ, დაიხურა ქუდი და წავიდა. თქვენ ჟურავლიოვს ან სობოლევს ეძებთ, მე ჟურავსკი ვარ — თქვა და მშვიდად დატოვა იქაურობა. ესენიც არ გაკიდებიან, ჟურავსკის რატომ უნდა გადევნებოდნენ, როცა გვარების ჩამონათვალში — ორლოვი, პერეგუდოვი, სობოლევი და ჟურავლიოვი ეწერათ.

მშვენიერი ევდოკია ლეონტიევაც საგანგებოდ აისვეტა კარებთან, შემოვარდნილებს სახილველი დაუბრმავა, ყურადღება მიაქცევინა, იმან დრო იხელთა და მიიკარგა.

კროკოვსკის ნომერში საბეჭდი მოწყობილობის ნაწილები, უამრავი ბლანკი და ტიტულიანი ფურცლები იპოვნეს სხვადასხვა სამთავრობო, განსაკუთრებით — სარკინიგზო დანესებულებებისა. ევდოკიასაც აღარ დაერიდნენ, საგულდაგულოდ მიუსვ-მოუსვეს კეთილაღნაგ ტან-ფეხზე ხელები და წინდებში უპოვნეს იზიუმსკის ერობის მამასახლისის ბეჭედი (ამით იყო „დამშვენებული“ ნოვაკის პასპორტი), სხვადასხვანაირი შტამპები და ა.შ. ახლა კი მიხვდნენ, ვისთანაც ჰქონიათ საქმე, ვინ შეგებებიათ კარებთან, მაგრამ ჟურავსკი უკვე გადაკარგულიყო და სანამ ესენი ამ გვარსახელით ეძებდნენ, ის კიდევ ახალს დაირქმევდა, გარეგნობასაც შეიცვლიდა და მოგეცა შვება-ლხენა.

რამდენიმე გვარგამოცვლილი ერთსაც დაიმატებდა და ამათ ჯერ ის უნდა დაედგინათ, ვინ-ად ასაღებდა თავს, მერე ადგილსამყოფელი. ესენიც გამალებით ეძებდნენ, ისიც გამუდმებით ქამელეონდებოდა.

არადა, ერთი შეხედვით, შთამბეჭდავიცაა ამგვარი რამ — კაცს ხვდები, წლებია იცნობ, გიცნობს, ესალმები, ის კიდევ გაკვირვებით გათვალიერებს, შეგეშალეთ, ბატონოო — გეუბნება. ეჭვი გიპყრობს, როგორ გაჭრილი ვაშლივით ჰგავს, — ფიქრობ. არადა, მართალია, ის მართლაც უკვე სხვაა.

უბრალოდ, შენ გამოგეპარა ფერიცვალება.

ფერიცვალებაც მანამ იყო სასურველი, ნეტარი, სანამ მის ჩრდილქვეშ მშვიდად საქმიანობდნენ. გამხელილი მრავალგვარობა სასჯელზე სასჯელის დამატებას ნიშნავდა.

ამაზეც წუხდნენ...

სპირიდონ არგირატოსმა, დაკავებისას, ბერძენი პავლე ასლანიდი ვარო, თქვა. საბუთიც სათანადო, მერე გაირკვა, ყალბი აჩვენა პოლიციელებს. მასვე უპოვნეს უამრავი ოქროს ნივთი და 1901 წელს თბილისის საქალაქო მმართველობიდან დატაცებული ათასმანეთიანი ობლიგაცია (მაშინ

592 ათასი მანეთის ობლიგაცია დაიკარგა და ეს ამბავი ვლადივოსტოკის ძარცვასა და ივანოვის საქმეზე უფრო მასშტაბური, რაც მთავარია, გამოუძიებელი იყო). ციციკარიდან რუსეთის კონსულმა ისიც მოწერა აქაურ სამართალდამცავებს, რომ იქ არგირატოსის წინააღმდეგ კაზაკ ბუზაროვის დაჭრისათვის ყოფილა აღძრული საქმე. იმ დროს (ციციკარში) ძვირფასი ბერძენი წინასწარი ძიების ოქმს რუსულად აწერდა ხელს და იმასაც განმარტავდა, ვფლობ ამ ენას. ვლადივოსტოკში დაპატიმრებული დამუნჯდა და „რაია რუსული", ინჩი-ბინჩი არ გამეგებაო — განაცხადა. თუმცა არც ეს უნდა გვიკვირდეს, მაშინ ხომ არგირატოსი გახლდათ, ახლა — ასლანიდი, იმან იცოდა, ამან — არა.

არგირატოსი მარტო ასლანიდის კი არა, ალევიზატორის გვარითაც თაღლითობდა.

იოსელიანის ბინაზე მომხდარი ამბის მერე სპირიდონმაც უცებ იყნოსა მოსალოდნელი საფრთხე და სოლომონ აშორდიასა და ნინა ჯოხაძესთან ერთად, იმავე ექსპრესით გაუტია ჩიტასკენ. თუმცა მის ყალბისმქნელობაში უფრო ძველი, ერთი წლის წინანდელი ამბავია შთამბეჭდავი.

სახელმწიფო ბანკის ხაბაროვსკის განყოფილებიდან 1906 წლის 26 ივნისს ვიღაც საზონოვმა ვლადივოსტოკში პირად ანგარიშზე ექვსი ათასი მანეთი გადარიცხა. დამშვიდდა და დაწყნარდა კაცი, სულ იმას ჯავრობდა, ეს თანხა არ შემომეხარჯოს, არადა, ივლისში ვლადივოსტოკში ყოფნას რა სჯობს, კიდეც დავისვენებ, რაღაც-რაღაცეებს შევიძენ და დავბრუნდები უკანო.

თანხა გადარიცხა, ოკეანისპირა ქალაქში დასვენება გაინაღდა, მართალია, ამდენი არ დაჭირდებოდა, მაგრამ ფული გქონდეს და დახარჯვას რა უნდა, თანაც იქ შედარებით იაფია, ხაბაროვსკში კი ცეცხლი უკიდია ყველაფერს.

დავისვენებ, ვიყიდი... ამ ფიქრითა და განწყობით მოი-

ლია საქმეები, ამ სამზადისში გავიდა ოციოდე დღე და 17 ივლისს ვლადივოსტოკში ამოჰყო თავი.

სასტუმროში დაბინავდა და იმ დღესვე მიაკითხა სახელმწიფო ბანკის ვლადივოსტოკის განყოფილებას. მიაკითხა, მაგრამ თანამშრომლის პასუხმა შეაშინა.

— თქვენ ეს თანხა 27 ივნისს გაიტანეთ?!

— როგორ გეკადრებათ, მე საზონოვი გახლავართ, 26 ივნისს გადმოვრიცხე ხაბაროვსკიდან და დღეს ჩამოვედი, გეშლებათ რაღაც...

— როგორ თუ გვეშლება, სიმართლეს ბრძანებთ, ფული 26 ივნისსაა იქიდან აქეთ გადმორიხული და მეორე დღესვე თქვენს მიერ გატანილი.

— როგორ თუ ჩემს მიერ?!

— ხომ საზონოვი ბრძანდებით?!

— დიახ! — ისე შემკრთალმა უპასუხა თანხის გადმომრიცხველმა, გეგონებოდათ, თვითონაც ეჭვობს, საზონოვი არის თუ არაო.

ბევრი იკამათეს, ყვირილიც არ დაკლებიათ ბანკის თანამშრომლებს, ხელისმოწერაც შეამოწმეს საგულდაგულოდ და დარწმუნდნენ, რომ ვიღაცას საზონოვის ყალბი პასპორტით და ხელისმოწერით გაეტანა ფული.

საზონოვი თანხას ითხოვდა, ახლა ბანკის თანამშრომლები იჩეჩავდნენ მხრებს.

გაირკვა: გადარიცხვის ფურცელი, რომელიც ხაბაროვსკის ექსპედიტორ სტულევს ჩააბარეს, გაგზავნილ ქალაქში მოთხოვნამდე უნდა შენახულიყო. სტულევმა კიდევ ასლი იმ დღესვე გადაგზავნა ვლადივოსტოკში, იქ კი ვიღაც კაცი მივიდა საზონოვის საბუთებით და უპრობლემოდ ჩაიჯიბა.

სტულევის მონაწილეობა აფიორაში აშკარა გახდა.

ვლადივოსტოკის ბანკის თანამშრომელმა კობელევმა განაცხადა: სახეზე არ შემიხედავს წამღებისთვის, რომ მანახვოთ, ვერ ვიცნობ.

კობელევმა არც იმას მიაქცია ყურადღება, ვინმე საზონოვი არარუსი რომ უნდა ყოფილიყო, თანხის მიღების სიტყვიერ ტექსტში Ниже-ს მაგიერ Низе, тысяча-ს ნაცვლად კი тишито დაწერა. ამას ნაღდად უნდა დაეეჭვებინა, საზონოვი რუსული გვარია, თანხის ამღები მწყრალად უნდა ყოფილიყო ამ ენასთან.

ასე რომ, აფიორა კობელევის გარეშეც არ განხორციელდებოდა.

კაცი, რომელმაც საფოსტო განყოფილებიდან გადარიცხვის ფურცლის ასლი დაითრია და საზონოვის ყალბი პასპორტით ფული ჩაიჯიბა, სპირიდონ არგირატოსი იყო.

საზონოვის დასვენების ოცნება საპნის ბუშტივით გასკდა, არადა, სხვებიც რომ არ ყოფილიყვნენ ამ ამბავში ჩართული, ეს აფიორა უნდა გამსკდარიყო საპნის ბუშტივით.

რას იზამ, ნეტავ, სპირიდონს თუ ახსენდებოდა ეს ამბავი. გულის სიღრმეში თუ მაინც გაუკრთებოდა სინანული — საგარაკოდ გამზადებული კაცი მშრალზე რომ დატოვა.

ვლადივოსტოკში მკათათვის თაკარა, სულისშემხუთველად ცხელი შუადღე იდგა.

სოკრატ ვინ დაგარქო, სოკრატო?!

მილიციის პრაპორშიკ იოსელიანს სოკრატი ერქვა, მაგრამ სოკრატეს არაფრით ჰგავდა, არც მოქანდაკეობდა, არც ბრძენი ყოფილა. სასამართლოში ბევრჯერ ჰქონია საქმე, ბერძენ ფილოსოფოსს მოსწავლეებმა ციხიდან გაქცევა შეს-

თავაზეს, უარი თქვა, ეს — პირიქით, ხვრელს ეძებდა იქიდან გამოსაძრომად. კი არ ჰგავდა, აბსოლუტურად განსხვავდებოდა.

1882 წელს თბილისის სასამართლო პალატამ გააციმბირა, მოიხადა სასჯელი და აქეთ ჩამოსვლაზე აღარ უფიქრია, იქვე, შორეულ აღმოსავლეთში დარჩა. სოლომონ აშორდიაც იქ გაიცნო, გაუგეს და დაუახლოვდნენ ერთმანეთს. გადაარჩინა კიდეც ერთხელ გვაჩის ძე დაჭერას. ამ მხრივ ვალში იყო ეს იმასთან, თუმცა სოლომონი უფრო ხშირად ჭირდებოდა სოკრატს, ვიდრე პირიქით, მართალია, ვლადიოსტოკის ამბების ხელმძღვანელი იოსელიანი იყო, მაგრამ სოლომონი არანაკლებ საჭირო და გამოსადეგი.

სოკრატ იოსელიანს თბილისში ჩადენილი დანაშაულიდან (ვიღაც მოწამლა და ამის გამო გააციმბირეს) ათი წლის შემდეგ, 1892 წელს, ირკუტსკის საოლქო სასამართლომ ვიტიმსკის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებიდან ყალბი საბუთებით 50 ათასი მანეთის დათრევის გამო ოთხი წლით კატორღა მიუსაჯა. მიუსაჯა, მაგრამ სასჯელი მოიხადა თუ არა, არ ვიცით, სასამართლო საქმეში არაფერია ნათქვამი.

1906 წელს იმპერატორს შეწყალება თხოვა, წლების მანძილზე ჩადენილი სხვადასხვა დანაშაული დამალა, მხოლოდ 1882 წელს თბილისში გაიმასქნებულ ამბავზე ითხოვა პატიება, სხვაგან თითქოს არაფერი ჩაედინოს, ახალგაზრდობაში, 24 წლის წინათ, რაღაც შევცოდე, შემინდეთ — ევედრებოდა ყოვლისმპყრობელს. ევედრებოდა და სხვა დანაშაულს ფარცხავდა, აყრიდა მტვერს იმას, რაც არ აწყობდა, რასაც არავინ აპატიებდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, იუსტიციის სამინისტროში სხვა დანაშაულებანი არ განუხილავთ, თხოვნაში რაც ეწერა, იმაზე იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება.

ან კიდევ — არ განიხილეს, თვალი განგებ დახუჭეს, ასეთ

დროს აუცილებლად შესაგროვებელი ინფორმაცია არ მოიძიეს, იმით დაკმაყოფილდნენ, რაც თხოვნაში ეწერა.

ან ერთი, ან მეორე, უფრო თვალის დახუჭვა დავიჯეროთ, რადგან სოკრატმა პატიების თხოვნაში ძველი, ხანდაზმული დანაშაული ახსენა, წინა წლებში ჩადენილი მიაფუჩეჩა, მიაფუჩეჩებინეს.

ამითაც არ ჰგავდა მოსახელეს, იმან — პატიებაზე უარი თქვა და საწამლავით მოისწრაფა სიცოცხლე, ამან — შემინდეთო და ყველა ცოდვაც არ გაიხსენა, აქაოდა, იმპერატორმა უარი არ მითხრას, საერთოდ არ დავრჩე შენწყალების გარეშე.

სოკრატი რუსეთ-იაპონიის ომის დროს ხარბინში ცხოვრობდა. ფული ბლომად ჰქონდა, მაღალი ჩინის ოფიცრებთან და გენერლებთან ქეიფობდა, ღრეობდა. დაპატიჟებდა ამათ, დროს გაატარებდა შესაშურს, ფულსაც არ იხდიდა ხანდახან, ქეიფი უყვარდა, თანხის გაღება — არა. უბატონოდ ხმასაც ვერავინ ცემდა. მაღალჩინოსანთა შემწეობით გაუკეთებლის გაკეთებას ახერხებდა, პოლკოვნიკ მადრიტოვის მოხალისე პარტიზანთა რაზმს ინახავდა, კვებავდა, ასმევდა, აცმევდა. იცნობდნენ, იცნობდა. მილიციის პრაპორშიკი, თუ არ მსახურობდა, ფორმის ტარება არ შეეძლო, სოკრატ იოსელიანი კავკასიელ მილიციელთა სპეცტანსაცმლით დაიჯგიმებოდა.

49 წლის იყო, 22 წლის მშვენიერი გენრიეტა შეერი ჰყავდა საყვარლად. მაღალჩინოსნებში მასთან ერთად არ ჩნდებოდა, სასეირნოდ და სააგარაკოდ იახლებდა ხოლმე. საქმეებზე არაფერს ეუბნებოდა, ფულს ჩუქნიდა, მასთან არ ძუნწობდა, თუ ჰქონდა, გულუხვად აჯილდოვებდა.

ვილაც ებრაელს, რომლის ვინაობითაც გამოძიება არ დაინტერესებულა, ატანდა თაღლითური გზით დათრეულ სა-

ქონელს. ის ყიდდა, ამას წინასწარ უხდიდა, ასე ერჩივნა, სწრაფად უნდა დაეცალა ხელი, საქონელი იქეთ-აქეთ მიმოეფანტა, თავისი აეღო და მორჩა, თავი ემტვრია ებრაელს გაყიდვაზე, მთავარია, სოკრატს გაეყიდა, ჰოდა, ფასდაკლებით ყიდდა ადვილად.

მთავარ სამხედრო შტაბს 1908 წელს გაუგზავნეს სოკრატ იოსელიანის ჩინ-მედლების სია, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ 1905 წლის 10 თებერვალს უბოძეს მილიციის ზაურიად-პრაპორშიკის ჩინი, ჩინეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ვერცხლის მედლით გახლდათ დაჯილდოებული. მიღებული ჰქონდა, აგრეთვე, პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე ხარისხის სხვადასხვა ორდენები. დოკუმენტი უბეჭდო იყო, ხელს პოლკოვნიკი მადრიტოვი აწერდა. გაირკვა: სოკრატის ჩინ-მედლების ჩამონათვალში ნახსენები მეოთხე ხარისხის ორდენი, ნომერი 115656, ამურისპირეთის სასაზღვრო დაცვის მე-4 ბრიგადის უმცროს ურიადნიკ დიმიტრი კუზნეცოვს ჰქონდა მიღებული, ხოლო მესამე ხარისხის ორდენი იმ ნომრით (91210), რომელიც დოკუმენტში იყო მითითებული, საერთოდ არავისზე გაუციათ, რადგან ამ ორდენთა ნუმერაცია 37 ათასით მთავრდებოდა.

გარდა ამისა, არცერთ ორდენსა და ჩინ-მედალზე არ იყო მითითებული, თუ რის საფუძველზე გახლდათ გაცემული. სავარაუდოა, ყველა ყალბი იყო, სხვები პასპორტებსა და სხვა საჭირო საბუთებს აჩალიჩებდნენ, ეს ბანტიან, უბანტო და ა.შ. ორდენებსა და მედლებს დახარბებოდა. კაცმა რომ თქვას, ჭირდებოდა. მათი მეშვეობით ყველაფერი შეეძლო, მავანსა და მავანს თვალს ჭრიდა და მედლების ბრჭყვიალებით თვალებახამხამებულნი მუდამ სოკრატის სასარგებლოდ განეწყობოდნენ.

***

1906 წლის 25 თებერვალს ვლადივოსტოკის სამხედრო შენაერთის უფროსმა პოლკოვნიკმა ელშინმა დეპეშა მიიღო. დიდხანს ატრიალა აქეთ-იქით, წაიკითხა რამდენჯერმე, ვერაფერი გაიგო, გაკვირდა და განცვიფრდა ერთობ. მერე გვერდზე გადადო და ჩაფიქრდა. დეპეშას ხელს ციმბირის პირველი საარმიო კორპუსის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი გერნ-გროსი აწერდა.

ან მე გამოვშტერდი ამ ომის შემყურე, ან კიდევ ის — გაიფიქრა თავისთვის და კიდევ ერთხელ წაიკითხა ნადეპეშარი:

„წინა, 1565-ე ნომრით ვლადივოსტოკის რკინიგზის კომენდანტის სახელზე გამოგზავნილ დეპეშასთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ, უფასოდ და ურიგოდ გამოყოთ პრაპორშიკ იოსელიანისათვის საჭირო ვაგონები, რომ მან მოახდინოს ციმბირის პირველი საარმიო კორპუსისათვის განკუთვნილი 10 ათასი ფუთის ოდენობის სხვადასხვა საქონლის ვლადივოსტოკიდან ხარბინში ჩატანა“.

რატომ უფასოდ, რატომ ურიგოდ — წაკითხვისთანავე დაეჭვდა ელშინი. თუ საბრძოლო აღჭურვილობაა, იოსელიანი ვინლაა, სხვადასხვა საქონლის, მითუმეტეს პროდუქტის, არმიაში გაგზავნა რას ნიშნავს?! ასეთ დროს ხომ ყველაფერს ჩხრეკენ, სინჯავენ, დეტალურად ჩამოთვლიან, რას, რა რაოდენობის ტვირთს გზავნიან აქედან იქით...

ან მე გამოვშტერდი, ან ყველამ ერთად დავივიწყეთ ომი და სამხედრო წესები...

გამოუყავით, კარგია, თანაც უფასოდ, ურიგოდ სხვადასხვა საქონლისთვისო, — მამა უცხონდა... გასაკვირია, კორპუსის მეთაური „ლიტერ A“-ს (უფასოდ გაგზავნა) ვიღაც პრაპორშიკ იოსელიანისთვის ითხოვს. თუ არმიაშია გასაგზავნი რაიმე, თავდაცვის სამინისტრო გაუქმდა, თუ მი-

სი არსებობა აღარავის ახსოვს?! დაეწერა მამაცხონებულს (ამ სიტყვით მის განწყობას გადმოვცემთ, თორემ უდედმამო და თითქმის ჯარში გაზრდილ-დავაჟკაცებული ელშინი, რასაც იტყოდა ან გაიფიქრებდა, არ უნდა იყოს ძნელად ამოსაცნობი) სამინისტროს ამა და ამ ბრძანების თანახმად და მორჩა. ახლა ეს ბრძანება უნდა შეასრულო, მერე ზემდგომის ბრძანება ეძებო, შეიძლება ვერც იპოვო, მოვლიან, შეგამოწმებენ, პასუხს მოგთხოვენ. იქნებ სულაც არ იცის გერნ-გროსმა ამის შესახებ რაიმე და ეს პრაპორშიკი თაღლითობს და მაიმუნობს... არა, ნომერი აქვს, 1910-ე დეპეშაა ციმბირის პირველი საარმიო კორპუსის მეთაურისა, წინა ვლადივოსტოკის რკინიგზის კომენდანტისათვის გაუგზავნია, არც ის მოსულა ჩემამდე, იქნებ იქ იყოს ნათქვამი ყველაფერი და მე ტყუილად ვიმტვრევ თავს?!

სასწრაფოდ დაუკავშირდა ვლადივოსტოკის რკინიგზის კომენდანტს პოდპოლკოვნიკ მელიქაევს. გაირკვა, მასაც მიელო ასეთივე შინაარსის დეპეშა:

„უარი არ უთხრათ პრაპორშიკ იოსელიანს, უფასოდ და ურიგოდ გამოუყავით საჭირო რაოდენობის ვაგონები, რომ არმიისათვის განკუთვნილი პროდუქტები ვლადივოსტოკიდან ხარბინში გადაიტანოს“.

ამ დეპეშასაც გენერალ-ლეიტენანტი გერნ-გროსი აწერდა ხელს. არც აქ იყო ნათქვამი, რა მიჰქონდა, რატომ მიჰქონდა, ზემდგომის რა ოფიციალური დოკუმენტი ედო საფუძვლად და ა.შ.

ალბათ რაღაცაშია საქმე — მოდი, გერნ-გროსს ვკითხავ, დეპეშით ვაცნობებ, რა ხდება, გაურკვეველ მდგომარეობას გარკვეული სჯობს, ბუნდოვანს — ნათელი.

აღარ გადაუთქვამს, უდეპეშა ციმბირის პირველი საარმიო კორპუსის მეთაურს, მართალია, კრძალვით, ხათრით, მაგრამ მაინც გააგებინა გასაგები და შესატყობი.

საპასუხო დეპეშაც მალე მიიღო, ახლა უფრო დაიბნა.:

„1906 წლის ორ თვეში 1910-ე ნომრით გენერალ გერნ-გროსისაგან დეპეშა არსად გაგზავნილა, მითუმეტეს, თქვენ-გან დასახელებული თხოვნა უცნობია მისი მაღალკეთილ-შობილებისათვის“

ეს ტექსტიც დიდხანს ატრიალა ხელში, აკვირდა, წინა ორს შეადარა, სამივე სწორად იყო შედგენილი. ახლა იმან დააეჭვა, უფროსობა მახეს არ მიგებდეს, ჩემი ადგილი არა-ვისთვის ჰქონდეს გამიზნული და საგანგებოდ მხვევდეს ხათაბალაში?! — ამ ფიქრმა უფრო შეაწუხა, ვიდრე შეაკ-რთო და შეაშფოთა.

იჯდა შეწუხებული და ფიქრობდა:

გერნ-გროსის პასუხი უცნაური გახლდათ, დეპეშა ასეთი შინაარსით და ამ ნომრით არავისთვის გამიგზავნიაო, თუ ასეა, მაშინ სასწრაფოდ უნდა დაეწყოთ გამოძიება, არადა, ყურსაც არავინ აპარტყუნებს, ხომ არ მამოწმებენ, იქნებ უნ-დათ, შეიტყონ, რას ვიზამ, რა გადაწყვეტილებას მივიღებ. მერე შეიძლება ჩემი ნათქვამ-დაწერილი ხელზე დაიხვიონ, პასუხი მომთხოვონ?!

რაც მეტს ფიქრობდა, უფრო გულადდებოდა, წესრიგის მოყვარული, სამხედრო დისციპლინის მოტრფიალე მყარად დგებოდა ერთ აზრსა და პოზიციაზე — მართლად და ობიექ-ტურად გადაეწყვიტა ყოველივე.

გერნ-გროსთან ყველაფერი გაარკვია, ახლა მელიქაევის-გან უნდა შეეტყო, რა მოიმოქმედა დეპეშის მიღების მერე?! გაიგო: ვლადივოსტოკის რკინიგზის კომენდანტთან ეს ვი-ღაც იოსელიანი თებერვლის შუა რიცხვებში მისულა ციმ-ბირის პირველი საარმიო კორპუსისათვის განკუთვნილი ტვირთის ხარბინში გაგზავნის თხოვნით. მელიქაევს ურჩე-ვია, სასწრაფო ვაგონებით ესარგებლა, თორემ დიდხანს მო-უწევდა ლოდინი, მაგრამ ამისთვის გერნ-გროსის ნებართვა

მოუთხოვია. იოსელიანს 20 თებერვალს წარუდგენია ზემოთ-ნახსენები დეპეშა გერნ-გროსისა და მომდევნო დღეს 4 ვაგონი გამოვუყავით, 24 თებერვალსაც რამდენიმე დავუთმეთ — იწერებოდა და იმასაც აცნობებდა მელიქაევი, — იოსელიანმა ბრინჯი, შაქარი და სხვადასხვა პროდუქტი უკვე ხარბინში ჩაიტანა.

ამათ უკვე ყველაფერი მოუგვარებიათ, მე ფორმალურად მაცნობეს, მაგრამ ამ ფორმალობასაც დაცვა უნდა, თუ არაფერს მეკითხებოდნენ, ახლაც უჩემოდ მოაგვარონ ყოველივე — გაიფიქრა ელშინმა, თუმცა ახლა უფრო დარწმუნდა, რომ ამ ამბის მიღმა რაღაც იმალებოდა, წინა დღეს მოტანილ დეპეშაში ნათქვამი მეორე დღესვე აღასრულეს. სიჩქარესა და თხოვნის სასწრაფო გადაწყვეტაში რაღაც იმალება?! სხვა დროს ორი-სამი დღე განხილვას ან თავისუფალი ვაგონების გამოძებნას უნდებიან, ეს ამბავი კი ელვის უსწრაფესად გადაუწყვეტიათ.

ამის გაფიქრებამ ისე შეაშფოთა, კარგა ხანს ვერ დაიოკა ნერვები, კაბინეტში მიმოდიოდა, გაოგნებულსა და გაორჭოფებულს მხოლოდ ის აფიქრებდა — ალბათ ჯარისთვის აღარ ვარგივარ — აეკვიატა აქამდე უცხო და უცნობი აზრი და უფრო აუჩქარა ნაბიჯს, გაბუნდოვანებოდა აზრი და განწყობა... მაგრამ ბოლოს მაინც ის ამჯობინა, შევეწირო, ოღონდ სიმართლე გავარკვიო — ამ ომის წარმატებით გასრულებასაც არ უჩანს კაი პირი, სჯობს, სიმართლე ითქვას, ერთ მშვენიერ დღეს ყველას მოთხოვენ პასუხს, იქნებ ომში დამარცხებაც აგკიდონ ზურგზე, სიფრთხილეს თავი არ სტკივა...

ნათელი გახდა, რომ დეპეშები ვლადივოსტოკის საფოსტო განყოფილებას არ მიუღია, მოწმე პინკმა განაცხადა, პირველი დეპეშა აშკარად ყალბია, რადგან მასზე არასწორადაა მიწერილი კოდი, ასევე ხრბ-ს მაგიერ დრბ-ა მითითებული.

უკვე ყველაფერი განათდა. ელშინის ეჭვმა ჩაფუშა იოსელიანის მოფიქრებული აფიორა, არადა, დასაწყისში საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ადვილად უნდა მოგვარებულიყო, მაგრამ სოკრატმა ის ველარ გათვალა, ელშინი ყველაფერს რომ აკვირდებოდა, ამოწმებდა.

ამბავი გამჟღავნდა. მოწმე დობროვოლსკიმ თქვა, რომ ვაგონებში, შაქარსა და ბრინჯთან ერთად, ღვინოც იყო, რომლის არმიაში გაგზავნა სასტიკად იკრძალებოდა. ისიც დაფქვა, იოსელიანი ქრთამს და აშენებას მპირდებოდა, ოღონდ, რაღაცატომ, სადგური კუანჩენძი ხარბინით შემეცვალა, მაგრამ ვაგონები ახლა სასწრაფოდ გავაჩერე, რასაც მივუსწარი, დანარჩენი დანიშნულების ადგილზეა მისული და დარიგებულიო.

დობროვოლსკიმ, ამ ვითომ მამა აბრამის ბატკანმაც, გამოიჩინა პრინციპულობა, გააჩერა ვაგონები, სინამდვილეში უკვე გაბაზრებული ამბიდან სცადა თავის დაძვრენა.

მელიქაევი და დობროვოლსკი, აშკარაა, სოკრატის ბრძნულ ჩანაფიქრში იყვნენ გარეულნი, იქნებ გერნ-გროსიც თანაუგრძნობდათ, მაგრამ არ ჩანდა, ნება დაერთო მილიციის პრაპორშიკისათვის, ჩემი სახელით იმოქმედე, ოღონდ თუ საქმეს სუნი აუვიდა, თავს თვითონვე მიხედეო.

ნათქვამი უფრო ვარაუდია, ვიდრე ეჭვშეუვალი სიმართლე, თუმცა სოკრატ იოსელიანისაგან გასაკვირი ნაკლებად უნდა გიკვირდეს, დაუჯერებელი გჯეროდეს. ამ კაცს ისეთი ინტელიგენტური სახე აქვს, რომ შეხედავ, შეგეცოდება, ასეთ ამბებში რომაა გახვეული — წერდა გაზეთი „დალნაია ოკრაინა“.

ჭაღარა და ცისფერთვალება სოკრატს არც ამ ამბებში უცვნია თავი დამნაშავედ. როგორ გეკადრებათ, იმპერიისა და მისი სამხედრო ძლიერებისათვის დამაშვრალი პრაპორშიკი ამას რანაირად ჩავიდენდი, — ისე ხშირად და დარწმუ-

ნებით უმეორებდა მართლმსაჯულების წარმომადგენლებს, რომ ისინიც შეეჭვდნენ, ან განგებ დახუჭეს თვალი, აშკარა დანაშაული ჩაიფარცხა. დამნაშავე სოკრატი უდანაშაულოდ გამოცხადდა, ძველებურად გააგრძელა ცხოვრება, უფრო მიეტმასნა გენერლებსა და მისნაირებს, მათ გარეშე ნაბიჯსაც არ დგამდა, ვინმე მაღალი ჩინის სამხედრო პირი გამოჩნდებოდა თუ არა საზოგადოებაში, სოკრატიც იქვე იყო, მის გვერდით, განუყრელად.

ტრიალებდა გენერლებში და ახალი დანაშაულისათვის უფართხალებდა გული, ახლად გაცნობილებსა თუ ძველ ნაცნობებს საეჭვო და საიმედო მოკავშირეებად ჰყოფდა, პირველებს გაურბოდა, მეორეებს — უტყდებოდა, გულს გადაუშლიდა ხოლმე.

იმაზე აღარ ფიქრობდა — ეჭვიანი ადამიანებიც რომ არიან ამ ქვეყანაზე.

სოკრატეს არ ჰგავდა-მეთქი, ვთქვით ზემოთ. მართლაც ასეა, ის სხვა იყო, ეს — სხვა, სახელები მიმგვანებოდა მხოლოდ.

და მაინც, რას გადავეკიდეთ ბრძენ სოკრატეს?!.. გაიფიქრებ.მკითხველო და მართალი იქნები — სად ის და სად თაღლითი სოკრატ იოსელიანი, მაგრამ ამ კაცის ნამოქმედარის გაცნობის მერე შეუძლებელია არ აგეკვიატოს კითხვა:

სოკრატ ვინ დაგარქო, სოკრატო?!

მეორე მოსამართლე

ვლადივოსტოკში სასამართლო სხდომაზე დასწრება ყველას შეეძლო, ხალხი არც ბევრი იყო, არც ცოტა, საშუალო სიმრავლის ცნობისმოყვარეებში ქართველები ჭარბობდნენ, სხვა ქალაქებიდანაც იყვნენ ჩამოსულნი ნაცნობები, უფრო

თანამზრახველები. ორ ჯგუფად ისხდნენ: გუნცაძე, წულუკიძე, ხავთასი, მაღულარია, ჩინჩალაძე, კუხიანიძე — ცალკე, ქალები და ვლადივოსტოკში დაბუდრებული ქართველები — ცალკე. შესვენების დროს შეიკრიბებოდნენ, წაიპუტტუნებდნენ, თავს გადააკანტურებდნენ და ისევ დაიშლებოდნენ.

შეხვირიმდებოდნენ, დაიშლებოდნენ, ორ ჯგუფად ისხდნენ და ელოდნენ განვითარებას მოვლენებისა, რომელიც ნელა, ზლაზვნით მიდიოდა დასასრულისკენ.

ამათ ეჩქარებოდათ, ისინი არ ჩქარობდნენ. იყვნენ მოწმეები ჩინიანნი, უჩინონი, პრისტავი კრუშევანი, ვლადივოსტოკის ქალაქის თავი ივანე ინოკენტის ძე ციმერმანი, მმართველობის წევრი მიხეილ ნიკოლოზის ძე კრასოვსკი, ბუღალტერი — თომა დანიელის ძე სტეციუკი, ხარბინის პოლიციის სამძებრო განყოფილების უფროსი ფლორ ივანეს ძე კოვალენკო, იყო ბანკის რამდენიმე თანამშრომელიც, რაც მთავარია, სასამართლო სხდომებს მოწმის სახით ესწრებოდნენ ციმბირის პირველი საარმიო კორპუსის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ალექსის ძე გერნ-გროსი და პოლკოვნიკი ალექსანდრე სიმონის ძე მადრიტოვი, რომელიც უკვე შტაბის მეთაურად ჩამოექვეითებინათ, ესენი ჩინიანნი, თუმცა ამა თუ იმ ქალაქის პრისტავები, გოროდოვოები, ციხის უფროსები, სამძებრო განყოფილებათა ხელმძღვანელებიც აქ ბრძანდებოდნენ და სხვ. იყვნენ გერმანული წარმომავლობის პრაპორშიკი შუმანი, ლეპნერი, ვეგენერი, შენებერგი. სულ 54 კაცი უნდა დამოწმებოდა სოლომონისა და მის მოძმეთა დანაშაულს, ზოგი ჯიქურ, დაუფარავად ამბობდა სიმართლეს, ზოგი ოსტატურად ნიღბავდა, ცდილობდა, სიმართლეს მიემსგავსებინა ტყუილი, მცირე ნაწილი დუმდა, მხრებაწურული დასაკარგავში იყურებოდა, ვერ გაერკვია, ვინ და რატომ გააბა ამ ხათაბალაში.

სასამართლო სხდომას პოლკოვნიკი ელშინი არ დასწრებია, მოხსნეს, მოკვდა, თუ საერთოდ ჩაფარცხეს სოკრატის ის დანაშაული და ამიტომ არ გამოიძახეს, არ ვიცით.

ქართველები, დამნაშავეები და თვალის მოსეირეები უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე მოწმეები — სილოვან როკუას, მაქსიმე ძნელაძეს და ანდრო ბუკიას უნდა ეთქვათ, რაც ადრე ციხიდან შემოუთვალეს თანამზრახველებმა, მაგრამ ახლა მათ უკვე ელიარებინათ, უფრო სწორად, დათანხმებოდნენ მართლმსაჯულების წარმომადგენელებს იმაზე, რაც სინამდვილეში მოხდა. ამიტომ დამნაშავეები სხვას, ქართველი მოწმეები სხვას გაიძახოდნენ დაბნეულნი და შეცბუნებულნი.

კალიგრაფიის გასარკვევად ორი ექსპერტი მოეწვიათ, ერთი ვლადივოსტოკის ქალთა, მეორე ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი-ნიკოლინი და ვოლკოვი, ჰყავდათ, აგრეთვე, მანუფაქტურული ნაწარმის ექსპერტებიც — როსოვი და გერუსოვი.

მოწმეები, დამნაშავეები, მაყურებლები ისხდნენ ან ფეხზედგომელა ელოდებოდნენ ვლადივოსტოკში მიმდინარე სასამართლო სხდომის გასრულებას, რომელიც ათი დღე გაიწელა. ხელახლა დაკითხეს ყველა, შეამოწმეს წინასწარი ძიების დროს ნათქვამი, შეაჯერეს ძველი ახალთან და პირიქით...

კუშტი გამომეტყველებით იჯდა გრძელსახიანი, წითური და გამხდარი, მისი კეთილშობილება პროკურორი შულცი, წამოდგებოდა, ჭერს მიაბჯენდა ჭაღარაშერეულ თავს, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ყველას მისი ვალი ემართა, დაბრუნებას ითხოვდა, ესენი არ უბრუნებდნენ. გაქვავებულ ძეგლს ჰგავდა ცოცხალი კაცი, იდგა, ძარღვი არ უტოკავდა, მკვეთრბგერებშერეულ სიტყვებს მონოტონური თანმიმდევრობით წარმოთქვამდა. ფეხზე მდგომი ქანდაკება იყო, დამჯდარი — ბიუსტი. გვერდით ამხანაგი და თანაშემწე აკ-

ველევი უჯდა. ისიც მაღალი, ოღონდ ჩაფსკვნილი, ღიპდამ-ჩნეული, ღაბაბიანი. ქალალდების გროვაში ჩაერგო თავი, დროდადრო პროკურორს რაღაცას გადააწოდებდა, ის გადახედავდა, ვითომ ერთი შეხედვით ხვდებოდა, რა ეწერა ამ ფურცლებზე და მედიდური იერსახით ისევ უკან უბრუნებდა. ის ისევ ჩაიბუდრებდა ქალალდებში, ამოარჩევდა, გადააწყობდა, გადმოაწყობდა, გადააწოდებდა, შეხედავდა, უკან დაუბრუნებდა.

პროკურორი დინჯად, გამოკვეთილად ლაპარაკობდა, ასეთივე აუღელვებლობით სვამდა კითხვებს, ელოდა პასუხს, მოისმენდა, დაჯდებოდა, ვერ შეატყობდი, რას ფიქრობდა, რას განიცდიდა ან განიცდიდა თუ არა რაიმეს საერთოდ.

სასამართლოს თავმჯდომარე გუსევიჩი — მრგვალსახიანი, ჩოფურა კაცი გაცხარებით საუბრობდა, უფრო ბატივით სისინებდა, მის ნათქვამში გრძნობა ჭარბობდა გონებას, ხანდახან ისეთ რამესაც წამოისროდა, რასაც ამ ამბავთან არაფერი ჰქონდა საერთო. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, ამბობდა იმისთვის, რომ ეთქვა და არა საქმის არსში უკეთ გარკვევის სურვილით. გვერდით მოსამართლე პონაფიდინი იჯდა, როცა რაიმეს იტყოდა, მას გადახედავდა, თითქოს უნდოდა დამოწმებოდა, ხომ სწორად მიმყავს სასამართლო პროცესი, ასე უკეთ გავერკვევით მომხდარშიო, მაგრამ თხაწვერა და გაბღენძილი, უზარმაზარბაკენბარდებიანი პონაფიდინი არაფერს ეუბნებოდა, არც თავის დაქნევით, არც თვალის ჩაკვრით, არც სახის გამომეტყველებით უდასტურებდა ჭეშმარიტების გზაზე მართლად სიარულის მცდელობასა და წადილს.

გუსევიჩი გადახედავდა, ის არაფერს იტყობდა.

განაკიდეში დაბალი, მუხუდოსთვალებიანი მეორე მოსამართლე ვასილ ფიოდორის ძე ლომონოსოვი იჯდა, თუმცა

უფრო ცქმუტავდა, ვერ ჩერდებოდა სკამზე, პატარა ტანით ხან ერთ მხარეს გადაიხრებოდა, ხან მეორეს. თვალები უჟუ-ჟუნებდა, გეგონებოდა, იცინისო, დახუჭავდა და მაინც მომ-ღიმარი უჩანდა სახე. მოსამართლის გრძელი და მოუხეშავი ტანსაცმელი ნათხოვარივით ადგა ტანზე, მასში ვასილ ფი-ოდოროვიჩისხელა, სამი თუ არა, ორი მაინც ჩაეტეოდა. გა-დაიხრებოდა აქეთ, ჩამოეჩურთებოდა მარცხენა მკლავი, გა-ისწორებდა, აიკაპიწებდა და ახლა მარჯვნივ გადაიხრე-ბოდა, მერე ის მხარე ექნებოდა გასასწორებელი და ერთო-ბოდა ამ ამბით ან სულაც ჩვევად ჰქონდა მიმოხრილიყო მარ-ცხნივ ან მარჯვნივ.

განაკიდეში მჯდარ მეორე მოსამართლე ლომონოსოვს თუ არ დააკვირდებოდი, ვერც შეამჩნევდი, იქით-აქეთ წრი-ალითა და მუდმივ სახელოების აკარწახებით სხვები ხდე-ბოდნენ შეუმჩნეველნი, ის შესამჩნევი.

ცქმუტავდა, აჟუჟუნებდა თვალებს და გეგონებოდა, არც სასამართლოს თავმჯდომარეს უსმენს, არც პროკურორს, არც ბრალდებულს, არც მათ დამცველთა გამოჭერა აინტე-რესებს. უბრალოდ, უნდა, ყურადღება მიაქციო და მშვე-ნივრად ახერხებს კიდეც.

იჯდა, ცქმუტავდა.

ფიქრი უყვარდა ვასილ ფიოდოროვიჩს. სახელოების გას-წორებისა და გადახრა-გადმოხრის დროსაც რაღაც აზრს იყო ადევნებული, მისდევდა და როცა სიღრმეში ბარიერს წააწყდებოდა, სწორხაზობრივი არ გამოუვიდოდა ფიქრში გამხელილი, გადაიხრებოდა აქეთ, მერე, სახელოების აგორ-გოლავების დროს, ისევ აკინძავდა ფიქრის მარცვლებს, ისევ შეყოვნდებოდა, ისევ გადაიხრებოდა და ასე განუწყვეტლივ.

ლომონოსოვს თუ დავუჯერებთ, — რომ არ უჯერებენ, ამიტომაა საქმე კარგად, ფიქრობდა ვასილ ფიოდოროვიჩი, — ბუნებაში რამდენიც ერთ სხეულს წაერთმევა, იმდენივე

მიემატება მეორეს, ან კიდევ სხეული, რომელიც მეორეს ამოძრავებს, რამდენსაც კარგავს, იმდენივეს ანიჭებს მოძრაობაში მოსულს. ჰოდა, ამათ ბანკი გაძარცვეს, ბანკს მოაკლდა, ამათ მოემატა. რა გამოვიდა?! დაკარგვით არაფერი დაკარგულა... — მიყვებოდა აზრის მდინარებას დიდი მეცნიერის მოგვარე მეორე მოსამართლე.

აქამდე რომ განავრცობდა ფიქრს, გუსევიჩი იტყოდა:

_ Имеются ли кого-либо вопросы к обвиняемому?!

ვასილ ფიოდოროვიჩი წამოდგებოდა, ტანსაცმლის ფორთხიალით სამ ნაბიჯს გადადგამდა, მიუახლოვდებოდა ბრალდებულს, გასწორდებოდა, თავს ოდნავ გადაწევდა, მუხუდოს თვალებს გადმოკაკლავდა, გეგონა, იცინოდა, არადა, ეს იყო მისი მრისხანე იერი, ღიმილი დაგრევდა ხელს, ის კიდევ, მისი აზრით, ბობოქრობდა, გადაბუირდებაო — ფიქრობდი, პატარა საჩვენებელ თითს პატიმარს მიუშვერდა და ეტყოდა:

_ Зачем вам понадобились такие деньги?!

პატიმრები იბნეოდნენ, როგორ თუ რად გვინდოდა, ფული ვის არ უნდა, რაც მეტი, მით უკეთესი — ამბობდნენ გულში. ხმამაღლა ვერაფერს პასუხობდნენ, გაეცინათ, არ იცოდნენ, როგორ შეხვდებოდნენ ამას სხვები, ისინიც გაიცინებდნენ, თუ პირიქით, დატუქსავდნენ, ამიტომ დუმდნენ ღიმშეკავებულნი.

ვასილ ფიოდოროვიჩი პასუხს ელოდა, არავინ პასუხობდა. ეს იდგა კაი ხანს, მერე თავმჯდომარეს გადახედავდა, მომართულ თოჯინასავით წამოვიდოდა და თავის ადგილს დაიკავებდა.

დაჯდებოდა თუ არა, ისევ მოგვარე გაახსენდებოდა, ძველ ფიქრს გაჰყვებოდა: მართალი იყო ლომონოსოვი, ბუნების საყოველთაო კანონია, ერთს აკლდება, მეორეს ემატება ზუსტად იმდენი, რამდენიც პირველს მოაკლდა. მამა-

ჩემი ოცი წლის ყოფილა, იმიერში რომ გადასახლებულა, გამოდის, მისი დანატოვარი დღენი წუთისოფლისა მე უნდა დამემატოს. იქნებ სხვას და არა მე? — დაეჭვდებოდა, ერთ-ერთ მხარეს გადაიხრებოდა, ჩაპორწიალებულ სახელოებს აიკარწახებდა და ახლა უფრო ჯიუტად გააგრძელებდა:

მამაჩემის დანაკლისი წლები სხვას კი არა, მე უნდა დამემატოს, ხანგრძლივ უნდა ვიცოცხლო. ვიგინდარა კი არა, მამა იყო ჩემი, ნამდვილი მამა, დუელში დაიღუპა საწყალი. ისე, რას გაიგებ, იქნებ სხვამ იჯირითოს საწყალი ფიოდორის დარჩენილი წუთისოფელი და მე სულ მალე ამომხდეს სული, რას გაიგებ?! — აქამდე მივიდოდა ფიქრით და გუსევიჩი იტყოდა ისევ:

_ Имеются ли кого-либо вопросы к обвиняемому?!

ვასილ ფიოდოროვიჩი ზუსტად იგივეს გაიმეორებდა, ისევ იგივე მექანიკური მოძრაობით და მისნაირებით მიუახლოვდებოდა ბრალდებულს და იგივეს ჰკითხავდა:

_ Зачем вам понадобились такие деньги?!

ჰკითხა ერთს, მეორეს, მესამეს, ყველას, პასუხი ვერავისგან მიიღო. არც დიდად დაინტერესებულა, შეეკითხებოდა, დაელოდებოდა ცოტა ხანს და დაჯდებოდა, გააგრძელებდა ფიქრს. — მართალი იყო ლომონოსოვი, მამაჩემის გადანახულ წლებს არავის დავუთმობო და ასე შემდეგ.

მერე ისევ და ისევ იგივე მეორდებოდა. პროკურორ შულცს ამის მოსმენის მერე უქვავდებოდა ისედაც გაქვავებული და კუშტი სახე, უფრო უგრძნობელი ხდებოდა.

ვასილ ფიოდოროვიჩი ერთსა და იმავეს აკეთებდა,. ამის სათქმელად მოსულს ჰგავდა სასამართლო პროცესზე, ამბობდა კიდეც, მისებური განსხვავებული იერითა და გამომეტყველებით.

შულცი სასამართლო პროცესის გასრულების მერე ფანჯარასთან იდგა, ყალიონს აბოლებდა, მზერასაც არ აყო-

ლებდა კვამლს. ვასილ ფიოდოროვიჩი ქუჩაში მიდიოდა. წითელი, ღადღადა წითელი ფერის ლაბადა ეცვა, ამ ფერისვე დიდი, ყურებიანი ქუდი ეხურა, ქუჩაში მიდიოდა ლაბადა, ქუდი, კაცი არ ჩანდა, მიფართხუნობდა წითელ სამოსში შეფუთული ვასილ ფიოდოროვიჩი. გზაში ვიღაცას დაელაპარაკა, ოდნავ შეყოვნდა და ისევ წალაბადდა.

შულცმა გაიფიქრა: აუცილებლად იგივეს ჰკითხავდა.

მიდიოდა ლაბადა.

ციხის მერეც ციხეს ველი

პატიმრები ციხეებშიც აწვდენდნენ ერთმანეთს ხმას, წერილებს უგზავნიდნენ, აცნობებდნენ, რა ეთქვა ჩვენების მიცემის დროს, ან როგორ უნდა მოქცეულიყო, თუ დატუსაღებული მოწმედ დაასახელებდა. და მაინც, დეპეშებსა და უსტარებში უმეტესად ფულს ითხოვდნენ, გამომიგზავნე ამდენი, გამოვალ, გაგისტუმრებ, იმას გამოართვი, ამას მიეცი, მქონდა ამდენი, აქ და აქ, მავანს და მავანს გავუგზავნე და სხვ.

პოლიცია ხშირად ჩხრეკდა პატიმრებს და წერილებიც ამიტომ გახდა მათთვის ცნობილი, ესენი რომ იპოვნეს, მერე საფოსტო განყოფილებებიც შეამოწმეს და გაგზავნილ-გამოგზავნილი დეპეშები ამოიღეს. რუსული ანბანით დაწერილი ქართული ტექსტები ქუთაისის საოლქო სასამართლოს გამოუგზავნეს სათარგმნელად და გაიგეს, რა ხდებოდა, რას ფიქრობდნენ აშორდია და მისი მეგობრები ძველ და ახალ დანაშაულზე.

ყველა წერილი და დეპეშა არცაა საინტერესო, ზოგიერთის გახსენება კი იმდენად აუცილებელია, რომ მათ გარეშე

კარგად ვერ გაერკვევი მომხდარში, უფრო სწორად, ვერ გაიგებ, რომელ დანაშაულს ამხელდნენ, რომლისთვის კიდევ ნაცრის წაყრას ცდილობდნენ.

ზოსიმე გუგუნავას უპოვნეს დომენტი ღლონტის ვინმე შალვა ჯიგირაძისათვის გაგზავნილი წერილი. ამის თუ იყო, იმასთან რა უნდოდა — ალბათ გაგზავნა თხოვა დომენტი-ვლადიმერმა გუგუნავას, ამას კიდევ, სანამ გააგზავნიდა, მანამ უპოვეს. „ამ ამბების არ მეშინია, მაგრამ ხარბინის საქმე თუ გამჟღავნდა, ალბათ სამუდამოს მომისჯიან, — პატიმრობის მერეც რომ პატიმრობა, ციხის მერეც რომ ციხე მოელის, იმას ჯავრობს.

— მაგრამ მუდმივ ციხეში თუ ვიქნები, გაქცევას მოვახერხებ, ესენიც ადამიანები არიან, მობეზრდებათ გამუდმებული თვალყური, სალტეს ოდნავ მოაბოშებენ და გავძვრები, აქ საოცრად მკაცრად გვექცევიან, განსაკუთრებით მე და აშორდიას, ინფორმაცია აქვთ, გაქცევას რომ ვაპირებთ — აქედან ძნელად გავიქცევი, იქიდან, ალბათ, იოლად, აქ მცირე სასჯელს დამაჯერებენ, იქ — სამუდამოს მომარჭობენ. იმის გაუმჟღავნებლობა სჯობს, აქაურს მოევლება როგორმე — წერს დომენტი.

ხარბინში ჩადენილი რომელი დანაშაულისათვის მოელოდა დომენტი ღლონტს სამუდამო პატიმრობა, არ ვიცით, ალბათ რაღაც გრანდიოზული აფიორა იყო, თორემ ამოდენა მსჯავრის მომლოდინე არ უნდა ყოფილიყო. ისე გასრულდა სასამართლო, ეს ამბავი არ გამხელილა, მართლმსაჯულების წარმომადგენლებიც არ დაინტერესებულან, თუ რატომ, რისთვის მოელოდა ეს კაცი ამოდენა სასჯელს.

იქ მომენტს შევარჩევ, აქ კი ისე გამუდმებით გვითვალთვალებენ, ძნელია გაქცევის მომენტის მოძებნა — წერდა დომენტი შალვას და ვლადივოსტოკში გაციმბირებულ ქართველებს ამუნათებდა, — ჩვენამდე მათხოვრები იყვნენ,

ახლა ლუკმაპური მოეძევებათ, მაგრამ მადლიერი მაინც არ არიან, ჯერ გამოგვიყენეს, მერე პოლიციას ჩაუკაკლეს ყველაფერი, იმათგანაც წყალობას მოელოდნენ, რაც მიიღეს, კარგად იცი...

დომენტი ღლონტი, როგორც ჩანს, ციხეშიც ჩალიჩობდა, „სვობოდაზე" დარჩენილებს საქმეს აძლევდა, ისინი დათრეულს უყოფდნენ — აქ ერთ საქმეს ვაგვარებდი, მაგრამ გამიგეს, 12 ათასი მანეთი ფულად და 50 ათასის კონოსამენტები წამართვეს — აცნობებდა ჯიგირაძე შალვას იქაური ქართველების უმადურობის გამო გულდაწყვეტილი პატიმარი.

ციხეში იყო, საციხო საქმეებს აგვარებდა. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, ისე ძვალ-რბილში გაჯდომოდათ თაღლითობა, ასე იოლად ვერ შეეშვებოდნენ, მითუმეტეს ციხეში გამოკეტილსაც ფული უნდა ეშოვა და ამით გამომძვრალიყო იქიდან.

ზოსიმე გუგუნავას უპოვნეს ის წერილიც, რომელსაც ილია პატიეშვილი დომენტი ღლონტს უგზავნიდა. თხოვდა, დაწერე და გამომიგზავნე, რა ვუთხრა გამომძიებელს, სჯობს, ორივეს ნათქვამი ერთნაირი იყოს და კიდევ: ხოფერიამ მითხრა — ჯერჯერობით 100 მანეთს მივცემთ გამომძიებელს, დავაკვირდებით, რას იზამს, თუ საჩვენოდ მოიქცევა, დავუმატებთ, თუ არადა, სხვა გზას დავადგებითო.

აი, რისთვის ჭირდებოდათ ფულები.

არადა, სესხებით ნაკლებად ასესხებდათ ვინმე, ისევ იქიდან უნდა გაეკვარახჭინებინათ რაღაც საქმე, ეშოვათ ფული, დაეხსნათ თავი.

ილარიონ კიზირიას აღმოუჩინეს ზოსიმესგან გადაცემული, ვინმე გრიგოლ ბეკოს ძისათვის განკუთვნილი წერილი, სადაც „იმ ქალის" ნახვაზეა საუბარი, რომელიც პროკურორის ზედამხედველს იცნობს და შეუძლია საქმის მოგვარება

— 100 მანეთს გვთხოვს, მიეცი, ოღონდ გვიშველოს და აქედან გაგვიშვან — წერს გუგუნავა ზოსიმე.

აღვნიშნეთ, ხშირად იყო ისეთი წერილები, სადაც პატიმარი მავანსა და მავანს წერდა, მოწმედ რომ დაგასახელებ, გამომძიებელს ესა და ეს უთხარიო. ერთ-ერთმა, ვინმე ანდრო ბუკიამ, გუგუნავას მოწმემ, მართლაც განაცხადა, შემთხვევით შევესწარი იოსელიანის ბინაში მომხდარ ინციდენტს და გარწმუნებთ, ყველაფერი ღვინის დაძალების გამო მოხდა. ახლაც ყურში მიწივის გუგუნავას სიტყვები, იმ ფერმკრთალი კაცის მისამართით რომ იყო თქმული:

— არ გაქვს უფლება, ღვინო დამაძალო.

ეს კიდევ თავისას არ იშლიდა, აძალებდა და აძალებდა, ერთს გამოცლიდა, მეორეს შეუვსებდა, დალია ზოსიმემ ერთი, ორი, სამი, ხუთი, შვიდი, პირველი-ორი ხათრით, მეორე ორი იმ უცნობი კაცის პატივისცემის გამო, მაგრამ ეს მაინც არ მოეშვა, დააძალა და დააძალა, გამოცლიდა, უვსებდა, აევსო იმასაც მოთმინების ფიალა, დააძრო რევოლვერი და ესროლა.

კაცს თავმოყვარეობა არ უნდა შეუბღალო, ფერმკრთალსახიანმა ფეხქვეშ გათელა ღირსება ზოსიმესი, რომლის ადგილზეც ყველა ასე მოიქცეოდა — თქვა ანდრო ბუკიამ, თქვა ისე, როგორც დაარიგეს, იმათი მოწერილი აზრი ცოტათი გაამძაფრა, ნამდვილობა შესძინა მისი აზრით და წარმოდგენით.

ღვინის დაძალების ვერსია სოკრატ იოსელიანმა მოიფიქრა, სხვებმა აიტაცეს, ხშირად იმეორებდნენ, ფიქრობდნენ, ამით იქით დაადანაშაულებდნენ სოლომონს. გაღმა ედავებოდნენ, გამოღმა რომ შერჩენოდათ.

სოლომონ აშორდიასაც უნახეს ძმისაგან, მიხეილისაგან გაგზავნილი წერილი, რომელშიც ეწერა — სოკრატს შევხვდი და ყველაფერს ჯორჯიკიას აბრალებს, შეგიძლია, მშვიდად

იყო, არ ინერვიულო. თუმცა ღელვა და შფოთი ყველაზე ნაკლებად გვაჩის ბიჭს ეტყობოდა. იცოდა, რასაც ამბობდა, მართალია, სხვები აგინებდნენ, დედას უკურთხებდნენ, მაგრამ უცილობელ უწყოდა, რომ სხვა გამოსავალი არ იყო, მხოლოდ ასე თუ დაიძვრენდა თავს.

პატიმართა უმეტესი ნაწილი სოლომონ აშორდიას აბრალებდა ციხეში გამომწყვდევას. ივანე ორახელაშვილთან აღმოაჩინეს სოკრატისგან გაგზავნილი წერილი, რომელიც აშორდიას დედის გინებით იწყებოდა და თავდებოდა: საკუთარი ძმისა და ბოზანდარა ნინა ჯოხაძის გულისათვის ყველანი გაგვწირა — წერდა მილიციის პრაპორშიკი. გამოვალ, დედას მოვუ—ნავო, — იმუქრებოდა, არ ვიცით, ციხიდან გამოსვლის მერე რა ქნა სოკრატმა, მაგრამ აშკარაა, რომ სოლომონ აშორდიამ ამჯერად სიმართლის გამჟღავნებით სცადა ციხიდან თავის დაძვრენა. ჯერ ერთი, მიხეილი და ნინა ჯოხაძე დაინდო, მათი დანაშაული საკუთარ თავზე აიღო, მერე წერილები გაგზავნა, ერთი ამურისპირეთის სამხედრო გუბერნატორის, მეორე პროკურორის სახელზე და თქვა ის, რაც სხვა დროს არასდროს უთქვამს და გაუმჟღავნებია.

მუდამ თანამზრახველთა გადარჩენაზე მზრუნველი სოლომონ აშორდიასაგან ეს განსხვავებული საქციელია, ჩავარდებოდა, ენას კბილს დააჭერდა, ვერაფერს ათქმევინებდნენ, მერე გაქცევისა თუ ათესვის გეგმას გვერდით მყოფ პატიმართან ერთად მოიფიქრებდა, რასაც საკუთარი თავისთვის იზამდა, იგივეს მოინდომებდა სხვისთვისაც. მაშ, ახლა რამ შეუტრიალა გონება? როდის იყო, ბევრჯერ დაჭერილი და ბევრჯერვე მიმალული იმასაც ამბობდა, რასაც არავინ ეკითხებოდა?! იქნებ მობეზრდა, დაიღალა, უაზრობად ჩათვალა თაღლითობის გაგრძელება?! ან კიდევ: ნინა ჯოხაძის სავსე სხეულმა და ბორცვივით ამოზიდულმა მკერ-

დმა მშვიდი ცხოვრება მოანატრა?! მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, ძველ ამბებს რატომ ყვებოდა, ვინ ეკითხებოდა, იმასაც თუ გაიხსენებდა, ხომ უფრო დიდხანს მოუწევდა ოთხ კედელში ყურყუტი. ამასობაში აღარც იმ მშვენიერ ქალბატონს შემორჩებოდა ძველებური ფერ-ხორცი, ან, სულაც, სხვა ვინმე დაისაკუთრებდა ბევრჯერ დასაკუთრებულსა და მითვისებულს. სოლომონი და მშვიდი, უდარდელი ცხოვრება არ ეთანწყობოდა ერთმანეთს. ასეთ რამეს მხოლოდ მოსამართლეს თუ ეტყოდა, თანაც იმისთვის, რომ მისი კლანჭებიდან თავი დაეხსნა, მერე იცოდა, როგორც მოიქცეოდა. მაშ, ახლა რამ გადარია, ყოველი ნაბიჯი ყოველთვის წინასწარ ჰქონდა გათვლილი, ამჯერზე რამ აატროვა და ატეხა ისე, რომ სასჯელს სასჯელზე იმატებდა.

ერთი შეხედვით, უჭკუო კაცივით იქცეოდა, არადა, კარგად ვიცით, მასზე უჭკუოსა და გონებასუსტს ვერავინ იტყოდა.

რით შეიძლება ავხსნათ საქციელი ჯენტლმენ აშორდიასი?!

დარწმუნებული იყო, თანამზრახველები თუ მოახერხებდნენ, ციხეშიც გაასაღებდნენ. იქ, სოკრატ იოსელიანის ბინაში ეცადნენ, არ გამოუვიდათ, ახლაც მის განადგურებაზე ფიქრობდნენ, მისი არყოფნით ბევრ რამეს წაეყრებოდა მტვერი, ბევრი დამნაშავე უდანაშაულო გახდებოდა. ეს იცოდა თაღლითობაში გაწვრთნილმა და ამიტომ დაფქვა დასაფქვავი, თქვა ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი. ამით ციხის ხელმძღვანელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, თანამზრახველთაგან ასე თუ ისე დაცული შეიქნა. ისიც უნდა ვიფიქროთ, უფროსობის ნდობა მოიპოვა. ჰოდა, იმათგან გალავანშემოზღუდული და ამათგან ნდობით აღჭურვილი შეეცადა გაქცეულიყო.

ასეთი რამ არასდროს განუზრახავს. ეტყობა, სხვა გამოსავალი აღარ იყო, ეს ერთადერთი გზა დარჩენოდა, გზა სხვა-

თა განირვით საკუთარი თავის დახსნისა. ეტყობა, თვითონაც განიცდიდა ამას, უჩვეულო ქცევა ეხამუშებოდა. ძმაც იმიტომ აიმედებდა, სოკრატი ყველაფერს ჯორჯიკიას აბრალებს, მშვიდად იყავიო. ასე წერდა, მაგრამ აშორდიას რას გამოაპარებდნენ, კარგად უწყოდა, მასაც და ჯორჯიკიასაც ყველა ბრუნვაში რომ შეუკურთხებდნენ შესაკურთხებელს, მაგრამ რა ექნა, ორცეცხლს შორის მოქცეულიყო, ერთნი შემთხვევისთანავე მოკლავდნენ, მეორენი — უსაშველოდ დიდ სასჯელს მიუსჯიდნენ. არც ერთი უნდოდა, არც მეორე. ამიტომ მოიქცა ისე, როგორც მოიქცა — სიმართლის მთქმელმა სოლომონმა ციხიდან გაქცევა გადაწყვიტა. გაქცევა-გაპარვაც არ იყო მისთვის უცხო, მაგრამ ეს ათესვა წინანდელთაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო, ერთსაც დამალვოდა, მეორესაც.

თანამზრახველები აგინებდნენ, ეს თავისი გზით მიუყვებოდა გზასავალს.

1908 წლის 2 მაისს ვლადოვოსტოკის ციხის უფროსს ამავე ქალაქის საოლქო სასამართლოს მეორე განყოფილების გამომძიებელმა ჟელიხოვსკიმ წერილობით აცნობა, რომ ორი დღის მერე, 4 მაისს პატიმარი სოლომონ აშორდია სემიონოვის ბაზართან მდებარე კამერაში დაკითხვაზე მიეყვანათ. ის იყო, ამ თხოვნა-ბრძანების შესრულებას უნდა შედგომოდა ციხის უფროსი, ბადრაგი გაეფრთხილებინა, დაცვის საჭირო ზომები მიეღო აშორდიას ერთი ადგილიდან მეორეზე გადასაყვანად, რომ შეეჭვდა — ამდენჯერ დაკითხა, ნეტავ, რაღა უნდა აინტერესებდეს, იქნებ ახალი დანაშაული გამოუჩხრიკეს, მათ დანაშაულს რა დათვლის, ნაბიჯი არ გადაუდგამთ თაღლითობის გარეშე, მაგრამ მაინც შევამოწმებო. შეამოწმა და ჟელიხოვსკის წერილი ყალბი აღმოჩნდა.

გამოდის, სოლომონ აშორდია ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის დროს გაქცევას აპირებდა, იქნებ ბადრაგს

უნდა დასხმოდა ვინმე თავს, ან სხვა რაღაც იყო ჩაფიქრებული, პატიმრობისათვის თავის დასაღწევად. არ ვიცით, როგორ მოხდებოდა კიდევ ერთი მიმალვა აშორდიას ყმაწვილისა. ამის შემდეგ გამოძიებისათვის ისიც გახდა ცნობილი, რომ ასეთი წერილობითი მომართვები სხვა დროსაც მიელო ვლადივოსტოკის ციხის უფროსს. კი მიუღია, მაგრამ ზოგი არ შეუსრულებია, ზოგი კიდევ აშორდიას გარეთ დარჩენილ მეგობრებს ვერ გამოუყენებიათ.

1908 წლის 25 აპრილს იგივე ჟელიხოვსკი ციხის უფროსს თხოვდა, 7 აპრილს საოლქო სასამართლოში მოიყვანეთ აშორდიაო. მომართვის მიმღებმა წერილითვე უპასუხა — დაკონკრეტეთ, როდის?! და იქიდან მიიღო ცნობა, რომ განვლილ 7 აპრილს როგორ მიიყვანდა, საუბარი იყო 27 აპრილის 12 საათზე. ასეთივე წერილები 26 მარტსა და სხვა რიცხვებშიც მიუღია ციხის უფროსს იგივე გამომძიებელ და მომრიგებელ მოსამართლე ჟელიხოვსკისაგან. ექსპერტებმა გაარკვევს, რომ ყველა ეს წერილი ყალბი, მიხეილ აშორდიას დაწერილი იყო... ჟელიხოვსკის ყოფილმა მწერალმა დაადასტურა მიმართვათა სიყალბე და ისიც თქვა, რომ იოსელიანი დიდ ფულს თავაზობდა, თუ გამომძიებლის კამერიდან შევძლებდით მისი გაქცევის ორგანიზებას. მეორე მწერალმა კულეშმა — მაღუღარია ქრთამს მაძლევდა ყალბ სამსახურებრივ ცნობას თუ დავწერდიო და ა.შ.

ერთი სიტყვით, სოკრატ იოსელიანი ცალკე, სოლომონ აშორდია ცალკე ჩალიჩობდა გაქცევაზე, ვერც ერთმა მოახერხა, ვერც მეორემ.

ამის შემდეგ იყო, სოლომონმა წინანდელი ჩვენებები რომ აღარ დაადასტურა, უარი განაცხადა, აღელვებული ვიყავი, არ მახსოვს, რა ვთქვი, ალბათ ტვინი გადამიბრუნდა, თორემ როგორ შეიძლება კაცმა თვითონვე დაიმძიმოს დანაშაული.

ჩანაფიქრმა არ გაამართლა, სიმართლის თქმის გამო სა-

მართლდამცავთაგან დაცული და ხელშეუხებელი კი შეიქ-
ნა, მაგრამ გაქცევა ვერ მოახერხა.

არადა, ეს იყო მთავარი. ამიტომაც აჭიკჭიკდა სხვაგვარად.

ამასობაში ვლადივოსტოკური ამბების გამოძიებაც გას-
რულდა. 1909 წლის 7-17 დეკემბერს ჩატარებულმა სასა-
მართლომ სოკრატ იოსელიანს, სოლომონ და მიხეილ აშორ-
დიებს, დომენტი ღლონტს, დიმიტრი ძნელაძეს, ზოსიმე გუ-
გუნავას წელიწადნახევრით თავისუფლების აღკვეთა მიუ-
საჯა, ყველანაირი წოდება და ჩინი ჩამოართვა. იოსებ აფ-
ხაძე 2 წლით გაამწესეს ქარხანაში სამუშაოდ, ანანია ნო-
ვაკს რვა, ილარიონ კიზირიას ორი თვე მიუსაჯეს. ნინა ჯო-
ხაძე, მიხეილ ბერიძე, გენრიეტა შეერი, ივანე ორახელაშვი-
ლი, ელენე სმირნოვა და ანა ნოვაკი გაათავისუფლეს.

დაპატიმრებულებს ციხეში იმაზე მეტი ჰქონდათ გატა-
რებული, რაც განაჩენში ჩაიწერა. რუსეთ-ჩინეთის ბანკის
ვლადივოსტოკის განყოფილებისათვის მიყენებული ზარა-
ლის — 106 800 მანეთის ანაზღაურება ყველას თანასწო-
რად დაევალა. დაპატიმრების დროს ამოღებული თანხიდან
მხოლოდ გენრიეტა შეერს დაუბრუნეს კუთვნილი, დანარ-
ჩენი ძებნის ხარჯებში მიითვალეს.

ასე გასრულდა ვლადივოსტოკური თაღლითობის ამბავი.
მსაჯულებმა ბევრ რამეზე დახუჭეს თვალი, ვიღაც-ვიღა-
ცები საერთოდ არ დაკითხეს, არ ჩაუღრმავდნენ, არ გაამ-
წვავეს. არადა, რომ ჩაღრმავებოდნენ, აფიორა უფრო მას-
შტაბური გამოჩნდებოდა, კიდევ მრავალი ვინმე იქნებოდა
მასში ჩათრეული თუ ჩაყოლილი.

არ აწყობდათ, გრანდიოზული სახე მისცემოდა იმპერი-
ის აღმოსავლეთ მხარეში დატრიალებულ მოვლენებს.

თუმცა რაც გამჟღავნდა, ისიც არ გახლავთ ხელწამოსაკ-
რავი და ადვილად განსახორციელებელი.

ვლადივოსტოკის ამბის გასრულების მერე ხარბინში, უფაში, ომსკსა და სხვა ქალაქებშიც უნდა გამართულიყო სასამართლოები. ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტი ამას, ხატოვნად, აშორდიას არტისტულ ტურნეს უწოდებს.

ასე რომ, ციხის მერეც ციხე ელოდათ სოლომონისა და სოკრატის ძმებს.

რახანს ეს მოილიეს, იმედია, მათაც მშვიდად შეხვდებოდნენ...

***

სხვადასხვა ციხეში იყო, იმპერიის თითქმის ყველა საპყრობილე ინახულა. ვცადოთ, აღვადგინოთ მისი საციხო ქრონოლოგია.

პირველად, 1900 წლის 21 იანვარს, ზუგდიდიდან მომავალი სადგურ რიონზე დააკავეს და ქუთაისის ციხეში ჩააყუდეს, 8 თვე მიუსაჯეს, პატიოსნად მოიხადა მისჯილი და 1901 წლის 1 ოქტომბერს განთავისუფლდა.

ამის შემდეგ ოთხი წელი ვერავინ მოიხელთა. 1905 წლის 1 აპრილს, მისი დაბადების წინა დღეს, ლენქორანში დააპატიმრეს. იჯდა ბაქოს საგუბერნიო ციხეში და 6 აპრილს „უკანანონოდ გაითავისუფლა“ თავი. ამის შემდეგ, დაახლოებით ერთ თვეს ხარბინის ციხეში იყო ჩაყუდებული, საიდანაც 26 იანვარს გაიქცა. ომსკის შემდეგ ისევ ხარბინში, ექსპრესში აიყვანეს 1907 წლის 7 ივნისს. ჩასვეს ამავე ქალაქის ციხეში, იქ დაჰყო თითქმის წელიწადნახევარი და 1908 წლის 9 მარტს უკვე ომსკის ციხეშია. მერე ვლადივოსტოკის ციხეში გადაიყვანეს.

პატიმარ აშორდიას იქით-აქეთ გადაყვან-გადმოყვანა იმით იყო გამოწვეული, რომ ამ ქალაქებში დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. რახან მოიხელთეს ხარბინში, ბარემ ყველა დანაშაულის გახსნა მოისურვეს, სხვადასხვა ქალაქის

საოლქო სასამართლოებიც ითხოვდნენ — თუ მორჩით საქმის ძიებას, აშორდიას დანაშაული აქაც აქვს ჩადენილი და გამოგვიგზავნეთო. ისინიც გზავნიდნენ, აქედან იქ, იქიდან აქ, მერე სხვაგან, მერე სხვაგან, ისევ აქ და ა.შ.

ვლადივოსტოკის ციხიდან ქუთაისის ციხეში გადმოიყვანეს 1910 წლის ივნისში. აქედან მალე ბაქოს გზას გაუყენეს და 6 აგვისტოს 1910 წლისა, კვლავ ტაგიევის ციხეშია.

ტული აშორდია იგონებს: მამაჩემი ხშირად მეუბნებოდა, რომ სოლომონს ბაქოს ციხეში სტალინი უნახავს, რომელიც ხშირად შედგებოდა თურმე სილის გროვაზე და ყველას თვითმპყრობელობის დასამხობად მოუწოდებდა.

სტალინი მართლაც იჯდა ბაქოს ციხეში 1910 წლის ნოემბერში, იქნებ კიდეც დაინახა სოლომონმა, გაიცნო, არ გაიცნო, მოგონების ავტორი არაფერს ამბობს. ბუნებრივია, აშორდიას არც დააინტერესებდა რევოლუციური იდეებით შეპყრობილი ბოლშევიკი და მისი ქადაგება, ის ხომ სხვა კუთხიდან და მხრიდან ანგრევდა იმპერიას.

იგივე ტული აშორდია იგონებს: მამაჩემისთვის უთქვამს სოლომონს, ეს კაცი თუ არ გააჩერეს, ძალიან მკაცრად თუ არ დასაჯეს, ქვეყანას მართლა გადაატრიალებს, ცუდად წაუვა ხელისუფლებას საქმე.

როგორც ჩანს, განჭვრიტა, წინასწარ იგუმანა, რა მოჰყვებოდა თავზეხელაღებული ადამიანის მოქმედებას.

ბაქოში სტალინი დაინახაო — სხვა ციხეებში ვინ იხილა, ვის გაეცნო, არაფერი ვიცით.

ბაქოს ციხიდან 1910 წლის 1 დეკემბერს უფის ციხეში გადაიყვანეს. უნდოდათ, აშხაბადში ჩაეეტაპებინათ, ამიტომ სამარიდან ასტრახანის, აქედან ცარიცინის, მერე ორენბურგის, იქიდან ტაშკენტის ციხეებში დააყოვნეს თითო-ორორი დღე და 1911 წლის 7 ივლისს აშხაბადში ამოაყოფინეს თავი. აქ თითქმის ორი წელი იყურყუტა და 1913 წლის 27 იანვარს ირკუტსკში გამოითხოვეს, მერე, ისევ იმავე გზით, აშ-

ხაბადში, აქედან ქალაქ მერვის ციხეში გადაიყვანეს ცოტა ხნით, საიდანაც ისევ აშხაბადში დაიბრუნეს, მერე ისევ მერვში გაუშვეს და 1914 წლის 22 დეკემბერს გაათავისუფლეს.

ამის შემდეგ კიევში დააპატიმრეს 1916 წლის 17 აპრილს, ციხეში ჰყავდათ 1917 წლის აპრილამდე და დროებითი მთავრობის ამნისტიით გაუშვეს.ამაზე მერე მოგითხრობთ.

დაახლოებით შვიდი-რვა წელი იჯდა ციხეში, მაგრამ ამას პატიმრობას ვერ დაარქმევ, იმდენი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში, უფრო მოგზაურობდა, ციხიდან ციხეში გადადიოდა.

უბილეთოდ მგზავრობდა პატიმარი აშორდია.

ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲐᲫᲔ ᲞᲚᲔᲢᲜᲘᲙᲝᲕᲘ

სოლომონ აშორდიას სახელი რომ გახმიანდა, მისი საქმეების გამომძიებელი პლეტნიკოვიც გახდა ცნობილი. ეს ის კაცია, სოლომონის ამბები რომ გამოააშკარავა, აშორდიას აზნაურობის მექანიზმს ფარდა ახადა—წერდნენ იმდროინდელი გაზეთები. აშორდიაზე ხშირად არ ახსენებდნენ, მაგრამ არც ძალიან იშვიათად აღნიშნავდნენ მის დამსახურებას. ერთი სიტყვით, გამომძიებელი პლეტნიკოვი აშორდიამ გახადა ცნობილი და გამორჩეული იმ მრავალრიცხოვან იურისტებში, ამ და სხვა ადამიანთა დანაშაულს რომ იძიებდნენ.

ვახტანგ ჟვანია გასული საუკუნის გამოჩენილ იურისტ-გამომძიებელთა შორის პლეტნიკოვსაც ასახელებს, როგორც აშორდიას ამბავთა გამომმზეურებელს.

პლეტნიკოვი ერთადერთი იყო, ვისაც გვაჩის ძე ვერ აბნევდა, თავის ჭკუაზე ვერ ატარებდა. მასთან არაფერი გასდიოდა, არც გაჯიუტება, არც თავის მოკატუნება, თითქოს ამ კაცმა წინასწარ უწყოდა, რასაც ფიქრობდა დამნაშავე. ამი-

ტომ მომდევნო კითხვას უსვამდა, წინას პასუხი სხეულით ეგრძნო და ახლა უკვე სხვაზე ეკითხებოდა. სოლომონი იბნეოდა, ლოგიკურად ვეღარ ასაბუთებდა თავის „უდანაშაულობას". არადა, სხვებთან ამას მშვენივრად ახერხებდა. მოიყვანდნენ ბორკილებდადებულს, შეიყვანდნენ პლეტნიკოვთან, ის ერთის გამოხედავდა და მორჩა, საკანში დაწყობილი აზრები გაფანტული იყო, ის ბატონი ხდებოდა, ეს — მორჩილი, მისი ნება-სურვილით მოქმედი და მოაზროვნე. სხვასთან, პირიქით, ეს კარნახობდა, ასწავლიდა, ნამუსზე აგდებდა, ათასნაირ ხრიკსა და ოინს მიმართავდა, რომ დაებნია, სათავისოდ განეწყო. მოიყვანდნენ პლეტნიკოვთან და წახდებოდა, უცებ დაავიწყდებოდა ყველაფერი, იქიდან გამოსულს აღარ ახსოვდა, რა თქვა, როგორ უპასუხა.

დააბრუნებდნენ საკანში, მოეგებოდა გონს, მოიმარჯვებდა საწერ-კალამს და მშვენივრად დააწყობ-დაალაგებდა ყველაფერს. ერჩივნა წერილობით ეპასუხა, მაგრამ ბაყაყისთვალებიანი, წაგრძელებულთავიანი და შეუხედავი პლეტნიკოვი არ ყაბულდებოდა. მიიყვანდა, შეეკითხებოდა, ნათქვამს ჩაიწერდა, წაუკითხავდა და მოაწერინებდა ხელს. სოლომონს არც ის ახსოვდა, რა თქვა, ამიტომ საკანში დაწერილი და პლეტნიკოვის კაბინეტში ნაღიარები აბსოლუტურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

რომ ვერაფერი მოუხერხა, წერილების წერას მოუხშირა უფალი გამომძიებლის სახელზე, ხანდახან დღეში ორ-სამ თხოვნასაც „თხზავდა", სადაც ყოველივე მის სასარგებლოდ იყო აღნიშნული, „უდანაშაულობა" გამოკვეთილი.

იქნებ შემთხვევით, იქნებ სულაც განგებ, ორჯერ პლეტნიკოვის მაგიერ პლიოტნიკოვი დაუწერია, მერე გადაუშლია. მათრახაძედ (плётка მათრახია რუსულად) ხომ არ უნდოდა გამოეყვანა მისი გვარი რუსული ენის მშვენივრად მცოდნე სოლომონ აშორდიას. სხვა გამომძიებლის გვარი და სახელი

არ შეშლია, რაღა ამისას ვერ წერდა სწორად? შეიძლება თავიდანვე მათრახაძედ მონათლა და ერთხელ აკვიატებული აზრი უნებურად შეახსენებდა ხოლმე თავს.

ან ისე, ან ასე. სულაც შეცდომად შეიძლება ჩავთვალოთ ის ორჯერ გადახაზული სიტყვა და ჩვენი ვარაუდიც ქარს გავატანოთ. ეს კია, მათრახნაცემივით თრთოდა მის წინაშე, ხელს აწერდა წაკითხულს, რომ გეკითხათ, რა ეწერა შიგ, ვერ გიპასუხებდათ. სხვები გაახსენებდნენ და უკვირდა — ეს რა ჯანდაბამ მათქმევინაო, ხელწერასაც აკვირდებოდა, მისი იყო, თორემ გულში ისიც გაუვლია ხოლმე — ეს პლეტნიკოვიც ჩემსავით ხომ არ აყალბებს ამ ოქმებს და მაბითურებსო.

არადა, ეს გამომძიებელი რომ არ ყოფილიყო, ვლადივოსტოკის ამბების ერთი ნაწილიც გაუხსნელი დარჩებოდა, იქიდან გამოგზავნილი, ქართულსიტყვებიანი, რუსულად დაწერილი წერილებიც და დეპეშებიც მან გადაათარგმნინა, წაიკითხა, ჩაუკირკიტდა და აზრი კი არა, ფაქტიურად, საბრალდებო დასკვნისმაგვარი წერილი მისწერა იქაურ სამართალდამცავებს.

ოჰ, ეს პლეტნიკოვი ან პლიოტნიკოვი! — რამდენჯერ გაუვლია გონებაში გვაჩის ძეს. სხვებს წერდა — ჩამოაშორეთ საქმეს ეს კაცი, არასწორად იძიებს ჩემს დანაშაულსო. ადრე პლევენსკი და მიკლაშევსკი უშლიდნენ ნერვებს, მაგრამ ამასთან ისინი ანგელოზები იყვნენ, ერთი-ორი თუ არა, მესამე ცდის მერე მაინც „მოარჯულებდა“ სოლომონისნაირი თაღლითი, ამას თითქოს გრძნობა არც გააჩნდა, ღმერთს მხოლოდ იმისათვის გაეჩინა, სოლომონის საკანში დალაგებული აზრები წინასწარ წაეკითხა და ფეტვის მარცვალივით დაებნია.

აშორდია ათასობით ადამიანის გააზნაურებით ან გათავადებით გახდა ცნობილი, პლეტნიკოვი ამ საქმის გამომზეურებით.

თავი მეექვსე

AFFAIRE ASCHORDIA

ისიც არ უთქვამს, ვინ იყო

19 ოქტომბერია. შემოდგომის კიევისათვის გამორჩეულად თბილი და მზიანი დღე. თბილა კი არა, უფრო ცხელა, ვერც იფიქრებ, სულ მალე ზამთარი თუ დადგება, ძვალსა და რბილში გამტანი სიცივე დაისადგურებს. ცა მოწმენდილია, მოკასკასებული, ღრუბლის ფიორიც არსად ჩანს. დიდი და პატარა ქუჩაშია გამოფენილი, ასეთი ღუნღულა სითბო მალე ხომ აღარ იქნება.

მიდიან, მოდიან, ერთობიან, სვამენ, საყვარელ ადამიანს ხვდებიან. დაწესებულებათა თანამშრომლებიც გამოფენილან შესასვლელებსა და აივნებზე, მუსაიფობენ, უფრო საამისო ამინდია, ვიდრე საქმის, უკვირთ მცხუნვარება შემოდგომის მიწურულის მზისა.

უფრო ცხელა, ვიდრე თბილა.

კიევის ხაზინის თანამშრომელთა ერთი ნაწილიც გარეთაა გამოსული, შიგნით დარჩენილებსაც აქ ურჩევნიათ, მაგრამ საქმე არ უშვებთ, ფიქრობენ, მალე მოვრჩებით და იმათ შევუერთდებითო, გარეთ უფრო ბლომად გასულან, ვიდრე შიგნით დაფუსფუსებენ.

ვიღაც მოვიდა, საშუალო სიმაღლის, ოდნავ შევერცხლილთმიანი, გრძელ სახეს ბლანჟე უმრგვალებს, თვალები წვრილი და მიბნედილი აქვს, თუ დააკვირდება, მასში მოღუზღუზე ნაღვერდალს კი არა, კოცონს შეამჩნევს მოყურადე თვალი. მდიდრულად მორთულ ეტლიდან ჩამოვიდა, კიე-

ველები მეეტლესაც იცნობენ, ფასიც უნყიან მგზავრობისა, სხვები რომ იღებენ, ის ათმაგს თხოულობს, მდიდრულად მორთულ ტრანსპორტში ცხენებიც ჯიშიანები, ნაღდებია შებმული, კი არ დაახრიგინებენ, დაასრიალებენ ეტლს.

გადმოვიდა ეტლიდან მდიდრულად ჩაცმული უცხო კაცი და ჩქარი ნაბიჯით შევიდა ხაზინაში. შევიდა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და შეუდგა საქმეს. გეგონებოდა, ყოველდღე ერთსა და იმავეს შვრებოდა, დაბნეულობას ვერ შეამჩნევდი, პირიქით, გამოცდილ და ამ საქმეში ჭიპმოჭრილ კაცს ჰგავდა.

მივიდა, საოლქო საინტენდანტო სამმართველოს ასიგნაცია ამოიღო, ორდერი მოიმარჯვა და შეუდგა საქმეს. ერთთან გააფორმა რაღაც, მეორესთან, მესამესთან, მეოთხემ პასპორტი მოთხოვა, მშვიდად გაუწოდა — ხარკოვის პირველი გილდიის ვაჭარი ნიკოლოზ სალონნიკოვი აღმოჩნდა. ჩაცმაზეც ეტყობა, დიდი ფულის პატრონი რომ იქნება, გაიფიქრა პასპორტის გამომრთმევმა და ისევ საბუთებს დაუწყო თვალიერება. ვაჭარი კაცი კიევის საოლქო საინტენდანტო სამმართველოს კუთვნილ 278 ათას მანეთს ითხოვდა, ასიგნაციაც ჰქონდა საამისო, ორდერიც... ითხოვს, უნდა მიიღოს — ისევ ფიქრი მოეძალა გადაღობილს იქით მჯდომ კაცს და უგულოდ დაიწყო რაღაც ქაღალდის შევსება. წერდა ნელა, თან საბუთებს აკვირდებოდა, დაწერდა რაღაცას, ჩახედავდა უცხო კაცის, ხარკოვის პირველი გილდიის ვაჭრად რომ გააცნო თავი, საბუთებს, დააკვირდა ერთს, მეორეს, მესამეს... ყველაფერი წესრიგში იყო. ბოლოს მაინც გულმა არ მოუთმინა და სინათლეზე გახედა ასიგნაციის ფურცელს, გახედა ერთხელ, მეორედ, მესამედ, უფრო ახლოს მიიტანა სინათლესთან, მის გვერდით გამოჭრილ სარკმელთან და იქ დაუწყო ჭვრიტინი — პირობითი ნიშანი ასიგნაციისა არსად ჩანდა, კიდევ დააკვირდა, დააშტერდა,

დახედა, ახედა და დარწმუნდა, რომ პირობითი ნიშნის უქონელი იყო ის საბუთი.

ხაზინის თანამშრომელმა იცოდა, ისე უნდა მოქცეულიყო, რამე არ შეემჩნია, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, წყნარად დაჯდა, რაღაც დაწერა და მომლოდინე ვაჭარს მშვიდად უთხრა:

— ერთი ნუთით დამელოდეთ, თუ შეიძლება!

ვაჭარმა რაღაც იგუმანა, უხერხულად შეიშმუშნა და ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებით გასცა პასუხი.

— თუ არ გცალიათ, ფულს ხვალ ავიღებ, დიდად არ მეჩქარება.

— არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ, ახლავე მოვალ.

ვაჭარს ნერვებმა უმტყუნა, დარბაზში აქეთ-იქით გაიარ-გამოიარა, მაგრამ მიხვდა, რომ ამით უცებ გასცემდა თავს და ისევ გადაღობილთან დადგა და ოთკუთხა ხის სარკმლიდან იმ კარს მიაშტერდა, ხაზინის თანამშრომელი რომ გაუჩინარდა.

„მალე“ მალე გავიდა, მაგრამ სარკმელში კი აღარ გამოყო ხაზინის თანამშრომელმა თავი, წინ აესვეტა ვაჭარს და რევოლვერმომარჯვებულმა, — არ გაინძრეო — უბრძანა.

ახლა უფრო დაიბნა ნიკოლოზ სალონნიკოვად თავის გამსაღებელი კაცი, თუმცა იმის მშვიდად თქმა მაინც მოასწრო:

— რაშია საქმე?

— ასიგნაცია ყალბია! — დაუმარცვლა იარაღიანმა.

ეს თქვა და ვაჭარიც აჭიკჭიკდა:

— როგორ თუ ყალბი, რას ბრძანებთ, რაღაც გეშლებათ, გთხოვთ, ხელახლა შეამოწმოთ, დააკვირდეთ, საინტენდანტო სამმართველოში ავიღე, როგორ შეიძლება, ყალბი იყოს... და მისთანანი — თავიდან თხოვნა-ხვეწნით ცდილობდა ფონს გასვლას, მერე, ამან რომ არ გაჭრა, მუქარაზე გადავიდა:

— დაგიჭერთ, ციხეში ამოგალპობთ!

რამდენიმე მაღალჩინოსნის გვარიც ახსენა, მათთან დაკავშირებაც მოითხოვა, მაგრამ არაფერმა გაჭრა — რევოლვერი ისე ოსტატურად ეჭირა რამდენიმე წუთის წინ გადაღობილს იქით დაყუდებულ კაცს, რომ განძრევა და გასროლა ერთი იქნებოდა.

ვაჭარი ყვიროდა, ილანძღებოდა, იმას დამცინავი ღიმილი ეფინებოდა სახეზე.

— დაგიჭერთ, ციხეში ამოგალპობთ! — იქით ემუქრებოდა აქეთ დასაჭერი და დასაპატიმრებელი.

ეს ყვიროდა, ის დამუნჯებულიყო. ვაჭარი ენად იკრიფებოდა, ბოლოს უაზროდ ისროდა სიტყვებს, ამბობდა იმისთვის, რომ ეთქვა, ეყვირა, ეჩხუბა, ელაპარაკა ხმამაღლა, დაჩემებოდა იარაღიანს. ის კიდევ, პირიქით, — თითქოს მხოლოდ იმიტომ არსებობდა, რომ იმ ერთი ფრაზის გარდა არაფერი დაცდენოდა ბაგიდან, თუ იტყოდა, გაისროდა კიდეც და ეს იქნებოდა მისი საბოლოო სიტყვაც და განაჩენიც.

ვაჭარი პირიქით, — უაზრო და აზრიან წინადადებებს ერთმანეთზე ახვავებდა. ცდილობდა ყურადღება მოედუნებინა იარაღმომარჯვებულისა, ჩაეფიქრებინა, რაღაც სხვაზე გადაეტანა მისი თვალი, ყური, გონება და მერე მშვენივრად იცოდა, რაც უნდა ექნა, მაგრამ ერთ იდეაშეპყრობილი ხაზინის თანამშრომელი ჯიუტად ჩასცქეროდა უაზრო თვალებით, განძრევას გასროლა მოჰყვებაო, რომ ამხელდა. არადა, ასეთი პროფესიონალიც არსად ენახა, — ხაზინაში კი არა, ჟანდარმერიაში უნდა მუშაობდეს — გაუკრთა მწარე ფიქრი და პოლიციაც მოვიდა. მათთანაც ეცადა უდანაშაულობის დამტკიცებას, ვილაც-ვილაცები კიდევ ახსენა, მაგრამ არც მათ მოუსმინეს და სადაც საჭირო იყო, იქ მიაბრძანეს.

ცოტა ხნით გასულმა ხაზინის თანამშრომელმა საინტენდანტო სამმართველოში დარეკა, უთხრეს, ამ დღეებში ასიგ-

ნაციის ბლანკებიც დაგვეკარგა და 278 ათასიანი ორდერიც არავისზე გაგვიციაო.

ამის შემდეგ მიაბჯინა რევოლვერი ხაზინის თანამშრომელმა ხარკოვის პირველი გილდიის ვაჭარს, რომლისგანაც რაღაც წინააღმდეგობის გაწევას კი მოელოდა, მაგრამ თუ ამდენს ისხმარტალებდა „უდანაშაულო" კაცი, ძნელად წარმოიდგენდა.

დაიჭირეს ნიკოლოზ სალონნიკოვი.

კიევის გაზეთები წერდნენ: ამ დღეებში დიდი აფერისტი მოაყუჩეს ჩვენმა სამართალდამცავებმა, რომელსაც, ბუნებრივია, თანამზრახველნი საინტენდანტო სამმართველოშიც ეყოლება, მიმდინარეობს გამოძიება, სასტუმროს ნომერიც გაჩხრიკეს, მაგრამ იქ არაფერი აღმოჩნდა, პატიმარი დუმს, მოვლენების განვითარების შესახებ დამატებით გაცნობებთო.

დამატებით გაცხადებული: დაკავებულმა დაარღვია დუმილი და განაცხადა, რომ ვაჭარი სალონნიკოვი კი არა, ქართველი გიორგი მაჭავარიანი ვარო.

დაიჭირეს პასპორტით სალონნიკოვი — ხარკოვის პირველი გილდიის ვაჭარი, აღმოჩნდა უპროფესიო ქართველი გიორგი მაჭავარიანი.

სინამდვილეში არც ერთი იყო, არც მეორე.

მაჭავარიანის სახელზე გაცემული პასპორტი იმდენად სანდო და ნამდვილად მიიჩნიეს, რომ ეჭვიც არაფერში შეპარვიათ — ციხეში ჰყავდათ, მათი აზრით, სალონნიკოვად თავის გამსაღებელი მაჭავარიანი, სინამდვილეში — სოლომონ აშორდია.

ორი წელიც არ გასულა მერვის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ და ახლა კიევის ლუკიანოვკის ციხეში ამოყო თავი.

იჯდა კამერაში 6-7 თვე, უფრო ზუსტად, 1916 წლის 19 ოქტომბრიდან მომდევნო წლის 6 აპრილამდე გიორგი მა-

ჭავარიანი, სინამდვილეში სოლომონ აშორდია და ვერაფერი მოიფიქრა, ვერც უკანონოდ გაითავისუფლა თავი, ვერც გაქცევა მოაწყო.

იჯდა სხვისი გვარ-სახელით და ამიტომაც უჭირდა ალბათ ბევრჯერ ნაცადი ან თუნდაც ახალი აფიორა მოეფიქრებინა და გაეშტერებინა პოლიციელები.

რუსეთის იმპერია პირველ მსოფლიო ომში იყო ჩაბმული, სოლომონი ციხეში გამოკეტილი. იქნებ სულაც აქ უჯობდა და ამიტომაც დიდად არ ცდილობდა ახალი ფანდი გაეიმასქნებინა. 6 აპრილს გაასამართლეს და მოქმედ არმიაში უკრეს თავი.

გაუშვეს არმიაში მაჭავარიანი, სინამდვილეში — აშორდია, მაგრამ ამდენი ვეღარ მოითმინა, ნამდვილი გვარ-სახელი დაიბრუნა, მის შესაფერისად მოიქცა — არმიიდან გაიქცა და მოსკოვში დაბრუნდა.

ეს უკვე ბუნებაა აშორდიასი და არა მაჭავარიანისა — გაიქცა და რომელიმე უკაცრიელ მხარეს კი არა, იმპერიის მეორე ქალაქს შეაფარა თავი.

კიევის ციხე ბოლო პატიმრობა იყო აშორდიასათვის. დარჩენილ წუთისოფელში, რომელიც სამ წელიწადში გასრულდა კიდეც, საკანი აღარ უნახავს, თუმცა საციხო საქმეებს არც მერე შეშვებია.

დაჭერის დღეს კიევში უჩვეულოდ მზიანი და თბილი დღე იდგა.

ᲪᲘᲮᲔ ᲐᲨᲝᲠᲓᲐ ᲐᲨᲝᲠᲓᲘᲐᲡ

კიევის ციხიდან დროებითი მთავრობის ამნისტიით თავდახსნილი სოლომონ აშორდია ქ. მცენსკში გაგზავნეს მოქმედ არმიაში, მაგრამ, როგორც ვთქვით, იქიდან მალე გამოიქცა და მოსკოვს შეაფარა თავი.

სხვანაირი იყო ამ დროს იმპერიის დედაქალაქი, ნიკოლოზ მეორე ჩამოგდებული, დროებითი მთავრობა გახელისუფლებული, დრო სააშორდიო, ძველი მთავრობა — წასული, ახალი მოსული, მაგრამ ჯერ კიდევ ვერგარკვეული, რა და როგორ ეკეთებინა, ბევრი რამ მოშლილ-მონგრეული, სამაგიერო — არარსებული. ამ დროს სოლომონ აშორდიას დონის თაღლითები კი არა, უბრალო ქოსამატყუარებიც ითბობენ ხელს, იმას აკეთებენ, რაც უნდათ, აჭრილი დროებით სარგებლობენ.

1917 წლის აპრილიდან ივნისამდე იყო მოსკოვში გვაჩის ძე, ცხოვრობდა გნეზდნიკოვის ჩიხის მეათე ნომერში. ამ სახლის პირველ სართულზე მოსკოვის ჟანდარმერიის სამძებრო განყოფილება გახლდათ, აქვე ცხოვრობდა უკვე იმპერიაში ცნობილი თაღლითიც, ეს ცხოვრობდა, ისინი — მუშაობდნენ, ერთმანეთს ხელს არ უშლიდნენ, ისინი დილით აქ მოდიოდნენ სამსახურში, ეს აქედან სხვაგან მიდიოდა, ხშირად ერთმანეთსაც ხვდებოდნენ, ვიღაც მდიდარი კავკასიელი ეგონათ, თავის დაკვრით ესალმებოდნენ, თვალსაც არ აყოლებდნენ, კვალში არ უდგნენ. ეს — მიდიოდა, ისინი მოდიოდნენ და ხშირად გვიან ღამემდე რჩებოდნენ, ვიღაცას დასდევდნენ, აპატიმრებდნენ, ეს — ჩვეულებისამებრ, საღამოს ბრუნდებოდა და სახლში აგრძელებდა საქმეს. ისინი ნერვიულობდნენ, სიგარას სიგარაზე ეწეოდნენ, ეს — მშვიდად, წყნარად აგრძელებდა თავის საკეთებელს. მთავარი დამნაშავე ერთი ხელის გაწვდენაზე ჰყავდათ, ხელი გაენძრიათ და მდიდრული სამოსის საყელოში წვდებოდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, ვინ იყო, რას აკეთებდა, სხვებს დასდევდნენ და იჭერდნენ, ამას — არა.

ისინი მოდიოდნენ, ეს მიდიოდა — ორივენი სამსახურში, ერთნი კაი ხანს მსახურობდნენ ერთსა და იმავე ადგილას,

სოლომონი კი ქალაქებს იცვლიდა, რა ექნა, პროფესია ჰქონდა ასეთი.

იყო მოსკოვში ახალი საკბილოს ძებნაში დაქიჩმაჩებული და ამ დროს ეწვია ნინა ჯოხაძის ძმა, ახლა უკვე ცოლის ბიძა ვარლამ ჯოხაძე. ისიც სამხრეთის ფრონტიდან გამოიქცა, მაგრამ მაინც შეეშინდა, როგორც ოფიცრისათვის, პასუხი არ მოეთხოვათ და მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბში გამოცხადდა — იქ პოლკოვნიკი გერასიმე ქავთარაძე გაიცნო, მან შტაბში დატოვა „სამუშაოდ და სამოღვაწეოდ“.

სოლომონი მოქმედი არმიიდან გაიქცა, ოფიცერი ვარლამი სამხრეთის ფრონტიდან, შეხვდნენ ერთმანეთს აქედან და იქიდან ათესილები. სულაც არ გახარებიათ ხილვა ურთიერთისა, ერთიც უფულოდ იყო, მეორეც, იმან გაიფიქრა, ესღა მაკლდა სარჩენად და სადაეიდარაბოდო, ამანაც იგივე.

იყვნენ უსახსროდ, ფიქრობდნენ, რა აფიორა წამოეწყოთ, დიდ ფულს თუ არ დაითრევდნენ, თავი მაინც რომ გაეტანათ.

სააშორდიო ჟამის მოსკოვში დასალევიც გამოლეულიყო, სვამდა ყველა, სვამდნენ ყველაფერს, რასაც გრადუსი ჰქონდა, რაც სიმთვრალეს მოგვრიდათ. ერთნი ბოლმის გამო ეტანებოდნენ, მეორენი — ძალაუფლებითაც თვრებოდნენ და სასმელითაც, სვამდნენ, თუ იშოვიდნენ რაიმეს, უზომოდ, განუსაზღვრელად, მანამ, სანამ რუსულად არ გაილეშებოდნენ. ერთი ვედრო სპირტი, — რატომ ზომაედნენ ასეთი საწყაოთი, არ ვიცი — ათასი მანეთი ღირდა, ამიტომ, თუ სადმე წაეწეოდნენ, გულიანად ეტანებოდნენ.

სპირტი ძვირი კი ღირდა, მაგრამ ფულიც რომ გქონოდა, საშოვნელიც არანაკლებ რთული იყო — მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბში უნდა მისულიყავი, შეხვეწნოდი, დაღრეჯოდი და იქნებ ვინმეს სამოწყალოდ გამოეწერა სპირტის შესაძენი ქვითარი.

ვარლამ ჯოხაძემ „მოწყალე“ გერასიმე ქავთარაძე დაიყოლია და 20 ვედრო — ერთი კასრი სპირტი მუქთად, ვედრო ხუთ მანეთად დაითრია. აქციზის სამმართველოში საბუთები გააფორმა და ლეფორტოვოს საწყობს მიადგა. წამოიღეს იქიდან საზიდრით ის კასრი და ჩააბარეს ვიღაც ანჯაფარიძეს, რომელმაც გადახდილი 100 მანეთი 20 ათასად აქცია.

ყლუპი კი არა, გრამი რომ გრამია, იგიც არ შეუსვამს, არც აშორდიას, არც ვარლამს, არც ანჯაფარიძეს, იყიდეს ძნელად საშოვნი საქონელი და უსაშველო ფასად გაასაღეს. მეტი მოგება რაღა გინდა, 20 ვედროში 100 მანეთს რომ გადაიხდი და ორ დღეში 20 ათასს აიღებ.

უფულონი, უკაპიკონი ფულიანებად იქცნენ, საქმეც მოენონათ, აფიორაც უცებ მოისაზრეს. სოლომონმა კარგად შეისწავლა ქავთარაძის ხელმოწერა, საერთოდ, ყველა ის საბუთი, რომელიც სპირტის მიღებისათვის იყო საჭირო და პირველად 60 ვედროზე, მერე სამოცდაათზე, შემდეგ ასზე გამოაცხო ნამდვილს მიმგვანებული ისეთივე დოკუმენტები.

ქავთარაძე მოტეხეს (იქნებ უანგაროდ არც მას გაუცია სასმელი, წილში ჩაუჯდა თაღლითებს), ახლა აშორდია ასრულებდა მის მოვალეობას, წერდა საბუთებს, რომელთაც ლეფორტოვოში საწყობის გამგე ქალს აბარებდნენ, იგი გასცემდა სპირტს, სპირტი მიჰქონდათ ანჯაფარიძესთან, რომელიც მამასისხლად ყიდდა მუქთად ნაშოვნ სასმელს, იღებდა დიდძალ თანხას, თანხას იყოფდა სამეული, საქმე კონვეიერივით იყო აწყობილი, ყველას თავისი ფუნქცია ჰქონდა. ერთი უბრალო მაქინაციით 250 ათასი მანეთი იშოვნეს, სამად როგორ გაიყვეს, არსად წერია, ალბათ სოლომონს არგუნეს ლომის წილი — მის გარეშე ხომ ამგვარი რამის გაიმასქნება წარმოუდგენელი იყო.

ყიდულობდნენ სპირტს იაფად, ყალბი საბუთებით, ყიდდ-

ნენ ძვირად, აშკარად, თვალში საცემად, ყველას დასანახად.

ეს პირველი მაქინაცია გახლდათ მეფის მთავრობის დამხობის შემდეგ სოლომონ აშორდიასი, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილებულა გვაჩის ძე. „სპირტის ბიზნესის“ მიტოვებიდან ერთი კვირის მერე მოსკოვის თითქმის ყველა გაზეთში ასეთი ინფორმაცია გამოქვეყნდა:

„დედაქალაქის კომერციული საბანკო დაწესებულებანი პანიკაშია. ერთ-ერთი ბანკიდან ვიღაც თაღლითმა ყალბი საბუთებით დიდძალი თანხა გაიტანა“.

ვარლამ ჯოხაძეს ნაცნობმა ოფიცერმა უთხრა, რომ ერთ-ერთ ბანკში ბუღალტერთან ძმაკაცობს, რომელიც თანახმაა, ფულის დათრევაში დაეხმაროს, ოღონდ არ სურს, მისი მონაწილეობა გამჟღავნდეს.

— იქნებ მოძებნო რამდენიმე სანდო ადამიანი, ვიშოვნოთ ერთი-ორი ბომბი, პისტოლეტები, დავესხათ ამ ბანკს თავს იმ დროს, რომელიც შეთანხმებული გვექნება ბუღალტერთან, ის ვითომ გაგვიწევს წინააღმდეგობას, ჩვენ მოკვლით დავემუქრებით, ერთი-ორჯერ გავისვრით, ფულს წავართმევთ და გავიქცევით... — გაამხილა ოპერაციის დეტალები ოფიცერმა.

— ბომბებით და პისტოლეტებით შევიარაღდეთ, არა?! — შეეკითხა სოლომონის ცოლის ბიძა.

— აბა, ფულს ჯიბეში ვინ ჩაგვიდებს?! — გაეცინა პირველ მთქმელს.

— კარგი, სანდო ადამიანების მოძებნა ჩემზე იყოს, ოღონდ ჯერ ის ბუღალტერი მანახვე, შევხვდები, გავესაუბრები. — საქმის მცოდნე ადამიანის კილოთი მიუგო ჯოხაძემ.

— კი, ბატონო, — იყო პასუხი.

მეორე დღეს ოფიცერი, ჯოხაძე და ვიღაც უცხო ადამიანი, რომელმაც მოსკოვის კომერციული ბანკის ბუღალტრად

გაასაღა თავი, დიდი თეატრის ბაღში შეხვდნენ ერთმანეთს.

ჯოხაძე: ოპერაცია იმდენად რთულია, შეიძლება ერთი-ორი ბომბის აფეთქებაც დაგვჭირდეს.

ბულალტერი: შეიძლება.

ჯოხაძე: ჰოდა, ამ აფეთქებას, იქნებ, მსხვერპლიც მოყვეს, შეიძლება ბანკის კარებში მოყურყუტე ერთი-ორი მცველის დაბრედვა გახდეს საჭირო, უნდა დაგესხათ თავს და იქნებ არც თქვენ დაგადგეთ კაი დღე, ეს საქმე რისკს მოითხოვს, ურისკო ადამიანები კი, იცით, ფაფასაც ვერ ჭამენ დაუხმარებლად.

ბულალტერი: რას ამბობთ?!

ჯოხაძე: რას და იმას, რომ ნამდვილობის ეფექტის მოსახდენად შეიძლება თქვენი.... — აქ შეყოვნდა — მოკვლაც გახდეს საჭირო.

ბულალტერი: გადაირიეთ!

ჯოხაძე: ამისთვისაც უნდა იყოთ მზად, ბრძოლა მსხვერპლს მოითხოვს, ბატონო!

ბულალტერი: წინასწარ მანიშნეთ, როდის ააფეთქებთ ბომბს და ჩემზე ნუ იჯავრებთ, ისე დავიმალები, ეშმაკიც ვერ მომძებნის.

ოფიცერი იქაურობას ათვალიერებდა, ამათ საუბარში არ ერეოდა.

— თუ ბომბების სროლა და ხალხის დახოცვა არ გინდათ, მაშინ თქვენი ბანკის ორი ჩეკი მომიტანეთ, ერთი შევსებული, მეორე — ცარიელი. დანარჩენს მე მივხედავ — უთხრა ჯოხაძემ და იქით-აქეთ თვალებმობრიალე ოფიცერს გახედა.

— ჩეკები რად გინდათ?! — დაეჭვებით იკითხა ბულალტერმა.

— ეს ჩვენ ვიცით! — მოუჭრა ვარლამმა და წასასვლელად გაემზადა.

მოსკოვის კომერციული ბანკის ბუღალტერმა მეორე დღესვე მოარბენინა ჩეკები. ისინი ვარლამმა სოლომონს მიუტანა, ამან კიდევ ისეთი გულმოდგინებით შეისწავლა მოხაზულობა თითოეული ასო-ნიშნისა, ხელმოწერის თავისებურებანი, რომ ნუ იკითხავ, შეავსო თავისუფალი ზუსტად იგივე ხელმოწერით, იმავე თანხის მითითებით და გადასცა ვარლამს. მცირე თანხაზე ხომ არ გაისვრიდნენ ხელს სოლომონი და მისი მეკავშირენი — ბანკისაგან ყალბი ჩეკით 280 ათას მანეთს ითხოვდნენ.

იშოვეს ერთი სანდო კაცი, გამოაწყვეს სამოქალაქო ტანსაცმელში, მისცეს ჩეკი და ჯოხაძე და ოფიცერი გაჰყვნენ უკან.

ის სანდო კაცი მივიდა ბანკში, გააფორმა საბუთები, ზოგი სხვასთან, ნაწილი იმ ბუღალტერთან, საქმეში რომ იყო გარეული, აიღო ჟეტონი და მშვიდად გამოვიდა გარეთ.

ახლა სამივემ მეორე ბანკისკენ აიღეს გეზი.

იქაც ის სანდო კაცი შევიდა, მიაწოდა ჟეტონი, მიუთვალეს 280 ათასი მანეთი, შეინახა საგულდაგულოდ და მშვიდად გამოვიდა გარეთ.

ჯოხაძემ ფულით სავსე ჩანთა რომ დაინახა, გაიხუმრა:

— გამეცალეთ, ბომბი უნდა ავაფეთქო.

არც უსვრიათ, არც უყვირიათ, აიღეს ასაღები, შეიკრიბნენ, გაიყვეს, სროლის, აფეთქების, ბათქაბუთქის, ადამიანების ჩახოცვის გარეშე.

ეს ზედმიწევნით კარგად გამოდიოდა გვაჩის ძეს.

გაიგეს, იმავე ბანკში ერთ-ერთ ქარხანას მილიონობით თანხა ჰქონდა ანგარიშზე. იგივე ბუღალტრის დახმარებით სოლომონ აშორდიამ ორას, სამასორმოცდაათ და ოთხასი ათას მანეთზე შეავსო ჩეკები. ახლა სხვა ვიღაც მოძებნეს, იმას მიყვნენ კვალში ოფიცერი და ვარლამი, მივიდნენ ბანკში, აიღეს სპეციალური ჟეტონი, წამოვიდნენ მეორეში და

ჩაიჯიბეს ერთხელ ორასიათასი, მეორედ — 350 ათასი მანეთი.

ჯერი 400 ათასი მანეთის გამოტანაზე მიდგა.

კიდევ ერთი სანდო და მოხერხებული ვიღაც გამოძებნეს და დაიწყეს იგივეს განმეორება, მაგრამ ბანკში მივიდნენ თუ არა, უფრო სწორად, ერთ განყოფილებაში რომ გააფორმეს საბუთები, — ვიღაცამ ყვირილი ატეხა — ათასი მანეთის გამოტანაზე ერთი კვირაა დამარბენინებენ, ამ ჟულიკებს კი მილიონებს აძლევენო.

ისე ხმამაღლა ყვიროდა ის კაცი, რომ ბანკში გაჩერებას აზრი აღარ ჰქონდა. მიატოვეს საბუთები და გაეცალნენ იქაურობას.

ამ თანხის აღების დროს სოლომონ აშორდიაც ბანკთან იდგა და აკვირდებოდა მოვლენებს.

ის — სხვა გზით, სამეული კიდევ სხვა მიმართულებით გადაიკარგა.

ასე ჩაიფუშა 400 ათასი მანეთის დათრევის ოპერაცია.

ბანკის მოლარე ადრე თურმე იმ ქარხანაში მუშაობდა, რომლის კუთვნილ თანხასაც ითხოვდნენ თაღლითები, მეორე დღეს დარეკა და იმათ ბუღალტერს უთხრა — ყველაფერი მზადაა, მოდით, 400 ათასი მანეთის ჟეტონი წაიღეთ, ჯერ კიდევ გუშინ გვქონდა მზად.

— რა ოთხასი ათასი?! — გაიკვირვა იმან. — მაგხელა ფულზე კი არა, ამ დღეებში კაპიკის გატანაზე არ გაგვიკეთებია განაცხადი.

მიხვდნენ, თაღლითობასთან ჰქონდათ საქმე.

გაზეთი „მოსკოვსკი ლისტოკი“ 1917 წლის 24 ივნისს წერდა:

„გუშინ მოსკოვის საბირჟო წრეები შეშფოთებამ მოიცვა იმ თაღლითობის გამო, რომლის მსხვერპლიც ერთ-ერთი კო-

მერციული ბანკი გახდა. საღამოს გაარკვიეს, რომ სალაროში 350 ათასი მანეთი აკლდათ. აღმოჩნდა, იგი ყალბი ჩეკით გაეტანა ვიღაც თაღლითს. ეძებეს თანხის წამღები, მაგრამ უკვე იქ აღარავინ იყო".

არადა, რა მოძებნა უნდოდა, იმავე სახლში ცხოვრობდა, სადაც ჟანდარმერიის სამძებრო განყოფილება იყო.

ეძებეს, ვერ იპოვნეს. რას იპოვნიდნენ — ისინი რომ მოდიოდნენ, ეს — მიდიოდა.

სოლომონ აშორდიასა და ვარლამ ჯოხაძის მოსკოვში გაჩერება აღარ შეიძლებოდა. ვინმეს იქნებ რამე წამოცდენოდა, ამბავი გამხელილიყო, სიფრთხილე ჭირდებოდათ. ამიტომ მეორე დღესვე მატარებლით ჩავიდნენ ნიჟნი-ნოვგოროდში, იქიდან — სარატოვში, მერე — ვლადიკავკაზში და ბოლოს თბილისში ამოყვეს თავი.

რუსეთის დედაქალაქში ეძებდნენ, საქართველოს დედაქალაქში იყო. როგორ იპოვნიდნენ და დაიჭერდნენ.

იქ ეძებდნენ, აქ იყო ახალშექმნილ ოჯახთან, ახალშეძენილ სახლში. სოლომონ აშორდიამ თბილისში ლევან ჟორდანიასაგან (არ ვიცით, ის ლევანია თუ არა, სილოვანიც რომ ერქვა) იყიდა ვეებერთელა სახლი დიდუბის ქუჩაზე. იყიდდა, აბა, რას იზამდა. მე შენ გეტყვი, ფული არ ჰქონდა და, ფასის დაკლებაზე დაუწყებდა პატრონს ლაპარაკს.

ᲐᲦᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲨᲝᲠᲓᲘᲐᲡᲘ

მოსკოვიდან დაბრუნებული სოლომონი თბილისში ცხოვრობდა, სამსახურში რომ არ ჩადგებოდა, აშკარაა, მაგრამ რას აკეთებდა, ვინ გადააგდო, ვინ გააცურა, არ ვიცით. იყო თბილისში, ხშირად ჩადიოდა ზუგდიდში, მატარებლით

მგზავრობას თაკილობდა, ავტომობილს დაიქირავებდა და ჩამოიმერდებოდა. თვალს გადაავლებდა საქართველოს — აქეთ მისი გააზნაურებულები ბლომად იყვნენ, იქით — ნაკლებად. ჩამოდიოდა იქიდან აქეთ — ავტომობილში გაჯგიმული, კოხტად, მოხდენილად ჩაცმული, შეხედავდა ვინმე და სულაც ვერ იფიქრებდა — აშორდიას აზნაური სოლომონ აშორდია თუ იყო, ვიღაც დიდი თავადი ეგონებოდა, ძველებური არისტოკრატიული პენი და მანერები რომ შემორჩენოდა. იკითხავდა რამეს და მომსმენი მსწრაფლ დარწმუნდებოდა, დახვეწილი გემოვნების კაცთან ჰქონდა საქმე, — ძუნწმოუბარი, ზედმეტს არასდროს იტყოდა.

ძველი დროება თითქმის შეიცვალა, სოლომონი იგივე დარჩა — სამაკვარანცხოდ აცეტებული შუახნის კაცი. საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, იმპერიის კლანჭებს თავი დააღწია, უხაროდა, არ უხაროდა, ვერაფერს იტყვი.

თბილისიდან ზუგდიდში და პირუკუ ხშირად დადიოდა. ფულს ბეჭდავდა აქო — წერენ ახლობლები, მერე დაბეჭდილს მუქი ფერის ჩაის წყალში ავლებდა და ოდესაში მიჰქონდა გადასაცვლელად, ვიღაცას აბარებდა ყალბს, იღებდა ნამდვილს, ოღონდ იმაზე ნაკლებს, რაც ჩაიტანა და ბრუნდებოდა უკან. მოკლედ, ბეჭდავდა ფულს და ყიდდა ნაკლებ ფასში.

რამდენ ხანს დაჩალიჩობდა ასე, ძნელი სათქმელია, რომ დადიოდა, ნაღდია — თბილისიდან ზუგდიდში, აქედან ბათუმში, მერე ოდესაში და უკან.

თბილისში ჩამოსვლამდე ცოლი შეირთო, ძმა — მიხეილიც დაცოლიანდა 41 წლისა, ქორწილიც, სოლომონის ხელშეწყობით, ზუგდიდში გადაიხადეს, თბილისიდან ისევ ავტომობილით ჩაგრიალდა და გააკვირვა იქაურები უცხო საჩუქრებით, მოლხენით, დარდიმანდობით, რაც გინდა მთხოვე, შეგისრულებ, შეუძლებელს შევძლებ, სასწაულს დავატ-

რიალებ, მიხეილის გაახალგაზრდებას ვერ მოვახერხებ, ეს ერთი უნდა მაპატიო, ყველაფერი მამაზეციერსაც არ ძალუძს — უთქვამს რძლისათვის და შეუსვამს ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო.

ქვეყანა შეიცვალა-მეთქი, აღვნიშნე, სოლომონისთვისაც, რა თქმა უნდა. ახლა მისი ნახეხი ციხეები სხვა სახელმწიფოში იყო, ეს აქ გახლდათ, იქ — იმპერიის დედაქალაქში, ბინა ჰქონდა, სადაც ახლა უკვე სიდედრი — ნინა ჯოხაძე ცხოვრობდა. სიმდიდრეც იქ დააგროვა, თუ დააგროვა, გნეზდნიკოვის ჩიხის მეათე ნომერში, რუბინშტეინების სახლში მოუყარა ნაალაფარს თავი. პიანინოს ფეხები ოქროებით და ბრილიანტებით იყო სავსე, ფული, უფრო — ვალუტა, ნოხის ქვეშ და წიგნების ყდებში ჰქონდა მოქუჩებული. ერთი სიტყვით, რაც ჰქონდა, იქ ჰქონდა, აქ წამოღებული თანხით სახლი შეიძინა, ზუგდიდში დაბეჭდილი (სახლში ამოჭრილ იმ ორმოში, სადაც ფული იბეჭდებოდა, მერე, 1924 წელს, შეთქმულები აფარებდნენ თურმე თავს) რამდენიმე ათასი მანეთი ოდესაში გაასაღა, მაგრამ საამურ ცხოვრებას ფული ჭირდებოდა. წუწუნი არ უყვარდა და გადაწყვიტა, იქ დარჩენილი ქონება აქ ჩამოეტანა, ზუგდიდელი ვიქტორ კეიდია დაიმგზავრა. ბათუმში ჩავიდნენ. უყვარდა ეს ქალაქი, თუ „სვობოდაზე" იყო, ხშირად ინახულებდა ხოლმე, მეგობრებს მიაკითხავდა, გაიხსენებდნენ ძველს... ბევრი ცნობდა აქ, თვითონაც ბევრს იცნობდა, მაგრამ ნაცნობთაგან ზოგს სულაც არ ეგონა, რომ ნამდვილი სოლომონი ცოცხალი გახლდათ, ზოგი პირიქით, კარგად იყო დარწმუნებული მის შესაძლებლობებში. ჰოდა, წასვლამდე ერთი დღე დარჩებოდა, გაივლიდა, გამოივლიდა, თვალს წყალს დაალევინებდა და გაუდგებოდა გზას. ამჯერადაც ერთი დღე დაყოვნდა, დილით იქირავეს მოტორიანი ნავი და გაუდგნენ გზას, სოლომონი მოსკოვში მიდიოდა, ამხანაგი — როსტოვში.

ზღვით ბევრჯერ უმგზავრია, უყვარდა ხილვა ტალღებს შეჭიდებული გემისა, მიდიოდა, მიარღვევდა, თეთრ ზოლს ტოვებდა უკან, წყალს აჩქეფებდა წინ, გამოვიდოდა გემბანზე და საათობით უცქერდა ამ სურათს, ტალღების ჩქერილს აკვირდებოდა, ზღვის სტიქიას დააყურადებდა, ამინდს იგუმანებდა. ამჯერადაც ასე მოიქცა, გამოვიდა, გახედა უკიდეგანო სივრცეს, მოკამკამებულიყო ცისიერი, ღრუბლის ნაფლეთიც არსად ჩანდა, ზღვა უფრო დაგუბებულ, ჯებირებშემოზღუდულ ტბას ჰგავდა, არ ინძრეოდა... საოცრად წყნარია, გაიფიქრა, აღარც მახსოვს, როდის იყო ასეთი მშვიდი, მიმკვდარებული, თითქოს ისვენებს დაღლილი და დაქანცული. საშიშია ამნაირი ზღვა, მაგრამ ხანდახან ორი-სამი დღეც გრძელდება ხოლმე მისავათება წყლისა, ჰოდა, ამასობაში კიდეც ჩავალთ, მერე გადაირიოს და, რაც უნდა, ის ქნას — ფიქრობდა, თან აკვირდებოდა, ჯერ პირდაპირ გახედავდა, მერე აქეთ-იქით მოატარებდა მზერას, საეჭვოს ვერაფერს ამჩნევდა, გუნებას იკეთებდა.

არ უყვარდა ასეთი ერთფეროვანი, მდორე და ზლაზვნით მიმორხევადი ზღვა, მთლად გადარეული, ან კიდევ მთლად მისაწყლებული მისი სტიქია არ გახლდათ. ამას გაგიჟება ერჩივნა, გონებაში გაუელვა კიდეც — დიდხანს არ გაგრძელდება, ვერ აიტანს წყლის სტიქია ასეთ სიმდოვრესო და ისევ სივრცის ჭვრეტით გაერთო. ის იყო სადღაც შორს, დასაკარგავში შავ ღრუბლისმაგვარ ნაფლეთს მოჰკრა თვალი, რომ უცებ შეიცვალა ყველაფერი...

ვთქვით, — გემით ან ნავით ბევრჯერ უმგზავრია, ხშირად ამოვარდნილა ქარიშხალი, აყალყულა ტალღები, მაგრამ ცამდის აროდეს, ისე არასდროს გადარეულა ზღვა, როგორც დღეს. ზღვა სულაც აღარ ეთქმოდა, მიწიდან ცისკენ აფრენილ ვეებერთელა წყლის დევს ჰგავდა. ტორტმანებდა, ღმუო-

და, დგანდგარებდა, შტურმანი ვედროებით წყლის ამოხაპვას ვერ აუდიოდა, ამოხაპავდა, სავსე იყო, ამოხაპავდა, მოიხედავდა, სავსე იყო. კეიდია შეშინდა, ტრიუმში ჩაიკეტა და იქიდან აკვირდებოდა გაგიჟებულ ზღვას. სოლომონი იდგა უძრავად, თითქოს გაქვავებული, შესცქეროდა მეორედ მოსვლას, ძარღვიც არ უტოკავდა, გულიც არ უჩქროლავდა სხვანაირად, იდგა მშვიდად, გაუნძრევლად, ძეგლი გეგონებოდათ, ნავის კიჩოზე საგანგებოდ დამაგრებული. იდგა, ღვართქაფს უყურებდა გალუმპული და თვალმოჭუტული. როდის-როდის ზღვა ჩაწყნარდა, ვერ იფიქრებდი, რამდენიმე წუთის წინ ფსკერის გამოჩენას თუ ლამობდა ადევებულ-აგორგოლებული, სოლომონი ისევ იქ იდგა, კეიდიაც გამოჩნდა: ვიღუპებოდით, მაგრამ დედაბუნების მადლიერი უნდა ვიყოთ, ასეთი საუცხოო სანახაობა რომ გვანახა, — უთხრა აშორდიამ და ისევ უკიდეგანო სივრცეს გახედა ზღვისა, თითქოს უნდოდა შეეტყო, კიდევ იყო თუ არა მოსალოდნელი აღვართქაფება ტალღებისა, სულ ცოტა ხნის უკან რომ აცისკიდებულიყო.

— ვიღუპებოდით, მაგრამ საუცხოო სანახაობა იყო — ისევ სილამაზეზე, სტიქიურ ძალთა იდუმალ მშვენიერებაზე ფიქრობდა და არა განსაცდელზე, მოსალოდნელ ხიფათზე. იქნებ ისიც ახსენდებოდა, რამდენიმე წლის უკან ზღვაში დახრჩობა რომ გაითამაშა. სადაცაა, ნავი ჩაინთქმებოდა და მგზავრებსაც ფსკერზე ჩაიტანდა, ეს შესცქეროდა, ტკბებოდა ნანახით...

ბათუმიდან სოხუმში, სოხუმიდან ნოვოროსიისკში, იქიდან მატარებლით როსტოვში ჩავიდნენ და სასტუმროში დაბინავდნენ. 1919 წლის ზაფხული იდგა. როსტოვი დენიკინის ჯარებს დაეკავებინათ, ყველას და ყველაფერს ისინი აკონტროლებდნენ, ერთმანეთთან მოუბარი ორი ადამიანიც წითლების მოგზავნილი ეგონათ, სოლომონსა და ვიქტორს

სასტუმროში ერთად ცხოვრების ნება არ მისცეს, ერთი — სხვაგან, მეორე — სხვაგან გადაიყვანეს.

იყო სოლომონ აშორდია როსტოვში, ელოდა დენიკინელთაგან მოსკოვში წასვლის ნებართვას, მაგრამ ამაოდ. ერთი ვიღაც მიუგზავნა, ვერაფერი მოუხერხა, მეორე, მათთვის უფრო სანდო კაცი გამოძებნა, ისიც უარით გამოისტუმრეს. იყო, ელოდა, როდის წაიწევდნენ დენიკინელები წინ და დაიკავებდნენ მოსკოვს ან სულაც წითლები წამოიწევდნენ აქეთ და ამათ გამჩერებლებს გაანადგურებდნენ. ერთიც ხელს აძლევდა, მეორეც, მისთვის მთავარი მოსკოვში ჩასვლა იყო, ბინის გაყიდვაზეც ფიქრობდა, აქ თუ ვეღარ ჩამოვალ, რა ჯანდაბად მინდა, ოქროსა და ბრილიანტებს ფულად ვაქცევ, ფულს უფრო ადვილად ჩამოვიტან — აწყობდა გეგმებს მოსკოვს გამგზავრების ნებართვის მოლოდინში.

თითქოს განგებ გაჩერდნენ წითლებიც, არც ისინი მოიწევდნენ აქეთ, არც ესენი იქით... ცხოვრობდა სოლომონი როსტოვში, ხარჯავდა სამშობლოდან წაღებულ ფულს, თანდათან ეწურებოდა მოსკოვში ჩასვლისა და იქიდან დიდი ფულით დაბრუნების იმედი.

იცადა ერთი თვე, მეორე, მესამე, შემოდგომაც შემოეპარა ამ ლოდინსა და ყურყუტში.

ამდენ ხანს ციხეში ვერ ჩერდებოდა ხანდახან, თუ არ გაუშვებდნენ, უკანონოდ გაითავისუფლებდა თავს.

იცდიდა, იცდიდა...

ბოლოს იმედი გადაეწურა და იმავე გზით უკან დაბრუნება გადაწყვიტა. ბათუმში რომ ჩამოვიდა, მიწაზე დადგა ფეხი თუ არა, შებრუნდა და ზღვას გახედა, ტალღები ნელიად ლივლივებდნენ, საოცრად მოუნდა ბანაობა, მდინარე ჩხოუშიას ზვირთებში ცურვანასწავლმა სამოსი გაიძრო და გადაეშვა, თითქოს სამი თვის წინანდელ ჯავრს იყრიდა ზღვაზე, ბანაობდა, მიცურავდა შორს, მერე განზე გაცურავდა და

დიდხანს ლივლივებდა ტალღებზე, საღამოც შეუმჩნევლად შემოეპარა, ბინდდებოდა, ზღვიდან რომ ამოვიდა.

დილით ცუდად გახდა, ძვლებში ამტვრევდა, აჟიჟინებდა, გადაწყვიტა, ავტომობილით გამგზავრებულიყო ზუგდიდში, ჯერ სენაკში ჩავიდა, მერე მშობლიურ ქალაქში, იქ ახლობლები დახვდნენ, მოიკითხეს, სიკეთე ვერ შეატყვეს, აშკარად ეტყობოდა, ცუდად იყო, ტემპერატურაც დიდი ჰქონდა, შუბლი უხურდა, სხეული ეწვოდა, ლოგინად ჩავარდა და აღარც ამდგარა. ზუგდიდის მაზრის ექიმი მუჯირი მოიხმეს, ყურში რომ არ ესმოდა კარგად, სინჯავდა ეს ექიმი, ფილტვები სუფთა აქვსო — იძახოდა. არ ესმოდა კარგად და აბა, რა იქნებოდა. კაცი სიცხით იწვოდა, ფილტვები ულპებოდა, მუჯირი — ფილტვებში არაფერი აქვსო — არწმუნებდა ახლობლებს.

ბოლო დღეებში ლოგინიდან წამოდგომასაც ვერ ახერხებდა, მოიყვანდნენ ექიმს, გაასინჯებდნენ, გაუვლისო — აიმედებდა.

სიკვდილის წინ ჩემი შვილის მიყვანა გვთხოვა — წერს რძალი ელენა ბოკერია, — მიუყვანეს თურმე წლინახევრის ტული აშორდია — ყველაფერი გაყიდეთ, ამ ბავშვს ასწავლეთო — უთქვამს.

ამასაც რძალი იგონებს — გადაბრუნდებოდა კედლისაკენ, აუცრემლდებოდა თვალები, თავს ვეღარ იკავებდა, ერთხელ იტირა კიდეც.

იმპერიის ციხეებიდან გარბოდა, ახლა ავადმყოფობას ისე მიეჯაჭვა სარეცელზე, გაქცევას ვერ ახერხებდა, იწვა გაუნძრევლად, ელოდა მსჯავრს, ყველაფერი ნამდვილზე ნამდვილი იყო, ცელმომარჯვებულ მიქელგაბრიელს ყალბ საბუთს ვერ შეაჩეჩებდა, არადა, რამდენი რამ გაეყალბებინა, ახლა სიყალბე შეუძლებელი იყო, პასუხი უნდა ეგო ისეთი სამსჯავროს წინაშე, რომელთანაც თვალთმაქცობა არ გადიოდა.

გადაბრუნდებოდა კედლისაკენ, აუცრემლდებოდა თვალები, თავს ვეღარ იკავებდა, ერთხელ იტირა კიდეც...

ტიროდა ყოვლისშემძლე სოლომონ აშორდია...

ელოდა სიკვდილს.

ისიც მოვიდა...

***

1920 წლის 28 იანვარს გარდაიცვალა, 1 თებერვალს ზუგდიდის სასაფლაოზე დაკრძალეს.

აშორდიათა ოთხი ძმიდან — დიმიტრი და ალექსანდრე ადრე გადასახლდნენ იმიერში, პირველი — 1901, მეორე კიდევ 1912 წელს გარდაიცვალა. ტული აშორდიას მამა — სოლომონის ყველაზე ერთგული შემწე და თანამზრახველი — მიხა აშორდია 68 წლის ასაკში აღესრულა, 1945 წელს, დას — ივლიტასაც არ უცოცხლია დიდხანს, 66 წლისა გარდაიცვალა 1949 წელს.

სოლომონი 45 წლის იყო, რომ აღარ დასცალდა ამქვეყნად ყოფნა. წავიდა და წაიღო ბევრი საიდუმლო — ამა თუ იმ მხარეში ნათაღლითარისა, ასაკდატყობილს იქნებ თვითონ უკეთესად მოეთხრო, სად რა მოიმოქმედა, ვინ გააცურა, ვინ მოატყუა და ა.შ.

თუმცა რაც ვიცით, ისიც არაა უმნიშვნელო.

ბუნებრივია, თვითონ უფრო მეტი ეცოდინებოდა, დაწერაც რომ შეეძლო, ცხადია. სასამართლო თხოვნებს თხზავდა შთამბეჭდავად და საკუთარი თავგადასავლის მოთხრობა არ გაუჭირდებოდა. აღესრულა იმ ასაკში, სიკვდილს რომ არ ფიქრობდა.

გაზეთები დუმდნენ. არსად დაწერილა, რომ გარდაიცვალა ცნობილი გამყალბებელი და თაღლითი, რომლის მაქინაციები წლების მანძილზე დიდ თავსატეხს უჩენდა საქართველოსა და რუსეთის ქალაქების სამართალდამცავებს.

ისიც არსადაა ნათქვამი, რამდენმა კაცმა გააცილა უკანასკნელ გზაზე. აშორდიას აზნაურების — ჯინოსქუალობაში მაგორალების — მცირე ნაწილიც რომ შეკრებილიყო, პროცესია ხალხმრავალი გამოვიდოდა. იყვნენ, არ იყვნენ, არ ვიცით. ალბათ ცოტამ დაიტირა და იქნებ იმ მცირერიცხოვანთა შორისაც ბევრი ეჭვობდა, ნამდვილი აშორდია კი არა, მისი ორეული გადასახლდა იმიერში, სიკვდილის სცენაც გაითამაშა, უცხოეთში რომ გადახვეწილიყო და ცხოვრება ძველებურად გაეგრძელებინაო.

სოლომონ აშორდიასაგან ყველაფერს მოელოდნენ და ესეც არ გაუკვირდებოდათ.

ზღვაში დახრჩობის იმიტაცია არ იკმარა, ახლა ესეც მიუმატა თავის უცნაურ თავგადასავალსო.

არადა, მართლაც რამდენიმე გვარსახელიან, ნამდვილ სოლომონ აშორდიას აყრიდნენ მიწას.

დასრულდა აშორდიადა, იწყებოდა ან სულაც დაწყებულიყო მისი გვარ-სახელით აღტაცების ხანა.

თავი მეშვიდე

გაფანტული სხივები

„ნარევი ტიპი“

კვაჭი კვაჭანტირაძეს რომ მრავალი პროტოტიპი ჰყავდა, მიხეილ ჯავახიშვილმა დაწერა თავის დროზე. ნარევი ტიპიაო, განაცხადა და ამით მიანიშნა, რომ მისი მხატვრულად გამოძერწვის დროს ერთი კონკრეტული პიროვნება კი არ ედგა თვალწინ, არამედ მრავალი, ბევრთა „საგმირო საქმეებს“ ეცნობოდა და ქმნიდა ერთადერთს — გამოკვეთილად ავანტიურისტული ბუნების ადამიანის სახეს.

„ნარევი ტიპიაო“, ავტორის ამ ნათქვამის მერე, სხვადასხვა ჯურის თაღლითი კვაჭის პროტოტიპად გამოცხადდა. მსგავსება მოიძებნა ლიტერატურული პერსონაჟის თავგადასავალსა და რეალურად არსებული ადამიანების ხასიათსა და საქმიანობას შორის.

არის ამაში სიმართლე, რამეთუ მიხეილ ჯავახიშვილმა ერთი ადამიანისაგან კი არ აიღო ხასიათი, ამბავი, არამედ ბევრთაგან ამოკრიბა და შექმნა ერთი. ამიტომ ჰყავს კვაჭი კვაჭანტირაძეს მრავალი პროტოტიპი ან უფრო სწორად, მრავალი ადამიანის ხასიათი და ჩადენილი თაღლითობა აირეკლა ერთში, რომელთაც, სიმართლე გითხრათ, მკაცრი ლიტერატურული კრიტერიუმებით, პროტოტიპს ვერც უწოდებ, უფრო მისი მსგავსი ან ამ ტერმინის კნინობითი ფორმა გამოდგება შესატყვისად.

პროტოტიპი თუ მისდარი, სულ ერთია, რადგან ჩვენც,

უპირველესად. ის გვაინტერესებს, ვისგან რა გადავიდა კვაჭის სახეში, როგორ გადასხვაფერდა, იცვალა ფერი.

მრავალი პროტოტიპი ჰყავსო, წერენ, მაგრამ მაინც, ძირითადად, ორს ასახელებენ. ესენია — ნიკოლოზ მეორისა და გრიშკა რასპუტინის მეგობარი ანდრონიკაშვილი და ცნობილი ავანტიურისტი დუმბაძე. ორივე მათგანზე თვით მიხეილ ჯავახიშვილს ჩაუნიშნავს უბის წიგნაკში:

„კვაჭისთვის კარგი მასალა ლელი ჯაფარიძესთან. ვ. დუმბაძის ცხოვრებიდან". ეს ჩანაწერი 1926 წელსაა გაკეთებული, „კვაჭი კვაჭანტირაძის" დაწერიდან ორი წლის შემდეგ. როგორც ჩანს, მწერალი მანამდეც იცნობდა ვასილ დუმბაძის „გაკვაჭულ" ამბებს და რომანის მთავარ პერსონაჟში მხოლოდ ის ასახა, რაც პრესაში ან წიგნებში ამოეკითხა ან სულაც გაეგონა ვინმესაგან.

ამერიკაში საომარი აღჭურვილობისათვის ხელშეკრულების გასაფორმებლად ვასილ დუმბაძის გაგზავნა, გერმანიასთან ჯაშუშობა, ხელშეკრულების პირობათა შეცვლა, საომარი იარაღის კალიბრის შემცირება და ა. შ. „კვაჭი კვაჭანტირაძეში" აღწერილი ამბების მსგავსია. კვაჭიც სწორედ (ან, უფრო ზუსტად, დაახლოებით) იმგვარად იქცევა, რაც ვასილ დუმბაძემ ჩაიდინა სინამდვილეში. რომანის მთავარი გმირი იდელსონების მეშვეობით დაუკავშირდა ვიღაც გერმანელს, რომელიც სტოკპოლმის სადგურზე შეხვდა. კვაჭიმ და მან „წაიჩურჩულეს, ხანგრძლივი დავა და ვაჭრობა ჰქონდათ, მერმე კვაჭის პაკეტებს გერმანელი კალიგრაფები ჩაუსხდნენ და ისე გადაწერეს, რომ დედანსა და ასლს ერთმანეთისაგან ვერავინ გაარჩევდა. მხოლოდ გადაწერილში მცირეოდენი შესწორება შეიტანეს: მათემატიკური რიცხვები ოდნავ შეამცირეს: მეორე დღეს კვაჭის დალუქული პაკეტები და ერთი ჩეკი ჩააბარეს, მშვიდობიანი მგზავრობა უსურვეს და ბერლინისაკენ მოუსვეს.."

ამ თაღლითობით კვაჭიმ დიდძალი ფული ჩაიჯიბა. ხელშეკრულებაში მათემატიკური რიცხვების შემცირება იმას ნიშნავდა, რომ ამერიკელთა დამზადებული საომარი აღჭურვილობა რუსთათვის უვარგისი შეიქნა — მასალა იარაღს არ ეთანწყობოდა, ერთი სხვა იყო, მეორე სხვა, სხვა ზომის იარაღისათვის განკუთვნილი. ჰოდა, რუსეთის მოწინააღმდეგე გერმანია ამაში ფულს გადაიხდიდა, აბა, რას იზამდა. ერთი სიტყვით, კვაჭის გაფორმებული ხელშეკრულების „წყალობით" რუსთა არმია მარცხს მარცხზე უმატებდა, მეომრებს კარგავდა, წამდაუწუმ უკან იხევდა.

ასე მოხდა სინამდვილეშიც. თუმცა ვასილ დუმბაძე, რომლის ჩადენილი ჯაშუშობაც კვაჭის მხატვრულ სახეში გადაიტანა მიხეილ ჯავახიშვილმა, არაა ცალსახა, მარტო ჯაშუშობით ცნობილი პიროვნება. ზოგიერთი ნაშრომის მიხედვით უკვე ცნობილია, რომ მას ორმაგი როლის შესრულება მოუხდა, თავიდან შეეცადა, რუსეთის ხელისუფლება დაერწმუნებინა, გერმანიის სახელმწიფო საიდუმლოებას გავიგებო. კერძოდ, 1915 წლის მარტში ამერიკაში მიმავალი ვ. დუმბაძე სტოკჰოლმში შეხვდა თავად მაჩაბელს, მისი მეშვეობით გერმანელთა ელჩს ფონ ლუციუსს და უკან გამობრუნდა. რაზე ისაუბრეს, რა გეგმები დასახეს ორმა ქართველმა და ერთმა გერმანელმა, უცნობია. როგორც ჩანს, განზრახვა გერმანიისათვის სამხედრო საიდუმლოებათა განდობისა წინასწარ ჰქონდათ გადაწყვეტილი, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი ამბავი სულაც არ გახლდათ. ბუნებრივია, რუსეთის დამარცხება და გერმანიის გამარჯვება საქართველოსთვის, შესაძლოა, ერთგვარი შვება ყოფილიყო. სწორედ ამ მოსაზრებითაც უნდა ავხსნათ ვ. დუმბაძის ჯაშუშობა და არა მხოლოდ დიდძალი ფულის აღების სურვილით.

რუსეთში დაბრუნებულმა დუმბაძემ თავის მდივანს მოროზოვს დაავალა, დაეწერა მოხსენებითი ბარათი სამხედ-

რო მინისტრის სუხომლინოვის სახელზე, სადაც ნათქვამი იყო, რომ სტოკჰოლმში მყოფი საამერიკოდ გამზადებული ქართველი შეხვდა გერმანიის ელჩს, დაარწმუნა იგი, რომ პირწავრდნილი ქართველი ნაციონალისტია, უჯობს გერმანიის გამარჯვება, ხოლო ნდობის მოპოვების მერე შეიტყო, რომ რუსთა მოწინააღმდეგე ცდილობს კავკასიის ხალხთა აჯანყებას, ამ მხარეში იმპერიის ძლიერების შესუსტებას, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას და ა. შ. ფინანსთა მინისტრობასაც კი მთავაზობდნენ ჩემი ქვეყნისა, მაგრამ მე რუსეთისა და მისი იმპერატორის ერთგული ვარ და ასე დავრჩები სიცოცხლის ბოლომდეო, — იყო ნათქვამი ამ მოხსენებით ბარათში, რომლის საფინალო თხოვნა გახლდათ — გთხოვთ, როგორც მზვერავი, მიმავლინოთ გერმანიაში, რათა მეტი შევიტყო მტერზე, გავიგო, რას ფიქრობენ, რა სამხედრო ძალები აბადიათ და ა. შ.

ძნელია იფიქრო, რომ სუხომლინოვი მოხიბლა დუმბაძის ამ გადაწყვეტილებამ, მაგრამ, შესაძლოა, საჯაშუშოდ გამზადებულ ქართველს მასთან სხვა გარიგებაც ჰქონდა, უფრო ისეთი, ვერცხლის მოყვარე მინისტრს სადუმბაძეოდ რომ განაწყობდა. ამიტომ დარწმუნდა, უფრო დაირწმუნა თავი სუხომლინოვმა ვასილის გულწრფელობაში, დარწმუნებულმა კი იმპერატორი დაარწმუნა. იმან ბრძანება გამოაცხო და მზვერავმა ვასილმა გერმანელთა მხარეს გადასცა უაღრესად გასაიდუმლოებული სამხედრო ამბები. რუსეთშიც ჩამოიტანა ვითომ ჯაშუშური გზით დათრეული ინფორმაცია, რომელიც ომის დაწყებამდე იყო ყველასათვის ცნობილი.

ამიტომაა საფიქრებელი, რომ ვასილ დუმბაძე მარტო ფულს არ დახარბდა და ამისათვის არ გაწირა მოწყალე მინისტრი და მფარველი იმპერატორი, რომელთაც ეუბნებოდა იმას, რაც, იქნებ, სინამდვილეში ეწადა, ყოველ შემთხვევაში, მისი ნამოქმედარიდან ასე ჩანს. აქაოდა, გერმანია სა-

ქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას აპირებს, მე შევიტყვე და გატყობინებთ, ფინანსთა მინისტრობაც შემომთავაზეს, მაგრამ როგორ დავთანხმდებოდი, მეფის ერთგული დავიბადე, ასეთივე წავალ ამ ქვეყნიდანო.

მიხეილ ჯავახიშვილს ვასილ დუმბაძის ამბიდან კვაჭის ხასიათისათვის ის შტრიხი, რომ მას, ნებით თუ უნებლიედ, საქართველოს დამოუკიდებლობაც ეწადა, არ გამოადგებოდა. იქნებ არც იცოდა, თორემ იმ პასაჟს მაინც ჩაავლებდა ხელს — რუსებს რომ ეუბნებოდა, თქვენთვის ვჯაშუშობ, საიდუმლოს შევიტყობო, გერმანელებს კი — პირიქით.

საერთოდ, ზოგიერთ ავანტურისტთა ნამოქმედარში არის ისეთი, რაც მისი ხასიათისათვის უცხოდ და უჩვეულოდ გამოიყურება, მაგრამ ესაა სინამდვილე, რომელიც ხშირად გადაწონის ათასგვარ თაღლითობასა და ყალთაბანდობას, ხშირად — ვერა. ვასილ დუმბაძის შემთხვევაშიც ამგვარ ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე. გერმანელთა დახმარებით სამშობლოსთვის სანუკვარი ოცნების ახდენას ცდილობდა, თანაც, ამ ოცნებით ვაჭრობდა კიდეც.

ერთი სიტყვით, მიხეილ ჯავახიშვილმა კვაჭი კვაჭანტირაძის ხასიათისათვის ვასილ დუმბაძის მხოლოდ ის თაღლითობა დაისაჭიროვა — ამერიკიდან უვარგისი საომარი აღჭურვილობა რომ შემოზიდა, ხელშეკრულების პირობები შეაცვლევინა, რუსეთის მხარე დააზარალა და ამის გამო 2 მლნ. მანეთი ჩაიჯიბა. უფრო კონკრეტულად, მწერალს რაც ჭირდებოდა, ის გამოიყენა.

ვასილ დუმბაძესაც ჰქონია დაწერილი წიგნი სამხედრო მინისტრ სუხომლინოვზე, რომანში კი კვაჭი კვაჭანტირაძემ ორი წიგნი შეადგინა და გამოსცა, ერთი სუხომლინოვის, მეორე რასპუტინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნებოდა.

ვასილ დუმბაძესა და ნიკოლოზ ანდრონიკაშვილთან კვაჭი კვაჭანტირაძის მსგავსების საკითხი ვრცლად მიმოიხილა

თავის დროზე ტარიელ კვანჭილაშვილმა მონოგრაფიაში „მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება.“ მანვე სილიბისტროს ვაჟის პროტოტიპებად სიმონიკა ფხაკაძე და შაითან კაპიტანიც (ვაშაკიძე) მიიჩნია. ანდრონიკაშვილზე თვით მიხეილ ჯავახიშვილს ჩაუნიშნავს 1924 წელს უბის წიგნაკში: „მასალა ლუარსაბ ანდრონიკაშვილისაგან,“ როგორც ჩანს, რუსეთის სამეფო კარზე საკმაოდ გავლენიან, რასპუტინისა და დედოფლის მეგობარ ანდრონიკაშვილზე უფრო მეტი უნდოდა შეეტყო მწერალს. მიჩნეულია, რომ კვაჭი კვაჭანტირაძის ოინი, როცა იგი სტამბაში გასაგზავნ განცხადებებს, ძირითადად დაჯილდოებისა და დანიშვნის ამბებს, შიკრიკთა მეშვეობით წინასწარ ეცნობოდა, მერე აღზევებულს ურეკავდა და ეუბნებოდა: როგორც იქნა, დავითანხმე ხელმწიფე და შენთვის წყალობა გამოვტყუეო, ანდრონიკაშვილისაგან მომდინარეობს. ეს ხრიკი სწორედ მას მოუგონია, ამით იმპერატორის კარზე გავლენა შეუნარჩუნებია და უფრო მეტიც, განუმტკიცებია კიდეც. კვაჭის მსგავსად, თურმე მის კართანაც მდგარა მადლიერ ადამიანთა გრძელი წყება, ერთნი დაჯილდოებულნი, მეორენი აღზევებულნი მადლობას სწირავდნენ მათ ვითომ შემწესა და დამხმარეს.

რაც შეეხება სიმონიკა ფხაკაძეს, ერთნი მას რასპუტინის სიძედ, მეორენი კიდევ — სასიძოდ ასახელებენ. უფრო მეორენი უნდა იყვნენ მართლები, საქმრო უნდა ყოფილიყო მატრონასი, მამა გრიგოლის ქალიშვილისა, რომელთან შეუღლებაც, ზოგიერთთა მონათხრობის მიხედვით, ერთი მახვილგონივრული აზრის მოშველიებით აიცდინა. კერძოდ, სასიმამროსა და მისიანებს უთხრა — ქართველმა, ჩვენებური წეს-ადათის თანახმად, ცოლის შერთვის ნებართვა და ლოცვა-კურთხევა მშობლებისაგან უნდა მიიღოს. ამიტომ მივდივარ სამშობლოში, მოველაპარაკები ჩემებს და დავბრუნ-

დებიო. აქ ჩამოსულმა კი მფარველი სასიმამროც მიივიწყა და მისი ქალიშვილის სიყვარულსაც წააყარა მტვერი.

კვაჭი კვაჭანტირაძე კაპიტან სიდოროვის ქალიშვილს — ვერას ეფიცებოდა სიყვარულს, უფრო სწორად, ხორციელად ტკბებოდა, ამის იქით მისი გრძნობა აროდეს წასულა, ნამდვილი ტრფობა მისდარი მისწრაფებისა და ხასიათის ადამიანის სულში ვერ ჩასახლდებოდა:

„აპირებს თუ არა კვაჭი ვერას შერთვას? რა თქმა უნდა, აპირებს! ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, მაგრამ... ვერა ქართველების გარდაუვალ ადათსა და კანონს უნდა დაემორჩილოს, თორემ კვაჭი ვეღარც მშობლების ოჯახში შევა და ერთ მანეთსაც ვერ მიიღებს სილიბისტროს ჯიბიდან, რომელიც, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ერთი მილიონი მანეთი მაინც ეღირება. კვაჭმა უნდა მიიღოს მშობლებისაგან თანხმობა და კურთხევა, რომელსაც დღე-დღეზე ელოდება. თანხმობა, რა თქმა უნდა, მოვა. სილიბისტროც და პუპიც ადრევაც ეხვეწებოდნენ კვაჭს, უეჭველად რუსის ქალი შეირთეო, ისიც უეჭველად ნასწავლიო. ნუ, ნუ შიშობს ვერა, დამშვიდდეს და არხეინად უცადოს სილიბისტროს წერილს“.

კვაჭი სილიბისტროს თანხმობის წერილს ელოდება, სიმონიკა კიდევ ამისათვის ბრუნდება სამშობლოში. არც ერთს, არც მეორეს აწუხებთ ნამდვილი სიყვარული, ორივემ არასასურველი ქორწინებისაგან თავის ასარიდებლად მოიფიქრა ეს ხრიკი.

კვაჭი კვაჭანტირაძე და სიმონიკა ფხაკაძე რასპუტინის მკვლელობაში მონაწილეობითაც ჰგვანან ერთმანეთს. ზოგიერთი მემუარისტის ცნობით, მამა გრიგოლმა უკან რომ მოიხედა, სიმონიკას ხელში რევოლვერი რომ დაუნახა, მიხვდა, რასაც აპირებდა. სასიძომ კიდევ ერთგულების შესანარჩუნებლად თვითონვე დაიხალა ტყვია, მაგრამ გადარჩა.

ზოგი იმასაც წერს, — სიმონიკა ფხაკაძემ გამოასალმა საწამლავს შეჩვეული ციმბირელი სიცოცხლეს, საბოლოოდ მისმა ტყვიამ იმსხვერპლაო, თორემ ესენი ესროდნენ მიზანდაუმცდარად, ის ცოცხალი რჩებოდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ ეს პასაჟიც გამოიყენა. მართალია, არა გაგონილ-წაკითხულისდარად, მაგრამ მაინც მიმგვანებულად აღწერა ყოვლისშემძლე გრიშკა რასპუტინის მკვლელობა.

ᲙᲕᲐᲭᲘ ᲓᲐ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘ

მიხეილ ჯავახიშვილს უბის წიგნაკებში სოლომონ აშორდია არსად ჰყავს ნახსენები. „კვაჭის ახალი მასალა ეკითხოს ექ. ბარნაბიშვილს“, — წერს ერთგან, მეორეგან — „მასალა ლუარსაბ ანდრონიკაშვილისაგან“, მესამეგან — „ხუხუნაშვილის ისტორია მოვიკითხო „მწყემსში“ კვაჭისათვის“-ო. ვასილ დუმბაძესაც ახსენებს, სხვებსაც, კვაჭის ხასიათისათვის გამოსადეგი ფრაზები და წინადადებებიც ჩაუნიშნავს, სოლომონ აშორდია არსად ჭიატობს. არადა, თქმაც ზედმეტია, ზედმიწევნით კარგად იცნობდა მის თაღლითობას. ჰოდა, ისე კარგად იცოდა, ჩანიშვნა და ვინმესთვის გამოკითხვაც არ ჭირდებოდა.

ამიტომაც არაფერი ჩაუწერია.

იმის ძიება, საიდან გაეგონა, ვის მოეთხრო, სად წაეკითხა, არ გვაინტერესებს, ხომ ვიცით, მიხეილ ჯავახიშვილი ისე არავის გააპერსონაჟებდა, თუ მისი ავან-ჩავანი დაწვრილებით არ უწყოდა. ბოლოს და ბოლოს, იმდროინდელი საგაზეთო პუბლიკაციებიც გახლდათ საკმარისი, სოლომონის ავან-ჩავანი სრულად რომ შეეტყო.

სოლომონ აშორდია „კვაჭი კვაჭანტირაძის“ ერთ-ერთი პერსონაჟი რომაა, სილიბისტრო მისი წყალობით რომ გააზნაურდა, უკვე დავწერეთ. მაშინ ისიც აღვნიშნეთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი რომანში ზუსტად იმეორებს აშორდიელთა ერთ-ერთ ოინს, აქაოდა შენი პეპერა, პაპა აზნაური იყო, მაგრამ დადიანი მალავდა, ჩვენ კი არქივები მოვჩხრიკეთ, საბუთები მოვიძიეთ და „ისტორიული სამართლიანობა“ აღვადგინეთო.

სინამდვილეშიც ასე ხდებოდა, რომანშიც ამგვარადაა გადმოტანილი ეს პასაჟი. მაგრამ კვაჭი კვაჭანტირაძის სახეში მარტო ეს ამბავი არ არეკლილა, მიხეილ ჯავახიშვილს გონებაში ისე ღრმად და ცხოვლად ჩაბეჭდოდა ნამოქმედარი აშორდიასი, რომ მთავარი პერსონაჟის ავანტურისტული ბუნების დასახატავად მრავლად გამოიყენა სოლომონის თავგადასავალი. აქვე ვიტყვით, გადაასხვაფერა, თავისებურად გადააკეთა, სხვანაირი გახადა, მოარგო კვაჭის და ისე მოგვითხრო. მაგრამ სათავე ბევრი ამბისა იქაა, იქ — ჩანაწერებში არსად ნახსენებ სოლომონ აშორდიას გაკვარახჭინებულ-გაიმასქნებულ საქმეებში.

მაშ, დავიწყოთ:

გააზნაურებული სილიბისტრო ზუსტად ისე იქცევა, როგორც აშორდიასგან ხელდასმული დანარჩენი გაკეთილშობილებული ბოგანონი — იბღინძება, ამპარტავნობს, თავს არავის უყადრებს, თვითონ ყაზახი სხვებს ეძახის ყაზახს. კვაჭისაც მიწყივ ჩასჩიჩინებს-ახსოვდეს, რომ აზნაურია, ვიგინდარებთან საქმე არ დაიჭიროს: „ — შვილო კვაჭი, აი ქვეყანა ასთეა მომართული: ზოგი უმფროსია, ზოგი უმცროსი, ზოგი მდიდარი,ზოგი ღარიბი, ზოგი ძლიერია, ზოგიც გლახაკი, ზოგი თავადია ან აზნოური, ზოგი კიდო ყაზახია, გლეხია. შენისთანა აზნოურიშვილმა ყველას თავი არ უნდა გაუყადროს, არ უნდა აჰყვეს. ყაზახი და გლახა შენ ვერაფერს

მოგცემს, პირიქით, გამოგრჩებიან რასმეს. აზნოურს და მდიდარს დოუმეგობრდი, დოუახლოვდი, ისიამოვნე და ძმათ გოუხთი"... მაგრამ კვაჭი რა კვაჭია, მან მამის აზნაურობაც ითაკილა, თავადობა იბოძა თვითონ. არც ნამდვილი საბუთები დაჭირვებია, არც ყალბი, დაირქვა, რაც სურდა. თავადი კვაჭანტირაძე გახლავარო, — ეუბნება ყველას.

უფრო მეტიც, რუსეთის იმპერატორს თავისი გვარის გრძელ და გმირულ ისტორიაზე მოუთხრობს: „თავადობა კვაჭანტირაძეებმა VII საუკუნეში მიიღეს, ერთი საუკუნის შემდეგ ჩემი წინაპარი საქართველოს მეფის მთავარსარდალი იყო, მას აქეთ საქართველოს მეფეებს თოთხმეტი კვაჭანტირაძე ჰყავდათ ვეზირებად, მინისტრებად და კათალიკოსებად. XI საუკუნეში ოსმალებმა ჩვენი ციხე და სასახლე აიკლეს, დაწვეს, საბუთებიც მაშინ განადგურდა. მთელმა კავკასიამ იცის, რომ თავადები ვიყავით, ჩემს წინაპრებს საბუთები აღარ უძებნიათ და აზნაურებად დავრჩით". აშორდიას აზნაურებიც ასე ამბობდნენ — უძველესი დროიდან თავადი ან აზნაური ვიყავით, მერე საბუთები დავკარგეთ, ან სულაც თაგვმა იმ ადგილას გამოხრა, სადაც ჩვენი წოდებრივი კუთვნილება იყო აღნიშნულიო.

კვაჭი თავადი ხდება, რუსთა ხელმწიფეც, აშორდიას მსგავსად, აღადგენს „ისტორიულ სამართლიანობას" და საბუთებდაკარგულ, მაგრამ „დიდებული გვარის" კვაჭის რასპუტინის დახმარებით თავადობას უბოძებს. ყველამ იცის, რომ კვაჭის თავადობა კი არა, აზნაურობაც ყალბია, მაგრამ მას ტყუილი ურჩევნია სიმართლეს, სიმართლეს, რომელსაც იშვიათად, მაგრამ მაინც ეტყვიან ხოლმე:

„ჩვენ რომ კნიაზს გეძახით, განა მართლა კნიაზი ხარ, შენც დაიჯერე?! ჰამე?!" — ეუბნება სედრაქა.

„აშორდია გაფასდი" — წამოიძახა გულში კვაჭიმ" — ესეც არ იყო შემთხვევით წამოძახილი, გულში უნებურად გაელ-

ვებული აზრი, სილიბისტროს ვაჟმა მართლაც გააუფასურა სოლომონის „ნაცოდვილარი", ეს წვალობდა, საბუთებს აგზავნიდა, წერდა, ამგვანებდა ნამდვილს, კვაჭი კიდევ ერთი ხელის დაკვრით გახდა ის, რაც არასოდეს ყოფილა არცერთი მისი წინაპარი.

მამაც არ დაუტოვებია გულდაწყვეტილი, თავადაზნაურთა მარშლად აქცია გააზნაურებული ყაზახი, ყველას ეუბნება, რომ სილიბისტრომ თავადაზნაურთა მარშლობას თავი მიანება, მაგრამ ძალით დააბრუნეს და ახლა უსასყიდლოდ მუშაობს, რა ქნას, ათას სიყალბეს თხოულობენ მისგან, ზოგი სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებას ეხვეწება, ზოგს ყალბი მოწმობა უნდა, მაგრამ მარშალთან ვერაფერს ახერხებენ, იგი რომაული სიმტკიცით დგას მეფისა და ქვეყნის სამსახურში.

სილიბისტროს მხრები პრაპორშიკის ბრჭყვიალა ეპოლეტებით დაუმშვენა. ესეც ყალბი საბუთებით გააიმასქნა, თორემ ანაპოდისტეს მამას არც არსად უბრძოლია, მით უმეტეს, არანაირი სამსახურით არ გამოუჩენია თავი.

მოკლედ: როცა ჭირდებოდა, აზნაურობას ან თავადობას გასავალი ჰქონდა, პრივილეგირებულ და საზოგადოებაში წარმოჩენილ ფენად ითვლებოდა, სიყალბის წყალობით ზუსტად იმდაგვარივე გახდა, როგორც წოდებითაც ნამდვილი და სამსახურითაც გამორჩეული ადამიანები. რევოლუციის შემდეგ კი ყოველივე უარყო — გლეხი ვიყავი, ვარ, მამაჩემი კიდევ მიწის მუშა იყო თავისი დღე და მოსწრება, რაც შეეხება რუსთა მეფისაგან ნაბოძებ თავადობას, ესეც ტყუილია, იქ ყველა ქართველს კნიაზს ეძახიან და მეც ეს სახელი შემომრჩა აქამომდეო.

არც აზნაური, არც თავადი არ გახლავართ, გლეხი ვარ, გლეხი, — ამბობდა და წერდა ყაზახობასა და გლეხობაზე ამრეზით მაცქერალი. ამ დროს ასე ჭირდებოდა და იმიტომ.

***

კვაჭი კვაჭანტირაძე სოლომონ აშორდიას არც სხვადასხვა გვარსახელების დარქმევით ჩამორჩენია. იგი გვაჩის ძისდარად სიტუაციის მიხედვით იცვლიდა სახელსაც, გვარსაც, ნათლობის მიხედვით ანაპოდისტ სილვესტრის ძე კვაჭანტირაძე იყო, მაგრამ არც ერთი მოწონდა, არც მეორე, კვაჭი სილიბისტროს ძეც არ ჟღერდა მისთვის საამოდ და სასიამოვნოდ. ამიტომ ნაპოლეონ აპოლონის ძე კვაჭანტირაძედ ასაღებდა თავს, ყველაზე მეტხანს ეს სახელი და მამის სახელი ატარა სილიბისტროს ვაჟმა, თუმცა მერე აზნაური ან თავადი კვაჭანტირაძეც ეცოტავებოდა, უფრო კეთილხმოვან, დიდი ისტორიის მქონე გვარებს ირჩევდა.

პასპორტებიც ჰქონდა გვარსახელის შესატყვისი და შესადარი. აზოვის ბანკის თანამშრომელ ნაზიმოვს დადიანად გაეცნო, ბანკის დირექტორს კი ნიკოლოზ ორბელიანის გვარ-სახელითა და პასპორტით წარუდგა. აშორდიაც ასე არ იყო — ერთი წუთის უკან სხვა გვარისა და სახელის, მეორე წუთის შემდეგ კიდევ სხვა გვარ-სახელის კაცად ასაღებდა თავს.

კვაჭი კვაჭანტირაძე დადიანიც იყო, ნიკოლოზ ორბელიანიც, ნაპოლეონ აპოლონის ძეც, მერე, ამ სახელ-გვარებით რაღაც რომ ითაღლითა, სხვა დაირქვა.

როცა გაირკვა, რომ სილიბისტროს ვაჟს სახელიც ყალბი ჰქონდა, გვარიც, აზნაურობაც და თავადობაც ნაჩალიჩარი, გაზეთებმა რომ დაწერეს: „კვაჭის ყალბი პასპორტით შეეყოს თავი მეფის სასახლეში, ვითომ კვაჭის აზნაურობაც კი საეჭვო ყოფილიყო, ხოლო თავადობა კვაჭის და ერთ „წმინდა მოხუცს“ მეფისათვის მზაკვრული ოინბაზობით დაეცინცლოსთ“, ამის მერე ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანსკი გახდა, ესეც არ იკმარა და ავღანის პრინც რაბიბულა აბდულ რახმან შეიხ-ალის პასპორტიც დაითრია.

სოლომონ აშორდიაც ხომ საროლ მუსალის ძე ჯამბატოვი, კონსტანტინე ზახაროვი, სალონნიკოვი, ჟვანია და ა.შ. გვარსახელით დადიოდა, თაღლითობდა, დაირქმევდა ერთს, ჩაიდენდა დანაშაულს, გამოიცვლიდა, კვაჭიმაც, ნიკოლოზ ორბელიანის სახელით, ბანკიდან ფული გამოიტანა და მერე აღარ გახსენებია ეს გვარსახელი, დაივიწყა, პასპორტიც გადააგდო.

სილიბისტროს ვაჟს ერთი კი არა, ჯიბეში ექვსი პასპორტი ედო. კატოვიცში რომ შევიდნენ, ჟანდარმებმა, საზღვარგარეთ გასვლის ნებართვის მისაღებად, პასპორტები მოითხოვეს. ბესო შიქიამ ექვსეულიდან ერთ-ერთი ამოიღო და მიაწოდა. მათ ნებართვა შეადგინეს და დარიგება დაიწყეს უცხოეთში წასვლის მსურველებზე. ჯერ გვარსა და სახელს ეკითხებოდნენ მგზავრს, მერე პასპორტს მოძებნიდნენ და ნებართვასთან ერთად აძლევდნენ. კვაჭიმ არ იცოდა, ექვსიდან რომელი მიაწოდა ბესომ ჟანდარმს, იქნებ ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანსკისა, იქნებ რაბიბულასი, ან ბარონ ტიზენჰაუზენისა, თავად ტრუბეცკოისა?!... არ იცოდა, რა გვარსახელი ერქვა იმ წუთში. ბესომაც ექვსიდან ერთი ამოაძვრინა, არც ჩაუხედავს შიგ და მიაწოდა. სხვა პასპორტების თვალიერებას ხომ არ დაიწყებდა სილიბისტროს ვაჟი ჟანდარმების თვალწინ. ამიტომ მუნჯობა მოიგონა.

„ — თავადი ირაკლი გიორგის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი! — ხმამაღლა წაიკითხა ჟანდარმმა ის პასპორტი და გაიღიმა, თანაც დადნა და გალხვა“.

რა გვარ-სახელი აქვს, მაგრამ მუნჯია, საცოდავი — გაიფიქრა იმან. კვაჭის მისი ამნაირი ფიქრი აწყობდა, გამოსავალს მიაგნო უცებ. მუნჯი საიდან ეტყოდა, რა გვარისა და სახელის ბრძანდებოდა.

სოლომონ აშორდიას ასეთი არაფერი შემთხვევია — ყოველთვის ახსოვდა, ვინ იყო იმ წუთში და ვითარებაში.

კვაჭი შემდეგ ლონდონში პრენსად, წითლების შემოსვლის მერე კი სარევოლუციო სამხედრო საბჭოს წევრ პავლე სამტრედიძედ გარდაისახა.

ქამელეონი იყო და ქამელეონივით იცვლიდა გვარებს და სახელებს.

მეტი გარდასახვა რაღა გინდა?!

მამამისი სილიბისტრო 20 ათას მანეთად დააზღვია, მერე სიკვდილის პირას მისული ვიღაც ოვანეს შაბურიანცი მოძებნა, მამად გაასაღა, ჩაბარდა საწყალი მამაზეციერს, როგორც სილიბისტრო კვაჭანტირაძე და შვილმა დაზღვევა მოითხოვა.

მოკვდა სინამდვილეში ოვანეს შაბურიანცი, საბუთებით — სილიბისტრო კვაჭანტირაძე, ის მიწაში იყო, ეს მიწის ზევით, მიწის ქვეშ მყოფი კაცის გვარ-სახელით დადიოდა საღსალამათი და ჯანგაუტეხელი.

ასე იქცა სილიბისტრო კვაჭანტირაძე ოვანეს შაბურიანცად, ევროპულად გამოეწყო, წვერ-ულვაში გაიპარსა საბუთებით მკვდარმა, სინამდვილეში ოვანეს შაბურიანცად გარდასახულმა კვაჭის მამამ. იყიდა ამ გვარით და სახელით კავკავში სახლი და ცხოვრობდა არხეინად.

ერთი სიტყვით, კვაჭი კვაჭანტირაძეს ბევრი ორეული ჰყავდა — დადიანი, ნიკოლოზ ორბელიანი, ირაკლი ბაგრატიონი, რაბიბულა აბდულ რაჰმან შეიხ-ალი, თავადი ტრუბეცკოი, ბარონი ტიზენჰაუზენი, პავლე სამტრედიძე და ა.შ. იყო ერთი და იმავდროულად მრავალი, სოლომონივით ბევრის გვარ-სახელით საქმის გამკვაჭავი.

იქნებ ამგვარი რამ ყველა თაღლითისა და ავანტიურისტისთვისაა დამახასიათებელი, დაჭირდებათ, გამოიცვლიან გვარ-სახელს და შეუდგებიან ახალ საქმეებს. რა თქმა უნდა, სხვებსაც ხშირად მოუწევდათ გარდასახულიყვნენ,

მაგრამ აშორდიასა და კვაჭანტირაძის გვარ-სახელთა სიმრავლეც რომ ემთხვევა ერთმანეთს, ესეც ფაქტია.

იქნებ მიხეილ ჯავახიშვილს სწორედ სოლომონ აშორდიას ხშირი სახეცვლილება გაეგონა და ამიტომაც მრავლად აცვლევინა პერსონაჟს სახელი და გვარი.

იქნებ ასეა, იქნებ — არა.

ალბათ ასეა, რამეთუ კარგად იცნობდა გვაჩის ძის თავგადასავალს, „კვაჭი კვაჭანტირაძის“ შექმნის დროსაც ამ კაცის სახელი უფრო გახმიანებულიყო, ვიდრე სხვა თაღლითებისა.

***

კვაჭიმ აზოვის ბანკის თანამშრომელი ნაზიმოვი გაიცნო. ლოთი, მოქეიფე, მოთამაშე და ფულის მფანტავი გახლდათ ნაზიმოვი. ერთი-ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, წაიქეიფეს და ახალი აფიორაც გამოაცხვეს.

კვაჭი აზოვის ბანკის როსტოვის განყოფილებაში მივიდა. დირექტორს აჩვენა პასპორტი — თავადი ნიკოლოზ ორბელიანი გახლავართო და წარუდგინა ამ გვარ-სახელზე გაცემული ბანკის ბილეთი, სადაც ეწერა, რომ თბილისის ბანკის ანგარიშით ამ კაცისათვის 37. 435 მანეთი უნდა გადაეხადათ.

რომანში არ წერია, რომ ჩეკი ყალბი იყო, ბეჭედიც და ხელის მოწერაც, მაგრამ აშკარაა, ამის გარეშე საქმე არ გამოვიდოდა.

ეს ისეთივე აფიორაა, სოლომონ აშორდია რომ აკეთებდა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქების სხვადასხვა ბანკებში. დეტალური აღწერა, ბუნებრივია, რომანს დაამძიმებდა. მთავარია — კვაჭი კვაჭანტირაძემ ყალბი საბანკო დოკუმენტით, ყალბი პასპორტით აიღო ფული. ყალბი ნამდვილისაგან ძნელად გასარჩევი რომ უნდა ყოფილიყო, ცხადზე ცხადია. ისე არც ფულს მისცემდა ვინმე და ციხეშიც ამოა-

ყოფინებდა თავს. მოკლედ, კვაჭის ეს თაღლითობა ამგვართა დიდოსტატის ნამოქმედარიდან უნდა მომდინარეობდეს, მასზე გაეგონა, კვაჭიზე გადაიტანა. კვაჭიმ ნაზიმოვის, ე.ნ. საქმის მიმცემის გადაგდებაც მოისურვა, ესეც წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული — დადიანი ვარო — უთხრა, კიევში მივდივარ — სინამდვილეში კვაჭი კვაჭანტირაძე იყო და პეტერბურგში მიდიოდა.

კვაჭიმ ბესო შიქიას თხოვა, ეთქვა გარეთ მომლოდინე ნაზიმოვისათვის, რომ დირექტორი შეეჭვდა, ბულალტერი გამოიძახა, საბუთების ნამდვილობას ამოწმებენ და თბილისში დარეკვაც განიზრახეს. ბანკის თანამშრომელი ისე შეშინდა, რომ უკანოუხედავად მოკურცხლა. მერე გაახსენდა — სამგზავრო ფულიც რომ არ ჰქონდა, ბესო შიქიამ მისცა ათი მანეთი შეშინებულს, რომელიც სწრაფად გაეცალა იქაურობას.

ამბის ფინალი აშორდიას ნამოქმედარისაგან განსხვავებულია, თუმცა ბანკიდან გამოსულ სოლომონსაც ხომ აყაჩაღებდნენ ვლადივოსტოკში ჩასული ქართველები. ეს — ბანკს, ისინი ამას ძარცვავდნენ.

სედრაქამ კვაჭის ოდესაში ერთი დასტა ფული მიუტანა და უთხრა:

„ — ჰა, კნიაზჯან, ფრთხილად, თორემ დაიღუპები და მეც დამღუპავ. დიდ მაღაზიაში ან კარგ რესტორანში არ დაახურდავო. წვრილფეხა ვაჭრებში იარე, ხან სემიჩკა იყიდე, ხან პაპიროსი, ხან ფაეტონით გაისეირნე, მეოთხედი შენია, ჰა, ფრთხილად იყავი, თორემ“...

ეს ისეთივე ყალბი ფულია, აშორდიას რომ ჩაჰქონდა ოდესაში დასახურდავებლად, აქ — ბეჭდავდა, იქ — ასაღებდა.

კვაჭიმ ორ დღეში დაახურდავა მიცემული ფული, მაგრამ კინალამ ჩავარდა, ორ ადგილას დაუბრუნეს, ყალბიაო

— უთხრეს. სედრაქა დაფრთხა და მეორედ აღარ მიუცია „კნიაზისათვის“ ყალბი ფული.

აშორდია ზუგდიდში ბეჭდავდა, მერე ვიღაცას აბარებდა ოდესაში, რა თქმა უნდა, ნაკლებში, ისინი ნამდვილად ასაღებდნენ, ყიდულობდნენ საქონელს, არაფერს ხარჯავდნენ, ყიდდნენ, ნახულობდნენ მოგებას.

როგორც აღვნიშნეთ, კვაჭი კვაჭანტირაძემ სარევოლუციო სამხედრო საბჭოს წევრ პავლე სამტრედიძედ გაასაღა თავი, ამ დროს უკავშირებდა ერთი მაქინაცია:

„კვაჭისთან მიჰყავთ ვინმე ვაჭარი სპეკულოვი ან ვინმე დერიკოჟოვი.

ხუთი ვაგონი მინდა მოსკოვამდის.

— ფასი ხუთასი ოქრო.

მორიგდნენ. კვაჭი სწერს მოწმობა-ბრძანებას: ვამოწმებ, რომ მეხუთე დივიზიას ეგზავნება ხუთი ვაგონი საქონელი რიგის გარეშე“. ჩადის საქონელი მოსკოვში, იქ ჰავლიაბრიანის დახმარებით იყიდება, იქიდანაც ჩამოდის, აქ კვაჭის მეშვეობით საღდება და იქცევა ოქროდ და თვალმარგალიტად. მერე კვაჭანტირაძეს ხელისუფლებისაგან ბრძანება მოსდის: „მოახდინეთ რეკვიზიცია ოქროსი და თვალ-მარგალიტის (ან სანოვაგის, ან ქსოვილების ან სხვა საქონლის) სამხედრო საბჭოს წევრის სამტრედიძის ხელმძღვანელობით, რომელსაც ევალება მოგროვილი საქონლის ჩამოტანა მოსკოვში.

და იმ დღეებში ვაჭართა და მდიდართა ბღავილი და ოხვრა ზეცას წვდება“.

ყველაფერი კვაჭის მოგონილი იყო, საბუთებიც ყალბი, ბრძანებაც ასევე.

ეს მაქინაციაც ხარბინში დატრიალებულ სოლომონის ამბებს ჩამოჰგავს, ხელწერა ერთია, დეტალები — განსხვავებული.

***

კვაჭიმ რებეკა იდელსონს უთხრა:

შენს ქმარს ჟანდარმმა პავლოვმა ერთი ისეთი დოკუმენტი აღმოუჩინა, სახრჩობელა არ აცდებაო.

დანაღვლიანდა იდელსონის ქალი — კვაჭისთან კი ნებივრობდა, მაგრამ ციხეში მოყურყუტე ქმრის ბედიც აფიქრებდა. იმხელა თანხა მოითხოვა მის გასათავისუფლებლად, თქმაც მეძნელება, — მიუგო კვაჭიმ და იქით შეახვეწა მეუღლის ბედით აფორიაქებული საყვარელი — ხუთი ათასი — თქვა ხვეწნის მერე, აქედან ნახევარი ხვალვე....

სხვა რა გზა ჰქონდა რებეკა იდელსონს. ფულის მეორე დღესვე შოვნას დაპირდა კვაჭის, — ნათესავებს, ახლობლებს შევაწუხებ, ოღონდ კაცი სიკვდილისაგან დაგიხსნაო, — უთხრა.

შედგა გარიგება. კვაჭი მეორე დღეს თანხის ნახევარს პავლოვს, რომელთანაც წინასწარ იყო მოლაპარაკებული, რომ უდანაშაულო ისაკას საქმე დაემძიმებინა, მიუტანდა და მორჩა. ეს კი მოგვარდა, მაგრამ კვაჭისათვის არ იყო საკმარისი, საჭირო გახდათ იმ დოკუმენტის შედგენა, რომლითაც იდელსონს სახრჩობელა არ აცდებოდა. სილიბისტროს ვაჟს ესეც წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული. ამიტომ რებეკას მისი ქმრის ნაწერი მოთხოვა, ვითომ იმ მიზნით, იმ „უბედურ“ დოკუმენტისათვის შეედარებინა, მის ნამდვილობაში დარწმუნებულიყო. ქალმაც ერთ-ერთი სასიყვარულო წერილი გადასცა:

„კვაჭი ისაკას ხელნაწერს გულდასმით შინჯავდა, ჰბაძავდა და ცდილობდა, მისი ხელი შეესწავლა“

შეისწავლა კიდეც და გამოაცხო საბუთი, ვითომ ისაკას დაწერილი, რომელშიც ისეთ რამეებზე იყო საუბარი, რომ დანაშაული საოცრად მძიმდებოდა, როგორც ვთქვით, სახრჩობელა გარდაუვალი იყო.

აიღო რებეკა იდელსონისაგან ქმრის გასათავისუფლებელი ფული და მის თვალწინ დაწვა ის არარსებული დოკუმენტი.

მოკლედ, კვაჭი კვაჭანტირაძემ ნამდვილს მიამგვანა ყალბი, ჩაწერა შიგ, რაც სურდა და დაითრია ფული. სოლომონ აშორდიაც ხომ ასე იქცეოდა, „გულდასმით შინჯავდა, ჰბაძავდა“ და ისე ჰბაძავდა, რომ ნამდვილისაგან ძნელად გასარჩევი ხდებოდა საბუთი.

***

კვაჭი ლონდონში დაახლოებით ისე იქცევა, როგორც სოლომონ აშორდია ალექსანდროვის ბაღის გაყიდვის დროს. ქმნის იმიტაციას ფულიანი კაცისა, პარიზიდან დეპეშით 10 ათასი სტერლინგი მოვიდა, რომელიც ბესომ იმავე დღეს ისევ დეპეშით ჩიკინჯილაძეს უკან გაუგზავნა ისევ პარიზში, იმან ისევ აქეთ გამოგზავნა, ამან იქით, დეპეშები იგზავნებოდა, ფული სად ჰქონდათ. ბესო ფულის მოსვლის ამბავს იმ დროს ატყობინებდა კვაჭის, როცა სტუმრები ჰყავდა. ასე იქმნიდა ყალბ რეპუტაციას, რაც იმისთვის ჭირდებოდა — დარწმუნებულიყვნენ, დიდი ქონების პატრონი იყო.

სოლომონიც ასე შეიქნა ალექსანდროვის ბაღის „მეპატრონე“, ისე იქცეოდა, იმდენ დავალებებსა და განკარგულებებს აძლევდა წინასწარ გაფრთხილებულ მეგობრებს, რომ სომეხ ვაჭარს გულში არ გაუვლია რაიმე საეჭვო და საორჭოფო.

აი, ძირითადი მსგავსებანი სოლომონ აშორდიას და კვაჭი კვაჭანტირაძის თაღლითობებს შორის, რაც იმის საფუძველს ნაღდად იძლევა, რომ მიხეილ ჯავახიშვილის ამ პერსონაჟის ერთ-ერთ პროტოტიპად სოლომონ გვაჩის ძე აშორდიაც მივიჩნიოთ. მართალია, მწერალი ამის შესახებ არსად არაფერს გვეეუბნება, მაგრამ ეს მიზეზი უკვე ავხსენით.

ერთ-ერთი სოლომონიც უნდა იყოს იმ მრავალთაგან, რომელთა თავგადასავალიც აირეკლა ერთში — შთამბეჭდავად დახატული კვაჭი კვაჭანტირაძის სახეში.

„საბუთობაია"

უიარაღოს „მაძიებელნიც" აშორდიას ამბებს ეხმიანება, რომანის სახელწოდებაც და მთავარი პერსონაჟის გვარიც — მძებრაძე, საერთოდ, აქ აღწერილი ამბები იმ ვითარების მკვეთრი ანარეკლია, სამეგრელოში რომ მოხდა. ესაა დრო, როცა ჩნდება ვაჭართა კლასი, თავადაზნაურთა გავლენა სუსტდება, გლეხობის ნაწილი ან აზნაური ან კიდევ თავადი ხდება. „მაძიებელნში" აშორდია არსადაა ნახსენები, მაგრამ სიტუაცია იგივეა, თითქმის იდენტური.

მოკლედ გავიხსენოთ რომანში მოთხრობილი ამბავი.

სოფელ ჭყონონაშიც დადიოდა ჭორი — ოდიშის თავადაზნაურობას საბუთებს თხოვენ მათი ნამდვილი წოდებრივი მდგომარეობის გასარკვევადო. — პირველად მეწისქვილე მაძინიასაგან გაიგონეს მისსავე წისქვილში ეს ამბავი. მერე ჭორი სიმართლე გამოდგა: „უმაღლესად გადაწყვეტილია, რომ სამეგრელოს თავადაზნაურობას აზნაურობის საბუთი მოეთხოვოს და ამით მათი ღირსება დამტკიცდესო. ცალკე კომისიას ადგენენ და ვისაც სურს, თავადაზნაურობა დაიმტკიცოს, საბუთები იქ უნდა წარადგინოს. ვისაც კომისია ღირსად იცნობს, იმის საქმეს რუსეთში ღეროლდიაში გაგზავნის და ღრმატა იქიდან მოუვაო."

ბასილ მძებრაძე და მისი სანათესავო დიდად შეაფიქრიანა ამ ამბავმა.

დაიწყეს საბუთების ძებნა, ეძებეს, მაგრამ ხელჩასაჭი-

დი ანუ მათი ტახტის აზნაურობის დამამტკიცებელი ვერაფერი იპოვნეს.

ატყდა „საბუთობაია“, რომელმაც ბევრი ფული მოითხოვა. „ფულზე კი მძებრაძენი ქესატად ბრძანდებოდნენ და იძულებული ხდებოდნენ, სახნავი ჭალა დაეგირავებინათ“.

ზოგი ჰყიდდა, ზოგი აგირავებდა, ოღონდ საკუთარი კეთილშობილური წარმომავლობა უეჭველი და შეუვალი გაეხადათ.

საბუთი ერთი კი არა, ასი არ უნდა მქონდეს — ჯავრობს ბასილ მძებრაძე.

ერთს ვერ პოულობს ასის არსებობაში გარეგნულად დაუეჭვებელი, გულის სიღრმეში დამფრთხალი და შეცბუნებული, იქნებ მართლაც ვერ იპოვნოს დავით დადიას (დადიანის) გაცემული ის ერთი საბუთი, სადაც მისი წინაპრები აზნაურებად იქნებიან მოხსენიებულნი.

ნახავს ერთს, სადაც უეჭველ გლეხად წერია წინამორბედი მათი.

„...უტყუარსა და ჯვარის სახედ ხელმოწერილსა წიგნსა ვაძლევ ჭყონონას სოფლის მცხოვრები გლახ“...

— იქით გადააგდე! მართლა რამე იყო, მეგონა, — იმედგაცრუებულად გააწყვეტინა ბასილმა“...

გლახ...გლეხს ნიშნავს და ამიტომაც გაბრაზდა წინაპრებზე გულშემწყრალი მძებრაძეთა შთამომავალი.

მაგრამ ხომ არ შეჩერდებოდა, ძებნას ხომ არ შეეშვებოდა. არ შეჩერებულა და დიმიტრია ჭანდრაკელიამ თოხიტარიების სახლში ნაპოვნი საბუთი (აქ რუსუდან ხინჯიას ასულის, რომლის მესამე სჯულიერი ქმარი ოსეყმა მძებრაძე იყო, სახლიდან ფარნა თოსიტარიამ მიიტანა ეს გაყვითლებული ფურცელი, იფიქრა, წავიკითხავო, თორემ სამქმარგამოც-

ვლილი ქალბატონი გადაგდებას უპირებდა) ორას მანეთად მიყიდა. იყიდა ბასილმა და მისმა საბიძაშვილომ მათი ღირსებისა და კეთილშობილური წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. მართალია, ამ ისტორიულ წყაროში მძებრაძეთა წინაპრები არც თუ ისე კარგად იყვნენ მოხსენიებული — ბარიას ქვრივს მიუმართავს მოურავ ტარიელ შუშხუნაძისათვის, ჩემი ბატონი მერაბ მძებრაძე უდიერად მეპყრობა, შვილებს მიწიოკებს, ჩემი კუთვნილი მოზვერი მიისაკუთრაო, მოურავი აფრთხილებდა აზნაურ მძებრაძეს — მეორედ არ განმეორდეს ასეთი ამბავიო, მაგრამ ეს სულაც არ ადარდებდა მძებრაძეთა შთამომავლებს, მთავარი ის იყო, რომ მათი წინაპარი აზნაურად იყო ნახსენები.

ახლა იმის დამტკიცება გახლდათ საჭირო — ეს კაცი მათი წინაპარიც რომ იყო. ნათელი უნდა გაეხადათ, რომ ბაბუამათი ზურაბი და მერაბი ძმები იყვნენ, მერე მეტრიკული მოწმობები მოეძიათ, რითაც დამტკიცდებოდა, რომ ყველანი სვიმონის (მერაბის მამა) შთამომავლები იყვნენ. ამისათვის მამა ამბაკო, მწერალი, გამომძიებელი და მოწმეებად კიდევ ნახევარი სოფელი მოიწვიეს და ნათელჰყვეს ისედაც ყველასათვის ნათელი და ეჭვშეუვალი.

„საბუთობაია“ მძებრაძეებს შვიდასორმოცდარვა მანეთი და სამოცდაცხრამეტი კაპიკი დაუჯდათ.

გაიტყავნენ, დასაგირავებელი დააგირავეს, გასაყიდი გაყიდეს, ვალები აიღეს და საბუთები დროზე შეიტანეს კომისიაში, იქედან „პირსუსტიაში“, ამათ კიდევ „ღეროლდიაში“ გადაგზავნეს საბოლოო განჩინებისათვის.

„ჭანისწყლის აღმა დენას მოველოდი და მძებრაძეს თუ აზნაურობის საბუთებს მოთხოვდნენ, არ მეგონა“ — ამბობს ბასილ მძებრაძე.

„ღეროლდიადან“ ისევ უკან დააბრუნეს განსახილველად, თქვენს წინაპარს, აზნაურად რომაა ხსენებული იმ საბუთ-

ში, ზოგიერთი მონმე მერაბიკოს, ზოგი მერაბიას, სხვები კიდევ მერაბსაც ეძახიანო.

დახარჯეს ფული, ვერ დაიმტკიცეს აზნაურობა.

„მერე იცით, რას ნიშნავს ეს ხელახლა გამოიძიეთ? — ე.ი. აიღეთ და ერთი ორას-სამასი მანეთი კიდევ წყალში გადაყარეთო“— ამბობს ბასილ მძებრაძე და ჯავრობს იმაზე, რაც დახარჯა და რისი გადახდაც აწი მოუწევს.

ასე მთავრდება მძებრაძეთა ამბავი „მაძიებელნში“.

უნდოდათ აზნაურობა, ვერ გახდნენ. თხზულებაში აშორდიას მაქინაციებზე არაფერია ნათქვამი. აქ იმგვარ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, უსაბუთოდ ნამდვილი, ეჭვშეუვალი აზნაურიც რომ გლეხად ცხადდებოდა.

ასე იყო სინამდვილეში, ასევე გადაიტანა უიარაღომ იგი რომანში.

ბათუსა და გუტატის სანუხარი

შალვა დადიანის „გვირგვლიანების ოჯახის“ პერსონაჟებიც — ძმები გუტატი და ბათუც ოცნებობენ აზნაურობაზე. ცდილობენ, ვაჭარ ლევარსი კვიზინიასგან ფული ისესხონ, საქმე ჩააწყონ და არ ჩამორჩნენ დროს, უბედურ ყაზახად არ დარჩნენ. მართალია, ნექტარინას მოურავები არიან, ფოსტის ფულს არ იხდიან, გზაზე სამუშაოდ არ გაჰყავთ, მაგრამ კეთილშობილ წოდებას ამის გარდა ხომ უამრავი სიკეთე გააჩნია — სწავლაში ფულს არ იხდის, არჩევნებში მონაწილეობენ და ა.შ.

გუტატი ძმას — ბათუს აგზავნის ქუთაისში იმის გასაგებად, რამდენად შესაძლებელია მათი გააზნაურება. ისიც ჩადის და შეიტყობს, რომ კომისია ბოლო სხდომებს ატარებს, თუ ამ წელს ვერ მოახერხეს რაიმე, მოგჭამა ჭირი, გლეხად

დარჩებიან. ის კი არა, გაგზავნილი კაცი თავადაზნაურთა წინამძღოლ სიმონ წერეთელსაც შეხვედრია და მის ნათქვამსაც გადასცემს ძმასა და ლევარსის: „ნამეტანი გადაირიეთ მეგრელები, სუყველას გინდათ გააზნაურდეთ. აზნაურს, ყმაწვილო, ნამდვილ აზნაურს ერთი ციხე-დარბაზი მაინც უნდა მოეპოვებოდეს წინაპრების დანატოვარი, კარგა ძალი ყმებიც ჰყავდეს და კარგა შემრგვალებული მამულიც უნდა ჰქონდეს. თქვენ, მეგრელებს კი რა გაგაჩნიათ? ერთი ხეირიანი ვენახიც არ გაქვთ, ოთხი თუ ხუთი ქცევა ადგილი გიგდიათ სადღაც მთების კინკრიხოზე და წლიურად სამოცი კალათი სიმინდი თუ მოგივიდათ, ისიც დიდი საქმე იქნება“.

ბათუს მარშლის ეს სიტყვები არ მოეწონა, შეურაცხყოფად მიიღო, მაგრამ გაბედვით ვერაფერი გაუბედა — მის ხელში იყო, აზნაურობის დამტკიცების საქმეში სიმონ წერეთელსაც ბევრი შეეძლო. ამიტომ დუმილი არჩია, სხვა დროს ამ ნათქვამს არავის შეარჩენდა, საკადრის პასუხს მიაგებდა, მაგრამ ისე გულით უნდოდა, ყაზახად არ დარჩენილიყო, შეურაცხყოფაც აიტანა.

სიმონ წერეთელს ისიც უთქვამს — რას იკლავთ თავს აზნაურობისთვის, სულ მალე გაუქმდება, ტყუილად ფაციფუცობთ და იხარჯებითო, — მაგრამ ამას რომ ამბობდა, იცინოდა და ხუმრობად ჩავთვალეო, — უთხრა ბათუმ ძმასა და პირველი გილდიის ვაჭარ ლევარსის.

შალვა დადიანი, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლიდა იმ პერიოდში სამეგრელოსა და იმერეთში წოდებრივი კუთვნილების გარკვევის გამო ატეხილ ამბებს. აშორდიაცაა ნახსენები, ყველას აკეთილშობილებს, ვინც ფულს უხდისო. ამას ზემოთხსენებული პერსონაჟები ამბობენ და კიცხავენ კიდეც, თვითონ კი ასევე იქცევიან — ლევარსის ელრიჯებიან, ფული რომ ასესხოთ და სანუკვარი ოცნება აისრულონ.

ესაა და ეს — მცირე პასაჟი „გვირგვილიანების ოჯახში". მოკლედაა მონიშნული ზოგადი სურათი, როგორ ესწრაფვოდნენ მაღალ წოდებას და ამართლებდნენ ბოროზდინის ნათქვამს ამ კუთხის შვილებზე:

„გასაოცარია ისა, რომ გლეხი ისე არსად არის გულით მონდომებული დაბალი ხარისხიდან მაღალ ხარისხში გადავიდეს, როგორც სამეგრელოში; აქ მოჯალაბე იმის ცდაშია, მებეგრედ იქცეს, მებეგრე აზატობას ცდილობს, აზატი კი იმასა ნატრობს, აზნაური როდის გავხდებიო".

ამ სიტყვების სიმართლე აშორდიას „მოღვაწეობამ" დაამტკიცა.

შალვა დადიანმაც, მართალია სქემატურად, სულ მცირე პასაჟით, მაგრამ მაინც გვითხრა, უფრო მიგვანიშნა იმდროინდელი გლეხობის ერთადერთ წუხილზე, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ — აზნაურად ან თავადად შერაცხულიყვნენ.

თაგვის გამოხრული სიგელი

ფუცუ დგებუაძე-ფულარიას ისტორიული რომანის მთავარი პერსონაჟი მაია აღშფოთებულია იმ ამბებით, სამეგრელოში თავადობისა და აზნაურობის მიღებასთან დაკავშირებით რომ მოხდა. იგი ყველაფერში დადიანებს ადანაშაულებს — ნიკო მენგრელსკი „გარუსებულია, მას სამშობლო არ უყვარს, თავის ქვეყნის აღორძინებაზე არ ფიქრობს." ანდრია დადიანს კიდევ ჭადრაკის მეტი არაფერი ახსოვს. ჰოდა, გამოტყვრა ვიღაც აშორდია და არიგებს და არიგებს თავადობას და აზნაურობას, ლევან დადიანს აჯობაო ამ მხრივ.

რომანში მოკლედაა აღწერილი სოლომონ აშორდიას საქ-

მიანობა და გამჟღავნებულია მაიას გულისწუხილი. ისიცაა ნათქვამი, რომ მაზლს — გრიგოლ დადიანს მისწერა — მიეღო საჭირო ზომები აშორდიას თაღლითობის აღსაკვეთად, რამეთუ ამით სამეგრელოს მოსახლეობა ზარალდებოდა... „მართალია, პირადად ჩვენ არაფერი გვიფუჭდება, მაგრამ ხალხი რომ იძარცვება,ჩვენი გარდაცვლილნი პატივაყრილნი რჩებიან“...

პატარა პარაგრაფია აშორდიაზე ამ რომანის პირველ, 1952 წლის გამოცემაში, შემდეგ ავტორმა იგი ამოიღო, რადგან თხზულებას არაფერს მატებდა.

ჩიქოვანთა ერთი თემის სიგელის თაგვისაგან იმ ადგილას, სადაც სიტყვა თავადი ენერა, გამოხვრის ამბავიც აქაა მოთხრობილი.

ამაზე უკვე დავწერეთ.

***

ასე აისახა სოლომონ აშორდიას თაღლითობა მხატვრულ პროზაში, თუმცა იმდროინდელი საგაზეთო პუბლიკაციები — წერილები, ფელეტონები, — არანაკლები მხატვრული დონისაა, არანაკლებ ხატოვნად გადმოსცემენ ვითარებას — ხატავენ ეპოქას, ადამიანთა მისწრაფებებს, გამოყოფენ ზოგადს, არსებითს იმ მოვლენებში, თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში რომ დატრიალდა, დედაქალაქსაც გადაწვდა, პეტერბურგშიც გავარდა ტყვია, გუსევისგან შუბლში დახლილი.

მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებიდან გვინდა „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ ერთი ფელეტონი გამოვყოთ. თვალსაჩინოდ რომ წარმოსახავს იმჟამინდელ სიტუაციას, შეიძლებოდა, სხვებიც გაგვეხსენებინა, თუნდაც „ივერიაში“ ამავე გაზეთიდან გადმობეჭდილი „სათავადაზნაურო ქარხანა ქუ-

თაისში“, მაგრამ ამ წერილზე იმიტომ შევჩერდით, რომ მასში უფრო ზოგადსა და არსებითზეა საუბარი.

ნებისმიერი ადამიანისათვის — წერს ფელეტონის ავტორი — სული, ხორცი და პასპორტია საჭირო. არსებობენ სულგაყიდული, სულიერებადაშრეტილი ადამიანები — ძალიან ბევრს კიდეც ეამაყება, ხორცს რომ ხედავს, სული რომ არ გააჩნია.

მაგრამ ეს არაა მთავარი — სულდაკნინებულ ადამიანთა სიმრავლით მომდევნო წლები უფრო გამოირჩეოდნენ, უფრო მომრავლდნენ შემდეგში ისეთები, რომელთა არსებობაც წინა ეპოქებში თანამედროვეებს ეხამუშებოდათ.

უხორცო ადამიანებიც არიან — გვეუბნება ფელეტონის ავტორი — უხორცოდ გაჩნდნენ ან კიდევ ასე ისურვეს ყოფნა. რუსეთში ერთნიც ბლომად არიან, მეორენიცო. უსულოდ და უხორცოდ ყოფნა შეიძლება, მაგრამ უპასპორტოდ ნურას უკაცრავად, უსულოსა და უხორცოს, ორივეს უნდა ჰქონდეს საბუთი, იგივე პასპორტი, თორემ ისე ამ ქვეყანაში ვერ იარსებებს.

უპასპორტოდ თბილისის ქალაქის თავი — ალექსანდრე ივანეს ძე ხატისოვიც ვერ გადადგამს ნაბიჯს, არ აქვს საბუთი, დაიჭერენ, ციხეში უკრავენ თავს, მოიტანს, გაუშვებენ, ბოდიშის მოხდითა და თავის დაკვრით. სხვისთვის კი ამასაც არ გაიმეტებენ — დაიჭერენ, მოიტანს — გაუშვებენ.

ამ ფელეტონის დედააზრი ისაა, რომ რუსეთში უსულო და უხორცო ადამიანები უპრობლემოდ ცხოვრობენ, უპასპორტოებს კი დიდი სირთულეები ექმნებათ, იჭერენ, აპატიმრებენ.

არა გაქვს პასპორტი?! აგერაა აშორდია — ნებისმიერ დუქანში, ბაღში, ყაფანში, ბაზარში გეტყვიან, სად ცხოვრობს, სად იყიდება მისი დამზადებული საბუთები.

უსულოს და უხორცოს ვერავინ ვერაფერს მოგიხერხებს, უპასპორტოს აშორდია გიშველის — ამბობს ფელეტონის ავტორი.

რატომ გამოვარჩიეთ მაინცდამაინც ეს პუბლიკაცია, ვფიქრობ, კარგადაა დახატული დროება, ყოფა, როცა ერთი კაცი იმას აკეთებდა, რაც ყველაზე მეტად ჭირდებოდა ადამიანს. ეს ერთი კაცი კი სოლომონ გვაჩის ძე აშორდია გახლდათ — პუბლიცისტებისათვისაც საინტერესო თავგადასავლის პატრონი.

„ᲕᲐᲫᲚᲔᲕ ᲥᲘᲛᲔᲠᲔᲑᲡ ᲛᲔ, ᲞᲝᲔᲢᲘ, ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲐᲡ!“

ცისფერი ორდენის წევრებს რამდენიმე ისტორიული პიროვნების ხვედრი განსაკუთრებით ხიბლავდათ, მათი ცხოვრება თავიანთი ესთეტიკური იდეალების გამოძახილად ესახებოდათ, მათ შორის — აშორდიასიც.

ამიტომ მათი „ახალი მითოლოგიის“ ერთ-ერთი პერსონაჟი სოლომონ აშორდიაცაა.

იყვნენ დაინტერესებული გიორგი სააკაძის პიროვნებით, ამოუცნობად თვლიდნენ მის საქციელს, იდუმალად და შეფარულად მიიჩნევდნენ იმას, რაც სხვათათვის აშკარა და ნათელი იყო. „დიადი მეს“ რეალური განხორციელება ეგონათ დიდი მოურავის თავს გადამხდარი ამბები და აღტაცებას ვერ მალავდნენ.

ცისფერწყანწელთა დაინტერესება ამა თუ იმ პიროვნებით, ძირითადად, ბიოგრაფიული მომენტით იყო გამონვეული. ხშირად ახსენებდნენ ივანე მაჩაბელსაც, მისი იდუმალი აღსასრული მოწონდათ, ეძახდნენ „ელიზიუმის აჩ-

რდილს“, „თფილისის მარად მოქალაქეს“, კი გაუჩინარდა, მაგრამ აჩრდილის სახით ელიზიუმში დაიდო ბინა, თბილისის მარადიული მოქალაქეაო და ა.შ.

ფრანსუა ვიიონის ცხოვრებაც თვალს სჭრიდათ თავისი არტისტულობით, არაორდინარულობით, მის შემოქმედებასაც აანალიზებდნენ, იქაც თავიანთი პრინციპების გამოძახილს პოულობდნენ, მაგრამ უფრო მეტად ცხოვრებით, ბიოგრაფიით იყვნენ დაინტერესებული. ტეოფილ გოტიე ლექსიკონების კითხვას ურჩევდა ახალგაზრდა პოეტებს, მაგრამ პოეტების ბიოგრაფიების კითხვა და გაცნობა ათასნილ ჯობს, უფრო მეტს მისცემს პოეტს, ვიდრე ესა თუ ის ფილოსოფიური ტრაქტატი ხელოვნებისა და მშვენიერების შესახებ“ — წერდა ვალერიან გაფრინდაშვილი.

იგივე ავტორი პოეტთა, საერთოდ, შემოქმედთა ბიოგრაფიების გაცნობას ურჩევდა თავის მოძმეებს, თუმცა მათთვის სიტყვა შემოქმედის გაგებაც ვრცელი და ფართო იყო. ასეთნაირად მიიჩნევდნენ ყველას, ვის ცხოვრებაშიც მათი შეხედულების თუნდაც მცირე ანარეკლი ჭიატობდა.

შემოქმედნი, პოეტები იყვნენ ისინი, ვინც თხზავდნენ და ისინიც, ვისაც სტრიქონიც არ დაეწერა.

არა მარტო პოეტთა, სხვების ბიოგრაფიებსაც ეცნობოდნენ, აკვირდებოდნენ და თავიანთ ესთეტიკურ ნააზრევს უსადაგებდნენ. სოლომონ აშორდიაც ერთ-ერთი ამათგანია: ორეულებით, უგვანოთა გააზნაურებით, ვითომ ახალი სინამდვილის შექმნით ცისფერყანწელთათვის საინტერესო გვარ-სახელი.

„დაისების სცენაზე ჭინკასავით გამოდის აშორდია — აზნაურობის დამრიგებელი. აშორდია სიმბოლოა პოეტის. ის თვით ცხოვრებას ქმნის ეფემერულად და მისი ყალბი სიბნელეები სააქაოს ყანთრავს“ — წერდა სანდრო ცირეკიძე ესსეში „ვალერიან გაფრინდაშვილი“. აშორდიასა და ჭინკას

შედარებაც არ გახლავთ შემთხვევითი — როგორც ჭინკას მოსვლა-წასვლის მერე რაღაც იცვლება, ასევე აშორდიას საქმიანობით თითქმის იცვლებოდა სინამდვილე, არსებული სოციალური მდგომარეობა აბსოლუტურად განსხვავებული ხდებოდა და ამის შემოქმედი, ამ ახალი სინამდვილის დამამკვიდრებელი „დაისების თეატრის“ ერთ-ერთი გმირი აშორდია გახლდათ.

აშორდია და კალიოსტრო

აშორდიასადმი მიძღვნილი პირველი ლექსი ვალერიან გაფრინდაშვილმა 1916 წლის მაისში დაწერა. ამ დროს ადრესატი სხვა გვარ-სახელით კიევის ციხეში იყო გამოკეტილი. აქ ლექსებს უძღვნიდნენ, ის იქ იყო, ციხეში. კითხულობდა, ეცნობოდა ამ პოეტურ თხზულებებს, არ ვიცით. თავისი დაწერილი, სასამართლო თხოვნების გარდა, არაფერი დაუტოვებია. ახლობელ-ნათესავნიც არაფერს ამბობენ, როგორ ხვდებოდა მისი სახელისა და გვარის ასეთ ხშირ ხსენებას, სხვადასხვანაირ გააზრებას...

„კალიოსტროს ლანდს შესთავაზა მან პაემანი“ — აი, ამ ლექსის პირველი სტრიქონი. სხვაგანაც გაიმეორა პოეტმა ეს შედარება, იდუმალებით მოცული სიცილიელისა და თანამედროვეთათვის კარგად ცნობილი აშორდიას ბიოგრაფიებს შორის გაავლო პარალელი. შედარება შეიძლება, თუმცა მასშტაბი არათანაბარია. ის, რომლის ნამდვილი გვარი დღესაც არ იციან, ალქიმიკოსი, მაგიის მიმდევარი, მასონთა ლოჟის წევრი, თაღლითი და შარლატანი გახლდათ, ამის საქმიანობა ასე ფართო დიაპაზონისა არ ყოფილა.

გრაფი კალიოსტრო, ნამდვილი გვარ-სახელი ჯუზეპე

ბალზამო რომ ჰგონიათ ზოგიერთებს, უკვდავების ელექსირის საიდუმლოს იცნობდა — ორმოცი წლისა ოცი წლის ჭაბუკივით გამოიყურებოდა. სოლომონი კიდევ, პირიქით, ოცი წლისა ორმოცისას ჰგავდა.

კალიოსტროზე ამბობდნენ, მკვდართა სულებს იძახებს, სპილენძს ოქროდ აქცევს, ლუდოვიკო მეთხუთმეტეს საგვარეულო ალმასის ბეჭედი ისე გაამთელა, რომ ბზარის ნატამალიც არ ეტყობოდა, ოღონდ იმის დადგენა შემდეგ ყველას გაუჭირდა, — გაახლებული ნივთი ალმასი იყო თუ არა, გაბზარულზე არ ეჭვობდნენ, ახალს ლითონის ვერცერთ სახეს ვერ აკუთვნებდნენ. აშორდია ძველ სიგელ-გუჯრებს ამგვანებდა ახალს, შეუმცდარად, თუმცა არც ალქიმიკოსი ყოფილა და არც ფილოსოფიური ქვის საიდუმლოს ამოცნობით უმტვრევია თავი.

კალიოსტროს ლატარიის ბილეთების გამოცნობაც შეეძლოო — წერენ. წინასწარ ხედებოდა, რომელი ნომერი იყო მომგებიანი, ქმნიდა მათ მსგავსს და ბევრ ფულს იჯიბავდა. საერთოდ, მდიდარ კაცად მოიხსენიებენ. პოტიომკინისათვის სანაძლეო დაუდევს — შენს ოქროს ორ კვირაში გავასამმაგებო. დათანხმებია ეს გრაფი იმ გრაფს, რომელსაც იმ მესამედის წაღება მოუთხოვია მოგების შემთხვევაში. ორი კვირის შემდეგ მართლაც აუწონიათ ორი კვირის უკან აწონილი და გაოცებული დარჩენილან — წონა ოქროულობისა სამჯერ მეტი იყო. სოლომონს ამდაგვარი არაფერი ჩაუდენია, იგი უფრო ცალმხრივ მოსაქმე თაღლითი იყო, კალიოსტრო კი მრავალმხრივი და იმავდროულად — ბნელით მოცული ბიოგრაფიის პატრონი. მასზე იმასაც ამბობდნენ, ეგვიპტის ქურუმები გამოიძახა პირამიდებში და მათ სულებს ესაუბრა, დააარსა ეგვიპტური მასონთა ლოჟა, რომელიც ბუნების ამოუცნობი ძალების თაყვანისცემას ისახავდა მიზნად.

ცოლის შემწეობით გაგრაფებულ კალიოსტროზე სხვადასხვა ამბები, ურთიერთგამომრიცხავი, აბსურდულიც უფროსმა ალექსანდრე დიუმამ შეკრიბა „ერთი ექიმის ჩანაწერებში“.

ამ ამბებს იმიტომ ვიხსენებთ, რომ აშორდიასა და გრაფ კალიოსტროს შედარება, ალბათ, ცისფერყანწელებს თუ მოაფიქრდებოდათ, მათ შორის განსხვავება უფრო დიდია, ვიდრე — მსგავსება. ის „შავი მაგიის“ მსახურადაც იყო მონათლული, წინასწარმეტყველადაც — საფრანგეთის რევოლუციის დაწყება, მარია ანტუანეტას სიკვდილით დასჯისა და ბასტილიის დაცემის დღე კარგა ხნით ადრე ამოიცნოო.

მსგავსება ისაა, რომ თაღლითური გზებით დაითრევდნენ დიდძალ სიმდიდრეს, ის — ოქროს, ეს — ფულს. ციხეში ერთმა 7-8 წელი დაჰყო, მეორემ, პაპმა სიკვდილით დასჯა სამუდამო პატიმრობით რომ შეუცვალა, მხოლოდ ოთხი, ცოლიც ამის საწინააღმდეგო ჩვენებებს აძლევდა განმსჯელებს, ნინა ჯოხაძე (საყვარელი სიდედრი) — პირიქით, ყოველნაირად ცდილობდა, როგორმე დაეხსნა იმპერიაში ცნობილი თაღლითი...

ვალერიან გაფრინდაშვილი, ბუნებრივია, ზუსტად არ ჩამოთვლის ამ ორი თაღლითის მსგავსების ნიშნებს, ადარებს და მორჩა:

„კალიოსტროს ლანდს შესთავაზა მან პაემანი,
წინაპრის ნაბდით არის ახლა იგი ბურვილი.
მეფურ სიუხვით ათავადა ყველა მსურველი,
თვითონ ფრთიანი, უხილავი, როგორც დემონი.

ბევრ ამაყ სიზმრებს დააწაფა თვალთა თვლემანი,
ბევრ ოცნებაში ბრნყინვალების შექმნა ურვილი.
ხალხის წინაშე ჯადოსნობით კვლავ აღჭურვილი,
დროს კარჩაკეტილს და შმაგ სივრცეს არ დაემონა.

ასხვანაირებს სინამდვილეს, როგორც მგოსანი,
თვალში მონოკლით ავაზაკობს — ცბიერი მარად
და ყალბ სიგელებს აქანდაკებს შეუსადარად.

ხან მეომარი, ხან მოახლე, ხან ჩოხოსანი,
ხანდისხან ლორდი — ის იგონებს საოცარ გრიმებს
და ამ ლექსს, ალბათ, ნიღაბის ქვეშ ის გაუღიმებს."

ვალერიან გაფრინდაშვილი ის ერთადერთი ცისფერყანწელი იყო, სოლომონ აშორდიას ცხოვრებით აღტაცებას დაუფარავად რომ გამოხატავდა. მის საქმიანობას კალიგულასაგან ცხენისათვის კონსულის წოდების მიცემას ადარებდა, თვითონაც ბაძავდა, თუ ის უგვანოებს, მე პოეტებს, ქიმერებს, ვააზნაურებ, ორივე შემთხვევაში კი ახალი სინამდვილე მკვიდრდებაო.

„ავ კალიგულამ ცხენს კონსულის მისცა წოდება,
ვაძლევ ქიმერებს მე, პოეტი, აზნაურობას,
ვაძლევ ძველ სიგელს, თვით გომბეშოს თუ მეცოდება
სიამით ვუსმენ ვასსალების ბნელ ხმაურობას".

თუმცა კრიტიკული დამოკიდებულების ანარეკლიც შეიმჩნევა ამ პოეტურ თხზულებებში:

„გავშლი სიგელებს და საოცარ მემორიალებს,
ოდიშელივით მთელ ქვეყანას გავაბითურებ".

მართლაც, ბითურდებოდა ქვეყანა, დგებოდა ჟამი სიყალბისა, ნამდვილის გაცუდებისა...

ვალერიან გაფრინდაშვილის აზრით, აშორდია ქმნიდა დაისების თეატრის სხვა პერსონაჟებსაც: „დაისის ლალებს და ქიმერებს ქმნის აშორდია". პოეტსაც საკუთარი თავი მისგან გააზნაურებულად წარმოესახებოდა:

„ახლა უყივის თავის მგოსანს — უნდა აჩუქოს
თავადის ღერბი — ზიარების ზამბახით შლილი,
ოქროს გვირგვინით სამუდამოდ რომ გააშუქოს
თავის მემკვიდრე — ვალერიან გაფრინდაშვილი".

კიდევ ვიმეორებთ: აშორდიას მემკვიდრედ თვლიდა თავს, ერთი — ბოგანოებს, მეორე ქიმერებს ააზნაურებდა.

სოლომონის ხშირი სახეცვლილებაც ხიბლავდა, ერთი რომ იყო, მრავალი ორეული რომ გააჩნდა, თუმცა ეს მოტივი შედარებით ნაკლებად გაახმიანა, უფრო აზნაურობის ბოძების თემა დომინირებს მის ლექსებსა და ესეებში.

ესაა, მოკლედ, ყველაფერი ის, რაშიც სოლომონ აშორდიას თაღლითობის მოტივი აირეკლა, ერთნი აღტაცებას ვერ მალავდნენ მის გახსენებისას, მეორენი — აშკარა ირონიას.

ეპილოგი

აშორდიათა მცირერიცხოვანი გვარიდან მთელი ქართველობისათვის, და არა მარტო ჩვენთვის, ორის სახელი გახდა ცნობილი, ერთი თაყაა, მეორე — სოლომონი. ერთმა მეგრული ანბანი შეადგინა, მეორე ისტორიულ დოკუმენტებს აყალბებდა, უგვანოებს ააზნაურებდა და ათავადებდა.

ორივეს სახელი შავ ლაქად შემორჩა ერის ისტორიას. იმდენად ერთნაირად დამღუპველი იყო მათი საქმიანობა ქვეყნისათვის, რომ ხშირად ერთმანეთში ერეოდათ — ერთს მეორის ცოდვასაც ჰკიდებდნენ, სულაც ერთ აშორდიას მიაწერდნენ ყველაფერს. არადა, ორნი იყვნენ — ერთმანეთისაგან განსხვავებულნი, მაგრამ თავიანთი „დანატოვარით“ საქართველოსთვის ერთნაირად საზიანონი.

გალაკტიონის პალინდრომიც ორივე აშორდიას ესადაგება, ერთზეც შეიძლება იფიქრო, მეორეზეც, მეგრული ანბანის შექმნა და შემოღებაც არანაკლებ არევდა ივერიას, ქართული ენის, როგორც ქვეყნის ჰაერის — სიძაბუნესა და დაბერებას მოასწავებდა. იქნებ, დიდ პოეტსაც, როცა ამ „ჩარხივით მბრუნავ ლექსს“ წერდა, ორივე აშორდიას სახება ედგა თვალწინ, ორივეს საქვეყნო დანაშაული წარმოესახებოდა მათი გახსენებისას და საბოლოოდ ივერიის გადაგვარებას, არევას უკავშირებდა.

ისიც ხომ უცნაურია, ამ პატარა გვარიდან ორმა კაცმა „ისახელა“ თავი და ეს გვარი უკუღმა აიდროშად რომ იკითხება — აშორდია აიდროშა.

უცნაურია, აბა, რა! აი, როგორი დროშა აზიდულიყო ფარზე, რა დროება ჩამომდგარიყო (არა მხოლოდ) მათი ნამოქმედარით გაუბედურებულ ივერიის მიწაზე.

1903 წელს დუტუ მეგრელი „საახალწლო ნობათებს“ უძღვნიდა „ორ აშორდიას“ გაზეთ „ივერიაში“:

„ნეტა თქვენს გვარს, რომ შემოსეთ,
საუკუნო ის დიდებით;
ერთმა... ყალბის ანა-ბანით,
მეორემ... ყალბ საბუთებით“.

ორივეს საქმიანობა დროულად რომ არ გამხელილიყო, ქართულ საზოგადოებას არ აემაღლებინა ხმა, ვინ იცის, რა შედეგები მოჰყვებოდა. კიდევ ერთი ცოდვის კალო დატრიალდებოდა, ჩადენილი შეცდომების გასწორება დროს მოითხოვდა ან სულაც ვეღარ გამოსწორდებოდა.

ადრე აზნაურობას ან თავადობას ესწრაფვოდნენ, მაძიებლობდნენ, მერე კი შეიცვალა დროება, ბევრს აღარც სურდა გაემხილა, მაძიებელი თუ იყო. მიხეილ ჯავახიშვილს ეს ვითარებაც არ დარჩენია შეუმჩნეველი და უბის წიგნაკში ჩაუნიშნავს: „ტემა: გლეხი დიდხანს დადის და ეძებს, აზნაური არა ვარო. ბოლოს არქივში პოულობს ცნობას, რომ მისი მამა აზნაურობას ეძიებდა. გაეხარდა, ხომ არ მოუციათო. ამრიგად, მისი წინაპრებიც მაძიებლები იყვნენ და ისიც მაძიებელია“.

მამაც მაძიებელი, შვილიც — მაძიებელი, ოღონდ ის სხვა რამეს ეძიებდა, ეს სხვა რამეს. იგი აზნაურობას ნატრობდა, რომ ვერ ეღირსა, უარი რომ უთხრეს, გული დაწყდა, შვილს კიდევ, რომ არ მიუციათ, ის გაეხარდა. ამისთვის სასიხარულო იმისთვის საწყენი იყო და პირიქით. მართლაც მშვენიერი თემაა — ბოლშევიკებმა თავადაზნაურთა გადანადგურება რომ წამოიწყეს, მაძიებელ აზნაურად შერაცხულმა გლეხმა იმის გარკვევა მოისურვა, მართლა გახდა თუ არა

მამამისი აზნაური, შეიტყო, რომ ეძიებდა, მაგრამ ვერ გახდა, არავინ გااززნაურა ყაზახი და, გაეხარდა არა იმიტომ, რომ სიმართლემ გაიმარჯვა, არა, საკუთარი თავი ახლა ბოლშევიკთა კლანჭებისგან უნდოდა დაეხსნა — თავადაზნაურობას, როგორც კლასს რომ ანადგურებთ, მე არ გახლავართ მასეთი, გლეხი ვარ და მხარს გიჭერთ, თანაგიგრძნობთ მათ ხოცვა-ულეტაშიო.

ასე იცვლებოდა დროება.

ესეც აირევი ივერია გახლავთ.

აკაკი წერეთელი იერემიას გოდებას ადარებდა თავის გულის წუხილის გამჟღავნებას და 1902 წელს დაწერილ ლექსში „საქართველოს დღევანდელი სახე“ არაორაზროვნად ამბობდა:

„თავადი აღარ თავადობს,
არც სადმე აზნაურია,
აღარც მღვდელია, არც ერი,
ყველა ღვთის უმადურია.“

მომრავლებულიყვნენ ღვთის მგმობელნი, ძველ თავადებსა და აზნაურებს ფარ-ხმალი დაეყარათ, ვეღარ თავადობდნენ, ვეღარ აზნაურობდნენ...

სოლომონ აშორდიამ ალლო აუღო დროებას, გლეხობაში წოდებრივი ამაღლების სურვილი ამოიკითხა და აცხო და აცხო აშორდიას აზნაურები. იქნებ კარგად სულაც არ ჰქონდა გააზრებული, რას იქმოდა, რა უბედურებას ატრიალებდა ივერიის მრავალ უბედურებანანახ მიწაზე.

არა მგონია.

მშვენივრად იცოდა ბევრის მცოდნემ და შემძლემ, რასაც აკეთებდა, რაც მოჰყვებოდა ერთი მხარის სოციალური მდგომარეობის თავდაყირა დაყენებას.

იცოდა, მაგრამ მაინც იქმოდა...

ზოგი არტისტიზმს ხედავდა მის ნამოქმედარში, ზოგი იმ

სავალალო და საბედისწერო განაჩენს ჭვრეტდა, ქვეყანას რომ ემუქრებოდა.

ზოგნი — ასე, ზოგნი ისე აფასებდნენ.

უდავოდ ნიჭიერი იყო ერთიც, მეორეც, მაგრამ რას მოახმარეს თავიანთი ნიჭი.

ისე ერთნაირები იყვნენ, ხანდახან მარტო ერთს მიაწერენ ყველაფერს, ორივეს ერთად წარმოსახავენ, ვითომ ცალცალკე პატარა ცოდვა ეკიდოთ ზურგზე.

ძნელია, ორის ცოდვა იტვირთო, როცა ერთისაც მეტისმეტად მძიმეა.

ორივემ ივერია არია, ააყირავა, მათ საქმეებს მიესადაგა ამ სანეტარო სიტყვის უკუღმა წაკითხვა:

აირევი ივერია.

სარჩევი

რედაქტორისაგან 3
პროლოგის მაგიერ 5

თავი პირველი
„აი დროშა აშორდია“ 9
სალდაძისა და სხვათა საგონებელი 9

თავი მეორე
აი რა დრო ორდარია 38
„იჩუჩი“-დან აზნაურობამდე 38
ორი აბასთუმანი 52
სასტუმრო „ევროპის“ ოცდამეოთხე ნომერი 56
გაუმარჯოს ჩვენს ახალ მოძმეს 69
როიალისა და ალექსანდროვის ბაღის
გაყიდვის ამბავი 82

თავი მესამე
ძმანი სოლომონისანი 88
გადაივლის ეს ქარ-სუსხი 88
ციხეში გვიან თენდება 94
აქა ამბავი 1900 წელს გათავადაზნაურებულთა 113
დადიანო, დადიანო... 120
ნამდვილი ძმა 131
ილემელი დეპუტატი 136
შევარდენის ბიჭი 142

თავი მეოთხე
დედა შვილსა ელოდება ციხის კარებზეო... 147
ზღვაში ნავი მოცურავდა 147
წადი, უსტარო, იახელ 160
ხესა სურო შეჰყოლია 166

თავი მეხუთე
დავღონებულვარ ციხესა 182
საღოლ, საროლ! 182

გამყალბებელი გამოძახებით 196
სადაც ბევრი ფული ნახა 206
მკათათვის ნაღვლიანი დღეები 218
სოკრატ ვინ დაგარქო, სოკრატო?! 228
მეორე მოსამართლე 237
ციხის მერეც ციხეს ველი 244
მათრახაძე პლეტნიკოვი 255

თავი მეექვსე
AFFAIRE ASCHORDIA 258
ისიც არ უთქვამს, ვინ იყო 258
ციხე აშორდა აშორდიას 263
აღსასრული აშორდიასი 271

თავი მეშვიდე
გაფანტული სხივები 280
„ნარევი ტიპი“ 280
კვაჭი და სოლომონი 287
„საბუთობაია“ 299
ბათუსა და გუტატის საწუხარი 302
თაგვის გამოხრული სიგელი 304
„ვაძლევ ქიმერებს მე, პოეტი, აზნაურობას!“ 307
აშორდია და კალიოსტრო 309
ეპილოგი 314

გამომცემლობის რედაქტორი თემურ ამყოლაძე
მხატვრული რედაქტორი ლევან ჩიხლაძე
კორექტორი ლია შერგელაშვილი

გადაეცა წარმოებას 1.09.2006,
ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.12.2006,
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 20, შეკვეთა №844

ფასი — სახელშეკრულებო

ქუთაისის შპს „მანდარიას სტამბა"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33.